ადამიანის უფლებები:
სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის

ავტორი:

სახელმძღვანელოს ავტორია მანფრედ ნოვაკი, ვენის უნივერსიტეტთან არსებული ლუდვიგ ბოლცმანის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დირექტორი და გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში; თანაავტორები: ჯეროენ კლოკი (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი) და ინდერბორგა შვარცი (საპარლამენთაშორისო კავშირი).

სახელმძღვანელოს მომზადებაში წვლილი შეიტანეს:

ანა კლვიდმა (ბრიტანეთი), ხუან პაბლო ლეტელიემ (ჩილე), მაჰამანე ოსმანმა (ნიგერია), ვერონიკა ნედვედოვამ (ჩეხეთი) და მაჰინდა სამარასინმა (შრი-ლანკა), რომლებიც არიან საპარლამენთაშორისო კავშირის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრები: და ასევე საპარლამენტთშორისო კავშირის სხვა ოფიციალურიმა წარმომადგენლებმა: ანდერს ბ.ჯონსონმა და როჯერ ჰუზიენგამ.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხრიდან (OHCHR): ზდისლაუ კედზიამ, ჯეინ კონორსმა, მარკუს შმიდტმა და ჯულიან ბურგერმა.

ორიგინალური ვერსია: ინგლისური

ყდის დიზაინი შესრულებულია ალოის რობელაზისის მიერ; ლე სტიდიო ლოლოს, კარუჟი, შვეიცარია

თარგმანი: ლაშა ჭელიძე

რედაქტირება: ეკატერინე სამუშია

ტექნიკური კორექტურა: დავით ყიფიანი

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს და გამოცემულ იქნა საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2009 წელს. ინგლისურ ენაზე ტექსტის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ვერ-გვერდზე: www.ohchr.org

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ადამიანის უფლებები პოლიტიკური დისკუსიების მთავარი თემა ხდება. მაშინ როდესაც ძალადობისა და დამცირების წინააღმდეგ ბრძოლა იმავე ხნის არის, რა ხნისაც თვით კაცობრიობა, ომის დროს ჩადენილმა დანაშაულმა კიდევ უფრო შელახა ადამიანის ღირსება და აშკარა გახდა, რომ მსგავსი უსამართლობა უნდა აღკვეთილიყო; ადამიანური ღირსების თემამ კვლავ წინა პლანზე წამოიწია და ამის შედეგად მივიღეთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კოდიფიცირება საერთაშორისო დონეზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პირველი მუხლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემაა და ხელშეწყობა ყველასათვის რასის, სქესის, ენის ან რელიგიის საფუძველზე განსხვავების გარეშე" გაცხადებულია, როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი.

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია იყო პირველი ნაბიჯი აღნიშნული მიზნის მისაღწევად. იგი გვევლინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ნახსენებ ადამიანის უფლებათა" ავტორიტეტულ განმარტებად. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1966 წელს მიღებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტებთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს. 1948 წლიდან მოყოლებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები კოდიფიცირებულ იქნა ასობით უნივერსალურ და რეგიონალურ, იურიდიულად სავალდებულო და არასავალდებულო ხასიათის სამართლებრივ აქტებში, რომლებიც შეეხო ინდივიდის სიცოცხლის თითქმის ყველა ასპექტს და მოიცვა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრი. ამგვარად, ადამიანის უფლებათა უმეტესი ნაწილის კოდიფიცირება დასრულდა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას მიღებული სტანდარტების განხორციელება წარმოადგენს.

გასულ წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარლამენტს, როგორც სახელმწიფო ორგანოს, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები ახორციელებენ საკუთარ უფლებას მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში, როგორც ეს გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლით. ნამდვილად, ვინაიდან ადამიანის უფლებები ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, პარლამენტებმა სრულად უნდა ითამაშონ როლი ამ საქმეში და განახორციელონ მათზე მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილებები – საკანონმდებლო საქმიანობა, ბიუჯეტის დამტკიცება და მთავრობის ზედამხედველობა.

როგორც ორგანიზაცია, რომელიც იზიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოკიდებულებას ადამიანის უფლებებისადმი, საპარლამენტთაშორისო გაერთიანება (IPU) მიზნად ისახავს პარლამენტების, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველების, როლის განმტკიცებას. ბოლო წლებში ჩატარებულმა ლონისძიებებმა გვიჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში პარლამენტის წევრებს მნირი წარმოდგენა აქვთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივ სისტემაზე; იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ქვეყნებმა იკისრეს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ხელმოწერით. პარლამენტარები ასევე ნაკლებად არიან გათვითცნობიერებულნი ადამიანის უფლებათა რიგ საერთაშორისო თუ რეგიონალურ ორგანოსა თუ მექანიზმის შესახებ, რომელთა მიზანს წარმოადგენს შესაბამისი ხელშეკრულებების მონიტორინგი. უდავოა, რომ პარლამენტის წევრებს ადამიანის უფლებათა განხორციელების საკითხში უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ.

შესაბამისად, შემოთავაზებულ იქნა, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირმა (IPU) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანომ, რომელსაც მიენიჭა უფლებამოსილება მთელი მსოფლიოს მაშტაბით ეფექტურად დაიცვას ადამიანთა სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებები, უნდა გამოსცენ სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იქნება ამომწურავი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა და იმ საერთაშორისო/რეგიონალური სისტემების შესახებ, რომლებიც მათი ხელშენყობისათვის არის შექმნილი.

აღნიშნული *სახელმძღვანელოს* შემუშავება დაევალა ცნობილ ექსპერტს ადამიანის უფლებათა საკითხებში, ბატონ მანფრედ ნოვაკს, რომელიც ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელია წამების საკითხებში. სახელმძღვანელოს შედგენაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით პარლამენტარებს ადამიანის უფლებათა კომიტეტიდან; ასევე ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის და საპარლამენტო კავშირის წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემუშავებული ადამიანის უფლებათა ნორმების, სტანდარტებისა და პრინციპების მიუხედავად, ჩვენ მაინც შორს ვიმყოფებით იმ მსოფლიოსგან, რომელიც „თავისუფალია შიშისა და გაჭირვებისაგან", რისთვისაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამაარსებლები იღწვოდნენ. ამიტომაც ორივე ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ *სახელმძღვანელო* გახდება ძირითადი საშუალება პარლამენტარებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რათა მათი საკანონმდებლო, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი საქმიანობა ადამიანის უფლებების კუთხით ნაკისრ ვალდებულებებებთან შესაბამისობაში მოვიდეს. ეს სახელმძღვანელო ასევე დაეხმარება მათ იმ მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში, რაც ადამიანის უფლებათა ხელშენყობას და დაცვას გულისხმობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

რას მოიცავს სახელმძღვანელო?

- I ნაწილი მოიცავს ადამიანის უფლებათა სამართლის მარეგულირებელ ზოგად პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვას. იგი წარმოგვიდგენს საერთაშორისო და რეგიონალურ სამართლებრივ სისტემას ადამიანის უფლებათა ჭრილში და მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანოებს, მათ შორის იმ ორგანოებსაც, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელებას.

- II ნაწილში მე-11 თავი ეთმობა პარლამენტის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ხელშეწყობასა და დაცვასთან. მასში მოცემულია კონკრეტული მაგალითები იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ პარლამენტებსა და მათ წევრებს ამ სფეროში. ყუთები წარწერით „რისი გაკეთება შეგიძლია?“ წარმოადგენს ამგვარ ღონისძიებათა საკონტროლო ჩამონათვალს.

- მე-12 და მე-13 თავები მიზნად ისახავს აღწეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გარანტირებული თითოეული უფლების შინაარსი და გასცეს პასუხი ისეთ კითხვებს, როგორებიცაა „რას ნიშნავს სამართლიანი სასამართლოს უფლება“? ან „რას გულისხმობს ცხოვრების სათანადო დონე“? ხსენებული თავები ეხება მხოლოდ და მხოლოდ იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც შემდგომში აისახა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტსა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში და არ მოიცავს საკუთრების უფლებას.

ადამიანის უფლებები: პარლამენტარების სახელმძღვანელო

შინაარსი

წინასიტყვაობა iii

I ნაწილი

თავი 1: რა არის ადამიანის უფლებები? 1

განმარტება 1

ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპები 5

ადამიანის უფლებები და სახელმწიფოს სუვერენიტეტი 10

დემოკრატია, ადამიანის უფლებები და პარლამენტები 11

თავი 2: რა სახის ვალდებულებებს აკისრებს ადამიანის უფლებები სახელმწიფოებს? 13

თავი 3: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები 23

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დამკვიდრება 23

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი 24

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ძირითადი ხელშეკრულებები 24

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა სხვა სამართლებრივი აქტები 27

თავი 4: აქვთ თუ არა მთავრობებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილება? 29

დებულებები შეზღუდვების შესახებ 29

უფლებათა შეზღუდვები საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში 32

დათქმები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო თუ რეგიონალურ ხელშეკრულებებზე 32

ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და ადამიანის უფლებები 33

თავი 5: **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საზედამხედველო ორგანოები** 37

წევრობა და ფუნქციონირება 38

ანგარიშგების პროცედურა. 38

ინდივიდუალური საჩივრების შეტანის პროცედურა. 40

სახელმწიფოთაშორისი საჩივრების შეტანის პროცედურა. 42

მოკვლევის პროცედურები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციისა (CAT) და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) თანახმად 45

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მიხედვით დადგენილი რეგულარული ვიზიტების განხორციელების სისტემა პატიმრობის ადგილებში. 45

თავი 6: **წესდებაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მიხედვით** 49

კონფიდენციალური 1503 პროცედურა“ 49

სპეციალური პროცედურები. 51

ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომიტეტი. 53

თავი 7: **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი**. 55

თავი 8: **ადამიანის უფლებათა ინტეგრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში** 59

ადამიანის უფლებები გენერალურ ასამბლეასა და მის მუდმივმოქმედ პროგრამებში. 60

ადამიანის უფლებები და უშიშროების საბჭო 61

ადამიანის უფლებები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოჯახი“ 61

თავი 9: **ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებები და მონიტორინგი** 65

აფრიკა. 65

ამერიკის კონტინენტი 67

არაბული რეგიონი 68

აზია და წყნარი ოკეანეს მიმდებარე ტერიტორიები. 69

ევროპა. 69

თავი 10: დაუსჯელობის დასამარცხებლად: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) 71

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY) და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTR). 72

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) 72

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის პრინციპების ერთობლიობა დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ. 77

II ნაწილი

თავი 11: პარლამენტარების როლი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საკითხებში 81

ძირითადი პრინციპები. 81

პარლამენტარების მიერ გადასადგმელი ნაბიჯები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. 84

თავი 12: რა უნდა იცოდეს პარლამენტარმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. 105

სიცოცხლის უფლება. 105

წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა: პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლება. 117

პირადი თავისუფლების უფლება 124

მართლმსაჯულების განხორციელება: სამართლიანი სასამართლოს უფლება 127

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება 132

მიმოსვლის უფლება 138

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება 143

აზრისა და გამოხატვის თავისუფლება 145

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება 154

პირის უფლება მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში 157

თავი 13: **რა უნდა იცოდეს პარლამენტარმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ** **163**

სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები 163

უფლება სოციალურ უზრუნველყოფაზე 169

შრომის უფლება და უფლებები შრომის დროს 172

უფლება ცხოვრების სათანადო დონეზე 175

განათლების უფლება 191

დასკვნა **196**

აბრევიატურების ნუსხა **197**

დანართი 1. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** **199**

დანართი 2. **სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი** **207**

დანართი 3. **ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი** **229**

დანართი 4. **ინტერნეტში განთავსებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები** **241**

I თავი
რა არის ადამიანის უფლებები?

განმარტება

ადამიანის უფლებები არის უფლებები, რომლებიც ყოველ ადამიანს მისი ადამიანური ღირსებიდან გამომდინარე გააჩნია

ადამიანის უფლებები წარმოადგენენ უმთავრეს უფლებებს, რომლებიც გააჩნია ადამიანს. ისინი განსაზღვრავს ურთიერთობებს ინდივიდებსა და ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი, სახელმწიფოს შორის. ადამიანის უფლებები გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს სახელწიფოს ძალაუფლებას და, ამავდროულად, ავალდებულებს სახელმწიფოებს გადადგან პოზიტიური ნაბიჯები ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა ადამიანის უფლების განხორციელება. უუკანასკნელი 250 წლის განმავლობაში ასეთი გარემოს შექმნისათვის უწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდა. მე-18 საუკუნის მიწურულს საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციებიდან დაწყებული, ადამიანის უფლებების იდეამ განაპირობა მრავალი რევოლუციური მოძრაობა ძალაუფლებასა და ხელისუფალზე, კერძოდ, მთავრობაზე კონტროლის მოპოვების მიზნით.

ადამიანის უფლებები არის ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებათა ერთობლიობა, რომლებიც თავმოყრილია სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და საერთაშორისო სამართალში

სახელმწიფოები და ვალდებულებათა სხვა მატარებლები ვალდებულნი არიან პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, რაც, აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქმნის სამართლებრივი მოთხოვნისა და დაცვის საფუძველს (იხ. II თავი). ფაქტობრივად, საჩივრების შეტანა და დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნა ასხვავებს ადამიანის უფლებებს მორალური თუ რელიგიური ღირებულებების სისტემების პრინციპებისაგან. სამართლებრივი კუთხით, ადამიანის უფლებები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებათა ერთობლიობა, რაც აღიარებულია სუვერენული სახელმწიფოების მი-

ერ და გარანტირებულია მათი კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წამყვანი როლი ითამაშა ადამიანის უფლებათა განსაზღვრასა და ხელშეწყობაში. აქამდე კი, აღნიშნული უფლებები ძირითადად ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იყო გაწერილი. ამის შედეგად მოხდა ადამიანის უფლებათა კოდიფიცირება მრავალ საერთაშორისო და რეგიონალურ ხელშეკრულებასა და სამართლებრივ აქტში. ისინი რატიფიცირებულია მრავალი ქვეყნის მიერ და დღესდღეობით წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებათა სისტემას.



ადამიანის უფლებათა მაგალითები:

თავისუფლებები, უფლებები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აკრძალვები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა სფეროში:

- სიცოცხლის უფლება
- წამებისაგან და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯისაგან თავისუფლების უფლება
- მონობისაგან და იძულებითი სამუშაოსაგან თავისუფლების უფლება
- თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება
- თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლება მოექცნენ ჰუმანურად
- თავისუფალი მიმოსვლის უფლება
- სამართლიანი სასამართლოს უფლება
- უკუქცევითი ძალის მქონე სისხლის სამართლის კანონმდებლობის აკრძალვა
- პირის უფლება ცნონ როგორც სამართლის სუბიექტი
- პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
- მოსაზრებებისა და გამოხატვის თავისუფლება
- ომის პროპაგანდისა და ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლის აკრძალვა
- მშვიდობიანი შეკრების უფლება
- გაერთიანების თავისუფლება
- პირის უფლება დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი
- პირის უფლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, მისცეს ხმა, არჩეულ იქნეს არჩევნებში და შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში

- კანონის წინაშე თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში:

- შრომის უფლება
- შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების ქონის უფლება
- პროფესიული კავშირების შექმნისა და ასეთ კავშირებში შესვლის უფლება
- სოციალური უზრუნველყოფის უფლება
- ოჯახის დაცვა
- პირის უფლება ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და საცხოვრებლის ჩათვლით
- ჯანმრთელობის უფლება
- განათლების უფლება

კოლექტიურ უფლებათა სფეროში:

- ყველა ხალხის უფლება
  - თვითგამორკვევაზე
  - განვითარებაზე
  - თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები
  - მშვიდობაზე
  - ჯანმრთელ გარემოზე
- სხვა კოლექტიური უფლებები
  - ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებები
  - მკვიდრი მოსახლეობის უფლებები

ადამიანის უფლებები მრავალფეროვანია

ადამიანის უფლებები მოიცავს ცხოვრების ყველა ასპექტს. მათი სათანადო რეალიზების შემთხვევაში ქალებსა და მამაკაცებს აქვთ საშუალება საკუთარი ცხოვრება თავისუფლების, თანასწორობისა და ადამიანური ღირსების პრინციპებიდან გამომდინარე დაგეგმონ. ადამიანის უფლებები მოიცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს; ასევე კოლექტიურ უფლებებს ხალხთა თვითგამორკვევაზე, თანასწორობაზე, განვითარებაზე, მშვიდობასა და ჯანმრთელ გარემოზე. თუმცა არსებობდა და ჯერ კიდევ არსებობს აზრი, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, „რომლებიც ცნობილია როგორც „პირველი თაობის უფლებები", დაფუძნებულია სახელმწიფოს მხრიდან პირად ურთიერთობებში ჩაურევლობის კონცეპციაზე, მაშინ როდესაც

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, როგორც მეორე თაობის უფლებები", სახელმწიფოს ავალდებულებს გადადგას პოზიტიური ნაბიჯები. დღეს უკვე აღიარებულია, რომ სახელმწიფოებმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადადგან ნაბიჯები ისეთი პირობებისა და სამართლებრივი სისტემის შექმნის მიზნით, რაც აუცილებელია ადამიანის უფლებების განსახორციელებისათვის. თაობების" ტერმინოლოგია ცივი ომის დროს გამოიყენებოდა. დღესდღეობით ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებების საყოველთაობის, განუყოფლობისა და ურთიერთდამოკიდებულობის პრინციპებზე.



განვითარების უფლება

განვითარების უფლება ადამიანს განვითარების პროცესის ცენტრში აყენებს და აღიარებს, რომ ადამიანი ამ პროცესის მთავარი მონაწილე უნდა იყოს.

გაერო-ს 1986 წლის დეკლარაცია განვითარების შესახებ აცხადებს, რომ

1. ... ყველა ადამიანს და ხალხს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, წვლილი შეიტანოს და მოიხმაროს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება, როდესაც შესაძლებელია ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების სრული რეალიზება" [და]
2. ადამიანის უფლება განვითარებაზე ასევე მოიცავს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების სრულ რეალიზებას, რაც, ადამიანის უფლებათა ორივე საერთაშორისო პაქტის შესაბამისი დებულებების თანახმად, ბუნებრივ სიმდიდრისა და რესურსების სრული განკარგვის უფლებასაც ითვალისწინებს."

განვითარების უფლება ეფუძნება ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების განუყოფლობისა და ურთიერთდამოკიდებულობის პრინციპს. თანაბარი ყურადღება და სათანადო შეფასება უნდა მიეცეს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებასა და დაცვას.

2000 წლის სექტემბერში შემუშავებული ათასწლეულის განვითარების მიზნები განსაზღვრავს სიღარიბის დაძლევას როგორც განვითარების პროცესის საბოლოო მიზანს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა პირობა დადეს, რომ 2015 წლამდე შემდეგი მიზნების უმეტესი ნაწილი იქნება მიღწეული: ნახევრამდე შემცირდეს იმ პირების ოდენობა, რომელთა საარსებო წყარო დღეში ერთ დოლარზე ნაკლებია; ბიჭებისა და გოგონებისათვის მთელი მსოფლიოს მაშტაბით ხელმისაწვდომი გახდეს ზოგადი განათლება; შემცირდეს ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი ორ მესამედამდე; შემცირდეს დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტი სამ მეოთხედამდე; დამარცხებულ იქნეს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი/შიდსი, მალარია და სხვა მძიმე დაავადებები; უზრუნველყონ სუფთა გარემო და განავითარონ გლობალური თანამშრომლობა განვითარებისათვის (დასახული მიზნების სრული ნუსხა იხ. 76-ე ყუთში).

ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპები

ადამიანის უფლებები საყოველთაოა

„ადამიანის უფლებები არ არის უცხო ნებისმიერი კულტურისათვის და მშობლიურია ყველა ერისათვის; ისინი საყოველთაოა".

კოფი ა. ანანი,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივანი,
ადამიანის უფლებათა დღესთან დაკავშირებით თეირანის
უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვა, 1997 წლის 10 დეკემბერი

ადამიანის უფლებები საყოველთაოა, ვინაიდან ისინი ეფუძნება თითოეული ადამიანის ღირსებას; რასის, კანის ფერის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, რელიგის, ენის, ეროვნების, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, უნარშეზღუდულობისა თუ სხვა რაიმე გამორჩეული ნიშნის მიუხედავად. გამომდინარე იქედან, რომ ეს უფლებები აღიარებულია ყველა სახელმწიფოსა მიერ, ისინი ყველა პირს თანაბრად ეხება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და უცვლელია ყველასთან მიმართებით ნებისმიერ ადგილას.

ადამიანის უფლებები განუყოფელია

ადამიანის უფლებები განუყოფელია იმ კუთხით, რომ დაუშვებელია პირს ჩამოერთვას უფლებები, გარდა ის შემთხვევისა სადაც ნათლად განსაზღვრულია სამართლებრივი გარემოებები. ასე მაგალითად, პირის თავისუფლების უფლება შესაძლოა შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუკი მას სასამართლო დამნაშავედ ცნობს.

[illegible]

ადამიანის უფლებები: დასავლური კონცეფცია?

ადამიანის უფლებათა საყოველთაობა რიგ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან ის აღიქმება როგორც დასავლური ცივილიზაციის მახასიათებელი. მსგავსი მიდგომა ნეოკოლონიური დამოკიდებულების ნაწილია, რისი პროპაგანდაც მსოფლიოს მასშტაბით ხდება. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) მიერ 1968 წელს გამოქვეყნებული კვლევა[1] მიუთითებს, რომ ის მისწრაფებები, რასაც ეფუძნება ადამიანის უფლებები -სამართლიანობის, ადამიანისათვის დამახასიათებელი მთლიანობისა და ღირსების, დევნისაგან თავისუფლებას, კოლექტიურ საქმიანობაში პირის მონაწილეობის ცნებები გხვდება ყველა ცივილიზაციასა და პერიოდში. დღესდღეობით, ადამიანის უფლებათა საყოველთაობა განმტკიცებულია იმ ფაქტით, რომ ერების უმრავლესობამ, მათი კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური ტრადიციებიდან გამომდინარე, მიიღეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები და მოახდინეს მათი რატიფიცირება.

1 *Le Droit d'être un homme*, ჟან ჰერშის თაოსნობით მომზადებული ტექსტების კრებული, UNESCO და რობერტ ლაფონტი, 1968წ.

ადამიანის უფლებები განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია. გამომდინარე იქედან, რომ ადამიანის თითოეული უფლება მოიცავს და დამოკიდებულია ადამიანის სხვა უფლებებზე, ერთი უფლების დარღვევა გავლენას ახდენს ადამიანის სხვა უფლებების განხორციელებაზე. ასე მაგალითად, სიცოცხლის უფლება გულისხმობს საკვების უფლებისა და ცხოვრების სათანადო დონის უფლების პატივისცემას. პირის უფლება შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მოიცავს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას. ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვა გულისხმობს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. შესაბამისად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ერთმანეთს. ყველა უფლების პატივისცემა არის მდგრადი მშვიდობისა და განვითარების წინაპირობა.

საერთაშორისო თანამეგობრობამ 1993 წელს ვენაში გამართულ ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე დაადასტურა ადამიანის უფლებათა საყოველთაობის კონცეფცია.

„ადამიანის ყველა უფლება საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთკავშირში მყოფია. საერთაშორისო თანამეგობრობამ მთელი მსოფლიოს მაშტაბით ადამიანის უფლებები უნდა განიხილოს სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე. მართალია, ეროვნული და რეგიონალური თავისებურებების მნიშვნელობა და განსხვავებული ისტორიული, კულტურული და რელიგიური წარმომავლობა მისაღებია მხედველობაში; თუმცა სახელმწიფოები მაინც ვალდებულნი არიან, მიუხედავად პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემებისა, დაიცვან და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განვითარებას."

ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია, ვენა, 1993წ.
ვენის დეკლარაცია გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამის შესახებ, მე-5 პუნქტი



სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და ეკონომიკური

და სოციალური უფლებები განუყოფელია

ეკონომიკურ საკითხებში ნობელის პრემიის ლაურეატმა, ამარტია შენმა წარმოადგინა ემპირიული მტკიცებულება, რომ ადამიანის ყველა უფლება განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია. მაგალითად, შიმშილობის მიზეზების შესახებ კვლევაში მან დაადგინა, რომ როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებში მოქმედი დემოკრატიის პირობებში შიმშილობას ადგილი არ ქონია. ასეთ ქვეყნებში მედია ამ პრობლემაზე ყურადღებას გაამახვილებს და შესაბამისად პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება ამაზე რეაგირებას მოახდენენ. Dდემოკრატიულ სახელმწიფოში პარლამენტი და მთავრობა აცნობიერებენ თუ რამდენად საშიშია ამგვარი საფრთხის იგნორირება.[1]

1 ამარტია შენი, სიღარიბე და შიმშილი: უფლებებისა და უუფლებობის ანალიზი (An Essay on Entitlements and Deprivation), Clarendon Press, 1982წ.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი

ადამიანის უფლებათა ყველაზე მძიმე დარღვევები გამოწვეულ იქნა კონკრეტული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობით. თანასწორობის უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, რაც ნათლად არის ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალურ ხელშეკრულებებში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის უფლებებში. თანასწორობის უფლება ავალდებულებას სახელმწიფოებს უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე: სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნების, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობის წევრობის, ქონების, ასაკის, უნარშეზღუდულობის, სექსუალური ორიენტაციისა და სოციალური თუ სხვა სტატუსის მიუხედავად. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მხრიდან გამოყენებული დისკრიმინაციის კრიტერიუმი, რაც მიზნად ისახავს კონკრეტული ჯგუფების მიერ ადამიანის ყველა ან ზოგიერთი უფლების გამოყენების აღკვეთას, დაფუძნებულია ზემოაღნიშნულ ნიშნებზე.



დისკრიმინაციის აკრძალვა

- დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ქვაკუთხედია.
- კანონით გათვალისწინებული დიფერენციაცია უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებს შორის სხვაობას.
- გამორჩევა მოითხოვს გონივრულ და ობიექტურ გამართლებას.
- უნდა იქნეს დაცული ‍პროპორციულობის პრინციპი.
- ის ნიშნები, რომლებიც საფუძვლად დაედო დისკრიმინაციას, მოიცავს შემდეგს: სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნება, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობათა წევრობა, ქონება, დაბადება, ასაკი, უნარშეზღუდულობა, სექსუალური ორიენტაცია და სოციალური თუ სხვა სტატუსი.

კანონით გათვალისწინებული დიფერენციაცია შეიძლება გამართლებულ იქნეს ფაქტებს შორის სხვაობიდან გამომდინარე

ყველა სახის დიფერენციაცია არ წარმოადგენს დისკრიმინაციას. ფაქტობრივი ან სამართლებრივი განსხვავება, რაც დაფუძნებულია **გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმზე** შეიძლება გამართლებულ იქნეს. მტკიცების ტვირთი მთავრობებს ეკისრებათ: მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ნებისმიერ სახის განსხვავებული მიდგომა ფაქტობრივად გონივრული და ობიექტურია.

გამართლებული დიფერენციაცია დასაქმებასთან დაკავშირებით

ევროგაერთიანების დირექტივები რასობრივ თანასწორობასა და თანასწორობაზე დასაქმების საკითხებში[1] უფლებამოსილებას ანიჭებს მთავრობებს განსაკუთრებული შემთხვევების დროს დიფერენცირებული მოპყრობის გამოყენებაზე. შესაბამისად, დიფერენციაცია დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რაც მოიცავს ისეთ სამუშაოებს, რომელთა შესრულებაც ფაქტობრივად მოითხოვს განსხვავებას შემდეგ საფუძვლებზე: რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია თუ სარწმუნოება, უნარშეზღუდულობა, ასაკი თუ სექსუალური ორიენტაცია. მაგალითები მოიცავს სამსახიობო და სამოდელო სამსახურებს, როდესაც აუთენტურობა თუ რეალიზმი შეიძლება მოითხოვდეს, რომ შემსრულებელი იყოს კონკრეტული წარმომავლობისა თუ ასაკის; ასევე ეკლესიასა თუ მსგავს ორგანიზაციებში ზოგიერთი თანამდებობა, რაც მოიცავს საზოგადოებასთან კონტაქტს და (იმავე ორგანიზაციებში სხვა სამსახურებისაგან განსხვავებით, როგორიცაა საოფისე სამუშაო და მომარაგება) ისინი უნდა დაკომპლექტდეს შესაბამისი კონფესიისა თუ რწმენის მქონე პირებისაგან.

ზოგიერთი ჯგუფი შესაძლოა სარგებლობდეს განსაკუთრებული უფლებებით

თანასწორობის, საყოველთაობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების შესაბამისად, კონკრეტული ჯგუფები შესაძლებელია სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებებით. აღნიშნული ასახულია ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში, რომლებიც სპეციალურად ისე არის შემუშავებული, რომ დაიცვას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების უფლებები; მათ რიცხვს განეკუთვნებიან: მაგალითად, ქალები, უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები, უმცირესობები, მკვიდრი მოსახლეობა, ბავშვები, უნარშეზღუდული პირები, მიგრანტი მუშები და თავისუფლებაშეზღუდული პირები. კონკრეტული ჯგუფების უფლებების დაცვა მხოლოდ მაშინ არის შესაბამისობაში საყოველთაობის პრინციპთან, თუ ისინი გამართლებულია განსაკუთრებული (ობიექტური) მიზეზებით, როგორიცაა ჯგუფების სოციალური დაუცველობა ან ისტორიულად მათი დისკრიმინაცია.

სხვა შემთხვევაში, სპეციალური უფლებები ჩაითვლება პრივილეგიად, რაც სხვა ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის ტოლფასი იქნება.

---

1 საბჭოს 2000 წლის 29 ივნისის 2000/43/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა შორის თანასწორი მოპყრობის პრინციპს რასისა და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, და 2000 წლის 27 ნოემბრის 2000/78/Eჩ დირექტივა, რომელიც ადგენს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობასთან მიმართებით თანასწორი მოპყრობის ზოგად საფუძველს.

მაგალითი: სპეციალური უფლებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

აქტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ, რომელიც მიღებულია 1995 წელს ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში, დამსაქმებლებს ავალდებულებს უნარშეზღუდული პირებისათვის შექმნან გონივრული სამუშაო პირობები". აღნიშნული აქტი მოიცავს საჭირო ღონისძიებათა დეტალურ ნუსხას. იგი მოიცავს შენობებისა და ხელსაწყოების მოდიფიცირებას, ამ პირებისათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნას, მათი უფლება-მოვალეობების სხვა თანამშრომლებისათვის გადაცემასა და ალტერნატიული სამუშაო საათების უზრუნველყოფას.

დროებითი სპეციალური ღონისძიებები

დისკრიმინაციით მიყენებული გრძელვადიანი ზიანის ანაზღაურების მიზნით, შესაძლოა, შეიძლება დადგეს სპეციალური დროებითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა. №25 ზოგადი რეკომენდაცია[1] ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW)[2] მე-4 მუხლთან მიმართებაში, ასეთ ღონისძიებას განსაზღვრავს როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ფართო არჩევანს, როგორებიცაა სოციალური დახმარების პროგრამები; რესურსების განსაზღვრა და/ან მოძიება; სასურველი მომსახურეობა; მიზნობრივი გადამზადება, დასაქმება და დაწინაურება; დასახული მიზნების განხორციელება გარკვეული პერიოდის განმავლობაში; და კვოტირების სისტემები".

პოზიტიური მოქმედება: მაგალითი

ნორვეგიაში ომბუდსმენმა გენდერული თანასწორობის საკითხებში ბოლო წლებში მოახდინა მამაკაცებზე ფოკუსირება გენდერული თანასწორობის კონტექსტში. შედეგად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შეიცვალა მამაკაცებზე ამ უფლების გავრცელების მიზნით.

ცვლილების შედეგად, მამას მიეცა ოთხკვირიანი შვებულების უფლება. იმ შემთხვევაში, თუკი მამა არ გამოიყენებდა კანონით მინიჭებულ ამ უფლებას – მამის

1 ის ორგანოები, რომლებიც ახდენენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების განხორციელების მონიტორინგს, ცალკეულ უფლებასა და შესაბამისი სახელმწიფოს ვალდებულებებზე აკეთებენ ზოგად რეკომენდაციებსა" და ზოგად კომენტარებს". დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. მე-5 თავი.

2 CEDAW-სა და პარლამენტზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხ., *ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია და მისი ფაკულტატური ღქმი: სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის*, IPU, ჟენევა, 2003ნ.

კვოტა", მაშინ ოჯახი კარგავდა შვებულების ამ პერიოდს. მამის კვოტა" პირველად შემოიღეს 1993 წელს და მომდევნო ორი წლის განმავლობაში მამების მიერ მეუღლის მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში გასვლა 45%-დან გაიზარდა 70%-მდე. ამის გარდა, ომბუდსმენმა მამაკაცების სასარგებლოდ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევებზე წამოაყენა პოზიტიური მოქმედების განხორციელების სქემა ამ სფეროში მათი შესაძლებელობის გააქტიურების მიზნით, რაც თავის მხრივ წინ აღუდგებოდა შრომითი ურთიერთობების სეგმენტში მკაცრ გენდერულ გამიჯვნას, და ბავშვებს მიცემდა ნაკლებად სტერეოტიპულ წარმოდგენას გენდერული კონცეპციის შესახებ.

მაგალითად, დროებითი კვოტირების სისტემა იმგვარად იყო შემუშავებული, რომ ქალებს პრიორიტეტულ რეჟიმში აყენებდა სპეციფიკური სამუშაოების, გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკური ორგანიზაციებისა თუ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ეს შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ მოქმედებად, რაც მიზნად ისახავს იმ სფეროებში, რომლებშიც ტრადაციულად ქალები ნაკლები რაოდენობით არიან წარმოდგენილნი და განიცდიან დისკრიმინაციას, ფაქტობრივი გენდერული თანასწორობის მიღწევის დაჩქარებას.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, აღნიშნული დროებითი ღონისძიებები გამართლებულია და არ უნდა განიხილებოდეს როგორც მამაკაცების დისკრიმინაცია. თუმცა, მას შემდეგ, რაც თანასწორი შესაძლებლობებისა და მოპყრობის მიზნები მიღწეულია, ხსენებული ღონისძიებების მოქმედება უნდა შეწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეფასდება ქალებისათვის პრიორიტეტის მინიჭებად და შედეგად დადგინდება მამაკაცთა დისკრიმინაცია.

№25 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, ამ ღონისძიებათა გასატარებლად არ არის აუცილებელი მტკიცებულება წარსულში დისკრიმინაციის არსებობის თაობაზე: მაშინ როდესაც დროებითი სპეციალური ზომების გამოყენება, ხშირად შემთხვევაში, წარსულში ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის შედეგად წარმოშობილი უსამართლობის იურიდიულად გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, კონვენციის თანახმად წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულება განამტკიცოს ქალთა პოზიცია მამაკაცებთან მიმართებით დე ფაქტო ან რეალური თანასწორობით, არსებობს წარსულში დისკრიმინაციის არსებობის თაობაზე მტკიცებულების მიუხედავად."

ადამიანის უფლებები და სახელმწიფო სუვერენიტეტი

იმ პერიოდში, როდესაც ადამიანის უფლებები ქვეყნის შიდა ურთიერთობების ნაწილად მოიაზრებოდა, სხვა სახელმწიფოებს/საერთაშორისო თანამეგობრობას ეკრძალებოდათ ჩარევა თუნდაც ადამიანის უფლებების ისეთი სერიოზული დარღვევის გამო როგორიცაა გენოციდი. აღნიშნული მიდგომა, რომელიც ეფუძნებოდა ეროვნულ სუვერენიტეტს, მე-20 საუკუნეში შეიცვალა, განსაკუთრებით კი, ნაცისტური გერმანიის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მეორე მსოფლიო

ომის დროს ჩადენილი დანაშაულის გამო. დღესდღეობით, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის სამართლებრივი ზრუნვის საგანსა და პასუხისმგებლობას. თუმცა, ის შეუსაბამისობა, რაც არსებობს *საყოველთაო სამართლებრივ ვალდებულებებსა* და *სახელმწიფო სუვერენიტეტს* შორის უნდა გადაწყდეს თითოეული კონკრეტული საქმის ჭრილში, *პროპორციულობის პრინციპის* შესაბამისად. ეს ის პრინციპია, რომლის თანახმადაც, ხელისუფლების მიერ საყოველთაობის კონცეპციის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება არ უნდა გასცდეს იმას, რაც აუცილებელია ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის მისაღწევად.

„ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების ხელშეწყობა და დაცვა უნდა განიხილებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრიორიტეტად მისი მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ალიბნული მიზნებისა და პრინციპების ფარგლებში, ყველა უფლების ხელშეწყობა და დაცვა არის საერთაშორისო თანამეგობრობის საერთლებრივი ზრუნვის საგანი.“

ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია, ვენა, 1993წ.
ვენის დეკლარაცია გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამის შესახებ, მე-4 პუნქტი

დემოკრატია, ადამიანის უფლებები და პარლამენტები

ბოლო პერიოდის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხის ინტენსიურ შესწავლას. დემოკრატია უკვე აღარ განიხილება კონსტიტუციისა და პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების უბრალო პროცედურულ ნორმად; არამედ, ადამიანის უფლებებთან ერთად განიხილება პირის ღირსების შენარჩუნებისა და ხელშეწყობის მთავარ საშუალებად. საერთაშორისო სტანდარტების და მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით საპარლამენტთაშორისო გაერთიანებამ 1995 წელს დაიწყო დემოკრატიის შესახებ საყოველთაო დეკლარაციის შემუშავების პროცესი. 1997 წელს მიღებულ ამ დეკლარაციაში დემოკრატია და ადამიანის უფლებები განხილულია ერთიან ჭრილში და მიჩნეულია განუყოფლად.

დემოკრატია ეფუძნება იდეას, რომ ყველა მოქალაქე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანასწორად უნდა იყოს ჩართული. პირის უფლება, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლსა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლში. თუმცა, ამ უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით აუცილებელია, რომ მოქალაქეები, პირველ რიგში, სარგებლობდნენ ისეთი უფლებებით, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, და ძირითადი ეკონომიკური და სოციალური უფლებებით. ისეთი დაწესებულებების არსებობა, რომლებიც შესაძლებელს გახდის ხალხის მონაწილეობასა და კონტროლს ქვეყნის მართვაში, დამატებითი წინაპირობაა. პარლამენტები – სუვერენული ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ მორიგი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე და რომლებიც მოწოდებული არიან ხალხის, ხალხისათვის და ხალხის მეშვეობით უზრუნველყონ ქვეყნის

მართვა – წარმოადგენენ ძირითად დაწესებულებებს დემოკრატიულ საზოგადოებაში. როგორც ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობას, პარლამენტი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობასა და დაცვაში. დამატებით, პარლამენტები აფუძნებენ სამართლებრივ სისტემას, რაც სასამართლო სისტემის და, შესაბამისად, კანონის უზენაესობის, დამოუკიდებლობის გარანტიაა; ეს კი თავის მხრივ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ქვაკუთხედია. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პარლამენტებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა განხორციელებაში.

„საუკეთესო შემთხვევაში, დემოკრატია მიზნად ისახავს არსებითად შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს ძირითად უფლებების განვითარებას, სოციალური სამართლიანობის ძღვრევას, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას, საზოგადოების ერთიანობის განმტკიცებას და ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნებას; ასევე მისი ვალდებულებაა ისეთი კლიმატის შექმნა, რაც მისაღები იქნება ძალთოლითობი ძალადობის შესანარჩუნებლად რაც ეხება ძალაუფლების თეორიას, დემოკრატია საუკეთესო საშუალებაა აღნიშნულის მისაღწევად; ამასთან, იგი ერთადერთი პოლიტიკური სისტემაა, რომელსაც გააჩნია თვით-გამოსწორების შესაძლებლობა".

საპარლამენტთაშორისო გაერთიანება, საყოველთაო დეკლარაცია
დემოკრატიის შესახებ, კაირო, 1997 წლის სექტემბერი, მე-3 პუნქტი.

თავი 2
რა სახის ვალდებულებებს აკისრებს ადამიანის უფლებები სახელმწიფოებს?

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები შეიძლება დაირღვეს პირის ან პირთა ჯგუფის მიერ და ფაქტობრივად, გლობალიზაციის ფონზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ჩადენილი არასამთავრობო ორგანოების მიერ (იქნება ეს ტრანსნაციონალური კორპორაციები, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, საერთაშორისო ტერორიზმი, სამხედრო დანაყოფი, დასხვა ორგანიზაციები) კვლავაც მატულობს, მოქმედი საერთაშორისო სამართლის თანახმად, *მხოლოდ სახელმწიფოებს ეკისრებათ პირდაპირი ვალდებულებები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.*

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მიერთებით, სახელმწიფოები კისრულობენ სამ ძირითად ვალდებულებას: პატივისცემის, დაცვისა და შესრულების ვალდებულებებს. თუმცა ბალანსი ამ ვალდებულებებს შორის შეიძლება იყოს ცვალებადი იმის მიხედვით, თუ რა უფლებებთან გვაქვს საქმე; და ეს პრინციპში ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებას ეხება. დამატებით, სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის ეკისრებათ სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება ეროვნულ დონეზე.

რას გულისხმობს „პატივისცემის ვალდებულება“?

სახელმწიფოს მხრიდან „პატივისცემის ვალდებულება“ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ჩარევებისაგან. აღნიშნული ასევე გულისხმობს მთავრობის მიერ მიღებული ისეთი აქტების აკრძალვას, რომლებიც საფრთხეს უქმნის უფლებებით სარგებლობას. მაგალითად, განათლების უფლებასთან დაკავშირებით, მთავრობამ პატივი უნდა სცეს მშობელთა თავისუფლებას

დააფუძნონ კერძო სკოლები და უზრუნველყონ შვილების რელიგიური და მორალური განათლება თავისი შეხედულებების შესაბამისად.

რას გულისხმობს „დაცვის ვალდებულება“?

„დაცვის ვალდებულება“ სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან ინდივიდები მათი უფლებების დარღვევისაგან სხვა პირების მხრიდან. კვლავაც, განათლების უფლება კარგ მაგალითს წარმოაგენს. შვილების უფლება მიიღონ განათლება, დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული მესამე პირების ჩარევა და გარკვეული დოგმების დაწესება. მესამე პირებში მოიაზრებიან მშობლები და ოჯახი, მასწავლებლები და სკოლა, რელიგია, სექტა, კლანები და ბიზნეს სკოლები. მაგალითად, პირადი ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების უფლება ავალდებულებს სახელმწიფოებს წინ აღუდგნენ ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებულ *საოჯახო ძალადობის* ფენომენს: მიუხედავად იმისა, რომ ქმრის მხრიდან ცოლის წინააღმდეგ, ან მშობლების მხრიდან შვილების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ყველა ფაქტი არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას, რისთვისაც სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა, მთავრობებს აკისრიათ ვალდებულება გადადგან პოზიტიური ნაბიჯები – შესაბამისი სისხლის სამართლის, სამოქალაქო, საოჯახო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის ფარგლებში, პოლიტიკისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ტრენინგების ჩატარებით, ან ცნობიერების ამაღლებით, საოჯახო ძალადობის შემცირების მიზნით.



სახელმწიფოს ვალდებულება პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს: მაგალითები

სიცოცხლის უფლება

პატივისცემა	პოლიციის მიერ განზრახ არ უნდა მოხდეს ეჭვმიტანილის სიცოცხლის ხელყოფა მისი გაქცევის აღკვეთის მიზნით ისეთი წვრილმანი დანაშაულისათვის, როგორიცაა ქურდობა.
დაცვა	ინდივიდის მხრიდან სხვა პირების მიმართ სიცოცხლის ხელყოფისაკენ მიმართული თავდასხმები (ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისაკენ მიმართული თავდასხმები) უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, რომლებიც ისჯება ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით. პოლიციამ სრულყოფილად უნდა გამოიძიოს ასეთი დანაშაულებები დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით.
შესრულება	ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაატარონ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები, რათა შემცირდეს ბავშვთა სიკვდილიანობა და სიკვდილიანობის ის სახეები, რომელთა გამომწვევი მიზეზების აღკვეთა შესაძლებელია.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა

პატივისცემა	პოლიციამ არ უნდა დაუქვემდებაროს დაკავებული პირები წამებას დაკითხვის პროცესში.
დაცვა	სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაატარონ საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები საოჯახო ძალადობის აღკვეთის მიზნით.
შესრულება	ხელისუფლების ორგანოებმა უნდა ჩაუტარონ ტრენინგები პოლიციის თანამშრომლებს დაკითხვის მისაღებ მეთოდებთან დაკავშირებით.

ხმის მიცემის უფლება

პატივისცემა	სახელმწიფო ორგანოები არ უნდა ჩაერიონ ხმის მიცემის პროცესში და პატივი სცენ არჩევნების შედეგებს.
დაცვა	სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ხმის მიცემის ფარული კენჭისყრის პროცედურა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალაუფლების მქონე პირთა მხრიდან (როგორებიც არიან, მაგალითად, პოლიტიკოსები, კლანების ან ოჯახების თავები ან ხელმძღვანელი პირები) ზეწოლა.
შესრულება	ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მოახდინონ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ორგანიზება და არჩევნებში მაქსიმალური ოდენობის ამომრჩევლების მონაწილეობა.

ჯანმრთელობის უფლება

პატივისცემა	ხელისუფლების ორგანოებმა არ უნდა შეზღუდონ ჯანმრთელობის უფლება (მათ შორის იძულებითი სტერილიზაციით ან სამედიცინო ექსპერიმენტით).
დაცვა	ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება უნდა აიკრძალოს.
შესრულება	ადეკვატური რაოდენობის საავადმყოფოებმა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მომსახურების გაწევა ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებში.

კვების უფლება

პატივისცემა	ხელისუფლების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ღონისძიების გატარებისაგან, რაც ხელს შეუშლის ადეკვატურ

	კვებაზე ხელმისაწვდომობას (მაგალითად, მიწის თვითნებურად ჩამორთმევა).
დაცვა	ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ კანონები ან გაატარონ სხვა ღონისძიებები, რათა აღკვეთილ იქნეს ძალაუფლების მქონე პირების ან ორგანიზაციების მხრიდან კვების უფლების დარღვევა (მაგალითები: კომპანია, რომელიც აბინძურებს სასმელ წყალს ან მიწის მესაკუთრე, რომელიც აძევებს გლეხებს).
შესრულება	ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განახორციელონ პოლიტიკა – როგორიცაა აგრარული რეფორმა – რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის ხელმისაწვდომობა შესაფერის საკვებზე და მოწყვლადი ჯგუფების შესაძლებლობა გამოკვებონ საკუთარი თავი.

რას გულისხმობს შე სრულების ვალდებულება“?

„შესრულების ვალდებულების“ თანახმად, სახელმწიფოებს ევალებათ გადადგან პოზიტიური ნაბიჯები ადამიანის უფლებათა განხორციელების მიზნით. მაგალითად, განათლების უფლებასთან დაკავშირებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება, უფასო საშუალო განათლება, უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლება და პროფესიონალური განათლება ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის (ისეთი ნაბიჯების გადადგმის ჩათვლით, როგორებიცაა საკმარისი საჯარო სკოლების დაფუძნება ან მასწავლებელთა სათანადო ოდენობის დაქირავება და ანაზღაურების გადახდა).

პროგრესული განხორციელების პრინციპი

პროგრესული განხორციელების პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ თავისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებასა და დაცვას. მაგალითად, ჯანმრთელობის უფლება არ წარმოადგენს ჯანმრთელობის გარანტიას ყველასათვის. თუმცა, შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობების, სოციალური და კულტურული ტრადიციებისა და მინიმალური საერთაშორისო სტანდარტების დაცვის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია დააფუძნოს და შეინარჩუნოს ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემა, რითაც ძირითადი მომსახურეობა ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება. პროგრესული განხორციელება გულისხმობს, რომ მთავრობებმა უნდა დასახონ მიზანი ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად; უნდა გაიზარდოს ექიმთა რაოდენობა ყოველ ათას მაცხოვრებელზე; გაიზარდოს მოსახლეობის იმ ნაწილის პროცენტული მაჩვენებელი, რომელმაც ვაქცინაცია გაიარა კონკრეტული ინფექციებისა და ეპიდემიური დაავადებების წინააღმდეგ, ან გააუმჯობესონ ჯანდაცვის დაწესებულებების მდგომარეობა და სხვ.

ნათელია, რომ ღარიბ ქვეყნებში ჯანმრთელობის სტანდარტი შესაძლოა უფრო დაბალი იყოს, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში მთავრობების მხრიდან ჯანმრთელობის

უფლების შესრულების ვალდებულების დარღვევის გარეშეც. თუმცა, ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებისათვის პოზიტიური ღონისძიებების არარსებობის შემთხვევაში, რეგრესიული ღონისძიებების ან კონკრეტული ჯგუფების (როგორებიც არიან ქალები და რელიგიური ან ეთნიკური უმცირესობები) თვითნებური გამორიცხვა ჯანმრთელობის სისტემის ხელმისაწვდომობიდან წარმოადგენს ჯანმრთელობის უფლების დარღვევას.

სამართლებრივი დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებების თანახმად: მაგალითები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თითოეული წევრი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას "უზრუნველყოს, რომ ყველას, ვისაც დაერღვა ამ პაქტით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები" და რომ ყველას, ვინც ითხოვს სამართლებრივ დაცვას "ჰქონდეს უფლება დაცვის ასეთი საშუალებები დაუდგინოს კომპეტენტურმა სასამართლომ, აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლებამ, ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ, რომელსაც სამართლებრივი სისტემით მინიჭებული აქვს ასეთი უფლებამოსილება", და "განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობები".

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი აცხადებს, რომ "ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ეროვნული ხელისუფლებისაგან უნდა ჰქონდეს მინიჭებული სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება..".

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც «Pact of San José, Costa Rica») 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებას ცალკე უფლებად აყალიბებს: "ყველას აქვს უფლება მარტივად და დაყოვნების გარეშე მიმართოს კომპეტენტურ სასამართლოს ან ტრიბუნალს იმ ქმედებებისაგან დასაცავად, რომლებიც არღვევს შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუციითა და კონვენციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს...".

რას გულისხმობს "ეფექტური დაცვის საშუალების უზრუნველყოფის ვალდებულება"?

უფლებებით სარგებლობა არა მხოლოდ საკითხის გასაჩივრებას მოიცავს. მისი იურიდიული მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ყველას აქვს ეროვნული – სასამართლო, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო ან სხვა – ორგანოებისადმი მიმართვის უფლება იმ შემთხვევაში, თუკი უფლება დარღვეულია. თითოეულ პირს, რომელიც აცხადებს, რომ ადგილი აქვს მისი უფლებების უპატივცემულობას,

უნდა ჰქონდეს უფლება *სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები* დაუდგინოს კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანომ, რომელმაც ასევე უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების აღსრულება.

საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

მას შემდეგ რაც შიდასამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება ამოწურულია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ არის მიღებული. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილი პროცედურების მიხედვით, ინდივიდებს აქვთ ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმედი ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. მისი სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულო ძალის მქონეა.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია ითვალისწინებს ინდივიდების უფლებას საჩივრით მიმართონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს, მაგრამ მოცემული მომენტისათვის აღნიშნულს არ ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებები (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. მე-5 და მე-9 თავები).

რეპარაციის უფლება

ეფექტური დაცვის საშუალებების უფლება გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლს მიეცეს რეპარაციის უფლება. სახელმწიფოს ვალდებულება ითვალისწინებს დამნაშავე პირების (მათ შორის თანამდებობის პირები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები) წარდგენას მართლმსაჯულების წინაშე. სახელმწიფო ასევე ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული დარღვევების განმეორება. მე-11 ყუთში მოცემულია რეპარაციის სხვადასხვა ფორმები.



მსხვერპლთა რეპარაციის უფლება ადამიანის უფლებათა დარღვევების შემდეგ

რესტიტუცია: დაპატიმრებულ პირთა გათავისუფლება, ქონების რესტიტუცია

დაკმაყოფილება: საჯარო ბოდიში, სიმართლის დადგენა შესაბამისი კომისიის ჩამოყალიბების საშუალებით, ადამიანის უფლებათა უხეში დამრღვევი პირების წინააღმდეგ სისხლის-სამართლებრივი გამოძიების წარმართვა

რეაბილიტაცია: სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებები მსხვერპლთა გამოჯანმრთელების მიზნით (მაგალითად, წამების მსხვერპლთათვის რეაბილიტაციის ცენტრების დაფუძნება)

კომპენსაცია: კომპენსაცია ფინანსური თუ არაფინანსური ზარალისათვის

აღარ გამეორების გარანტია: საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები, დისციპლინარული ღონისძიებები.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დარღვევისათვის

ზემოთ (იხ. მე-10 ყუთი) მოცემულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული დებულებები ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეხება მაშინ, როდესაც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულებები – როგორებიცაა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი და ევროპის სოციალური ქარტია – არ მოიცავს მსგავს დებულებებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებების ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლოების მიერ განხილვის საკითხი კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ბევრი მთავრობის და თვით ადამიანის უფლებათა არაერთი მკვლევარის წინაშეც. ამ ორი კატეგორიის უფლებათა გამიჯვნა ჯერ კიდევ ცივი ომის დროს დაწყებული იდეოლოგიური დებატებიდან იღებს სათავეს. მაშინ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მიჩნეულ იქნა „ნეგატიურ" უფლებებად და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არ დაიშვებოდა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები კი დანახული იყო „პროგრამული უფლებების" ჭრილში; შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა და მიზნად დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალურ უზრუნველყოფას ისახავდა. „ხსენებული „პროგრამული უფლებები" არ ითვლებოდა აღსრულებადად სასამართლოების წინაშე.

საერთაშორისო სასამართლოებმა, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული და ინტერამერიკული სასამართლოები, დაადგინეს, რომ სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა გარანტირებულ იქნეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მაგალითად, სახელმწიფოებმა უნდა დააფუძნონ ისეთი სასამართლო სისტემა, რომელიც შეძლებს ნაკისრი ვალდებულების–სამართლიანი სასამართლო უფლების უზრუნველყოფას გონივრულ ვადაში. წამებასთან დაკავშირებული პრეტენზიების, ძალადობრივი გაუჩინარებებისა თუ თვითნებური სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე სასჯელის დაკისრების შემთხვევაში, მათ უნდა უზრუნველყონ სრულყოფილი გამოძიება დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენისა და მსხვერპლთა/მათი ოჯახის წევრთათვის კომპენსაციისა და რეპარაციის სხვა ფორმების უზრუნველყოფის მიზნით.

მსგავსი საშუალებების დადგენა არის შესაძლებელი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან სამართალწარმოებისას დაადგინონ, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებით; მაგალითად, სახელმწიფოს ვალ-

დებულება, იმგვარად მოაწყოს სასამართლო სისტემა, რომ ის შესაბამისობაში მოდიოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დადგენილ მინიმალურ გარანტიებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იგივე სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, შეასრულეს თუ არა სახელმწიფოებმა პოზიტიური ვალდებულებები მოაწყონ სასკოლო სისტემა განათლების უფლების მინიმალურ გარანტიების შესაბამისად (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-13 და მე-14 მუხლები), ან ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემები ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტების მიღების უფლების მინიმალურ გარანტიების შესაბამისად (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი).

აქამდე თითქმის არცერთ საერთაშორისო სასამართლოს არ ჰქონია უფლებამოსილება გამოეტანა გადაწყვეტილება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით. გამონაკლის წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 1988 წლის დამატებითი ოქმის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, უფლებამისილია, განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები განათლების უფლებასთან და პროფკავშირების ორგანიზების უფლებასთან დაკავშირებით; და ბოსნია და ჰერცოგოვინას ადამიანის უფლებათა პალატა, რომელმაც, 1995 წლის დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების მე-6 დანართის თანახმად, გამოიტანა გადაწყვეტილებები სავარაუდო ან აშკარა დისკრიმინაციის შესახებ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობისას. თუმცა 1993 წლის ადამიანის უფლებათა ვენის მსოფლიო კონფერენციაზე გადაწყდა, რომ დაჩქარებულიყო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის შემუშავება იმ მიზნით, რათა ძალაში შესულიყო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტისადმი (ეს უკანასკნელი აღნიშნული პაქტის მონიტორინგს ახორციელებს და კვაზი-სასამართლო ორგანოდ გვევლინება – იხ. მე-5 თავი) ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის უფლება; თუმცა ბევრი ქვეყნის მთავრობა მაინც აპროტესტებდა ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან განვითარებას.[3]

სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე წელი დაჭირდება იმ საკითხის გადაჭრას, თუ რამდენად გამართლებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა, რადგან მთავრობები არ აძლევენ უფლებამოსილებას ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებს გამოიტანონ გადაწყვეტილება ამ უფლებებთან დაკავშირებით; შესაბამისად, აღნიშნულზე პრეცედენტული სამართალი ძალიან მწირია; და გარკვეულწილად ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული უფლებები არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას, ან უფრო ნაკლებად ექვემდებარება ვიდრე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

3 მიუხედავად ზემოხსენებულისა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის ფაკულტატური ოქმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა 2008 წლის 10 დეკემბერს.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში ეროვნული სასამართლოების კომპეტენცია: მაგალითები

ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნულ სასამართლოებს აქვთ უფლებამოსილება გამოიტანონ გადაწყვეტილება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე. თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება სამხრეთ აფრიკის იურისპრუდენციის მოყვანა, სადაც სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება კონსტიტუციით გარანტირებული ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით (მაგ.კვების უფლება, ჯანდაცვასა და საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის უფლებები). *ჩროოტბოოომ*-ის საქმეში (*Government of the Republic of South Africa v. Irene Grootboom and others, CCT 11/00*) საკონსტიტუციო სასამართლომ პრეცედენტი დაადგინა. საქმე ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა სამხრეთ აფრიკის მთავრობამ მას შემდეგ, რაც კეიპის უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა მთავრობას, რომ უსახლკარო ბავშვები და მათი მშობლები უზრუნველყო თავშესაფრით (კარვები, პორტატული საპირფარეშოები და წყალმომარაგება). ჯგუფი ცხოვრობდა ისეთ დასახლებაში, სადაც წვიმის დროს წყალი ჩადიოდა, შემდეგ ისინი გადავიდნენ სხვაგან, საიდანაც ისინი გამოაძევეს, ხოლო თავშესაფარი დაწვეს. მას შემდეგ, რაც მათი ადრინდელი თავშესაფარი სხვებმა დაიკავეს, ისინი დარჩნენ რა უსახლკაროდ, დასახლდნენ მდელოზე, სადაც სპორტული თამაშები იმართებოდა და შეიტანეს სარჩელი უმაღლეს სასამართლოში. ისინი ასაჩივრებდნენ კონსტიტუციით გარანტირებულ საცხოვრებლის უფლებისა და ბავშვთა უფლებების დარღვევას. საჩივარი საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით არ იქნა დაკმაყოფილებული, ვინაიდან სასამართლო დააკმაყოფილა იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფომ გაატარა „გონივრული" ღონისძიებები მის ხელთ არსებული რესურსების" ფარგლებში ამ უფლების პროგრესული რეალიზების კუთხით. თუმცა მან დაადგინა, რომ – ბავშვებისათვის კონსტიტუციით გარანტირებული თავშესაფრის უფლება და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით – ბავშვებსა და მათ მშობლებს ეკუთვნოდათ თავშესაფარი, რომელიც სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო.

თავი 3: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დამკვიდრება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დამკვიდრდა მე-19 საუკუნეში, როდესაც საერთაშორისო სამართალში განვითარდა დოქტრინა, რომლის მიხედვითაც „ჰუმანიტარული ინტერვენცია" ითვლებოდა კანონიერად იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ, რამაც „აღაშფოთა კაცობრიობის სინდისი". მოგვიანებით, წითელი ჯვრის მოძრაობის გავლენამ და 1919 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დაფუძნებამ საფუძველი ჩაუყარა ჟენევის კონვენციებსა[4] და პირველ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც იცავდნენ საწარმოს მუშებს ექსპლუატაციისაგან და ითვალისწინებდნენ მათთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უმცირესობების შესახებ შემუშავებული ხელშეკრულებები მიზნად ისახავდა ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებების დაცვას; ამიტომაც ხანდახან ისინი აღიქმება ადამიანის უფლებათა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის წინამორბედად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება – კონვენცია მონობის შესახებ – მიღებულ იქნა 1926 წელს და ძალაში შევიდა მომდევნო წელს.

---

4 ჟენევის კონვენციებთან და ჰუმანიტარულ სამართალთან დაკავშირებული ინფორმაციისათვის იხილეთ *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემა: სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის*, IPU, ჟენევა, 1999წ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი

1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნით *ა დამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობა და პატივისცემა განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა*",[5] საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იქცა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.) პირველი გვაძლევს ტერმინის ადამიანის უფლებები" (აღნიშნული გამოყენებულ იქნა წესდებაში) ავტორიტეტულ ინტერპრეტაციას და, თუმცა, იგი არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს, დეკლარაცია ახლა – 50 წელზე მეტი ხნის შემდეგ – შეიძლება ჩაითვალოს *ადამიანის უფლებათა ზოგად სტანდარტად.*

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა ორ წელიწადში, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა (CCPR) და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტების (CESCR) მიღებას თითქმის 20 წელი დაჭირდა. 1954 წელს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიამ დაასრულა საერთაშორისო პაქტების ტექსტებზე 6 წლიანი მუშაობა, თუმცა გენერალურ ასამბლეას 12 წელზე მეტი დასჭირდა მათ მისაღებად. დამატებით 10 წელი დასჭირდა სავალდებულო 35 სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებას და 1976 წელს ორი საერთაშორისო პაქტი ძალაში შევიდა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ორი საერთაშორისო პაქტი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა ზოგად სამართლებრივ აქტებს. სამოქალაქო და სოციალური უფლებების პაქტი ორ ფაკულტატურ ოქმთან (1966 წ. და 1989 წ.) და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ხშირად მოიხსენიება, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი".

„დეკლარაცია მეფმიად აქტიალური და ძალზედ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც აერთიანებს კაკობრობის ისეთ ძირითად მისწრაფებებს, როგორებიკაა ლირსება, თანასწორობა და უსაფრთხოება. იგი უზრუნველყოფს ძირითადი სტანდარტებს და მორალურ საკითხებს სამართლებრივად საალდებულო ჩარჩოებში აქცევს"

სერჯიო ვიეირა დე მელო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
ადამიანის უფლებათა ყოფილი უმაღლესი კომისარი,
ადამიანის უფლებათა დღეს მიღებული გზავნილი, 2002 წლის 10 დეკემბერი

ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილის შემდეგ მიღებულ იქნა მრავალი სპეციფიკური ხასიათის მქონე იურიდიულად სავალდებულო სამართლებრივი აქტი. ზოგიერთი ხელშეკრულება ექვემდებარება სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ ორგანოების მონიტორინგს და ორ პაქტთან ერთად აყალიბებს სამართლებრივი აქტების კრებულს, რომლებიც ცნობილია, როგორც ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებები (იხ. მე-5 თავი). ხსენებული სამართლებრივი აქტები მოიცავს შემდეგს:

5 გაერთიანებული ერების წესდება, I თავი, 1-ლი მუხლი, მე-3 პუნქტი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

,გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ტექსტის შემუშავება ორ წელიწადში მოახერხა ისეთი ცნობილი პიროვნებების თაოსნობით, როგორებიც იყვნენ ელეონორა რუზველტი, რენე კასინი და ჩარლზ მალიკი. იგი მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. დეკლარაცია ადგენს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს და ყველას უფლებას ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია [...] დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა სრული განხორციელება." თუმცა იგი არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო სამართლებრივ აქტს. სოციალისტურმა ქვეყნებმა და სამხრეთ აფრიკამ თავი შეიკავეს მისი მიღებისაგან. მიუხედავად ამისა დეკლარაციამ მორალურად და პოლიტიკურად შეიძინა ავტორიტეტული სამართლებრივი აქტის სტატუსი, რომელშიც ასახულია გაერთიანებული ერების შეხედულება ადამიანის უფლებებზე. დღესდღეობით იგი გვევლინება ადამიანის უფლებათა დაცვის წესდებაზე დაფუძნებული სისტემად (იხ. მე-8 თავი). დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტთან (ჩჩვლ), მის ორ ფაკულტატურ ოქმთან და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტთან ერთად, აყალიბებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს.

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად (CERD; მიღებულია 1965 წელს და ძალაში შევიდა 1969 წელს);

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW; მიღებულია 1979 წელს და ძალაში შევიდა 1981 წელს);

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (CAT; მიღებულია 1984 წელს და ძალაში შევიდა 1987 წელს);

კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (CRC), მიღებულია 1989 წელს და ძალაში შევიდა 1990 წელს);

საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მიგრანტი მუშების კონვენციის სახელით, ან CMW, რომელიც მიღებულია 1990 წელს და ძალაში შევიდა 2003 წელს).

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ (მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს და 2007 წლის 30 მარტს კონვენცია და ფაკულტატური ოქმი გაიხსნა ხელმოსაწერად)

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება და მიღება

ადამიანის უფლებათა ყველა ხელშეკრულება და ძირითადი დეკლარაცია მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ; ეს არის ერთადერთი ორგანო, რომელშიც წარმოდგენილია ყველა – ამჟამად 193 – წევრი სახელმწიფო ერთი ხმის უფლებით. როგორც წესი, ხელშეკრულების პროექტის შემუშავების პროცესს წინ უძღვის იურიდიულად არასავალდებულო დეკლარაციის მიღება, რომელშიც წარმოდგენილია ზოგადი განმარტება. შემდგომ ამოცანას წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო სტანდარტების შემუშავება.

ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ტექსტი პირველად გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიაში მუშავდება, რომელიც ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომიტეტს (იხ. მე-8 თავი) ან კომისიის მიერ ამ მიზნით შექმნილ (მაგალითად, ტექსტის შემუშავების დროს ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი მუშაობდა ძალადობრივი გაუჩინარების შესახებ ხელშეკრულებაზე) სამუშაო ჯგუფს ანიჭებს უფლებამოსილებას წინასწარი სამუშაოების განხორციელებაზე. კომისიასა და მის დამხმარე ორგანოებში ტექსტის პროექტის შემუშავების პროცესი, როგორც წესი, გრძელდება რამდენიმე წელი მაინც და, შესაძლოა ორი ათწლეულიც კი.

მას შემდეგ, რაც ტექსტი მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ, ტექსტის პროექტზე მუშაობა ხშირ შემთხვევაში ჩქარდება. ამის შემდეგ ტექსტი უნდა დაამტკიცოს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ. აღნიშნული განხორციელებადია ერთი სესიის დროს. და ბოლოს, პროექტზე უნდა იმსჯელოს და მიიღოს გენერალურმა ასამბლეამ, კერძოდ კი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა მესამე კომიტეტმა. ადრეულ წლებში მესამე კომიტეტს ხანდახან უხდებოდა ტექსტების თითქმის ხელახალი შემუშავება. თუმცა ბოლო პერიოდში ძირითად პოლიტიკური გადაწყვეტილებებს იღებს კომისია; გენერალური ასამბლეის სამუშაო კი შემოიფარგლება დარჩენილი პრობლემების მოგვარებით ერთი ან ორი სესიის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ, როგორც წესი ერთხმად, იგი ღიად ცხადდება *ხელმოწერისა და რატიფიკაციისათვის წევრი სახელმწიფოების მიერ.* იგი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც რატიფიკაციის ან მიერთების კონკრეტული რაოდენობის ინსტრუმენტი დეპონირებულია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა სპეციალიზირებულმა სააგენტოებმა მიიღეს ადამიანის უფლებათა მრავალი სხვა ინსტრუმენტი, რომლებიც ეხება სპეციფიკურ ჯგუფებს, მათ შორის ქალებს, ლტოლვილებს, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, უმცირესობებსა და მკვიდრ მოსახლეობას, პატიმრებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ბავშვებსა და მოზარდებს, და დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს. სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები ეხება ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებს, როგორებიცაა მონობა, წამება, ძალადობრივი გაუჩინარება, გენოციდი, იძულებითი მუშაობა და



ადამიანის უფლებათა სტანდარტების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის საჭირო ნაბიჯები

დეკლარაციები: აფუძნებს სამართლებრივად არასავალდებულო სტანდარტებს

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.)

ადამიანის უფლებათა ამერიკული დეკლარაცია (1948 წ.)

იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები

გაერთიანებული ერების პაქტები (1966-1976 წწ.)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950-1953 წწ.)

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969-1978 წწ.)

ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (1981-1986 წწ.)

განხორციელება: ადამიანის უფლებათა საზედამხედველო ორგანოები და მექანიზმები

საჩივრების პროცედურა

ანგარიშგების პროცედურა

საგამოძიებო პროცედურა

რეგულარული ვიზიტების სისტემა

რელიგიური შეუწყნარებლობა, ან ფოკუსირებას ახდენს განათლების, დასაქმების, განვითარების, მართლმსაჯულების განხორციელების, დაოჯახების, და გაერთიანებისა და ინფორმაციის თავისუფლების სფეროებში ადამიანის უფლებათა სპეციფიკურ საკითხებზე.

ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების დეტალური ნუსხა მოცემულია მე-4 დანართში.



ადამიანის უფლებათა იურისპრუდენცია

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები და კონვენციები ცოცხალი ინსტრუმენტებია, რომლებიც მუდმივად განიცდიან განვითარებას საერთაშორისო მონიტორინგზე პასუხისმგებელი საერთაშორისო სასამართლოებისა და ექსპერტი ორგანოების იურისპრუდენციის შესაბამისად. აღნიშნული ორგანოების მიერ პირვანდელი სტანდარტების ინტერპრეტაცია გასცდა საწყის მნიშვნელობას და მოხდა მათი მორგება დღევანდელ გარემოებებზე. მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (1950 წ.) მე-3 მუხლის თანახმად, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის აკრძალვა საწყის ეტაპზე არ ვრცლდებოდა სხეულებრივი სასჯელის წვრილმან ფორმებზე (აღნიშნული პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული ბრიტანულ სკოლებში); თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სხეულებრივი სასჯელის არანაირი ფორმა არ იყო დაშვებული მე-3 მუხლის თანახმად. ამის მსგავსად, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (იხ. მე-5 თავი) დაადგინა, რომ პირის უსაფრთხოების უფლება, რომელიც თავისუფლების უფლებასთან ერთად გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურის პაქტ მე-9 მუხლით, არ გულისხმობდა თავისუფლების მხოლოდ ფორმალურ შეზღუდვას: ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეში (საქმე *Delgado Páez v. Colombia*, 195/1985), კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფოებს მათი იურისდიქციის ფარგლებში არ შეუძლიათ იგნორირება გაუკეთონ პატიმრობაში არმყოფი პირების პირად უსაფრთხოებას და ვალდებულნი არიან გადადგან გონივრული და სათანადო ნაბიჯები მათი დაცვის მიზნით.

თავი 4:
აქვთ თუ არა მთავრობებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილება?

ადამიანის ზოგიერთი უფლება, როგორებიცაა წამებისა და მონობის აკრძალვა, *აბსოლუტურია*. დაკითხვის დროს ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ელექტრონული შოკი/სხვა მეთოდები, რაც იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და სულიერ ტანჯვას, წარმოადგენს წამებას წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად და არ არის გამართლებული არანარ საფუძველზე, თუნდაც იმ შემთხვევაში თუ მსგავსი ქმედება ტერორიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და საჭიროა დაკავებულისაგან გარდაუვალ ტერორისტულ აქტზე ინფორმაციის მოსაპოვებლად.

სახელმწიფოებს უფლება აქვთ გამოიყენონ *შეფასების ზღვარი* ადამიანის უფლებათა დიდი ნაწილის პატივისცემის, დაცვისა და შესრულების ვალდებულების კუთხით. ამ ვალდებულებათა უმრავლესობა ექვემდებარება პროგრესულ რეალიზებას, და თითოეული საზოგადოების განსაკუთრებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული იმის შეფასებისას, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ ადამიანის უფლებები. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საყოველთაობის პრინციპი პირდაპირ ეხება ადამიანის უფლებათა არსს, მაშინ როდესაც მთავრობები, დათქმების/შეზღუდვების და პროგრესული რეალიზების პრინციპით, ადამიანის უფლებების განახორციელებისას სარგებლობენ ფართო უფლებამოსილებით, გამომდინარე ეროვნული ინტერესებიდან.

დებულებები შეზღუდვის შესახებ

ბევრი ვალდებულება, რომელიც მოითხოვს ადამიანის უფლებების პატივისცემას, ექვემდებარება ე.წ. დებულებებს შეზღუდვის შესახებ. პოლიტიკური თავისუფ-

ლებების განხორციელება, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება უკავშირდება ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს; ამიტომაც, შესაძლოა, დაექვემდებაროს გარკვეულ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებსა და ჯარიმებს ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული ერთიანობის ან საჯარო წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, არეულობისა ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის, მორალის ან რეპუტაციის დასაცავად.

თუ ხალხი ბოროტად იყენებს სიტყვისა და დემონსტრაციაში მონაწილეობის თავისუფლებას რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის წაქეზების, ომის პროპაგანდის ან დანაშაულის ჩადენის მოწოდების მიზნით, მაშინ მთავრობებს გააჩნიათ ვალდებულება შეზღუდონ ამ თავისუფლებების განხორციელება, რათა დაცულ იქნეს სხვა ადამიანების უფლებები. *თუმცა, ნებისმიერი ჩარევა, შეზღუდვა ან ჯარიმა უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის და ეროვნული ინტერესების შესაბამისად. სახელმწიფოებმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაამტკიცონ ამგვარი შეზღუდვების გამოყენების აუცილებლობა და გაატარონ მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებიც დასახული კანონიერი მიზნების პროპორციული იქნება.*



უფლებები, თავისუფლებებ და აკრძალვები, რომლებიც არ ექვემდებარება გადახვევას თვით ომის დროსაც

CCPR-ის მე-4 მუხლის თანახმად

- სიცოცხლის უფლება
- წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა
- მონობისა და ყმობის აკრძალვა
- ვალის გადაუხდელობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა
- უკუქცევითი ძალის მქონე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება
- პირის უფლება ცნონ მისი სამართალსუბიექტობა
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად

- პირის უფლება ცნონ მისი სამართალსუბიექტობა
- სიცოცხლის უფლება
- წამების, სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა
- მონობისა და ყმობის აკრძალვა
- უკუქცევითი ძალის მქონე სისხლის სამართლის კანონებისაგან თავისუფლება

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად

- სიცოცხლის უფლება

- ადამიანური მოპყრობის უფლება
- მონობის აკრძალვა
- უკუქცევითი ძალის მქონე სისხლის სამართლის კანონებისაგან თავისუფლება
- სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
- მოქალაქეობის ქონის უფლება
- ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება
- სასამართლო დაცვის უფლება
- სახელისა და გვარის ქონის უფლება
- ოჯახის უფლებები
- ბავშვთა უფლებები

ლეგიტიმური შეზღუდვები

- დათქმები;
- გადახვევები საგანგებო მდგომარეობისას;
- ადამიანის უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა;
- დებულებები შეზღუდვის შესახებ:
- ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისი უნდა იყოს;
- უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს;
- პროპორციული უნდა იყოს.

ლეგიტიმური შეზღუდვები: მაგალითები იურისპრუდენციიდან

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოების კომპეტენციაში შედის განსაზღვროს ემსახურება თუ არა შეზღუდვის კონკრეტული ფორმა *კანონიერ მიზანს*, ეფუძნება თუ არა *ეროვნულ კანონმდებლობას* და არის თუ არა *პროპორციული*, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მოცემული შესაბამისი დებულებები შეზღუდვის შესახებ შემდეგნაირად განმარტა: ერთის მხრივ, მთავრობებს ენიჭება შეფასების საკმაოდ ფართო ზღვარი. მეორე მხრივ, მთავრობას მოეთხოვება სწავე სოციალური საჭიროების წარმოჩენა, რამაც ამგვარი შეზღუდვა შეიძლება გაამართლოს. მაგალითად, სასამართლომ არ მიიღო ირლანდიის მთავრობის არგუმენტი, რომ ჰომოსექსუალიზმის ზოგადი აკრძალვა ირლანდიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელია საზოგადოებაში მორალის შესანარჩუნებლად; სასამართლოს არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ სხვა ევროპულ ქვეყანაში არ არსებობდა მსგავსი კანონმდებლობა, მაგრამ ამის მიუხედავად არ წარმოშობილა პირად ცხოვრებაზე უფლების შეზღუდვის დაწესების აუცილებლობა.

გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

ომის, არეულობის, სტიქიური უბედურობების ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს (როგორიცაა ტერორისტული თავდასხმები), როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს, მთავრობებს შეუძლიათ გაატარონ ღონისძიებები ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გადახვევის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუკი დაცული იქნება შემდეგი მოთხოვნები:

- გამოცხადებული უნდა იყოს საგანგებო მდგომარეობა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გადახვევის სპეციალურ ღონისძიებებზე შეტყობინება ოფიციალურად უნდა იქნეს გაგზავნილი კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის;
- გადახვევა მხოლოდ იმ ზომით არის დასაშვები, რაც აუცილებელია სიტუაციიდან გამომდინარე;
- გადახვევა გაუქმებულ უნდა იქნეს მაშინვე, როგორც კი მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვლება;
- გადახვევას დაქვემდებარებული უფლებები არ უნდა განეკუთვნებოდეს იმ უფლებათა რიცხვს, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია (იხ. მე-17 ყუთი).

დათქმა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ან რეგიონალურ ხელშეკრულებებზე

გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოები აკეთებენ განცხადებებს ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს. ამგვარ განცხადებებს შეიძლება ერქვას „დათქმა", „დეკლარაცია", „შეთანხმება", „განმარტებითი დეკლარაცია" ან „განმარტებითი განცხადება".

1969 წლის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მე-19 მუხლი განმარტავს, რომ სახელმწიფო, ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს, უფლებამოსილია გააკეთოს დათქმა:

1. თუკი დათქმის გაკეთება არ არის აკრძალული ხელშეკრულებით;
2. თუკი ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ კონკრეტული დათქმები; ან
3. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ხვდება ზემოთ მოცემულ კატეგორიებში, დათქმა არ არის ხელშეკრულების საგანსა და მიზანთან შესაბამისი.

მაშინ როდესაც ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი დათქმებზე და დათქმა გაკეთებული და დაგზავნილია, შესაბამის სახელმწიფოებს ეძლევათ 12 თვე დათ-

ქმის გასაპროტესებლად. ვადის ათვლა იწყება შეტყობინების დეპონირების თარიღიდან ან იმ დღიდან, როდესაც სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა, რომ ხელშეკრულება მასზე ვრცელდება, რომელი თარიღიც უფრო გვიან დადგება (იხ. 1969 წლის ვენის კონვენციის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი).

თუ ხელშეკრულება სხვაგვარად არ არეგულირებს საკითხს, სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს დათქმა ან დათქმაზე გაკეთებული პროტესტი.

ანტიტერორისტული ღონისძიებები და ადამიანის უფლებები

ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერებისა და *ადამიანის უფლებათა დასაცავად მოწოდებული რეგიონალური ორგანიზაციების იურისპრუდენციის კრებულში*, რომელიც გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ 2003 წლის სექტემბერში, თავმოყრილია ამონარიდები გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების (კერძოდ კი, აფრიკული, ამერიკული და ევროპული რეგიონალური ორგანიზაციები) იურისპრუდენციიდან.

კრებული გვიჩვენებს, რომ ანტიტერორისტული ღონისძიებების გატარების დროს, ზოგიერთი საკითხი აღმოჩნდა განსაკუთრებულად თანმხვედრი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებთან. ერთი ასეთი საკითხი ტერორიზმის დეფინიციაა. თუმცა ამ ეტაპზე არ მომხდარა ტერმინის ავტორიტეტული განმარტება, სახელმწიფოები ამ დეფინიციის ძირითად ელემენტებზე შეთანხმდნენ. 1994 წლის 9 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია საერთაშორისო ტერროროზმის აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ (A/RES/49/60). მასში აღნიშნულია, რომ ტერორიზმი მოიცავს *პო ლიტიკური მიზნებით პირთა ჯგუფის ან კონკრეტული პირების მიერ ჩადენილ სისხლის-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ან გათვლილია ფართო საზოგადოებაში ტერორის დამყარების პროვოცირებაზე"* და იგი დამატებით ადგენს, რომ ამგვარი აქტების გამოყენება *ნე ბისმიერ გარემოებაში გაუმართლებელია, რაც არ უნდა პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა სახის არგუმენტები იყოს წამოყენებული აღნიშნულის გასამართლებლად".*

ტერორიზმსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი დიდი ხანია გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა პროგრამის განხილვის საკითხია. ეს საკითხი უფრო გამწვავდა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმებისა და მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგად. საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან 2003 წლის 6 მარტის უშიშროების საბჭოს ანტიტერორისტული კომიტეტის სპეციალურ შეხვედრაზე ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აღნიშნა:

ტე რორიზმის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები, ისევე როგორც ჩვენი ძალისხმევა წინ აღვუდგეთ და აღვკვეთოთ იგი, უნდა მდგომარეობდეს იმაში,

რომ დავიცვათ ადამიანის უფლებები, რომელთაა განადგურება უნდათ ტერორისტებს. ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა და კანონის უზენაესობის პატივისცემა ტერორიზმის დამარცხების საქმეში არსებითი საშუალებებია – და არა პრივილეგიები, რომლებიც მსხვერპლად უნდა იქნეს შეწირული დაძაბულობის დროს".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა ზოგიერთმა ორგანომ გამოხატა შეშფოთება იმის გამო, რომ ანტიტერორისტულმა ღონისძიებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა დარღვევა. მაგალითად, გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომხსენებლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, 2003 წლის ივნისში ჟენევაში გამართულ ყოვეწლიურ მეათე შეხვედრაზე განაცხადეს:

თ უმცა [სპეციალური მომხსენებლები და დამოუკიდებელი ექსპერტები] ტერორიზმის ცალსახად გმობენ, ისინი შეშფოთებას გამოხატავენ ბევრ ქვეყანაში იმ პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გატარების გამო, რაც ტერორიზმთან ბრძოლის სახელით,

ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის სამოქალაქო, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებზე.

ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ საშიშროებაზე, რომელიც დამახასიათებელია ტერმინ ტერორიზმის" ზოგადი გამოყენებისათვის, აგრეთვე დისკრიმინაციის ახალ კატეგორიებზე, რომლებიც მისგან გამომდინარეობს. ისინი გმობენ იმ ფაქტს რომ, ტერორიზთან ბრძოლის კონტექსტში, ადამიანის უფლებათა დამცველებს საფრთხე ემუქრებათ, ხოლო მოწყვლადი ჯგუფები, კერძოდ, მიგრანტები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, სოციალურად დაუცველი ადამიანები, მინაზე უფლებების მოპოვებისათვის ან ეკონომიკური გლობალიზაციის პოლიტიკის უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი, ხდებიან დისკრიმინაციის სამიზნე წარმოშობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის საფუძველზე."

საგანგებო მდგომარეობა შეიძლება იქნეს გამართლებული სპეციფიკური გარემოებების არსებობისას და ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე. ამ დრო სოციალური და პოლიტიკური უფლებების პაქტისა და ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტების თანახმად, დასაშვებია კონკრეტული უფლებების განხორციელებიდან გადახვევა. თუმცა იმავე დებულებების თანახმად, ადამიანის გარკვეული უფლებების მოქმედება არ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას არანაირი გარემოებებიდან გამომდინარე (იხ. მე-17 ყუთი).

სოციალური და პოლიტიკური უფლებების პაქტის და ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტების თანახმად, იმ უფლებებიდან გადახვევა, რომლებიც ზემოთ არის ნახსენები, ნებადართულია მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების დროს; ეს უნდა იყოს გამონაკლისი, მკაცრად შეზღუდული დროში და, სიტუაციის სიმწვავიდან გამომდინარე, უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას და შესაბამისობაში მოდიოდეს საერთაშორისო სამართლის თანახმად ნაკისრ ვალდებულებებთან; ამასთან დაუშვებელია დისკრიმინაცია. გარდა ზემოთ ხსენებულისა დამატებითი მოთხოვნაა, რომ სახელმწიფომ შეატყობინოს გაერთიანებული ერების

გენერალურ მდივანს ან შესაბამის რეგიონალურ ორგანიზაციას თუ რომელი დებულებებიდან გადაუხვია და რამ გამოიწვია ეს.

საერთაშორისო სამართლის თანახმად ნაკისრ ვალდებულებებზე დაფუძნებით ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეადგინა მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომლებიც სოციალური და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-4 მუხლში მოცემულ უფლებებთან ერთად, არ შეიძლება დაექვემდებაროს გადახვევას. აღნიშნული მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

- ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უნდა მოექცნენ ღირსეულად; მძევლად აყვანა, პირის გატაცება და აუღიარებელი პატიმრობა აკრძალულია;
- უმცირესობებს მიკუთვნებული პირები დაცულ უნდა იქნენ;
- უკანონო დეპორტაციები და მოსახლეობის იძულებითი გადადგილება აკრძალულია;
- დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობაზე დაყრდნობით ... მონაწილე სახელმწიფოს ... ომის პროპაგანდაში ჩართვის, ან ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის გაღვივების გამართლება, რაც მიმართული იქნება დისკრიმინაციის, მტრობისა და ძალადობისაკენ".

დამატებით, ვინაიდან, სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიარაღებული კონფლიქტების დროს გარანტირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნები დაცულ იქნეს საგანგებო მდგომარეობის დროს. კომიტეტმა აღნიშნა, რომ იმ უფლებათა დაცვისას, რომლებიც ცალსახად აღიარებულია ისეთ უფლებებად, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია, აუცილებელია მათი დაცვა პროცედურული, მათ შორის, სასამართლო გარანტიებით.

სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის და ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტების თანახმად, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც გამონაკლისის სახით ნებადართულია ზოგიერთი უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური და მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე

(საგანგებო მდგომარეობის გარდა). მიღებული ზომები უნდა იყოს შესაფერისი და მინიმალური ჩარევის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს მიზნების მისაღწევად. ამ კუთხით ხელისუფლებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება არ უნდა იყოს შეუზღუდავი. ნებისმიერ შემთხვევაში, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი უნდა იქნეს დაცული და სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა დაცულ იქნეს მოწყვლადი ჯგუფების უფლებები. ანტიტერორისტული ღონისძიებები, რომელთა სამიზნეს სპეციფიკური ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები წარმოადგენენ, წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებებთან და შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაციისა და რასიზმის გაღვივება.

თავი 5: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საზედამხედველო ორგანოები

წევრი სახელმწიფოების მხრიდან გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა რვა ძირითადი ხელშეკრულების (იხ. მე-3 თავი) თანახმად ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს ექსპერტებისაგან შემდგარი რვა ორგანო, რომლებიც ცნობილია როგორც საზედამხედველო ორგანოები.

- ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR);
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (CESCR);
- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD);
- ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW);
- წამების საწინააღმდეგო კომიტეტი და მისი აღკვეთის ქვეკომიტეტი (CAT);
- ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC);
- ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის კომიტეტი (CMW).
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი(CRPD)

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის გარდა, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციით 1985 წელს, ზემოთ ხსენებული ორგანოები შეიქმნა მათი შესაბამისი ინსტრუმენტებით, და ჩამოყალიბდა შესაბამისი ინსტრუმენტების ძალაში შესვლასთან ერთად.

წევრობა და ფუნქციონირება

ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ეკონომიკურ,სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი და ბავშვთა უფლებების კომიტეტი შედგება 18 წევრისაგან; წამების საწინააღმდეგო კომიტეტი და მისი აღკვეთის ქვეკომიტეტი და ყველა მიგრანტი მუშის/მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის კომიტეტი შედგება 10 წევრისაგან; ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი 23 წევრისაგან. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი შედგება 12 წევრისაგან.

წევრებს ირჩევენ შესაბამისი ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები (გარდა ეკონომიკურ,სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტისა, რომლის წევრებსაც ეკონომიკური და სოციალური საბჭო ირჩევს). ამ დროს სათანადო ყურადღება ექცევა თანაბარ გეოგრაფიულ გადანაწილებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტი და ბავშვის უფლებათა წელიწადში სამჯერ იკრიბება; ყველა მიგრანტი მუშის/მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის კომიტეტი წელიწადში ერთხელ და სხვა სახელშეკრულებო ორგანოები – წელიწაში ორჯერ. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გამოკლებით, რომელსაც მომსახურეობას გაერთიანებული ერების ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის (DESA) ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების გაერთიანებული ერების განყოფილება (UNDAW) უწევს, რომლის რეზიდენცია ნიუ-იორკშია, ყველა დანარჩენ სახელშეკრულებო ორგანოს ემსახურება ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), რომელიც ჟენევაშია განთავსებული.

ანგარიშგების პროცედურა

სახელმწიფოების ვალდებულებები

სახელმწიფო ანგარიშგების პროცედურა ერთადერთი პროცედურაა, რომელიც სავალდებულოა ყველა რვა ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად. მთავრობებს აკისრიათ ვალდებულება წარუდგინონ თითოეულ საზედამხედველო ორგანოს წინასწარი ანგარიში, რომელსაც მოყვება პერიოდული ანგარიშები და საზედამხედველო ორგანოს მიერ მოთხოვნილი გადაუდებელი ან სხვა სახის ანგარიშები. საზედამხედველო ორგანოები უზრუნველყოფენ სახელმწიფოებს სახელმძღვანელო პრინციპებით, რომლებიც მიზნად ისახავს ანგარიშების მომზადებაში დახმარების გაწევას.

ზოგადად, ანგარიშები უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- ხელშეკრულებაში მოცემულ უფლებათა განხორციელების მიზნით სახელწიფოს მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება;
- ხსენებულ უფლებათა სარგებლობისას მიღწეული პროგრესი;
- შესაბისი პრაქტიკული მაგალითები, მათ შორის, სტატისტიკური მაჩვენებლები;
- ქვეყანაში ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა და სირთულე.

როგორც წესი, სახელმწიფოთა ანგარიშებს ადგენენ შესაბამისი მთავრობები. თუმცა, სრულყოფილებისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების (პირველ რიგში პარლამენტი), ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიებისა და ომბუდსმენების და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა ანგარიშების მომზადების პროცესში მიზანშეწონილია.

სახელმწიფოების ანგარიშების განხილვა

საზედამხედველო ორგანოები განიხილავენ სახელმწიფოების ანგარიშებს და საჯარო მოსმენებისას სახელმწიფოს წარმომადგენლების თანდასწრებით მსჯელობენ მათზე. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის მიზანია კონსტრუქციული დიალოგის გამართვა სახელმწიფოებთან, მათ წარმომადგენლებს კომიტეტის წევრებმა შეიძლება საკმაოდ კრიტიკული კითხვები დაუსვან. სახელმწიფო ანგარიშის შესწავლის შემდეგ, საზედამხედველო ორგანოები იღებენ დასკვნით შენიშვნებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს. ეს ხდება სესიის ბოლოს, ხოლო მათი სრული ვერსია გამოიცემა საზედამხედველო ორგანოების ყოველწლიურ ანგარიშში. სახელმწიფოებს ევალებათ ამ რეკომენდაციების შესრულება და მომავალ ანგარიშებში ამ კუთხით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ზოგიერთ შემთხვევაში, კომიტეტები მოითხოვენ სპეციფიკურ ანგარიშებს, განსაკუთრებით საგანგებო მდგომარეობის დროს ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები.

არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციების როლი

საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ სახელმწიფო ანგარიშების შესრულებას და ექსპერტებს უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციით ან თვით ალტერნატიული ანგარიშებითაც კი. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი და ბავშვთა უფლებების კომიტეტი უფლებამოსილებას ანიჭებს არასამთავრობო ორგანიზაციებს აქტიური როლი ითამაშონ და სიტყვითაც გამოვიდნენ სპეციალურ შეხვედრებზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებული სააგენტოები, როგორებიცაა შრომის საერთაშოროსო ორგანიზაცია (ILO) და გაერთიანებული ერების სოციალურ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი , და გაერთიანებული ერების განათლების, სამეცნიერო და კულტურულ საკითხთა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNESCO) და სხვა ორგანოები დახმარებას უწევენ საზედამხედველო ორგანოებს საზედამხედველო პროცესის განხორციელებაში. გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი (UNICEF), მთელს მსოფლიოში მოქმედი ოფისების მეშვეობით, ბავშვთა უფლებების კომიტეტს აქტიურ და ღირებულ დახმარებას უწევს 193 მონაწილე სახელმწიფოში უმნიშვნელოვანესი საზედამხეველო ფუნქციის შესრულებაში.

საზედამხედველო ორგანოების მიერ გაკეთებული ზოგადი კომენტარები

საზედამხედველო ორგანოები იღებენ და გამოსცემენ *ზოგად კომენტარებს* ან *ზოგად რეკომენდაციებს*, რომლებიც ეხება შესაბამისი ხელშეკრულებების დებულებებსა და ვალდებულებებს. აღნიშნული დოკუმენტები ასახავს კომიტეტების

გამოცდილებას ანგარიშგების პროცედურაში და ადამიანის უფლებათა სამართლებრივი აქტების განმარტების ავტორიტეტულ წყაროს წარმოადგენს.



სად შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია საზედამხედველო ორგანოთა მუშაობის შესახებ

დეტალური ინფორმაცია ყველა საზედამხედველო ორგანოზე და მათი ზოგადი კომენტარები/რეკომენდაციები შეიძლება მოვიძიოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/english/bodies/index.htm. ასევე მეტად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპები მოცემულია: http://www.ohchr.org/english/contact.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი:

საფოსტო მისამართი:

OHCHR - Palais des Nations

8-14 avenue de la Paix

CH – 1211 Jeneva 10

შვეიცარია

ტელ.: +41 (22) 917 9000

ფაქსი: +41 (22) 917 9008

ინდივიდუალური გასაჩივრების პროცედურა

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ფაკულტატური ოქმები, ფაკულტატური დებულებები საერთაშორისო კონვენციის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად და საერთაშორისო კონვენციის ყველა მიგრანტი მუშისა/მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ ითვალისწინებენ ინდივიდუალურ საჩივართა პროცედურებს (რაც ცნობილია „კომუნიკაციების" სახელით). 2008 წლის 10 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ (GA resolution A/RES/63/117) ერთხმად მიიღო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს ამ კომიტეტს მიიღოს და განიხილოს ე.წ.კომუნიკაციები.ფფაკულტატური ოქმის ხელმონერა შესაძლებელი იქნება 2009 წელს დაგეგმილ ხელმოწერის ცერემონიაზე.

აღნიშნული დებულებების თანახმად, რომლებიც მიღებულია მონაწილე სახელმწიფოთა უპრეცედენტო უმრავლესობით (იხ. 22-ე ყუთი), წევრი სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ინდივიდს, ვინც აცხადებს, რომ (ა) არის ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლი და (ბ) ამოწურა შიდასახელმწიფოებრი-

საჩივრების პროცედურა

მაგალითი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმის მიხედვით

ინდივიდის შეტყობინება, რომელიც აცხადებს, რომ არის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმის მიხედვით განსაზღვრული უფლებების დარღვევის მსხვერპლი

ადამიანის უფლებათა კომიტეტი

დაშვებადობის პროცედურა

- მონაწილე სახელმწიფოების მიერ კომიტეტის კომპეტენციის ცნობა (ფაკულტატური ოქმის 1-ლი მუხლი);
- შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა (ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლი და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);
- ანონიმურობისაგან და შეტყობინების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებისაგან თავისუფალი შეტყობინება (ფაკულტატური ოქმის მე-3 მუხლი);
- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დებულებებთან (*რატიონე ტემპორის, პერსონაე, ლოცი, მატერიაე*) შესაბამისობა (ფაკულტატური ოქმის მე-3 მუხლი);
- საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურის შესაბამისად განხილვის არ არსებობა (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);
- პრეტენზიების დაუსაბუთებლობა (*prima facie,* ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლი).



ვი დაცვის ყველა ეფექტიანი საშუალება, უფლება აქვს საჩივრით მიმართოს კომ-პეტენტურ საზედამხედველო ორგანოს.ჯკომიტეტები ამგვარ საჩივრებს განიხი-ლავენ კვაზი-სასამართლო კონფიდენციალური პროცედურით, რასაც შემდგომში საბოლოო იურიდიულად არასავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება მოჰყვება (რაც ცნობილია, როგორც საბოლოო შეხედულებები, რჩევები ან რეკომენდაცი-ები"), რომლითაც საჩივარი დაუშვებლად (როდესაც არ არის დაკმაყოფილებული მოთხოვნები) ან დასაშვებად ცხადდება, და – ამ უკანასკნელ შემთხვევაში – გა-მოსცემს დასკვნას არსებითი განხილვის შედეგად (ადგენს რა, ადგილი ჰქონდა თუ არა განმცხადებლის უფლებათა დარღვევას).

სახელმწიფოთაშორისო საჩივრების შეტანის პროცედურა

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, კონ-ვენცია წამების წინააღმდეგ და მიგრანტი მუშების კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოთაშიროსი საჩივრების პროცედურებს, რომლის თანახმადაც მონაწი-ლე სახელმწიფოს შესაბამისი კომიტეტის წინაშე შეუძლია წარადგინოს საჩივარი, რომელშიც აცხადებს, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ხელშეკ-რულებით ნაკისრ ვალდებულებებს. პროცედურა დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ყველა მონაწილე სახელმწიფოს გა-აჩნია ყველა სხვა სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების



სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალური საჩივრების პროცედურის აღიარება და პროცედურის ეფექტიანობა

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენციის პირველი ფაკულტატური ოქმის რატიფიკაცია (104 მონაწილე სახელმწიფო 2004 წლის ნოემბრის მდგომარეობით);

ალჟირი, ანგოლა, არგენტინა, სასომხეთი, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბარბადოსი, ბელარუსია, ბელგია, ბენინი, ბოლივია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, კამერუნი, კანადა, კაბო-ვერდე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, ჩილე, კოლუმბია, კონგო, კოსტა რიკა, კოტდი-ვუარი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დანია, ჯიბუტი, დომინიკა, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადო-რი, ელ-სალვადორი, ეკვატორიული გვინეა, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გამბია, საქართველო, გერმანია, განა, საბერძნეთი, გვატემალა, გვინეა, გაია-ნა, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ყირგიზეთი, ლატვია, ლესოტო, ლიბია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მადაგასკარი, მალავი, მალი, მალტა, მაურიტიუსი, მექსიკა, მონღოლეთი, ნამიბია, ნეპალი, ნიდერლანდების სამეფო, ახალი ზელანდია, ნიკარაგუა, ნიგერი, ნიგერია, ნორვეგია, პანამა, პა-რაგვაი, პერუ, ფილიპინები, პოლონეთი, პორტუგალია, კორეის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, წმ. ვინსენტი და გრენადა, სან-მარინო, სე-

ნეგალი, სერბია და მონტენეგრო, სეიშელი, სიერა ლეონე, სლოვაკეთი, სლოვენია, სოლომონის კუნძულები, სომალი, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შრი-ლანკა, სურინამი, შვედეთი, ტაჯიკეთი, მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, ტოგო, თურქმენეთი, უგანდა, უკრაინა, ურუგვაი, უზბეკეთი, ვენესუელა და ზამბია.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიკაცია (68 მონაწილე სახელმწიფო 2004 წლის ნოემბრის მდგომარეობით)

ალბანეთი, ანდორა, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბანგლადეში, ბელორუსია, ბელგია, ბელიზე, ბოლივია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბრაზილია, კანადა, კოსტა რიკა, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ფინეთი, საფრანგეთი, გაბონი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, გვატემალა, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლესოტო, ლიბანი, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალი, მექსიკა, მონლოლეთი, ნამიბია, ნიდერლანდების სამეფო, ახალი ზელანდია, ნიგერი, ნორვეგია, პანამა, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სენეგალი, სერბია და მონტენეგრო, სლოვაკეთი, სოლომონის კუნძულები, ესპანეთი, შრი ლანკა, შვედეთი, ტაილანდი, მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, ტიმორი, თურქეთი, უკრაინა, ურუგვაი და ვენესუელა.

საერთაშორისო კონვენციის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ 22-ე მუხლის თანახმად აღიარებული ინდივიდუალური გასაჩივრების პროცედურა (56 მონაწილე სახელმწიფო 2004 წლის ნოემბრის მდგომარეობით)

ალჟირი, არგენტინა, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ბურუნდი, კამერუნი, კანადა, ჩილე, კოსტა-რიკა, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ეკვადორი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, განა, საბერძნეთი, გვატემალა, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მექსიკა, მონაკო, ნიდერლანდების სამეფო, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პარაგვაი, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სენეგალი, სერბია და მონტენეგრო, სეიშელი, სლოვაკეთი, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ტოგო, ტუნისი, თურქეთი, უკრაინა, ურუგვაი და ვენესუელა.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად აღიარებული ინდივიდუალური გასაჩივრების პროცედურა (45 მონაწილე სახელმწიფო 2004 წლის ნოემბრის მდგომარეობით)

ალჟირი, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბრაზილია, ბულგარეთი, ჩილე, კოსტა-რიკა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ეკვადორი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლიხ-

ტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მექსიკა, მონაკო, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგია, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, კორეის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სენეგალი, სერბია და მონტენეგრო, სლოვაკეთი, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, უკრაინა, ურუგვაი და ვენესუელა.

ეფექტურობა:

- ყველაზე ეფექტური ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის პროცედურა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმით დადგენილი პროცედურაა: 2004 წლის ნოემბერში, 27 წლიანი არსებობის შემდგომ, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (პაქტის საზედამხედველო ორგანო) დაარეგისტრირა 1300 საქმე და დაახლოებით 480 გადაწყვეტილება გამოიტანა;

- 2004 წლის აპრილში, 1987 წელს დაფუძნებულმა კომიტეტმა წამების წინააღმდეგ დაარეგისტრირა 242 საქმე და 90-ზე მეტ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება. თუმცა ამ საქმეთა უმრავლესობა არ მოიცავდა წამებასთან დაკავშირებულ პირდაპირ პრეტენზიებს, არამედ *Non-refoulement*-ის პრინციპის (ან „რეპატრიაციის აკრძალვა", რაც კონვენციის მე-3 მუხლშია მოცემული) დარღვევას უცხოელთა იმ საჩივრებთან მიმართებით, რომ გაძევება ან ექსტრადიცია (ხშირ შემთხვევაში ევროპული) სახელმწიფოების მიერ მათ დაუქვემდებარებს წამებას მათი წარმოშობის ან გადასაცემ ქვეყნებში;

- 2004 წლის მარტში კომიტეტმა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, რომელიც ყველაზე ძველი საზედამხედველო ორგანოა (შეიქმნა 1970 წელს) დაარეგისტრირა მხოლოდ 33 საქმე და 15-ზე გამოიტანა გადაწყვეტილება.

სამართლებრივი ინტერესი.

№31 კომენტარში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის წევრი-სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი იურიდიული ვალდებულების შესახებ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამ პაქტის თანახმად გარანტირებულ უფლებათა დარღვევა ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღების ღირსია. კომიტეტი აცხადებს, რომ სხვა წევრი სახელმწიფოების მხრიდან პაქტის თანახმად ნაკისრ ვალდებულებათა სავარაუდო დარღვევებზე ყურადღების გამახვილება და პაქტის თანახმად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაკენ მოწოდება მიჩნეულ უნდა იქნეს (იგი არ უნდა ჩაითვალოს არამეგობრულ ქმედებად) სამართლებრივი საზოგადოების ინტერესის გამოხატულებად".

კომიტეტებს მოეთხოვებათ განიხილონ საჩივრები დახურულ სხდომებზე და, საჭიროების შემთხვევაში, დანიშნონ *ad hoc* მომრიგებელი კომისია, რათა გამოძიებულ და მოგვარებულ იქნეს საკითხი შესაბამის სახელმწიფოებს შორის. თუმცა

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წინაშე გამართული სახელმწიფოთაშორისო საჩივრის პროცედურა სავალდებულოა (რაც იმას ნიშნავს, რომ 163 წევრი სახელმწიფოდან ნებისმიერს შეუძლია შეიტანოს საჩივარი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ რასობრივი დისკრიმინაციის სავარაუდო დარღვევის შესახებ), მოცემული ეტაპისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არცერთი საზედამხედველო ორგანოს წინაშე არ წარდგენილა სახელმწიფოთაშორისო საჩივარი.

მოკვლევის პროცედურები წამების და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციების ფაკულტატური ოქმების თანახმად

წამების წინაღმდეგ და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციების ფაკულტატური ოქმების თანახმად, გათვალისწინებულია *სუო მოტო* მოკვლევის პროცედურას შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების მხრიდან (ეს ასევე ცნობილია, როგორც მოკვლევა საკუთარი ინიციატივით"). აღნიშნულის აღძვრა შეიძლება, თუკი კომიტეტები მიიღებენ სანდო ინფორმაციას, რომ წამებას ან ქალთა წინააღმდეგ განხორციელებულ დისკრიმინაციას სისტემატურად აქვს ადგილი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. იმ საზედამხედველო ორგანოს, რომელმაც აღძრა მოკვლევის პროცედურა, შეუძლია განახორციელოს ფაქტების დამდგენელი მისია გაგზავნა შესაბამის ტერიტორიაზე, რასაც მთავრობის ნებართვა სჭირდება. ყველა პროცედურა კონფიდენციალურია, მაგრამ კომიტეტებს შეუძლიათ ყოველწლიურ ანგარიშებში შედეგების მოკლე ანგარიში ჩადონ. კომიტეტმა წამების წინააღმდეგ მოცემული მომენტისათვის 6 მოკვლევა განახორციელა (ეგვიპტე, მექსიკა, პერუ, სერბია და მონტენეგრო, შრი ლანკა და თურქეთი). ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მოკვლევის პროცედურა აღძრა მექსიკასთან მიმართებაში.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მიხედვით დადგენილი რეგულარული ვიზიტების განხორციელების სისტემა პატიმრობის ადგილებში

2002 წლის დეკემბრის წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი[6] ითვალისწინებს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის პრევენციის ქვეკომიტეტისა და ეროვნული ორგანოების მიერ პატიმრობის ადგილებში რეგულარული ვიზიტების სისტემას. სისტემა იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ აღკვეთოს წამება

6 2005 წლის აგვისტოს მდგომარეობით ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება 11 სახელმწიფომ მოახდინა; ოქმის ძალაში შესვლისათვის 20 სარატიფიკაციო სიგელი მოითხოვებოდა.

პროცედურების
მოკლე მიმოხილვა

ხელშეკრულება	მიღების / ძალაში შესვლის თარიღი	ორგანო	წევრობა	წევრები არჩეულ არიან	შახელმწიფოთა ანგარიშგება	სახელმწიფოთა-შორისი საჩივრები	ინდივიდუალური საჩივრები	სულ მოტანილი მოკლევა
CAT	1984 წლის 12 დეკემბერი / 1987 წლის 26 ივნისი	ნამების საწინააღმდეგო კომიტეტი	10	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო მე-19 მუხლი	არჩევითი 21-ე მუხლი	არჩევითი 22-ე მუხლი	შავალდებულო (მე-20 და 28-ე მუხლების არ გამოყენებით)
CCPR	1966 წლის 16 დეკემბერი / 1976 წლის 23 მარტი	ადამიანის უფლებათა კომიტეტი	18	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო მე-40 მუხლი	არჩევითი 41-ე და 42-ე მუხლები	პირველი ფაკულტატური ოქმი	
CEDAW	1979 წლის 18 დეკემბერი / 1981 წლის 3 სექტემბერი	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი	23	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო მე-18 მუხლი		ფაკულტატური ოქმი	ფაკულტატური ოქმის მე-8 და მე-10 მუხლები (არ გამოყენების შესაძლებლობით)
CERD	1965 წლის 21 დეკემბერი / 1969 წლის 4 იანვარი	რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი	18	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო მე-9 მუხლი	შავალდებულო მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები	ფაკულტატური ოქმის მე-14 მუხლი	
CESCR	1966 წლის 16 დეკემბერი / 1976 წლის 3 იანვარი	ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი	18	ეკონომიკური და სოციალური საბჭო (1985 წ.)	შავალდებულო მე-16 და მე-17 მუხლები		ფაკულტატური ოქმი	
CMW	1989 წლის 18 დეკემბერი / 2003 წლის 1 ივლისი	მიგრანტი მუშების კომიტეტი	10	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო 73-ე მუხლი	76-ე მუხლი (არ არის ძალაში)	76-ე მუხლი (არ არის ძალაში)	
CRC	1989 წლის 20 ნოემბერი / 1990 წლის 2 სექტემბერი	ბავშვის უფლებათა კომიტეტი	18	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო 44-ე მუხლი			
CRPD	2006 წლის 13 დეკემბერი / 2007 წლის 30 მარტი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა კომიტეტი	12	მონაწილე სახელმწიფოები	შავალდებულო 35-ე მუხლი		ფაკულტატური ოქმი	ფაკულტატური ოქმის მე-6 მუხლი

და სხვა სახის სატიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. საერთაშორისო ორგანო და ეროვნული ორგანოები გამოსცემენ რეკომენ-დაციებს შესაბამისი მთავრობებისათვის. მაშინ როდესაც ეროვნული ორგანოების რეკომენდაციების გამოქვეყნება მათ ყოველწლიურ ანგარიშებში დაშვებულია, საერთაშორისო ქვეკომიტეტის რეკომენდაციები და მიმოხილვები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი, თუ მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

თავი 6:
წესდებაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მიხედვით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანოა ადამიანის უფლებათა სფეროში. მან დროთა განმავლობაში ჰპოვა განვითარება და წლების განმავლობაში დააფუძნა მრავალი პროცედურა, რომელიც ადამიანის უფლებებათა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება და ეხმაურება ათასობით საჩივარს. იგი რეგულარულად იღებს მსგავს საჩივრებს არასამთავრობო ორგანოზაციებიდან და ინდივიდებისაგან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

კონფიდენციალური 1503 პროცედურა“

ყოველწლიურად, კონფიდენციალური პროცედურის თანახმად (იგი მოიხსენიება, როგორც კონფიდენციალური 1503 პროცედურა“, ვინაიდან ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1970 წლის 27 მაისის 1503 (XLVIII) რეზოლუცია აყალიბებს ამის სამართლებრივ საფუძველს), ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის და დაცვის ქვეკომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი ახდენს ათასობით ინდივიდუალური საჩივრის შესწავლას, რითაც ის განსაზღვრავს ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის უფლებათა უხეშ და აშკარა დარღვევებს". ასეთი ქვეყნების სიტუაციები" ეგზავნება სამუშაო ჯგუფს და ბოლოს კომისიას პლენარულ სხდომაზე. კერძო სხდომაზე, რომელსაც მხოლოდ წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები ესწრებიან, კომისიას შეუძლია გადაწყვიტოს საქმის განხილვა, მოპასუხე სახელმწი-

ფო მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიოს (შესაძლოა წლების განმავლობაშიც), განახორციელოს სრულყოფილი კონფიდენციალური გამოძიება სპეციალური მომხსენებლის ან *ად ჰოკ* კომიტეტის დახმარებით, ან იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია არ გამოსწორდება ან კიდევ მოპასუხე მთავრობა უარს აცხადებს თანამშრომლობაზე, საჯარო გახადოს იგი". საჯარო პროცედურა" მოიცავს ქვეყანაში სიტუაციის მოკვლევას ქვემოთ მოყვანილი პროცედურებიდან ერთ-ერთის გამოყენებით.



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია, რომელიც 2006 წლის 15 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლება საბჭომ შეცვალა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ერთ-ერთ ფუნქციონალურ კომისიას წარმოადგენდა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადრემოქმედი პოლიტიკური ორგანო, კომისია შედგებოდა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ეკონომიკური და სოციალური საბჭო ირჩევდა. თუმცა სხვა სახელმწიფოები, სხვადასხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია დამკვირვებლის სტატუსით იღებდნენ მონაწილობას კომისიის სხდომებში და შეეძლოთ სიტყვით გამოსვლა და წერილობითი მიმოხილვების წარდგენა. კომისიის ყოველწლიური სხდომა იმართებოდა გაერთიანებული ერების სასახლეში, ჟენევაში მარტსა და აპრილში, გრძელდებოდა ექვსი კვირის განმავლობაში და იყო ადამიანის უფლებათა მთავარი კონფერენცია, რომელსაც დაახლოებით 3000 დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები, მინისტრები, ადამიანის უფლებათა დამცველები და ჟურნალისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საჯარო დისკუსიებში ადამიანის უფლებათა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. 1990 წლიდან კომისიამ გამართა რიგგარეშე სხდომები ყოფილ იუგოსლავიაში, რუანდაში, აღმოსავლეთ ტიმორსა და პალესტინის ოკუპირებულ ტერიტერიებზე შექმნილ ადამიანის უფლებათა სიტუაციებთან დაკავშირებით. მან შექმნა ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომიტეტი, რომელიც შედგება 26 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან და ფუნქციონირებს როგორც კომისიის სამეცნიერო ცენტრი" (იხ. მე-6 თავი).

ბოლო წლების განმავლობაში კომისიის მიმართ კრიტიკამ იმატა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმის შესახებ თავის მოხსენებაში[1] აღნიშნა სახელმწიფოებმა კომისიის წევრობა ადამიანის უფლებათა განმტკიცების მიზნით კი არ მოინდომეს, არამედ კრიტიკისაგან და სხვათა გაკრიტიკებისაგან დაცვის მიზნით". ამიტომაც მან წინადადება წამოაყენა კომისია შეცვლილიყო უფრო პატარა მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა კომისიით, რომლის წევრებსაც პირდაპირ გენერალური ასამბლეა აირჩევდა. კომისია იმოქმედებდა, როგორც ექსპერტთა შეფასების პალატა და შეაფა-

1 A/59/2005, 45-ე გვ., 182-ე და 183-ე პუნქტები.

სებდა ყველა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულების საკითხს.

2005 წელს შემდეგი სახელმწიფოები იყვნენ კომისიის წევრები: არგენტინა, სასომხეთი, ავსტრალია, ბუტანი, ბრაზილია, ბურკინა ფასო, კანადა, ჩინეთი, კონგო, კოსტარიკა, კუბა, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ეგვიპტე, ერითრია, ეთიოპია, ფინეთი, საფრანგეთი, გაბონი, გერმანია, გვატემალა, გვინეა, ჰონდურასი, უნგრეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირლანდია, იტალია, იაპონია, კენია, მალაიზია, მაურიტანია, მექსიკა, ნეპალი, ნიდერლანდების სამეფო, ნიგერია, პაკისტანი, პარაგვაი, პერუ, კატარი, კორეის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საუდის არაბეთი, სამხრეთ აფრიკა, შრილანკა, სუდანი, სვაზილენდი, ტოგო, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და ზიმბაბვე.

სპეციალური პროცედურები

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის 1235 (XLII) რეზოლუციის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ დააფუძნა რიგი სპეციალური პროცედურებისა, რომლებიც განიხილავენ ადამიანის უფლებათა დარღვევებს. აღნიშნული პროცედურები მოიცავს კონკრეტულ ქვეყნებსა თუ ტერიტორიებზე (ქვეყნების მანდატის ქვეშ) ადამიანის უფლებათა განხილვას, გადახედვას და საჯარო ანგარიშებს (თემატური მანდატის ქვეშ) და ადამიანის უფლებათა სავარაუდო უხეშ დარღვევების შესწავლას მთელი მსოფლიო მაშტაბით.

აღნიშნული პროცედურებმა შეიძლება შეიძინოს სპეციალური მომხსენებლის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის დამოუკიდებელი ექსპერტი) მიერ განხორციელებული მანდატის ფორმა. სპეციალური პროცედურის ამოცანაა გადაუდებელი აპელაციების გაკეთება, ვიზიტების განხორციელება და სტანდარტების შემუშავება.

ქვეყნის მანდატი

იმ შემთხვევაში, თუკი მიჩნეულია რომ კონკრეტულ ქვეყანაში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა უხეშ და სისტემატურ დარღვევებს, კომისიას შეუძლია მიიღოს რეზოლუცია, რომლითაც გაკიცხავს შესაბამის ქვეყანას და/ან გასცემს ნებართვას ექსპერტის მიერ ქვეყანაში არსებული სიტუაციის სრულყოფილი გამოძიებისათვის. ქვეყნის მანდატის გადახედვა ხდება ყოველწლიურად კომისიის მიერ.

თემატური მანდატი

თემატურ სპეციალურ მომხსენებელს, რომელიც არის გენერალური მდივნის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის დამოუკიდებელი ექსპერტი, შეუძლია გამოიძიოს ადამიანის უფლებათა კონკრეტული დარღვევის ფაქტები ყველა ქვეყანაში და – შესაბამისი ქვეყნების თანხმობით – შეუძლია განახორციელოს ადგილზე შემსწავლელი მისიების გაგზავნა. თემატური მანდატის გადახედვა კომისიის მიერ ხდება ყოველი სამი წელიწადში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის თემატური მონიტორინგის მექანიზმი

(2005 წლის აპრილი)

თემა	რომელი წლიდან	მანდატი
ძალადობრივი ან საკუთარი სურვილის საწინააღმდეგო გაუჩინარება	1980	სამუშაო ჯგუფი
უკანონო, თვითნებური და სასამართლო ბრძანების გარეშე სასჯელის დაკისრება	1982	სპეციალური მომხსენებელი
წამება	1985	სპეციალური მომხსენებელი
რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	1986	სპეციალური მომხსენებელი
დაქირავებული მკვლელების გამოყენება	1987	სპეციალური მომხსენებელი
ბავშვების გაყიდვა, ბავშვების პროსტიტუცია და ბავშვების პორნოგრაფია	1990	სპეციალური მომხსენებელი
თვითნებური დაპატიმრება	1991	სამუშაო ჯგუფი
ქვეყნის ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული პირები	1992	გენერალური მდივნის წარმომადგენელი
რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია, ქსენოფობია და შეუწყნარებლობა	1993	სპეციალური მომხსენებელი
აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების ხელშეწყობა და დაცვა	1993	სპეციალური მომხსენებელი
ყოფილ იუგოსლავიაში გაუჩინარებული პირები	1994-1997	ექსპერტი
ქალთა წინააღმდეგ ძალადობა	1994	სპეციალური მომხსენებელი
მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობა	1994	სპეციალური მომხსენებელი
ტოქსიკური და მავნე ნივთიერებების უკანონო გადატანა და გადაყრა	1995	სპეციალური მომხსენებელი
ადამიანის უფლებები და განსაკუთრებული სიღარიბე	1998	დამოუკიდებელი ექსპერტი
განათლების უფლება	1998	სპეციალური მომხსენებელი
მიგრანტების ადამიანის უფლებები	1999	სპეციალური მომხსენებელი
გარდაქმნის პოლიტიკა	2000	დამოუკიდებელი ექსპერტი
ადამიანის უფლებათა დამცველები	2000	გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი
საცხოვრებლის უფლება	2000	სპეციალური მომხსენებელი
საკვების უფლება	2000	სპეციალური მომხსენებელი
მკვიდრი მოსახლეობის ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები	2001	სპეციალური მომხსენებელი
გაუჩინარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები	2001	დამოუკიდებელი ექსპერტი

ჯანმრთელობის უფლება	2002	სპეციალური მომხსენებელი
აფრიკული წარმოშობის ხალხის რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები	2002	სამუშაო ჯგუფი
ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის დამატებითი ოქმის შემუშავებასთან დაკავშირებული ოფციები	2003	სამუშაო ჯგუფი
დაუსჯელობა	2004	დამოუკიდებელი ექსპერტი
ტერორიზმი	2004	დამოუკიდებელი ექსპერტი
თრეფიკინგი	2004	სპეციალური მომხსენებელი
ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სოლიდარობა	2005	დამოუკიდებელი ექსპერტი
ანტიტერორისტული ოპერაციებისას ადამიანის უფლებათა წახალისება და დაცვა	2005	სპეციალური მომხსენებელი
დაქირავებული მკვლელების გამოყენება ადამიანის უფლებათა დარღვევის საშუალებად და ხალხის თვითგამორკვევის უფლების განხორციელების შესაფერხებლად	2005	სამუშაო ჯგუფი
მიგრანტთა ადამიანის უფლებები	2005	სპეციალური მომხსენებელი

ადამიანის უფლებათა ხელშწყობისა და დაცვის ქვეკომიტეტი

ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომიტეტი (კომიტეტის სა-მეცნიერო ცენტრი") ამზადებს კვლევებს, ღებულობს მონაწილეობას ახალი სტანდარტების შემუშავებაში და აწარმოებს გამოძიებას. იგი იკრიბება ყოველ აგვისტოს ჟენევაში სამი კვირის განმავლობაში. სახელმწიფოები, სამთავრობა-თაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებიან სხდომებს დამკვირ-ვებლის სტატუსით. ქვეკომიტეტის მრავალი ფუნქციის შესრულება ევალებათ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც გვევლინებიან მომხსენებლებად სპეცი-ფიკურ საკითხებზე, ან სამუშაო ჯგუფებს.

კომინიკაციების სამუშაო ჯგუფის გარდა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ას-რულებს კონფიდენციალურ 1503 პროცედურა"-ში, და მონობის თანამედროვე ფორმების, მკვიდრი მოსახლეობისა და უმცირესობების შესახებ სამუშაო ჯგუ-ფისა, რომელიც მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაცებს, მსხვერპლებსა და შესაბამისი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის არსებით საკითხებზე დისკუ-სიების ფორუმად გვევლინება. ამის გარდა ახალი სამუშაო ჯგუფები შეიქმნა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე მსჯელობის მიზნით.

თავი 7: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) მსგავსად დაარსდა წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციისა (როგორიცაა *Amnesty International*) და ზოგიერთი მთავრობის თხოვნის საფუძველზე. ოფისის დაარსების შესახებ კონსენსუსი მიღწეულ იქნა ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაში (ვენა, 1993 წ.) მონაწილე 171 წევრი სახელმწიფოს დელეგატებს შორის.

1993 წლის 20 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 48/141 რეზოლუცია, რომლითაც შეიქმნა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თანამდებობა, გენერალური მდივნის მოადგილის სტატუსით, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამდებობის პირი, რომელსაც გააჩნია პრინციპული პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებით".

იმავე რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ ჩამოაყალიბა უმაღლესი კომისრის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- ყველა სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებით, მათ შორის განვითარების უფლებით, ეფექტიანად სარგებლობის ხელშეწყობა და დაცვა;

- სახელმწიფოების მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს ისინი ადამიანის უფლებათა სფეროში საკონსულტაციო რჩევებით, ტექნიკური და ფინანსური დახმარებით;

- კოორდინირება გაუწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანმანათლებო და საჯარო საინფორმაციო პროგრამებს ადამიანის უფლებათა სფეროში;

- აქტიურად ჩაერთოს ადამიანის უფლებათა სრულყოფილი განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრასა და მსოფლიოს ფარგლებში ადამიანის უფლებათა დარღვევების აღკვეთაში;

- ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით, გამართოს დიალოგი მთავრობებთან;

- ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ადამიანის უფლებათა ხელშწყობისა და დაცვის მიზნით;

- კოორდინირება გაუწიოს ადამიანის უფლებათა წახალისებასა და დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში;

- პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა სფეროში აპარატის რაზიონალიზაცია, ადაპტირება და განმტკიცება.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მისია მოიცავს ყველა ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობას. იგი მიზნად ისახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა პროგრამის განმტკიცებას; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ დაფუძნებულ სპეციალურ ინსტიტუტებს ხარისხიანი თანადგომით უზრუნველყოფას. ოფისი თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანოებთან ადამიანის უფლებათა სტანდარტების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთლიან სისტემაში ინტეგრირების მიზნით.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი დიალოგს მართავს მთავრობებთან ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის მიზნით. იგი ასევე უზრუნველყოფს მთავრობებს (მოთხოვნის საფუძველზე) საკონსულტაციო მომსახურეობითა და ტექნიკური დახმარებით, და მოუწოდებს მათ განავითარონ ეფექტური ეროვნული ინსტიტუტები ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ შეიქმნა მრავალი საველე მისია, იმისათვის რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები პროგრესულად განხორციელდეს ეროვნულ დონეზე როგორც კანონის, ისე პრაქტიკის ფარგლებში. აღნიშნული ასევე ეხმაურება ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბების საკითხს. საველე მისიების წარმატების წინაპირობა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობებმა, ეროვნულმა ინსტიტუტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საველე გუნდებმა დროთა განმავლობაში მიიღონ უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილება, რეგიონალური ან ქვერეგიონალური სტრატეგიების ფარგლებში.

ადამიანის უფლებების განხორციელება: ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის საველე მისიები

მთავარი საველე მისიები

ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბურუნდი, კამბოჯა, კოლუმბია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სერბია და მონტენეგრო.

ადამიანის უფლებათა კომპონენტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის მისიებში

აფხაზეთი/საქართველო, ავღანეთი, აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა, კოტ-დეივუარი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ეთიოპია/ერითრია, გუინეა ბი-საუ, ერაყი, ლიბერია, სიერა ლეონე, ტაჯიკეთი და აღმოსავლეთ ტიმორი.

რეგიონალური ოფისები

ადის აბება, ეთიოპია; ალმაატა, ყაზახეთი; ბანკოგი, ტაილანდი; ბეირუტი, ლი-ბანი; პრეტორია, სამხრეთ აფრიკა; სანტიაგო, ჩილე; ტაშკენტი, უზბეკეთი (გახსნის სტადია); იაუნდე, კამერუნი.

ტექნიკური თანამშრომლობა

ანგოლა, აზერბაიჯანი, ბრაზილია, აკვადორი, ელსალვადორი, გვატემალა, მექსიკა, მონღოლეთი, ნეპალი, ნიკარაგუა, პალესტინა, ფილიპინები, სომალი, შრილანკა და სუდანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის

უფლებათა უმაღლესი კომისარი

ეკვადორში დიპლომატიურ სამსახურში გაკეთებული კარიერის შემდგომ, ხოსე აიალა ლასო 1994 წელს გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამი-ანის უფლებათა პირველი უმაღლესი კომისარი. იგი 1997 წელს შეცვალა ქ-ნმა მერი რობინსონმა, ირლანდიის ყოფილმა პრეზიდენტმა. მის სახელთან არის დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა პროგრამის განხორციელება სტრუქტურული რეფორმის პერიოდში: მისი არ-ჩევის შემდგომ, მისი აპარატი და ადამიანის უფლებათა ცენტრი გაერთიანდა ერთ ერთეულად – ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR). მისი ხელმძღვანელობით ოფისი უფრო გაძლიერდა და მოახერხა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების ეფექტური გა-

დაწყვეტა. ასევე ამ პერიოდში დაიწყო ახალი სუბიექტების მოძიება რომელიბიც ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის საყოველთაო კულტურის გავრცელებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდნენ. 2002 წელის 12 სექტემბერს სერჯიო ვიეირა დე მელო, მას შემდეგ რაც წარმატებით შესძლო ჰუმანიტარული და მშვიდობის დამყარების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, გახდა მესამე უმაღლესი კომისარი. 2003 წლის მაისში მან მიიღო თხოვნა გენერალური მდივნისაგან, გასულიყო ოთხ თვიან შვებულებაში და დაეკავებინა გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებლის თანამდებობა ერაყში, სადაც იგი ტრაგიკულად მოკლეს 2003 წლის 19 აგვისტოს. უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე ახალი პირის დანიშვნამდე, ოფისს ხელმძღვანელობდა უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებელი ბერტრანდ რამჩარანი გაინადან. 2004 წლის 1 ივლისს ოფისი ხელმძღვანელად დაინიშნა ლუის არბორი, კანადის უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და, 1996-2000 წლებში ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების მთავარი პროკურორი. პროკურორის თანამდებობზე ყოფნისას მან ბრალი წაუყენა იუგოსლავიისა და სერბეთის ყოფილ პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს კოსოვოში ჩადენილი ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებისათვის. სლობოდან მილოშევიჩისათვის, როგორც სახელმწიფოს მოქმედი მეთაურისათვის, ბრალის წაყენება იყო პირველი შემთხვევა. 2008 წლის 1 სექტემბრიდან უმაღლესი კომისრის ოფისს ხელმძღვანელობს ქ-ნი ნავანეთემ პილაუ.

თავი 8:
ადამიანის უფლებათა ინტეგრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა. ორგანიზაციამ დაიწყო ადამიანის უფლებათა ინტეგრაციის" პოლიტიკის გატარება. კერძოდ კი, იმის უზრუნველყოფა, რომ ადამიანის უფლებები მხედველობაში იქნეს მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ყველა ორგანოს მიერ. შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის გარდა, რომელიც კვლავაც ადამიანის უფლებათა მთავარ ორგანოდ გვევლინება, რაოდენობრივად მზარდმა სპეციალიზირებულმა სააგენტოებმა, პროგრამებმა, ფონდებმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებმა განავითარეს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებული საქმიანობები.

ადამიანის უფლებათა ვენის მსოფლიო კონფერენციამ (1993 წ.) და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მან ხელმისაწვდომი გახადოს კონკრეტული დახმარების პროგრამები შესაბამისი მთავრობების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნული უნდა შეეხოს ეროვნული კანონმდებლობის რეფორმას და ეროვნული ინსტიტუტებისა და შესაბამისი უწყებების დაფუძნებას და/ან განმტკიცებას ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დაცვის მიზნით, ელექტრონული დახმარებისა და ადამიანის უფლებათა ცოდნის გაღრმავებისათვის ტრენინგების, სასწავლო და საგანმანათლებლო კურსების, საზოგადოების მონაწილეობისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები ჩართვის უზრუნველყოფა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის რეფორმირების პროგრამა, რომელსაც საფუძველი 1997 წელს ჩაეყარა, ადამიანის უფლებების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში სრული ინტეგრირებისა და

ვენის დოკუმენტის განხორციელებისათვის პრაქტიკული საშუალებების განვითარებისაკენ მოუწოდებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის 2001 წლის ანგარიშის: *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებისათვის: დამატებითი ცვლილებების გეგმა* (A/57/387), გამოქვეყნება წარმოადგენდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს. რეფორმის მეორე ანგარიშში, გენერალურმა მდივანმა გაიმეორა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნას წესდების ხედვისა სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიოს რეალიზებისათვის." მთავარი მიზანი მდგომარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარული და განვითარების ოპერაციების გაძლიერებაში, რაც თავის მხრივ დაეხმარება წევრ სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა წახალისებისა და დაცვის სისტემების (რომლებიც შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებთან და პრინციპებთან) ეროვნულ დონეზე დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში.

ანგარიშის 50-ე პუნქტის თანახმად, ათასწლეულის დეკლარაციის 25-ე და 26-ე პუნქტების შესაბამისად, წევრმა სახელწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა – მათ შორის უმცირესობების უფლებები, ქალთა უფლებები, ბავშვთა უფლებები და მიგრანტთა უფლებები – განხორციელებაში. ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ძლიერი ინსტიტუტების შექმნა უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას მომავალში. თითოეულ ქვეყანაში დაცვის ეროვნული სისტემის გაუმჯობესება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, უნდა იყოს ორგანიზაციის პრინციპული მიზანი. აღნიშნული ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლუქტური ქვეყნებისთვის."

ადამიანის უფლებები გენერალურ ასამბლეასა და მის მუდმივმოქმედ პროგრამებში

გენერალური ასამბლეა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კანონშემოქმედებითი ორგანო, არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა მრავალრიცხოვანი კონვენციების, დეკლარაციების, პრინციპების, წესებისა და სხვა ინსტრუმენტების მიღებით შემოიფარგლება, არამედ თითოეულ სხდომაზე – განსაკუთრებით კი მესამე კომიტეტეზე, რომელიც პასუხისმგებელია სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ ურთიერთობებზე – მსჯელობს ადამიანის უფლებათა ფაქტობრივ მდგომარეობაზე მრავალ ქვეყანაში და იღებს რეზოლუციებს.

ამ ორგანიზაციის პროგრამების, ფონდებისა და ინსტუტუტებიდან ბევრი მათგანი, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიოს საკვების პროგრამა (WFP), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა შორის ჰარმონიის პროგრამა (UN-HABITAT), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსიტეტი (UNU), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი (OHCHR — იხ. მე-7 თავი) ეწევა აქტიურ საქმიანობას ადამიანის უფლებათა სფეროში.

ადამიანის უფლებები და უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთადერთი ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის სამართლებრივად სავალდებულო ხასიათის რეზოლუციების მიღება და მათი აღსრულება, ბოლო წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა სფეროში.

დღესდღეობით ადამიანის უფლებები მნიშვნელოვანი კომპონენტს სამშვიდობო მისიების საქმიანობაში. საველე ოპერეციებში მონაწილეობას იღებს ბევრი ექსპერტი, რომელიც ადგილზე სწავლობს თუ რა მდგომარეობაა ადამიანის უფლებების კუთხით. ეს კი თავის მხრივ შესაბამის ქვეყანას ეხმარება კანონის უზენაესობის წახალისებაში, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მშენებლობაში, სამართალდამცავ ორგანოებს ციხის ადმინისტრაციის ორგანიზებასა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის საჭირო ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიებისა და სხვა ინსტიტუტების დაარსებაში. დამატებით, უშიშროების საბჭომ არაერთგზის მიიჩნია ადამიანის უფლებათა უხეში და სისტემატური დარღვევის ფაქტები მშვიდობის საფრთხედ და, შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის თანახმად, დააწესა ეკონომიკური და სხვა სანქციებილ ნებართვა გასცა საერთაშორისო სისხლის სამართლის ად ჰოკ ტრიბუნალის შექმნაზე (იხ. მე-10 თავი).

ადამიანის უფლებები და გა ერთიანებული ერების ორგანიზაციის ოჯახი"

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოჯახი", შედგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზირებული სააგენტოების მზარდი რაოდენობისაგან, რომლებიც სამართლებრივად დამოუკიდებელი სამთავრობათაშორიო ორგანიზაციები არიან. ისინისპეციალურ ურთიერთოებებს ინარჩუნებენ ორგანიზაციასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 63-ე მუხლის შესაბამისად ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან გაფორმებული შეთანხმებების თანახმად. შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა ინტეგრაციის" პოლიტიკა ასევე ეხება სპეციალიზირებულ სააგენტოებსაც, რომელთა უმრავლესობას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით დიდი ხნის ისტორია აქვთ.



ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი
გაერთიანებული ერების მთავარი ორგანოები

სპეციალიზირებული სააგენტოები

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)
- გაერთიანებული ერების საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)
- გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული

ორგანიზაცია (UNESCO)

მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია (WHO)

პროგრამები და ფონდები

გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი (UNICEF)

გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP)

გაერთიანებული ერების განვითარების ფონდი ქალებისათვის (UNIFEM)

გაეროს ადამიანთა შორის ჰარმონიის პროგრამა (UN-HABITAT)

გაეროს დახმარებისა და შრომის სააგენტო პალესტინელი ლტოლვილებისათვის ახლო აღმოსავლეთში (UNRWA)

მსოფლიოს საკვების პროგრამა (WFP)

კვლევითი და გადასამზადებელი ინსტიტუტები

გაერთიანებული ერების ტრენინგისა და კვლევის ინსტიტუტი (UNITAR)

გაეროს კვლევისა და ტრენინგების ინსტიტუტი ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (INSTRAW)

გაერთიანებული ერების სოციალური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი (UNRISD)

უშიშროების საბჭოს მიერ დაარსებული ორგანოები

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (ICTY)

რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (ICTR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ერთულები

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)

გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

გაერთიანებული ერების უნივერსიტეტი (UNU)

სახელმწიფოებისა და პარლამენტებისათვის გაწეული ტექნიკური დახმარება

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება ადამიანის უფლებათა სფეროში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა ადამიანის უფლებათა სფეროში, დამხარებას უწევს სახელმწიფოებს ეროვნული ორგანოების შექმნასა და განმტკიცებაში. ეს პროცესები პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებათა დაცვასთან და კანონის უზენაესობის განმტკიცებასთან.

პროგრამის კომპონენტები ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტრანდარტების დანერგვას ეროვნულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში; იმ ეროვნულ ორგანოების შექმნაში, რომლებიც შემდგომში დაიცავენ ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას; ამ პროგრამის ფარგლებშია გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მოქმედების გეგმის შემუშავება; გადამზადების ჩატარება, რომელიც ემსახურება ადამიანის უფლებათა საკითხებში ცოდნის გაღრმავებას. ასეთი დახმარებებს გააჩნია საკონსულტაციო რჩევების, გადამზადების კურსების, სიმპოზიუმებისა და სემინარების, სტიპენდიების, გრანტების, ინფორმაციითა და დოკუმენტებით უზრუნველყოფისა და ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებთან დაკავშირებით არსებული საჭიროებების შეფასების ფორმატი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ტექნიკურ თანამშრომლობას მიიჩნევს ადანიანის უფლებათა პროგრამის თანახმად მონიტორინგისა და გამოძიების დამხმარე და არა შემცვლელ საქმიანობად. როგორც ეს ხაზგასმულია გენერალური მდივნის შესაბამის ანგარიშებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციებში, საკონსულტაციო მომსახურეობა და ტექნიკური დახმარება არ ამცირებს მთავრობის პასუხისმგებლობას ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ანგარიშვალდებულების კუთხით და არ ათავისუფლებს მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი პროცედურის თანახმად მონიტორინგის განხორციელებისაგან.

პარლამენტთაშორისო კავშირის ტექნიკური დახმარება

პარლამენტთაშორისო კავშირი უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურეობას, კეძოდ კი, ეროვნული პარლამენტის როლის, სტრუქტურისა და სამუშაო მეთოდების შესახებ. მისი პროგრამა მოიცავს პარლამენტის აპარატის გადამზადებას, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას და პარლამენტის წევრებისათვის საინტერესო საკითხების შესახებ სემინარების ორგანიზებას. ამ პროექტების უმრავლესობა მათ შორის ეხება ადამიანის უფლებებსა და გენდერულ საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, კავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასა და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან.

პარლამენტთაშორისო კავშირის მიერ ტექნიკურ დახმარებასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია შეიძლება მოპოვებულ იქნეს კავშირის სამდივნოსაგან.

საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (ILO) არის მთავარი სააგენტო, რომელსაც შეხება აქვს ეკონომიკურ უფლებებთან, როგორებიცაა მუშაობის უფლება, სამართლიანი მოპყრობა და ჯანმრთელი სამუშაო პირობები, პროფკავშირებთან დაკავშირებული უფლებები; მათ შორის გაფიცვის უფლებები, იძულებითი მუშაობის აკრძალვა, ბავშვის ცუდ პირობებში მუშაობის აკრძალვა და დაქირავებისა და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აკრძალვა. სააგენტო დაარსებულია 1919 წელს და სამგვაროვანი სისტემის" საფუძველზე მოქმედებს, რაც დამქირავებლებისა და დაქირავებულების წარმომადგენლებს მეტნაკლებად თანაბარ პირო-

ბებში აყენებს მთავრობის წარმომადგენლებთან მიმართებით. ისი დახმარებით მოხდა მრავალი ფუნდამენტური საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავება, სხვადასხვა რეკომენდაციების გაწევა ადამიანის ეკონომიკური და სხვა სახის უფლებათა დასაცავად.

გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია (UNESCO) არის მთავარი სააგენტო კულტურულ უფლებათა (გასაკუთრებით განათლების უფლება) სფეროში და განავითარა მრავალია სამართლებრივი აქტი და პროცედურა მათ დასაცავად. მან ასევე უმნიშვნელოვანესი როლის შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა განათლების ათწლეულის (1995 წლიდან 2004 წლამდე) განხორციელებაში და ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურისა და მშვიდობის ხელშეწყობისათვის.

მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია (WHO) არის მთავარი სააგენტო ჯანმრთელობის უფლების დაცვის სფეროში. სააგენტოს მიერ არის შემუშავებული იმუნოდეფიციტის ვირუსის/შიდსის წინააღმდეგ წარმატებული გლობალური პროგრამა.

გაერთიანებული ერების საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ყველაზე დიდი სპეციალიზირებული სააგენტოა, და კვების უფლების დაცვის სფეროში მთავარი მოქმედი პირი, რაც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად გვევლინება სიღარიბესთან ბრძოლის საქმეში.

ეს მიზანი შეთანხმებულ იქნა სახელმწიფოსა და მთავრობის დაახლოებით 150 მეთაურს შორის ათასწლეულის სამიტზე, რომელიც 2000 წლის სექტემბერში გაიმართა.

თავი 9: ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებები და მონიტორინგი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დამცავი სისტემის გარდა, რომელიც ეხება ყველა სახელმწიფოს, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებაზე დაფუძენებული სისტემისა, რომელიც მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოებზე ვრცელდება, მრავალმა სახელმწიფომ აფრიკაში, ამერიკასა და ევროპაში ასევე იკისრეს იურიდიულად სავალდებულო ადამიანის უფლებათა ვალდებულებები რეგიონალურ დონეზე და აღიარეს საერთაშორისო მონიტორინგი. აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში მოცემულ ეტაპზე რაიმე სახის ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულება ან საზედამხედველო მექანიზმი არ მიუღიათ.

აფრიკა

1981 წელს აფრიკის გაერთიანების ორგანიზაციის (რომელიც აღნიშნული თარიღიდან მოყოლებული აფრიკის გაერთიანებად (AU) არის ცნობილი) წევრმა სახელმწიფოებმა, მიიღეს ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1986 წლის ოქტომბერში. ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებათა გენერალური ხელშეკრულებაა და მისი რატიფიცირება აფრიკის გაერთიანების 53 წევრმა სახელმწიფომ მოახდინა. როგორც სათაურიდან ვგებულობთ, ეს რეგიონალური ხელშეკრულება, სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან ერთად ასევე ითვალისწინებს ხალხის კოლექტიურ უფლებებს თანასწორობაზე, თვითგამორკვევაზე, საკუთარი ჯანმრთელობისა და ბუნებრივი რესურსების, განვითარების, ეროვნული და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების და ზოგადად დამაკმაყოფილებელი გარემოს" განკარგვაზე. თუმცა ადამიანის უფლებათა ე.წ. მესამე თაობის" სოლიდარული უფლებები წარმოადგენს პოლიტიკური მნიშვნელობის საგანს, მა-

თი სამართლებრივი მნიშვნელობა იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებაში დავის საგანია (იხ. მე-2 თავი). ქარტიასთან ერთად ორგანიზაციამ მიიღო ხელშეკრულებები ლტოლვილთა დაცვისა და ბავშვის უფლებების შესახებ.

ქარტია ითვალისწინებს გასაჩივრების პროცედურას ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული კომისიის წინაშე, რომლის სათაო ოფისი ბაჯულში, გამბიაშია. გამომდინარე იქედან, რომ საჩივრები (ან „კომუნიკაციები") შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ (მათ შორის სახელმწიფოების, რომელთაც შეუძლიათ სახელმწიფოთაშორისო საჩივრების წარდგენა, და ნებისმიერი ინდივიდის ან პირთა ჯგუფის მიერ, როგორებიცა არასამთავრობო ორგანიზაციები, ოჯახები, თემები, საზოგადობები ან სხვა ჯგუფები), სამართლებრივი საკითხი მსხვერპლის სტატუსის შესახებ არ წამოიჭრება. აფრიკული კომისია არ განიხილავს იზოლირებულ საჩივრებს, არამედ მხოლოდ იმ კომუნიკაციებს, რომლებშიც საუბარია ადამიანისა და ხალხის უფლებათა სერიოზულ ან მასობრივ დარღვევებზე. ასეთ შემთხვევებში, აფრიკულ კომისიას შეუძლია განახორციელოს სიღრმისეული შესწავლა მხოლოდ სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ასამბლეის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ორგანიზაციის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა. საჩივრების პროცედურის გარდა, კომისია ასევე განიხილავს სახელმწიფოს ანგარიშებს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელშეკრულებო ორგანოების მიერ გამოყენებული პროცედურის მსგავსია.

აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს და ითვალისწინებს ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული სასამართლოს შექმნას, ძალაში შევიდა 2004 წლის 25 იანვარს.

აფრიკული ქარტიის 1998 წლის დამატებითი ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 25 იანვარს, ითვალისწინებს ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული სასამართლოს დაარსებას.



ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებები

ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950-1953 წწ.) და თანდართული ოქმები

ევროპის სოციალური ქარტია (1961-1965 წწ.), თანდართული ოქმები და განახლებული ევროპის სოციალური ქარტია (1996-1999 წწ.)

მიგრანტ მუშათა სამართლებრივი სტატუსის ევროპული კონვენცია (1977-1983 წწ.)

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია (1987-1989 წწ.)

რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებისათვის ევროპული ქარტია (1992-1998 წწ.)

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია (1995-1998 წწ.)

ბავშვთა უფლებების განხორციელების ევროპული კონვენცია (1996-2000 წწ.)

ადამიანის უფლებათა და ბიომედიცინის ევროპული კონვენცია (1997-1999 წწ.)

ეროვნების შესახებ ევროპული კონვენცია (1997-2000 წწ.)

ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969-1978 წწ.) და დამატებითი ოქმები

ინტერ-ამერიკული კონვენცია წამების აღმოფხვრისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ (1985-1987 წწ.)

ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ (1994-1995 წწ.)

ინტერ-ამერიკული კონვენცია პირთა იძულებით გაუჩინარების შესახებ (1994-1996 წწ.)

ინტერ-ამერიკული კონვენცია არასრულწლოვანთა საერთაშორისო ტრეფიკინგის შესახებ (1994-1997 წწ.)

ინტერ-ამერიკული კონვენცია უნარშეზღუდულ პირთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1999-2001 წწ.)

აფრიკული გაერთიანება (ყოფილი აფრიკის გაერთიანების ორგანიზაცია)

ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია (1981-1986 წწ.)

აფრიკაში ლტოლვილებთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების მარეგულირებელი კონვენცია (1969-1974 წწ.)

აფრიკელის ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის კონვენცია (1990-1999 წწ.)

ამერიკის კონტინენტი

ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული სისტემა შედგება ორი განსხვავებული პროცესისაგან, რომლებიც დაფუძნებული, ერთის მხრივ, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) წესდებაზე და, მეორეს მხრივ, სან ხოსეს პაქტზე (ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია). მაშინ როდესაც წესდებაზე დაფუძნებულ სისტემა ამ ორგანიზაციის ყველა სახელმწიფოს ეხება. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია სამართლებრივად სავალდებულოა მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოებისათვის. კონვენცია, რომელიც მიღებულ იქნა 1969 წელს და ძალაში შევიდა 1978 წელს, ფოკუსირებას ახდენს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. მას ავსებს დამატებითი ოქმი (1988-1999 წწ.), რომელიც ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. დამატებით, მან მიიღო სპეციალური ხელშეკრულებები ძალადობრივ გაუჩინარებებზე, წამებაზე,

ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე, არასრულწლოვანთა საერთაშორისო ტრაფიკინგზე და უნარშეზღუდულ პირთა წინააღმდეგ დისკრიმინაციაზე.

კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორისო და ინდივიდუალური საჩივრების პროცედურას ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის წინაშე (IACHR), რომელიც ქვაზი-სასამართლო საზედამხედველო ორგანოა, რომელიც ვაშინგტონში მდებარეობს, და ადამიანის უფლებათა იტერ-ამერიკული სასამართლოს წინაშე, რომელიც სან-ხოსეში (კოსტარიკა) მდებარეობს. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის 35 წევრი სახელმწიფოდან, 25 არის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო. დარჩენილი 10 სახელმწიფოსათვის, რომლებმაც არ მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, გამოიყენება ნაკლებად ეფექტური, წესდებაზე დაფუძნებული სისტემა ინტერ-ამერიკული კომისიის წინაშე. იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არიან კონვენციის მონაწილეები, ინტერ-ამერიკული სასამართლოს იურისდიქცია საკუთარი არჩევანისამებრ გამოიყენება. ათასობით საჩივარის აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიცი შეტანილია ამ სისტემის თანახმად, განიხილება მხოლოდ ინტერ-ამერიკული კომისიის მიერ, რომელიც მათ ან დაუშვებლად აცხადებს, ან კიდევ არასავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებას იღებს ან აქვეყნებს არსებით განხილვაზე გამოტანილ დასკვნებს საკუთარ ანგარიშში. ამგვარი ანგარიშები მოიცავს არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაციებს, რომლებიც, პრაქტიკულად, იგნორირებულია შესაბამისი მთავრობების მიერ. განმცხადებლები არ არიან უფლებამოსილნი საქმე შეიტანონ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს წინაშე; ამის შესაძლებლობა მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოებსა და კომისიას აქვს. თუმცა კომისიამ, ამ ბოლოს განახლებული რეგლამენტის შესაბამისად, ბევრი საქმე სასამართლოს გადასცა განსახილველად. ამ ეტაპზე სასამართლოს მიერ მხოლოდ 50 ინდივიდუალურ საჩივარზე იქნა გამოტანილი საბოლოო სავალდებულო ხასიათის განაჩენი. ხსენებული საქმეები ეხებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევებს სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის კონკრეტულ ქვეყნებში. ამ საქმეთა უმრავლესობაში დადგინდა ადამიანის უფლებათა უხეში და სისტემატური დარღვევები (მათ შორის წამება, სასამართლო განაჩენის გარეშე სასჯელები და იძულებითი გაუჩინარებები), და სასამართლომ მსხვერპლებსა და მათ ოჯახებს ფინანსური კომპენსაციის მიღმა მიანიჭა რეპარაციის უფრო ფართო საშუალებები.

მხარეთა შორის დავის განხილვის იურისდიქციის" გარდა, სასამართლო ასევე უფლებამოსილია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების (განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის) ინტერპრეტაციისა და ამ ხელშეკრულებებთან ეროვნული კანონმდებლობის შეფასების მიზნით.

არაბული რეგიონი

1994 წლის 15 სექტემბერს, არაბული ლიგის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია, მაგრამ ლიგის არცერთ სახელმწიფოს (სულ 22) მასზე ხელი არ მოუწერია. 2003 წლის მარტში, არაბული ლიგის საბჭომ გადაწყვიტა მოეხდინა ქარტიის ხელახლა შემუშავება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების გათვალისწინებით. ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც შედგებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზე-

დამხედველო ორგანოების არაბი წევრებისაგან, ჩამოყალიბდა ურთიერთგაგების მომორანდუმის საფუძველზე, რომელიც 2002 წლის აპრილში ხელმოწერილ იქნა არაბული სახელმწიფოების ლიგისა და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ და იგი მიზნად ისახავდა არაბული ლიგისათვის დახმარების გაწევას ამ საკითხში. ექსპერტების მიერ შემუშავებული პროექტი გადაეცა არაბული ლიგის ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმედ კომიტეტს. 2004 წლის მაისში პროექტი საბოლოო დისკუსიებისა და მიღებისათვის გადაეცა არაბული სახელმწიფოების ლიგის სამიტს. რიგი არაბული სახელმწიფოებისა ქარტიის რატიფიცირების პროცესში იმყოფება.

თუმცა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა შეშფოთება გამოხატა ქარტიის ზოგიერთ დებულებასთან მიმართებით. ახალი დებულებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა საგანგებო მდგომარეობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მონობა, სექსუალური ძალადობა, ქმედუუნარობა და ტრეფიკინგი უფრო მისაღებია ძველთან შედარებით. ქარტია ასევე მოიცავს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მსგავს საზედამხედველო მექანიზმს, სამართლებრივი აქტის მიღება ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვისა კიდევ ერთი რეგიონალური მექანიზმის ჩამოყალიებებას. მართალია, ხსენებული ახალი სისტემა არ ითვალისწინებს ინდივიდუალური საჩივრების პროცედურას, მაგრამ ქარტიის 52-ე მუხლი უზრუნველყოფს დამატებითი ოქმების მიღების შესაძლებლობას.

აზია და წყნარი ოკეანეს მიმდებარე ტერიტორიები

აზიასა და წყნარი ოკეანეს ტერიტორიებზე არ მოქმედებს ადამიანის უფლებათა რეგიონალური კონვენცია. თუმცა გაერის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი მეშვეობით, ამ რეგიონის ქვეყნები ფოკუსირებას ახდენენ რეგიონალური თანამშრომლობის განტკიცებაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. აზიასა და წყნარი ოკეანეს ტერიტორიებზე გამართულ მრავალ სიმპოზიუმზე, განსაკუთრებით თეირანში 1998 წელს გამართულ სიმპოზიუმზე მიღებულ იქნა ახალი თანამშრომლობის სისტემა და კონსენსუსი იქნა მიღწეული „ნაბიჯ-ნაბიჯ“ და „აგურ-აგურ“ პრინციპებზე, რაც მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით შესაძლებელი გახდება რეგიონალური ღონისძიებების გატარება. შეთანხმება იქნა მიღწეული, რომ რეგიონალურმა ღონისძიებებმა უნდა მოიცვას რეგიონის მთავროებების მიერ განსაზღვრული საჭიროებები და პრიორიტეტები. როლი, ფუნქციები, ამოცანები, შედეგი და მიღწევები განსაზღვრულ უნდა იქნეს კონსენსუსით.

ევროპა

ევროპის საბჭოს მთავარი მიზანი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვაში მდგომარეობს. 1949 წელს დაარსების დღიდან საბჭო შეუდგა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის შემუშავებას, რომელსაც ხელი მოეწერა 1950 წელს და ძალაში შევიდა 1953 წელს. ევროპული კონვენცია და მისი თანდართული ოქმები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა გენერალურ ხელშეკრულებას, რომელიც ფოკუსირებას ახდენს სამო-

ქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები მოცემულია ევროპის სოციალურ ქარტიაში (1961-1965 წწ.) და მის დამატებით ოქმებსა და განახლებულ ტექსტებში (განახლებული ევროპის სოციალურ ქარტია, 1996-1999 წწ.). დამატებით, ევროპის საბჭომ მიიღო სპეციალური ხელშეკრულებები მონაცემთა ბაზის დაცვის, მიგრანტი მუშების, უმცირესობების, წამების აღკვეთისა და ბიომედიცინის სფეროებში.

დღესდღეობით, ევროპული კონვენცია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ყველაზე ეფექტურ სისტემა. ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ ფიზიკურ პირს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან ცალკეულ პირთა ჯგუფს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ევროპის საბჭოს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს (ამჟამად 47 წევრი) მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი, მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, უფლება აქვთ განაცხადით მიმართო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც განთავსებულია ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი). იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება დარღვევა, სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს დაშავებული მხარე. მისი გადაწყვეტილებები საბოლოო და იურიდიულად სავალდებულოა მონაწილე სახელმწიფოებისათვის. გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობას მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს, ევროპის საბჭოს ყველაზე მაღალი პოლიტიკური ორგანო.

ევროპის სოციალური ქარტიის ოქმის თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წელს, ზოგიერთ ორგანიზაციას შეუძლია საჩივრები წარადგინოს სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის წინაშე. მას შემდეგ რაც საჩივარი დაშვებულად გამოცხადდება, პროცედურა იწყება, რასაც კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მოჰყვება. გადაწყვეტილება გადაეცემა შესაბამის მხარეებს და მინისტრთა კომიტეტს ანგარიშის სახით, რომელიც საჯარო ხდება ოთხი თვის ვადაში. და ბოლოს, მინისტრთა კომიტეტი იღებს რეზოლუციას, რომლითაც იგი რეკომენდაციას გამოსცემს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ქარტიის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

თავი 10: დაუსჯელობის დასამარცხებლად: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC)

კაცობრიობისათვის ცნობილი სასტიკი დანაშაულების სერია – ომის დანაშაულები, გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რაც მოიცავს წამების სისტემატურ პრაქტიკას, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოტანილ სასჯელსა და ძალადობრივ გაუჩინარებებს – ჩადენილ იქნა მეოცე საუკუნეში მთელი მსოფლიოს მაშტაბით, საერთაშორისო ომების, რეგიონალური კონფლიქტების და მშვიდობის დროსაც. ამ დანაშაულთა ჩამდენ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა – რომლებმაც შეაშფოთეს კაცობრიობის სინდისი"[7] – არ იქნა დასჯილი.

დაუსჯელობის დასამარცხებლად მიმართული პირველი ნაბიჯები იქნა გადადგმული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც ალიანსის წევრებმა დააფუძნეს ნურბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალები. მათი ერთადერთი ფუნქცია ომის სერიოზული დანაშაულებების ჩამდენთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა იყო. აქედან გამომდინარე ტრიბუნალები ხელმძღვანელობდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით და კანონით შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ.

იმ პერიოდიდან მოყოლებული მოყოლებული ფოკუსი თანდათანობით შეიცვალა. დღეს სისხლის სამართლის საერთაშორისო კანონი მოიცავს როგორც ომის დანაშაულებს (შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს) ასევე დანაშაულს კაცობრიობის წინაშე (რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მშვიდობიან ასევე ომის პერიოდში). თუმცა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის" შექმნა გათვალისწინებულ იყო 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პირველი ასეთი ტრიბუნალი უშიშროების საბჭოს რეზოლუციით მხოლოდ 1993 წელს შეიქმნა. ეს უკანასკნელი მიღებულ

7 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი (ICC), პრეამბულა

იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის თანახმად, და ექსკლუზიურად ეხებოდა ყოფილ იუგოსლავიას.

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY) და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTR)

უშიშროების საბჭოს 827 (1993) რეზოლუციის თანახმად, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის კომპეტენცია გაასამართლოს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი პირები ეხება მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულს. რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი შეიქმნა უშიშროების საბჭოს 955 (1994) რეზოლუციით ერთი წლის შემდეგ. მას მიენიჭა კომპეტენცია გაასამართლოს რუანდის გენოციდისა და მასთან დაკავშირებული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამდენი პირები, შეიარაღებული კონფლიქტზე რაიმე მითითების გარეშე.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC)

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) კომპეტენცია, რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მსგავსად, არ არის შეზღუდული შეიარაღებული კონფლიქტით. 1998 წლის 17 ივლისს მიღებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მიღებით დაფუძნებული საერთაშორსიო სასამართლო ომის დანაშაულებთან ერთად, იხილავს გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა ფართო სპექტრს, მიუხედავად იმისა, ადგილი ჰქონდა თუ არა შეიარაღებულ კონფლიქტს. რომის სტატუტი აფუძნებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, აკისრებს რა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას როგორც სახელმწიფოს, ასევე არასახელმწიფო აგენტს ამგვარი სისტემური დარღვევებისათვის. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან გამარჯვებას დაუსჯელობაზე – ეს უკანასკნელი არის მთავარი მიზეზი დარღვევების არსებობისა – და ამიტომაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ინოვაციური განვითარება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში საერთაშორისო დონეზე.

„საუკუნეების მანძილზე ყოველი თაობა პროგრესულად ანვითარებდა ქსოვდა ინდივიდის ღირსების პატივისცემაზე დაფუძნებულ სამართლებრივ და მორალურ სტანდარტებს. მაგრამ სასამართლო პირველი და ერთადერთი მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანოა, რომელსაც ინდივიდების – მათი ვინაობის მიუხედავად – ძართლმსაჯულების წინაშე წარდგენის ძალაუფლება გააჩნია, თუ ისინი ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უმძიმეს დარღვევებში არიან მხილებულნი."

სერჯიო ვიეირა დე მელო,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა
ყოფილი უმაღლესი კომისარი,
2003 წლის 11 მარტს საერთაშორისო სასამართლოს ინაუგურაციასთან
დაკავშირებით გაკეთებული განცხადება

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC)

რომის სტატუტი

- მიღებულია 1998 წლის 17 ივლისს 120 ხმით 7-ის (ჩინეთი, ერაყი, ისრაელი, ლიბია, კატარი, ამერიკის შეერთებული შტატები, იემენი) წინააღმდეგ, 21-მა თავი შეიკავა;
- ხელმოწერილია 139 სახელმწიფოს მიერ;
- რატიფიცირებულია 99 სახელმწიფოს მიერ (2005 წლის ივნისის მდგომარეობით);

მნიშვნელოვანი თარიღები:

- ძალაში შესვლის თარიღი: 2002 წლის 1 ივლისი;
- მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ სასამართლოს 18 მოსამართლის არჩევა: 2003 წლის თებერვალი;
- მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ სასამართლოს პროკურორის, ლუის მორენო ოკამპოს არჩევა: 2003 წლის 21 აპრილი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონცეპცია და იურისდიქცია

რატომ შეიქმნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო?

- დაუსჯელობის ბოლოს მიღების მიზნით;
- კონფლიქტების დასრულების მიზნით;
- პოტენციურ დამნაშავეთა შეჩერების მიზნით;
- საკუთარ თავზე აიღოს სამართალწარმოება, როდესაც სისხლის სამართლის ეროვნული მართლმსაჯულება უუნაროა ან არ აქვს სურვილი იმოქმედოს და შეავსოს *ად ჰოც* ტრიბუნალების დეფექტები (ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის მაგალითზე).

როგორ განსაზღვრავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას რომის სტატუტი?

მე-5 მუხლი: საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებია: გენოციდი[1], კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაუ-

1 გენოციდს ადგილი აქვს, როდესაც ქმედება ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით", *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი*, მე-6 მუხლი.

ლი[2] და ომის დანაშაული;

25-ე მუხლი: ყველა (ფიზიკური) პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს** იურისდიქციის ფარლგებში, თუ იგი ჩაიდენს, უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, ან სხვაგვარად დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს ამგვარი დანაშაულის ჩადენას.

მე-11 მუხლი: ამ სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ სტატუტის ძალაში შესვლის (2002 წლის 1 ივლისი) შემდეგ მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში ჩადენილ დანაშაულებზე.

ვის შეუძლია საქმეებით მიმართოს სასამართლოს?

- მონაწილე სახელმწიფოს (მე-14 მუხლი);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს (მე-13 მუხლის ბ" პუნქტი);
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს, თავისი ინიციატივით აღძრული გამოძიების საფუძველზე, რაც ეფუძნება სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მსხვერპლის, ან სხვა წყაროების მიერ მიღებულ სანდო ინფორმაციას (მე-15 მუხლი).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და სხვა სასამართლოებს შორის ურთიერთობა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და ეროვნული სასამართლოები: ეროვნულ სასამართლოებს აქვთ იურისდიქცია ყველა შესაბამის საქმეზე. დამატებითობის" პრინციპის თანახმად, საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია იმოქმედოს, როდესაც ეროვნული სასამართლოები უუნარონი არიან ან არ სურთ სამართალწარმოების აღძვრა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ): ეს უკანასკნელი იხილავს მხოლოდ სახელ-

2 კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ნიშნავს დანაშაულებს, ჩადენილს ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილის სახით". ისინი მოიცავს მკვლელობას, განადგურებას, დამონებას, დეპორტაციას ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას, ციხეში მოთავსებას, წამებას, გაუპატიურებას, სქესობრივ მორჩილებაში ყოლას, პროსტიტუციის იძულებას, იძულებით ორსულობას, ძალადობით სტერილიზაციას ან მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის სხვა სახეს, ამოსაცნობი ჯგუფის ან ერთობის დევნას, პირთა იძულებით გაუჩინარებას, აპართეიდის დანაშაულს, მსგავსი ხასიათის სხვა არაადამიანურ განზრახ ქმედებებს, რომლებიც იწვევს მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას ან მძიმე ზიანს აყენებს პირის სულიერ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას. *იქვე,* მე-7 მუხლი.

მწიფოებს შორის არსებულ დავებს და არა ინდივიდების მიერ ჩადენილ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებს;

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო ად ჰოც ტრიბუნალები (Iრთი და Iრთე): ად ჰოც ტრიბუნალები ექვემდებარებიან დროისა და ადგილის მიხედვით შეზღუდვას (არჩევითი მართლმსაჯულება"), მაშინ როდესაც მუდმივმოქმედ სასამართლოს, როგორიცაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო შეუძლია იმოქმედოს უფრო მეტი თანმიმდევრობით.

შეთანხმება სასამართლ პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ

რომის სტატუტის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ყოველი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობს ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რაც საჭიროა მისი მიზნების განსახორციელებლად." სასამართლოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ შეთანხმება შემუშავდა სტატუტის მიღების პარალელურად, რომელიც ითვალისწინებს სათანადო დაცვასა და გარინტიებს. კონკრეტულად კი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აპარატის, დაცვის ადვოკატების, მსხვერპლის და მოწმეების დაცვას გამოძიების დროს. თუმცა სტატუტის რატიფიცირებით მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, პატივი სცენ ამ სასამართლოს აპარატის პრივილეგიებს და შესაბამის დოკუმენტებს. მხოლოდ 16 სახელმწიფომ მოახდიანა ამ შეთანხმების რატიფიცირება (2004 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით).



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე არსებული პრობლემები

რომში კონსენსუსის მიუღწევლობა, და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ისეთი მრავალმხრივი შეთანხმების გაფორმებას, რომლის შესაბამისად მის მოქალაქეებზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის არ გავრცელდებოდა;

იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე კრიმინალების არსებობა, რომლებმაც არ მოახდინეს **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს** სტატუტის რატიფიცირება ან უარი განაცხადეს მასთან თანამშრომლობაზე;

მშვიდობიან პერიოდში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ვიწრო განმარტება;

უშიშროების საბჭოს როლი;

დამხმარეობის პრინციპის სუსტი მხარე: შესაძლებელია რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ განსაზღვროს ეროვნული სასამართლო არ შეუძლია თუუ არ სურს აღძრას სამართალწარმოება?

სახელმწიფოს ვალდებულებები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის თანახმად

სტატუტის რატიფიცირებით სახელმწიფოებმა იკისრეს შემდეგი სამი ძირითადი ვალდებულება.ამ კუთხით პარლამენტს განსაკუთრებული როლი აკისრია[8]:

1. *ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სასამართლოს დამხმარეობის ხასიათიდან:* სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია იმოქმედოს, როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს აღძრას სამართალწარმოება. სახალმწიფოს მთავარი ვალდებულებაა წარუდგინოს მართლმსაჯულებას ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული საერთაშორისო სამართლის თანახმად. ამიტომაც სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი ეროვნული კანონმდებლობა, რომლის თანახმად ასეთ დანაშაულს ეროვნული კანონმდებლობის თანახმადაც მიენიჭება დანაშაულის კვალიფიკაცია – მიუხედავად იმისა, თუ სად იქნა ის ჩადენილი, ვინ ჩაიდინა ან ვინ არის მსხვერპლი.

2. *თანამშრომლობის ვალდებულება:* სტატუტის 86-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები თანამშრომლობენ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის გამოძიების პროცესში." ამიტომაც სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ პროკურორსა და დაცვის მხარეს ეფექტური გამოძიების წარმოებაში. სახელმწიფოებმა ასევე უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო სასამრთლოსთანსასჯელის აღსრულების საკითხში და საჯარო ინფორმაციისა და სტატუტის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების გადამზადების პროგრამების განვითარებასა და იმპლემენტაციაში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ შეთანხმების რატიფიცირების ვალდებულება, რითაც ამ ორგანოს მიეცემა დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა.

მონაწილე სახელმწიფოების მიერ კანონმდებლობის ეფექტური განხორციელების მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ კვლევაში[9], *Amnesty International*-მა გამოააშკარავა ქვეყნის კანონპროექტებში არსებული შეუსაბამისობა:

ა. დანაშაულების არასრულყოფილი განმარტებები;

ბ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დაცვის არადამაკმაყოფილებელი პრინციპებები;

გ. საერთაშორისო სამართლით დაშვებული უნივერსალური იურისდიქციის სრული მასშტაბით უზრუნველყოფის;

დ. პროკურატურის ინიციატივების პოლიტიკური კონტროლი;

---

8 წყარო: *Amnesty International, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო: ეფექტიანი იმპლემენტაციის საკონტროლო ცხრილი* (AI Index: IOR 40/011/2000).

9 AI Index: IOR 40/019/2004.

ე. მსხვერპლთა დაუყოვნებელი და კომპენსაციის ყველაზე ეფექტიანი პროცედურებით ვერ უზრუნველყოფა;

ვ. კანონპროექტბში იმ დებულებათა შეტანა, რომლებიც ხელს უშლის, ან პოტენციურად ხელს შეუშლის სასამართლოსათან თანამშრომლობას;

ზ. საერთაშორისო სასამართლოს მიერ დამნაშავედ გამოცხადებულ პირთა ქვეყნის ციხეებში სასჯელის მოხდის უზრუნველყოფის შეუძლებლობლობა;

თ. რომის სტატუტის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის გადამზადების პროგრამის განუხორციელებლობა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის პრინციპების ერთობლიობა დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის მეშვეობით

1991 წლიდან მოყოლებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაასრულა მნიშვნელოვანი სამუშაო დაუსჯელობის სინდრომის დამარცხების მიზნით. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიას და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისიას. ამნისტიის კანონმდებლობა, რომელიც 1970 წლებში მიღებულ იქნა პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლების მიზნით და თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენს, მოგვიანებით იქნა გამოყენებული ადამიანის უფლებათა დარღვევების ჩამდენთა დაუსჯელობის უზრუნველსაყოფად. გააცნობიერა რა ეს პრობლემა, ადამიანის უფლებათა ვენის მსოფლიო კონფერენციამ (1993 წ.), გასატარებელ ღონისძიებათა დეკლარაციისა და პროგრამაში მხარი დაუჭირა კომისიისა და ქვეკომისიის ინიციატივას შეესწავლა ეს საკითხი. შესაბამისად, ქვეკომისიამ თავის ერთ-ერთ წევრს, ბ-ნ ლუის ჯოინეტს დაავალა დაუსჯელობის სინდრომის დასამარცხებლად პრინციპთა ერთობლიობის მომზადება. ექსპერტმა ანგარიში და პრინციპთა ერთობლიობა ქვეკომისიას წარუდგინა 1997 წელს.[10] ამ პრინციპების თანახმად, მსხვერპლს გააჩნია შემდეგი უფლებები:

- *უფლება იცოდე:* ეს უფლება მარტო იმას კი არ გულისხმობს, რომ მსხვერპლს ან მსხვერპლის ახლობლებს უფლება აქვთ იცოდნენ, თუ რა მოხდა, ე.ი. სიმართლის უფლება; არამედ იგი ასევე წარმოადგენს კოლექტიურ უფლებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დარღვევების განმეორება. შესაბამისად, სახელმწიფოს აკისრია დამახსოვრების ვალდებულება“ (ანგარიშის მე-17 პუნქტი).

- *უფლება მართლმსაჯულებაზე:* ეს უფლება აცხადებს, რომ მსხვერპლს აქვს უფლება განაცხადოს საკუთარი უფლებები და მიიღოს სამართლიანი დაცვის საშუალებები. ამ შემთხვევაში დამნაშავეები სასამართლოს წინაშე წარდგებიან, ხოლო მსხვერპლი მიიღებს რეპარაციას.

10 E/CN.4/Sub.2/1997/20/Rev.1.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო: მაგალითი

2003 წლის დეკემბერში უგანდას მთავრობამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს შეატყობინა იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა *Lord's Resistance Army*-ას, რომელიც ჩრდილოეთ უგანდაში მოქმედებს. 2004 წლის ივლისში პროკურორმა მიიჩნია, რომ მოცემულ სიტუაციაში არსებობდა საკმარისი საფუძველი გამოძიების აღძვრისათვის.

2004 წლის მარტში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეატყობინა პროკურორს იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებს, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა ქვეყანაში რომის სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადრე სასამართლოსათვის წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2004 წლის ივნისში პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი გამოძიების აღძვრისათვის მოცემულ სიტუაციაში, რაც მოიცავდა მასობრივ მკვლელობებს, სასამართლოს განაჩენის გარეშე სასჯელებსა და გაუპატიურებების, წამების, პირთა იძულებითი გადასახლებებისა და ბავშვების ჯარისკაცებად გამოყენების ფაქტებს.

2005 წლის იანვარში ცენტრალური აფრიკის მთავრობამ შეატყობინა პროკურორს იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილ იქნა ქვეყნოს ტერიტორიაზე რომის სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ.

2005 წლის 31 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ პროკურორს წარუდგინა დარფურზე საერთაშორისო კომისიის მოკვლევის მასალები. პროკურორის ოფისმა მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, რამაც ათასობით დოკუმენტს მოუყარა თავი. დეტალური ანალიზის შედეგად პროკურორმა დაასკვნა, რომ წესდებით განსაზღვრული მოთხოვნები გამოძიების აღძვრის თაობაზე დაკმაყოფილებული იყო.

- *რეპარაციის უფლება:* ეს უფლება მოიცავს ინდივიდუალური და ზოგადი კოლექტიური ღონისძიებების გატარებას. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია დოკუმენტში: ძირითადი და სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევის მსხვერპლთა რეპარაციის განსახორციელებლად", რომელიც შემუშავებულ იქნა ბ-ნ თეო ვან ბოვენის მიერ ქვეკომიისათვის 1996 წელს და შემდგომში დამატებით განვითარდა ბ-ნ ჩერიფ ბასიოუნის მიერ 2000 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიისათვის.[11] აღნიშნული ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო პრინციპები ჯერ კიდევ განხილვის სტადიაში იმყოფება კომისიაში.

თუმცა ზემოთ მოცემული პრინციპთა ერთობლიობა მოცემული ეტაპისათვის არ

11 E/CN.4/Sub.2/1996/17 and E/CN.4/2000/62, Sesabamisad.

არის მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიისა და გენერალური ასამბლეის მიერ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის თხოვნით 2004 წელს საუკეთესო პრაქტიკის შესახებ გაკეთებული ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოებს დაეხმაროს ეროვნული შესაძლებლობების განმტკიცებაში დაუსჯელობის ყველა ასპექტის დასამარცხებლად[12], გვიჩვენებს, რომ ამ პრინციპებმა უკვე ძლიერი გავლენა იქონიეს დაუსჯელობის დამარცხებისაკენ მიმართულ ძალისხმევაზე.

12 E/CN.4/2004/88.

თავი 11: პარლამენტარების როლი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საკითხში

ძირითადი პრინციპები

პარლამენტებსა და პარლამენტის წევრებს არსებითი როლი აკისრიათ ადამიანის უფლებათა დაცვაში: საპარლამენტო საქმიანობა მთლიანობაში – საკანონმდებლო, ბიუჯეტის მიღება და აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი – ფარავს პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სრულ სპექტრს და, შესაბამისად, პირდაპირ კავშირშია ხალხის მიერ ადამიანის უფლებათა განხორციელებასთან. როგორც სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც წარმოადგენს ხალხს და რომელთა მეშვეობითაც ისინი მონაწილეობენ ქვეყნოს მართვაში, პარლამენტი ნამდვილად ადამიანის უფლებათა დამცველად გვევლინება. პარლამენტი მუდამ უნდა აცნობიერებდეს ამ როლს, ვინაიდან ქვეყანაში მშვიდობა, სოციალური ჰარმონია და მუდმივი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ურთიერთკავშირშია ადამიანის უფლებები და პარლამენტის საქმიანობა.

პარლამენტებმა, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველებმა, თავისი როლის ეფექტურად შესრულების მიზნით უნდა დააკმაყოფილონ სპეციფიკური კრიტერიუმები.

პარლამენტის წარმომადგენლობითი ხასიათის უზრუნველყოფა

პარლამენტის უფლებამოსილება მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს მისი შესაძლებლობიდან ერთგულად წარმოაჩინოს საზოგადოების მრავალფეროვნება. აღნიშნული მათ შორის მოიცავს, მამაკაცებსა და ქალებს, სხვადასხვა პოლიტუკური შეხედულებების მქონე ჯგუფებს, ეთნიკურ ჯგუფებსა და უმცირესობებს.

პარლამენტის წევრების ადამიანის უფლებათა დაცვა:

პარლამენტის წევრთა ადამიანის უფლებათა საპარლამენტთაშორისო კომიტეტი

- თუ პარლამენტის წევრებმა უნდა დაიცვან იმ პირთა ადამიანის უფლებები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, მაშინ თავად მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის განხორციელება ყოველთვის არ ხერხდება, 1976 წელს საპარლამნტთაშორისო კავშირმა მიიღო პროცედურა პარლამენტის წევრთა ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის განხილვის შესახებ.

- პარლამენტის წევრთა ადამიანის უფლებათა კომიტეტს მიენიჭა უფლებამოსილება განიხილოს საჩივრები, რომლებიც ეხება პარლამენტის წევრებს, რომლებიც ექვემდებარებიან ან დაექვემდებარენ თვითნებურ ქმედებებს მათი მანდატის განხორციელებისას, მიუხედავად იმისა პარლამენტის უფლებამოსილება ძალაშია თუ შეუწყდა არაკონსტიტუციური ან საგანგებო ღონისძიებების საფუძველზე". ეს პროცედურა ეხება ნებისმიერი ქვეყნოს პარლამენტის წევრებს.

- კომიტეტი შედგება ხუთი სრულყოფილი წევრისა და ხუთი შემცვლელი წევრისაგან. თითოეული მათგანის არჩევა ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, რათა წარმოდგენილი იყოს გეოპოლიტიკური რეგიონი ხუთი წლის მანძილზე. კომიტეტი ატარებს ოთხ დახურულ სხდომას ყოველწლიურად.

- მას შემდეგ, რაც საჩივარი დაშვებულად გამოცხადდება, კომიტეტი მას განიხილავს ადამიანის უფლებათა ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. პროცედურა ეფუძნება შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ კომიტეტის წინაშე წარდგენილი ინფორმაციის შედარებით ანალიზს, განსაკუთრებით კი პარლამენტისა და მომჩივანის. კომიტეტის წინაშე წარდგენილი ყველა მტკიცებულება კონფიდენციალურია.

- კომიტეტი ასევე მართავს მოსმენებს მხარეთა თანდასწრებით და – სახელმწიფოს თანხმობისა და კონკრეტული მინიმალური პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში – ადგილზე ახორციელებს ფაქტების მოძიების მისიებს.

- კომიტეტს შეუძლია წარუდგინოს საქმე საპარლამენთაშორისო კავშირის ყველა წევრს საჯარო ანგარიშების სახით. ამის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პარლამენტებსა და მათ წევრებს მისცეს შესაძლებლობა გადადგან სათანადო ნაბიჯები კოლეგების სასარგებლოდ.

- კომიტეტი ცდილობს ისეთი გამოსავალი ნახოს, რომელიც შეესაბამება ადამინის უფლებების პრიბციპებს. როდესაც იგი მიიჩნევს, რომ მისი შესაძლებლობები ამოწურულია, მას შეუძლია დახუროს საქმე და რეკომენდაცია გასცეს, რომ საპარლამნტთაშორისო კავშირის მმართველმა საბჭომ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები გააკრიტიკოს.

ზემოთ ხსენებულის მისაღწევად პარლამენტის წევრები არჩეულ უნდა იქნენ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლითა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

პარლამენტის წევრებისათვის გამოხატვის თავისუფლების დაცვით პარლამენტის დამოუკიდებლობის გარანტირება

პარლამენტს თავისი როლის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი მისი წევრები გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობენ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ სიტყვით გამოვიდნენ მათი ამომრჩევლების სახელით. პარლამენტის წევრები თავისუფალნი უნდა იყვნენ მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი შიშის გარეშე. შესაბამისად, მათ ზოგადად მინიჭებული აქვთ სპეციალური სტატუსი, რაც მათ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს: ისინი სარგებლობენ საპარლამენტო პრივილეგიებით ან საპარლამენტო იმუნიტეტით.

საპარლამენტო იმუნიტეტი უზრუნველყოფს ერის წარმომადგენლების დამოუკიდებლობასა და ღირსებას, რითაც ისინი იცავს მათ თავდასხმებისაგან, დაშინებისაგან ან თვითნებური ღონისძიებებისაგან, რაც მომდინარეობს საჯარო ხელისუფლების წარმომადგელებისაგან ან სხვა მოქალაქეებისაგან. იმუნიტეტების სფერო ცვალებადია. მინიმალური გარანტია, რაც პარლამენტის ყველა წევრს ეხება, არის *ანგარიშვალდებულობისაგან თავისუფლება*. ბევრ ქვეყანაში პარლამენტის წევრები ასევე სარგებლობენ *ხელშეუხებლობით:* მათი დაკავება, დაპატიმრება ან სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების აღძვრა მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეიძლება. ხელშეუხებლობა არ არის დაუსჯელობის ტოლფასი. აღნიშნული სრულად უზრუნველყოფს პარლამენტს, განსაზღვროს, თუ რამდენად სამართლებრივად დასაბუთებული იყო მისი წევრის მიმართ აღძრული სამართალწარმოება.

> „პარლამენტის წევრთა უფლებების დაცვა აუცილებელი წინაპირობაა, რათა მათ თავის მხრივ დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები; დამატებით, პარლამენტის წარმომადგენლობითი ბუნება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პარლამენტის წევრთა უფლებების პატივისცემაზე“.
>
> საპარლამენტთაშორისო საბჭო,
> პარლამენტის წევრთა ადამიანის უფლებათა დარღვევის თაობაზე საჩივრების განხილვის პროცედურის დადგენის შესახებ რეზოლუცია, მექსიკა, 1976 წლის აპრილი.

სამართლებრივ სისტემაში, განსაკუთრებით კი პარლამენტის რეგლამენტში გარკვევა

აუცილებელია, რომ პარლამენტის წევრები სრულყოფილად იცნობდნენ კონსტიტუციასა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს, მთავრობის ფუნქციონირებასა და საჯარო ადმინისტრირებას და, რა თქმა უნდა, პარლამენტის რეგლამენტს. ზოგიერთი პარლამენტი, მაგალითად სამხრეთ აფრიკის პარლამენტი, ორგანიზებას უკეთებს სემინარებს პარლამენტის ახლად არჩე-

ული წევრებისათვის, სამართლებრივ სისტემაში და პარლამენტის რეგლამენტში უკეთ გათვითცნობიერების მიზნით.

პარლამენტის წევრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო საშუალებებით თავისი ფუნქციების შესასრულებლად,.

ტექნიკურ დახმარებას შეუძლია გააუმჯობესოს პარლამენტის წევრთა ცოდნა ადამიანის უფლებათა სფეროში (იხ. I ნაწილი, 29-ე ყუთი).

პარლამენტის როლის განსაზღვრა საგანგებო მდგომარეობის დროს

როდესაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, პირველი მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში პარლამენტია: მისი ძალაუფლება კლებულობს ან მას საერთოდ შეიძლება შეუწყდეს უფლაბამოსილება. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- საგანგებო მდგომარეობა არ უნდა იყოს თვითნებური ღონისძიებების გატარების მიზეზი

- პარლამენტი არის პასუხისმგებელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაუქმებაზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპების თანახმად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადამიანის კონკრეტული უფლებებიდან გადახვევა დაუშვებელია (იხ. მე-4 თავი);

- საგანგებო მდგომარეობისას პარლამენტის დაშლა ან თუნდაც მისი უფლებამოსილების შეჩერება, დაუშვებელია კანონის თანახმად;

- საგანგებო მდგომარეობისას პარლამენტი ახდენს ხელისუფლების ორგანოთა მონიტორინგს – განსაკუთრებით კი სამართალდამცავი ორგანოების – რომლებიც განსაკუთრებული ძალაუფლებით არიან აღჭურვილნი;

- საგანგებო მდგომარეობა განსაზღვრულია კონსტიტუციით ან კონსტიტუციის სტატუსის მქონე კანონებით ისე, რომ აღნიშნული დაცული იყოს ოპორტუნისტული რეფორმებისაგან.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობისათვის პარლამენტარების მიერ გადასადგმელი ნაბიჯები

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების რატიფიცირება

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების რატიფიცირება საერთაშორისო თანამეგობრობისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დასაცავად მზადყოფნის დემონსტირების ყველაზე კარგი საშუალებაა. რატიფიკაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან მზადყოფნის გამოხატვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის. მიზნით. შედეგად უფრო ძირ-

ფესვიანად ხდება ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა საერთაშორისო ზედამხედველობიდან გამომდინარე, ამას კი თავის მხრივ სერიოზული შედეგები მოყვება იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ხელშეკრულების რატიფიცირებას ახდენს.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები ხელმოწერილი და რატიფიცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების, როგორც წესი, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის ან საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ. თუმცა, უმრავლეს ქვეყანაში საბოლოო გადაწყვეტილებას ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხზე იღებს პარლამენტი, რომელმაც უნდა დაამტკიცოს რატიფიცირება. რატიფიცირების შედეგად ხდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების გარანტირება იმ ქვეყანაში, სადაც ხდება ხელშეკრულების რატიფიცირება და ავალდებულებს მას ანგარიში წარუდგინოს საერთაშორისო თანამეგობრობას იმ ღონისძიებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობის ხელშეკრულებით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობა.

[illegible]

პარლამენტის მონაწილეობა ხელშეკრულებების შემუშავებასა და მოლაპარაკებებში

ეროვნული პარლემენტების წევრები ზოგადად არ არიან ჩართულნი საერთაშორისო თუ რეგიონალური ხელშეკრულების შემუშავების ან შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მხოლოდ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეგიონალური საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც დაფუძნდა 1949 წელს, ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის უფლებათა მონიტორინგსა და ახალი სამართლებრივი აქტების შემუშავებაში. მის სამართლებრივ ურთიერთობათა და ადამიანის უფლებათა კომიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს მინისტრთა კომიტეტთან (ეს უკანასკნელი შედგება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან, ამჟამად 47 წევრისაგან) და ადამიანის უფლებათა მარეგულირებელ კომიტეტთან, როდესაც ახალი სამართლებრივი აქტის შემუშავება ხდება ან სახეზეა ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი პრობლემა. მაგალითად, მინისტრთა კომიტეტმა მოიწვია საპარლამენტო ასამბლეა, რათა ეს უკანასკნელი დაეხმაროს მას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი მზარდი განაცხადების მიღების გამო გამოწვეული პრობლემის გადაჭრაში.

საპარლამენტთაშორისო კავშირი მუდამ მოუწოდებს პარლამენტის წევრებს, რომ ისინი უფრო მასშტაბურად ჩაერთონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების ირგვლივ გამართულ მოლაპარაკებებში. ის ასევე მოუწოდებს პარლამენტს, ვინაიდან მან უნდა მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა და უზრუნველყოს მისი განხორციელება, ჩაერთოს რატიფიკაციის საფეხურამდე საკმაოდ ადრე და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ახალი სამართლებრივი აქტის შემუშავებაში საერთაშორისო ორგანოებთან ერთად.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტის წევრს

- გადაამოწმეთ, მოახდინა თუ არა მთავრობამ (სულ მცირე) შვიდი ძირითადი ხელშეკრულებისა (იხ. I ნაწილი, მე-3 და მე-5 თავები) და ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებების რატიფიცირება.
- და თუ არა, გაარკვიე აპირებს თუ არა იგი აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერას. და თუ არა, გამოიყენე პარლამენტის რეგლამენტი ამგვარი უმოქმედების მიზეზების დასადგენად და მოუწოდეთ მთავრობას, დაუყოვნებლივ დაიწყოს ხელმოწერისა და რატიფიკაციის პროცესი.
- იმ შემთხვევაში, თუკი მიმდინარეობს ხელმოწერის პროცესი, გადაამოწმეთ, ხომ არ აპირებს მთავრობა დათქმების გაკეთებას ხელშეკრულებაზე. დადასტურების და თუ ეს ესეა, მაშინ განსაზღვრეთ რამდენად შესესაბამება ისინი ხელშეკრულებას. (იხ. მე-4 თავი). თუ დაასკვნი, რომ ისინი უსაფუძვლოა, უზრუნველყავი, რომ მთავრობამ გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა.
- გადაამოწმეთ, კვლავაც აუცილებელია თუ არა ქვეყნისთვის ძალაში მყოფ ხელშეკრულებებზე გაკეთებული დათქმები. თუ დაასკვნი, რომ მათი მოქმედება აღარ არის საჭირო, გადადგი სათანადო ნაბიჯები მათ გასაუქმებლად.
- გადაამოწმეთ, გააკეთა თუ არა მთავრობამ აუცილებელი დეკლარაციები ან მოახდინა თუ არა შესაბამისი ფაკულტატური ოქმების (იხ. I ნაწილი, თავი მე-5) რატიფიცირება შემდეგის გათვალსწინებით;
  - (ა) ინდივიდუალური საჩივრების მიღების მიზნით (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის, საერთაშორისო კონვენციის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, კონვენციის წამების წინააღმდეგ და მიგრანტ მუშათა კონვენციის თანახმად) საზედამხედველო ორგანოების კომპეტენციის აღიარება;
  - (ბ) მოკვლევის პროცედურის აღძვრის მიზნით (წამების წინააღმდეგ კონვენციის და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის) საზედამხედველო ორგანოების კომპეტენციის აღიარება;
  - (გ) წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება (ფაკულტატური ოქმი ითვალისწინებს პატიმრობის ადგილებში რეგულარული ვიზიტების სისტემას).
- და თუ არა, უზრუნველყავით, რომ ფაკულტატურ ოქმებზე გაკეთდეს დეკლარაციები ან მოხდეს მათი რატიფიცირება;
- უზრუნველყავით, რომ ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლები, პოლიცია და სამოქალაქო საზოგადოება გაეცნონ რატიფიცირებულ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებსა და მათ დებულებებს.
- იმ შემთხვევაში, თუკი შენს ქვეყანას არ მოუწერია ხელი ან მოუხდენია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის რატიფიცირება, აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით გადადგი ნაბიჯები. ასევე უზრუნველყავი, რომ შენმა ქვეყანამ თავი შეიკავოს იმ შეთანხმებისაგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სტატუტის დაკნინება და სასამართლოს ძალაუფლების შესუსტება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის ხელშეუხებლობის დასაცავად

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წარდგენილ წინადადებაზე, რომელიც ითვალისწინებდა მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმებას, რომლის თანახმადაც შეერთებული შტატების მოქალაქეებზე არ უნდა გავრცელებულიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის იურისდიქცია, მრავალმა პარლამენტმა (მაგალითად, ურუგვაისა და შვეიცარიის პარლამენტებმა) თავიანთ მთავრობებს მოუწოდეს უარი ეთქვათ ამ წინადადებაზე და თავი შეეკავებინათ ისეთი შეთანხმების გაფორმებაზე, რაც გამოიწვევდა სტატუტიდან გადახვევას. სხვებმა კი უარი განაცხადეს ამგვარი მრავალმხრივი შეთანხმებების რატიფიცირებაზე.

საპარლამენტთაშორისო საბჭო „მოუწოდებს ყველა პარლამენტსა და მათ წევრებს გადადგან ნაბიჯები ადგილობრივ დონეზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებები იქნეს რატიფიცირებული ან მათი ქვეყნები დაუყოვნებლივ მიერთდნენ მათ, იმ შემთხვევაში, თუკი მათ ეს არ გაუკეთებიათ; დათქმები გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი მოდის წინააღმდეგობაში ხელშეკრულების საგანთან და მიზანთან“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 50-ე საიუბილეო
დღესთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია,
კაირო, 1997 წლის სექტემბერი, მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი

ეროვნულ დონეზე განხორციელების უზრუნველყოფა

ბიუჯეტის მიღება

ყველას მიერ ადამიანის უფლებათა სარგებლობის გარანტირება დიდი ძალისხმევის შედეგად მიიღწევა. ადამიანის უფლებათა დასაცავად ეფექტური ღონისძიებები და, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა დარღვევის აღკვეთა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ქვეყნის ბიუჯეტის დამტკიცებისას, როდესაც ეროვნული პრიორიტეტების დასახვა ხდება, პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა განსახორციელებლად საკმარისი ფონდების გამოყოფა. ამის შემდგომ, მთავრობის მიერ თანხების ხარჯვის მონიტორინგისას, პარლამენტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, პასუხი მოსთხოვოს მას ადამიანის უფლებათა სფეროში არაადეკვატური ქმედებებისათვის.

აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი

პარლამენტსა და მის წევრებს საზედამხედველო ფუნქციის მეშვეობით, რა დროსაც აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკა და ქმედებები ექვემდებარება ზედმიწევნით შესწავლას, უნდა უზრუნველყონ ადამინისტრაციისა და სხვა შესა-

ბამისი ორგანოების მხრიდან კანონების შესრულება. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, მთავრობის საქმიანობის შესწავლის მიზნით პარლამენტის წევრთათვის მინიჭებული საშუალებები მოიცავს შემდეგს:

- მინისტრებისათვის, სახელმწიფო მოხელეთა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთათვის წერილობითი და ზეპირი კითხვები;
- გამოთხოვა;
- ფაქტების დამდგენელი ან საგამოძიებო კომიტეტები ან კომისიები;
- უნდობლობის გამოცხადება, იმ შემთხვევაში, თუკი ზემოთ ჩამოთვლილი მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების შესრულება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოებისა და სპეციალური მომხსენებლების, ასევე საერთაშორისო თუ რეგიონალური საზედამხედველო ორგანოების მიერ ფორმულირებული რეკომენდაციები (იხ. I ნაწილი, მე-5, მე-6 და მე-9 თავები) შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული პარლამენტის წევრების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან შესაბამისობის შესწავლა.

მე-100 საპარლამენტთაშორისო კონფერენცია „მოუწოდებს პარლამენტებს აქტიურად იმუშაონ, რათა უზრუნველყონ – , მთავრობების მიერ ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოებთან საყალდებულო ანგარიშგება და კომპეტენტური სამთავრობო უწყებების მიერ სათანადო თანამშრომლობის უზრუნველყოფა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მოხსენებლებთან, რათა მათ მიიღონ საჭირო თანადგომა სამუშაოს ეფექტურ განხორციელების მიზნით.

21-ე საუკუნეში ადამიანის უფლებათა წახალისებისა და
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის
50-ე იუბილესთან დაკავშირებით ეროვნული პარლამენტების ქმედეთი
ღონისძიებების გატარების შესახებ" რეზოლუცია,
მოსკოვი, 1998 წლის სექტემბერი, მე-4 პუნქტის iii" ქვეპუნქტი

პარლამენტის ადამიანის უფლებათა ორგანოების დაფუძნება

ადამიანის უფლებები სრულად უნდა აისახოს პარლამენტის საქმიანობაში., პარლამენტის თითოეულმა კომიტეტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა მიიღოს მხედველობაში ადამიანის უფლებები და შეაფასოს კანონებისა და სხვა საკანონმდებლო ნორმების გავლენა მოსახლეობის მიერ ადამიანის უფლებათა სარგებლობის კუთხით. ადამიანის უფლებების სრული ინტეგრირების მიზნით პარლამენტის მუშაობაში, მრავალი პარალამენტი ქმნის ადამიანის უფლებათა სპეციალიზირებულ ორგანოებს ან არსებულ კომიტეტებს ანიჭებს ადამიანის უფლებათა საკითხების განხილვის კომპეტენციას. მრავალმა პარლამენტმა ასევე დააფუძნა კომიტეტები, რომლებიც იხილავენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა ან უმ-

რეგიონალური სახელშეკრულებო ორგანოს რეკომენდაციების განხორციელება: მაგალითი

პარლამენტებს, განსაკუთრებით კი მათი ადამიანის უფლებათა კომიტეტებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთაშორისო ან რეგიონალური გადაწყვეტილებების ან რეკომენდაციების განსახორციელებლად. მაგალითად, ბრაზილიის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის პირველი გადაწყვეტილების განხორციელებაში ბრაზილიის წინააღმდეგ: ჯობო კანუტოს საქმე, რიო მარტას პროფკავშირების თავმჯდომარე, რომელის მოკლულ იქნა 1985 წელს. 1998 წელს კომისიამ დაასკვნა, რომ ბრაზილიის სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ვინაიდან მან ვერ უზრუნველყო ბ-ნი კანუტო შესაფერისი დაცვით, როდესაც მას ემუქრებოდნენ სიკვდილით, და ასევე მისი ფიზიკური განადგურების თაობაზე ეფექტური გამოძიებისა ვერ ჩაატარა. მან გასცა რეკომენდაცია, რომ ბრაზლიას უნდა გადაეხედა სისხლის სამართლის პროცედურებისათვის და მსხვერპლის ოჯახისათვის გადაეხადა კომპენსაცია როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ზიანისათვის. 1999 წელს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ორგანიზება გაუკეთა ეროვნულ კომპანიას, რაც მიზნად ისახავდა ხელისუფლების ორგანოებისათვის ამ გადაწყვეტილების გაცნობასა და მისი განხორციელების მნიშვნელობის აღიარებას. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებამ არ დააყოვნა.

ცირესობათა უფლებები. დამატებით, პარლამენტის არაფორმალური ჯგუფები აქტიურად არიან ჩართულნი ადამიანის უფლებათა სფეროში.

ადამიანის უფლებათა საპარლამენტო ორგანოებს დაკისრებული აქვთ მრავალი ფუნქცია, მათ შორის – თითქმის ყოველთვის – კანონპროექტებისა თუ კანონების ადამიანის უფლებათა ვალდებულებთან შესაბამისობის შეფასება. რიგ შემთხვევებში, ამგვარ ორგანოებს აქვს ინდივიდუალური საჩივრების მიღების კომპეტენცია.

სათანადო კანონმდებლობის მიღება

იმ შემთხვევაში, თუკი არ ხდება საერთაშორისო ვალდებულებების ეროვნულ დონეზე განხორციელება, შესაბამისი ხელშეკრულებები უმოქმედო დოკუმენტს წარმოადგენს. პარლამენტებსა და მათ წევრებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დგება შესაბამისი კანონმდებლობის მიღების საკითხი (იქნება ეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლი, ადმინისტრაციული თუ შრომის კანონმდებლობა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობა).

საერთაშორისო ხელშეკრულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის პროცედურა ზოგადად მოცემულია სახელმწიფოს კონსტიტუციაში, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა დონეზე შეუძლიათ ინდივიდებს პირდაპირ დაეყრდნონ

ხელშეკრულებების დებულებებს ეროვნული სასამართლოების წინაშე. ძირითადად არსებობს ორი სახის მიდგომა:

(ა) ავტომატური სისტემა, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებები, მათი რეტიფიცირების ან მიღებისას, ხდება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი და, ამიტომაც, ინდივიდებს შეუძლიათ მათზე დაყრდნობა. ზოგიერთ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ხელშეკრულებები ძალაში შევიდეს და ინდივიდებს უფლებამოსილება მიენიჭოთ, მათი დებულებები ეროვნული სასამართლოების წინაშე მოიხმონ, სავალდებულოა ხელშეკრულების ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნება ან მისი განხორციელებისათვის საჭირო ეროვნული კანონმდებლობის მიღება;

(ბ) დუალისტური სისტემა, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებები ეროვნული კანონმდებლობის სისტემის ნაწილი ხდება მხოლოდ მისი ფაქტობრივი მიღებით. ამ სისტემის თანახმად, ინდივიდს არ შეუძლია მოიხმოს ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც არ არის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი. ეროვნულ კანონებთან კონფლიქტის შემთხვევაში, მათ არ გააჩნია უპირატესი ძალა.

სამოქალაქო კანონმდებლობის ქვეყნებში, არსებითია, რომ ადამიანის უფლებები კონსტუტუციით იყოს გარანტირებული, ვინაიდან აღნიშნული ინსტრუმენტი აფუძნებს ნორმებს და ჩარჩოში აქცევს ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს მის პრინციპებთან.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტის წევრს

პარლამენტის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ საზედამხედველო ორგანოების მუშაობას. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ

- სახელმწიფოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელშეკრულებო ორგანოებსა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ საზედამხედველო მექანიზმებს (იხ. I ნაწილი, მე-5, მე-6 და მე-9 თავები) შორის თანამშრომლობის თაობაზე მთავრობისაგან ინფორმაციის გამოთხოვა. კარგი იქნება, ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობისათვის კითხვის დასმა.

- პარლამენტი ყოველთვის საქმის კურსში იყოს სახელშეკრულებო ორგანოებისა და შესაბამისი მექანიზმების მუშაობასთან დაკავშირებით და, რომ სათანადო ინფორმაცია რეგულარულად ხელმისაწვდომი იყოს პარლამენტის შესაბამისი სამსახურის მიერ;

- ქვეყნისათვის გაცემული რეკომენდაციების და დასკვნითი მიმოხილვებისა გადახედვა; სახელშეკრულებო ორგანოების მიერ სხვა კომენტარების შესრულების პროცესის მონიტორინგი;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის მიერ ქვეყნოს შესახებ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესწავლა;

- გადაამოწმება გადაიდგა თუ არა რაიმე ნაბიჯი აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით და, თუ არა, გამოიყენოთ პარლამენის რეგლამენტი ამ მიზეზების დასადგენად და მოახდინოთ რეკომენდაციების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ინიცირება;

- დარწმუნდე, რომ სპეციალური მომხსენებლები, რომლებიც ახორციელებენ ადგილზე ფაქტების შემსწავლელ მისიებს, ვიზიტებს ახორციელებენ პატლამენტში ან პარლამენტის კომპეტენტურ კომიტეტებში და, რომ პარლამენტსაც ეგზავნება მათი ანგარიშების ასლი;

- დარწმუნდე, რომ შენ ქვეყანაში მუდმივი მოწვევები ასევე სპეციალურ მომხსენებლებსაც ეხებათ;

- გამოიყენო უფლებამოსილება, რათა განახორციელო ვიზიტები სკოლებში, საავადმყოფოებში, ციხეებსა და პატიმრობის სხვა ადგილებში, პოლიციის დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებში რათა დარწმუნდეთ, რომ ადამიანის უფლებები დაცულია.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების თანახმად წარმოშობილ ვალდებულებებთან სახელმწიფოს შესაბამისობის მონიტორინგის მიზნით, შეგიძლიათ უზრუნველყოთ, რომ

- სავალდებულო ეროვნული ანგარიშების წარდგენა უნდა ხდებოდეს რეგულარულად, განრიგის შესაბამისად. როდესაც ანგარიშის წარდგენა გვიანდება, შეგიძლიათ მოითხოვოთ განმარტება და, საჭიროების შემთხვევაში, მოუწოდოთ მთავრობას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

და ბოლოს, დარწმუნდეთ, რომ

- პარლამენტი (კომპეტენტური კომიტეტების მეშვეობით) ჩართულია სახელმწიფოს ანგარიშების მომზადებაში, აწვდის სათანადო ინფორმაციას, უზრუნველყოფს, რომ მისი ქმედებები სათანადოდ არის ასახული ანგარიშში;

- ანგარიში აკმაყოფილებს ანგარიშგების პროცედურის სახელმძღვანელო პრინციპებს (იხ. I ნაწილი, მე-5 თავი) და ითვალისწინებს სახელშეკრულებო ორგანოების ზოგად რეკომენდაციებს და ადრე წარდგენილ ანგარიშებზე დასკვნით მიმოხილვებს;

- პარლამენტის წევრი ესწრება შესაბამისი სახელშეკრულებო ორგანოსათვის ანგარიშის წარდგენის პროცესს. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, რეკომენდაცია გაუწიე, რომ შენი ქვეყნის მუდმივმა მისიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ-იორკსა თუ ჟენევაში, დამოკიდებული იმაზე, თუ სად ხვდება სახელშეკრულებო ორგანო)თვალყური ადევნოს სახელშეკრულებო ორგანოს მუშაობას და უზრუნველყოს, რომ მისი ანგარიში გაეგზავნოს პარლამენტს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის უფლებამოსილება

იმისათვის, რომ სრულყოფილად ეფექტიანებად ჩაითვალონ პარლამენტის ადამიანის უფლებათა ორგანოების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით

- მათ უნდა გააჩნდეთ ადამიანის უფლებათა ყოველისმომცველი მანდატი, საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციები;
- უნდა იყვნენ კომპეტენტურები, მოახდინონ საკანონმდებლო და სხვა ინიციატივები ადამიანის უფლებათა სფეროში და განიხილონ მესამე პირების მიერ მათ წინაშე წამოჭრილი ადამიანის უფლებათა საკითხები;
- უნდა იყვნენ კომპეტენტურები, კონსულტაციები მისცენ პარლამენტის სხვა ორგანოებს ადამიანის უფლებათა საკითხებზე;
- უნდა გააჩნდეთ ძალაუფლება გამოიძახონ პირები და გამოითხოვონ დოკუმენტები და განახორციელონ მისიები.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტის წევრს

თქვენ შეგიძლიათ

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დებულებები შეტანილ იქნეს ეროვნულ კანონმდებლობაში და, თუ შესაძლებელია, მიენიჭოს კონსტიტუციური სტატუსი ისე, რომ გარანტირებული იყოს დაცვის მაქსიმალური ხარისხი ეროვნული კანონმდებლობით;
- პარლამენტისა და საპარლამენტო კომიტეტების წინაშე წარდგენილი კანონპროექტები შესაბამისობაში მოყვანა ქვეყნის მიერ ნაკისრ ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან;
- გაეცნოთ სახელშეკრულებო ორგანოების მუშაობას, მათ რეკომენდაციებსა და სხვა საერთაშორისო ან რეგიონალურ საზედამხედველო მექანიზმებს (იხ. I ნაწილი, მე-5, მე-6 და მე-9 თავები), და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს. საჭიროების შემთხვევაში მიიღეთ შესაბამისი ზომები ახალი კანონპროექტების შემუშავებისათვის;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მთავრობის მიერ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გამოცემული ნორმატიული აქტები შეესაბამოდეს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ხელისუფლების, განსაკუთრებით კი, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, გააცნობიერონ საკუთარი მოვალეობები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად და მონაწილეობა მიიღონ გადამზადების კურსებში;
- ადამიანის უფლებებში უკეთ გათვითცნობიერების მიზნით თქვენ შეგიძლიათ შეგიძლიათ უზრუნველყოთ, რომ ადამიანის უფლებები სასწავლო

პროცესის შემადგენელი ნაწილი გახდეს ქვეყნის სკოლებში.

- უზრუნველყოთ კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის თანახმად ნაკისრი ვალდებულების სათანადო შესრულება.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული დავების სასამართლოს წესით განხილვის ნახალების მიზნით პარლამენტის მიერ განხორციელებული ქმედებები

ბევრ სახელმწიფოში ინდივიდებს არ აქვთ უფლება გაასაჩივრონ მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევები სასამართლოში. პარლამენტებს შეუძლიათ ამგვარი სიტუაციის გამოსნორება ეროვნული კანონმდებლობის მიღებით, რომელიც სასამართლოებს უფლებამოსილებას მიანიჭებს განიხილონ აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებული საჩივრები. პრაქტიკაში, აღნიშნულმა შეიძლება არ მოითხოვოს არსებითი რეფორმის გატარება. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში სასამართლოს გააჩნია შრომით საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვის უფლებამოსილება, იქნება ეს თვითნებური გათავისუფლება, თუ უსაფრთხო სამუშაო პირობების მოთხოვნა. ამ კონტექსტში, ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ცოტა კანონი ითვალისწინებს კონკრეტულად შრომის უფლებას და სამართლიან და ხელსაყრელ სამუშაო პირობებს, როგორც ეს მოცემულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლებში. შესაბამისად ცოტაა იმ მოსამართლეთა ოდენობა, რომლებიც აცნობიერებენ სასამართლო დადგენილების გამოტანისას ისინი ფაქტიურად პაქტში მითითებული ეკონომიკური უფლებების განხორციელებასა და შესრულებას ახდენენ. ასევე, ბევრი სახელმწიფო ახდენს იმ კანონების შესრულებას, რომლებიც ეხება უფასო და სავალდებულო ზოგადი განათლების უფლებას. შესაბამისად, მშობლებს, რომელთა შვილებსაც უარი ეთქვათ განათლების უფლებაზე თვითნებური ან დისკრიმინაციული საფუძვლით, უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება ეროვნული ადმინისტრაციის ან სასამართლო ორგანოების წინაშე. არანაირ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს განათლების უფლებასთან დაკავშირებით საჩივრების სასამართლოში შეტანა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება ამ უფლების სასამართლოს წესით განხილვის შესაძლებლობა.

საპარლამენტთაშორისო საბჭო „მოუწოდებს ყველა პარლამენტსა და მათ წევრებს გადადგან ნაბიჯები ადგილობრივ დონეზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსაკუთრებული უფლებამოსილების შესახებ კანონმდებლობა მიღებულ იქნეს და, რომ ეროვნული კანონმდებლობის დებულებები და წესები შესაბამისობაში მოვიდეს ამ (საერთაშორისო) სამართლებრივი აქტების ნორმებთან და სტანდარტებთან“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 50-ე საიუბილეო დღესთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია,
კაირო, 1997 წლის სექტემბერი, მე-3 პუნქტის „ii“ ქვეპუნქტი

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRIs)

უკანსკნელი 20 წლის განმავლობაში საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ საჭიროა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამის საშუალებას იძლევა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინ-

საკანონმდებლო პროცესი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები: მაგალითი

ფინეთში საკანონმდებლო პროცესი – კერძოდ კი, კონსტიტუციური კანონის საპარლამენტო კომიტეტის მუშაობა – კანონპროექტების შემუშავებისას საერთაშორისო სტანდარტების (მათმ შორის სახელშეკრულებო ორგანოების გამოცემები) გამოყენების ნათელი მაგალითია. ამგვარი სისტემა მოცემულია კონსტიტუციის (2000 წ.) 22-ე ნაწილში, რომელიც აცხადებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მოახდინონ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა და ადამიანის (საერთაშორისო) უფლებათა დაცვის გარანტირება", ხოლო 74-ე ნაწილის თანახმად, კონსტიტუციური კანონის კომიტეტი გამოსცემს დასკვნებს საკანონმდებლო ინიციატივისა და მის წინაშე წარდგენილი სხვა საკითხების კონსტიტუციურობის თაობაზე, ისევე როგორც მათ დამოკიდებულებაზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან".

კონსტიტუციური კანონის კომიტეტის მანდატის შესაბამისად უნდა მოხდეს იმის დადგენა რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი კანონპროექტები კონსტიტუციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. გაკეთებული დასკვნები მიეწოდება პარლამენტსა და სხვა დაწესებულებებს. კომიტეტს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მოწვეული ექსპერტებიც.

სახელშეკრულებო ორგანოების დასკვნები, განსაკუთრებით ეს ეხება ადამიანის უფლებათა კომიტეტს, ფართოდ გამოიყენება ფინეთის საკანონმდებლო პროცესში და ძირითადად მოიცავს ინდივიდუალურ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და ზოგად კომენტარებს, ასევე დასკვნით მიმოხილვებს, ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპებსა და სხვა მასალებს. ზოგიერთ შემთხვევაში სახელშეკრულებო ორგანოების წყაროზე მითითება მომდინარეობს პირდაპირ საერთაშორისო ან კონსტიტუციური სამართლებრივი ვალდებულებიდან, რომელიც უნდა შესრულდეს. აღნიშნული შეიძლება გაკეთდეს სახელშეკრულებო ორგანოების კონკრეტული გადაწყვეტილებების საპასუხოდ, რომ დარღვევას ჰქონდა ადგილი, ან აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს კონსტიტუციური მოთხოვნიდან, რაც ადამიანის უფლებათა დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას გულისხმობს.[1]

1 საერთაშორისო სამართლის ასოციაცია (ILA), *კომიტეტის დასკვნითი ანგარიში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ასოციაციის პრაქტიკის შესახებ ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების მუშაობაზე გაეროს ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების დასკვნების გათვალისწინებით.*

პარიზის პრინციპები

1993 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო პრინციპთა ერთობლიობა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების შექმნის საკითხს.(იხ. შემდეგი გვერდი). ეს უკანასკნელი „პარიზის პრინციპები"-ს სახელით არის ცნობილი და აწესებს მინიმალურ სტანდარტებს ამგვარი ინსტიტუტების როლისა და ფუნქციონირების შესახებ. ამ პრინციპების თანახმად, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები ვალდებულნი არიან:

- იყვნენ დამოუკიდებელნი, და მათი დამოუკიდებლობა გარანტირებულ იყოს ან კანონით ან საკონსტიტუციო დებულებებით;
- იყვნენ პლურალურები მათ როლსა და წევრობაში;
- ჰქონდეთ მაქსიმალურად ფართო მანდატი;
- ჰქონდეთ გამოძიების სათანადო უფლებამოსილება;
- უზრუნველყონ რეგულარული და ეფექტური ფუნქციონირება;
- გააჩნდეთ სათანადო დაფინანსება;
- ხელმისავდომნი იყვნენ ფართო საზოგადოებისათვის.

სტიტუტების (NHRIs) დაფუძნება. მაშინ როდესაც ეროვნული ინსტიტუტის ქვეშ იგულისხმება მრავალი ორგანო, რომელიც პირობები სამართლებრივი სტატუსის, შემადგენლობის, სტრუქტურის, ფუნქციებისა და მანდატის მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს, ყველა ეს ორგანო ყალიბდება მთავრობის მიერ მათი დამოუკიდებლად ფუნქციონირების მიზნით – როგორც სასამართლო ორგანო – ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს ხშირად უწოდებენ ადამიანის უფლებათა კომისიებს, რომელთაც უნდა ჰქონდეს შემდეგი უფლებამოსილება:

- წარუდგინოს რეკომენდაციები, წინადადები და ანგარიშები მთავრობას ან პარლამენტს ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით;
- ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობას;
- მიიღოს და იმოქმედოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე შემოსულ ინდივიდუალურ ან ჯგუფურ საჩივრებზე;
- ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების რატიფიცირებისა და იმპლემენტაციის პროცესს; განახორციელოს ანგარიშგების

პროცედურა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების თანახმად;

- ადამიანის უფლებათა შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერება და ადამიანის უფლებათა სფეროში კვლევის წარმართვა;
- თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და სხვა ქვეყნების რეგიონალურ ინსტიტუტებთან, ეროვნულ ინსტიტუტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ადამიანის უფლებათა ეროვნილ ინსტიტუტსა და პარლამენტებს შორის ურთიერთობას დიდი პოტენციალი გააჩნია ადამიანის უფლებათა დაცვისა სფეროში. ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმზე სახელწოდებით ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და კანონმდებლები: ეფექტური ურთიერთობების ჩამოყალიბება", რომელიც გაიმართა აბუჯაში, ნიგერია, 2004 წლის 22-25 მარტს.[13]

ზემოთ ხსენებულ სიმპოზიუმზე შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელო პრინციპები ეროვნულ ინსტიტუტებსა და პარლამენტებს შორის ურთიერთობის განმტკიცების შესახებ, რომლებიც ცნობილია როგორც აბუჯას პრინციპები.

ქვეყნები, რომლებმაც დააფუძნეს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები

ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო მაკოორდინებელი კომიტეტის მიერ აკრედიტებული ეროვნული ინსტიტუტები:

აზია და წყნარი ოკეანე:	ავსტრალია, ფიჯი, ინდოეთი, ინდონეზია, მალაიზია, მონღოლეთი, ნეპალი, ახალი ზელანდია, ფილიპინები, კორეის რესპუბლიკა, შრი-ლანკა, ტაილანდი.
აფრიკა:	ალჟირი, კამერუნი, განა, მალავი, მაურიტიუსი, მაროკო, ნიგერია, რუანდა, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა, ტოგო, უგანდა.
ამერიკა:	არგენტინა, ბოლივია, კანადა, კოლუმბია, კოსტარიკა, ეკვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, მექსიკა, პანამა, პარაგვაი, პერუ, ვენესუელა.
ევროპა:	ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, დანია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი.

13 სიმპოზიუმი ორგანიზებულ იქნა ნიგერიის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის, ნიგერიის წარმომადგენელთა პალატის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ნიგერიისა და ბრიტანეთის საბჭოს სამართლებრივი წყაროების კონსორციუმის მიერ, გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

სხვები:

აზია და წყნარი ოკეანე:	ჰონგ-კონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, ირანის ისლამურ რესპუბლიკა.
აფრიკა:	ბენინი, ბურკინა ფასო. ჩადი, მადაგასკარი, ნამიბია, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, ზამბია.
ამერიკა:	ანტიგუა და ბარბუდა, ბარბადოსი.
ევროპა:	ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთი, სლოვენია და გაერთიანებული სამეფო.



აბუჯას პრინციპებიდან გამომდინარე რეკომენდაციები პარლამენტის წევრებისათვის

- პარლამენტებმა უნდა მიიღონ სათანადო საკანონმდებლო სისტემა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის დაფუძნების მიზნით, პარიზის პრინციპების შესაბამისად.

- პარლამენტებმა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებმა ეფექტური სამუშაო ურთერთობები უნდა ჩამოაყალიბონ ადამიანის უფლებათა უკეთ დაცვის მიზნით.

- პარლამენტებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული ინტიტუტები ადეკვატური საშუალებებით საკუთარ ეფექტური ფუნქციონირების მიზნით. პარლამენტებმა აღნიშნული საშუალებები ფაქტობრივად ხელმისაწდომი უნდა გახადონ ინცტიტუტებისათვის.

- ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ყოველწიური ანგარიშებსა და სხვა მოხსენებებზე – და მთავრობის წარმოდგენილ პასუხზე – პარლამენტმა უნდა იმსჯელოს.

- თითოეულ საპარლამენტო კომიტეტს უნდა ჰქონდეს ეროვნულ ინსტიტუტზე ზედამხედველობისა და დახმარების კონკრეტული პასუხისმგებლობა. შედარებით პატარა ქვეყნებში ეს ფუნქცია შეიძლება შეითავსოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა.

- ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის წევრები მოწვეულ უნდა იქნენ სათანადო საპარლამენტო კომიტეტებში ყოველწიური ანგარიშებისა და სხვა მოხსენებების განხილვის მიზნით.

- პარლამენტის წევრებმა უნდა მოიწვიონ ეროვნული ინსტიტუტის წევრები რეგულარულ შეხვედრებზე საერთო ინტერესებზე საუბრის მიზნით.

- პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული ინსტიტუტის მუშაობის შესასწავლად საკმარისი დრო არის გამოყოფილი.

- პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამომრჩევლები გაცნობილ არიან ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის მუშაობას.

- პარლამენტის წევრებმა ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ მთავრობის შემოთავაზებები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის მუშაობაზე.

- პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის რეკომენდაციები იქნეს გათვალისწინებული.

ომბუდსმენის ოფისი

ომბუდსმენის ოფისი არის ეროვნული ინსტიტუტი, რომელსაც ბევრ ქვეყანაში შეხვდებით. ომბუდსმენის ოფისის საქმიანობასა და ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის საქმიანობას შორის არსებობს გარკვეული თანხვედრა, მაგრამ ომბუდსმენის როლი ხშირ შემთხვაში უფრო შეზღუდულია, რაც ზოგადად მოიცავს საჯარო ადმინისტრირებისას სამართლიანობისა და კანონიერების უზრუნველყოფას. როგორც წესი ომბუდსმენი ანგარიშებს პარლამენტს უგზავნის. მხოლოდ ადამიანის უფლებათა სპეციფიკური მანდატის მქონე ომბუდსმენს შეიძლება ეწოდოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი.

ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა

მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება ადამიანის უფლებათა ყველა სტანდარტის ზედმიწევნით შესრულება. უფრო მეტიც, ვინაიდან თითოეულმა ქვეყანამ ადამიანის უფლებათა პოლიტიკა უნდა განავითაროს მისი სპეციფიკური პოლიტიკური, კულტურული, ისტორიული და სამართლებრივი გარემოებების ჭრილში, ამ კუთხით საერთო მიდგომის გამოყენება შეუძლებელია. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ვენის კონფერენციამ, რომელიც 1993 წელს გაიმართა, მოუწოდა სახელმწიფოებს შეემუშავებინათ ადამიანის უფლებათა იმგვარი ეროვნული სამოქმედო გეგმა ადამიანის უფლებათა სტრატეგიის განვითარების მიზნით, რომელიც შეეფერებოდა მათ ქვეყნებში არსებულ სიტუაციებს. ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღება ნამდვილად ეროვნული მისწრაფება უნდა იყოს, თავისუფალი პარტიული თუ პოლიტიკური შეხედულებებისაგან. ეროვნული სამოქმედო გეგმა მხარი უნდა დაუჭიროს მთავრობამ.

ეროვნული გეგმის მთავარი ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და დაცვა. გეგმაში ზუსტად უნდა აისახოს ქვეყანაში არსებული საჭიროებები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხი; და ასევე უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელო პრინციპებს მთავრობის წარმომადგენლებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, პროფესიული ჯგუფებისათვის, მასწავლებლებისა და ადვოკატებისათ-

ვის და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის მებრძოლ სამოქალაქო საზოგადოების წევრებისათვის. მან ასევე ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების რატიფიცირებას. აგრეთვე მნიშვნელოვანიას საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებათა სტანდარტების გაცნობა და ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე უნდა გამახვილდეს. ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი განვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ გამოცემულ *წიგნში ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმები"*, ჯროფესსიონალ თრაინინგ შერიეს No. 10, რომელსაც იხილავთ შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/english/about/publications/training.htm.

ეროვნული სამოქმედო გეგმა მოითხოვს მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ძალისხმევას. ქვემოთ მოცემულია რიგი ფაქტორებისა, რომლებსაც პირდაპირი პოზიტიური გავლენა აქვს მის ეფექტურობაზე:

- მტკიცე პოლიტიკური თანადგომა;
- გამჭვირვალე და ერთიანი დაგეგმარება;
- ადამიანის უფლებათა სიტუაციის ყოვლისმომცველი შეფასება;
- გადასაჭრელ პრობლემებისათვის რეალისტური პრიორიტეტის მინიჭება, და მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა;
- მონიტორინგისა და შეფასებისათვის ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმი და ძლიერი ერთიანი მექანიზმები;
- ადეკვატური თანხების გამოყოფა.

[illegible]

ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის დაფუძნება: მაგალითი

ლიტვაში პარლამენტმა, ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტმა და გაეროს განვითარების პროგრამამ ერთობლივად განავითარეს ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა. ‍ პროცესი სამი ფაზისაგან შედგებოდა. პირველ ფაზაში მოხდა პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა და ექსპერტებმა შეისწავლეს ლიტვაში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა კუთხით. მეორე ფაზაში კვლევა დამტკიცდა ეროვნულ კონფერენციაზე და რეგიონალურ სიმპოზიუმზე. ბოლო ფაზაზე გეგმა იქნა შემუშავებული ჩატარებული კვლევისა და ფართო კონსულტაციების საფუძველზე. გეგმის ირგვლივ დებატები გაიმართა საპარლამენტო კომიტეტში, ხოლო მისი დამტკიცება მოხდა 2002 წლის 7 ნოემბერს. პროცესის შემდგომმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის მონაწილეობა აღმოჩნდა გადამწყვეტი, რამდენადაც ამ ფაქტმა გამოიწვია საზოგადოების დაინტერესება ამ გეგმით.

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტის წევრს

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ადამიანის უფლებათა მექანიზმების მნიშვნელობის გათვალისწინებითა და საზოგადოების ცოდნის ამაღლების მიზნით, თქვენ შეგიძლიათ

- პარლამენტში ადამიანის უფლებათა სპეციალიზირებული საპარლამენტო კომიტეტის შექმნა;
- ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ჩამოყალიბების ხელშეწყობა პარიზის პრინციპების შესაბამისად, და სათანადო ნაბიჯების გადადგმა აბუჯას სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის მიზნით (იხ. 42-ე და 44-ე ყუთები);
- ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის განვითარების ინიციატივით გამოსვლა. თუ ამგავარი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, პარლამენტმა მონაწილეობა მიიღოს მომზადების, პროექტების შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპში.

საზოგადოებრივი აზრის მობილიზება

პარლამენტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის მობილიზება. პოლიტიკური დებატები ხშირად ახდენს ფოკუსირებას ისეთ საკითხებზე როგორებიცაა გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა, უმცირესობათა უფლებები ან სოციალური საკითხები. პარლამენტის წევრები მუდამ უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს საზოგადოებრივ აზრზე მათმა საჯარო გამოსვლამ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ზოგადი ცნობიერების გაზრდის მიზნით, პარლამენტის წევრებმა უნდა იმუშავონ სხვა ეროვნულ სუბიექტებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის უფლებათა საქმიანობაში, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები.

„არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა პროფკავშირები, ეკლესიები და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები წარმოადგენენ ინფორმაციის შეუფასებელ წყაროს პარლამენტის იმ წევრთათვის, რომლებსაც ძალიან ქვეყანაში არ გააჩნიათ სათანადო საშუალებები და დახმარება, რათა განახორციელონ მთავრობის პოლიტიკის ეფექტური მონიტორინგი ადამიანის უფლებათა სფეროში.

საპარლამენთაშორისო კავშირის სიმპოზიუმი თემაზე „პარლამენტი: ადამიანის უფლებათა დამცველი“
ბუდაპეშტი, 1993 წლის მაისი

რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც პარლამენტის წევრს

თქვენ შეგიძლიათ:

- ხელი შეუწყოთ დებატების გამართვას ადამიანის უფლებათა საკითხებზე;
- თქვენს პოლიტიკურ პარტიაში გამართოთ დებატები ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებზე;
- ადამიანის უფლებათა საკითხებზე ცოდნის გაღრმავების მიზნით ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული კომპანიების ორგანიზება;
- ტელევიზორში ან რადიოში ან საჯარო შეხვედრებზე გამართულ დებატებში მონაწილეობის მიღება, ან ადამიანის უფლებათა საკითხებზე ინტერვიუების მიცემა;
- ჟურნალ-გაზეთებისათვის ადამიანის უფლებათა საკითხებზე სტატიების დაწერა;
- საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებათა სხვა სუბიექტებთან და პოლიტიკურ პარტიებთან შეუმდგომლობა და, სადაც საჭიროა, ადამიანის უფლებათა საკითხებზე კომუნიკაციური სტრატეგიის განვითარება;
- ადამიანის უფლებათა საკითხებზე სიმპოზიუმების, სემინარების, შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან ხელშეწყობა;
- ადამიანის უფლებათა ადგილობრივი კომპანიების ხელშეწყობა;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის (რომელიც აღინიშნება 10 დეკემბერს) გამოყენება ადამიანის უფლებებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილების მიზნით.

საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობის მიღება

პარლამენტებსა და მათ წევრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვისა და ხელშეწყობის საქმეში. როგორც ადრე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა საერთაშორისო თანამეგობრობის ლეგიტიმური ზრუნვის საგანია და, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის უფლებათა მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ სამართლებრივი ინტერესი სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. სახელმწიფოთაშორისო საჩივრების პროცედურის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებებით (იხ. მე-5 თავი), სახელმწიფოს შეუძლია საერთაშორისო ორგანოების წინაშე დააყენოს სხვა სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების

დარღვევის საკითხი. პარლამენტებს, მათი ადამიანის უფლებათა ორგანოების მეშვეობით, შეუძლიათ წარმოჭრან ადამიანის უფლებათა საკითხები, სადაც მოცემული იქნება შესაძლო დარღვევები.

პარლამენტებსა და მათ წევრებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს მათთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფით. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მუშაობასა და ახალი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების შემუშავებაში, რომელთა რატიფიცირებაც მათ სავარაუდოდ მოუწევთ. ჩვენს გლობალიზებულ მსოფლიოში, საერთაშორისო დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს უფრო დიდი გავლენა აქვს ეროვნულ პოლიტიკაზე და ზღუდავს ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებას. უფრო ხშირად ძირითადი ეკონომიკური გადაწყვეტილებების, რომლებიც ეხება მოქალაქეთა სიცოცხლეს, გატანა მათი ქვეყნის გარეთ ხდება საერთაშორისო ორგანობის მიერ, რომლებიც არ არიან ანგარიშვალდებულნი, მაგრამ გავლენა აქვთ სახელმწიფოზე, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა, კერძოდ კი, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა განხორციელება.

შესაბამისად, არსებობს ამ ინსტიტუტების დემოკრატიზაციის" საჭიროება, თუ ქვეყნებს სურთ შეინარჩუნონ ადამიანის უფლებათა, კერძოდ კი, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ამიტომაც, პარლამენტებმა და მათმა წევრებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ინსტიტუტების მიერ გამართულ მსჯელობებში.



საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები, ადამიანის უფლებები და სახელმწიფოს ვალდებულებები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოსცა რამდენიმე ანგარიში რომელიც ეხება ადამიანის უფლებებსა და ვაჭრობას; კერძოდ მასში გამახვილებულია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ, მომსახურეობის შესახებ ზოგადი შეთანხმება და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე; ანგარიშში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრმა მოახდინა სულ მცირე ერთი ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება; წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ მოიხდინა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის და ერთის გამოკლებით ყველამ მოახდინა ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. აქედან გამომდინარე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ საერთაშორისო წესები არ მოდიო-

დეს წინააღმდეგობაში ზევით აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად ნაკისრ ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან.

ამიტომაც, ვაჭობის კანონმდებლობა და პოლიტიკა ფოკუსირებას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე, ბაზრის ან ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ ასევე ჯანმრთელობის სისტემებზე, განათლებაზე, წყლის მიწოდებაზე, უსაფრთხო კვებაზე, სამუშაოზე, პოლიტიკურ პროცესებზე და ა.შ." სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ ავტონომიის დაკარგვამ, რაც მაშინ ხდება, როდესაც ისინი ვაჭრობასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს გააფორმებენ, არ შეამციროს მათ შესაძლებლობები გაატარონ ეროვნული განვითარების პოლიტიკა". ყოველივე ეს მოითხოვს ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის საფუძვლიან შესწავლას, ვინაიდან იგი ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე. აქედან გამომდინარე ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ადამიანის უფლებათა სარგებლობაზე პოტენციური გავლენის მუდმივი შეფასება წარმოადგენს რეგრესიული ღონისძიების განხორციელების თავიდან აცილების ერთადერთ ძირითად საშუალებას".[1]

მსგავსადვე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პაქტის №14 ზოგადი კომენტარი ჯანმრთელობის უფლების შესახებ განმარტავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ჯანმრთელობის უფლებას მიექცეს სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ საერთაშორისო შეთანხმებებში და გადადგან ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნულმა სამართლებრივმა აქტებმა უარყოფითად არ იმოქმედოს ჯანმრთელობის უფლებაზე. ასევე, მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებს ჯანმრთელობის უფლების განსახორციელებლად სათანადო ზომები მიიღონ ..." (39-ე პუნქტი).

1 E/CN.4/Sub.2/2002/9, მე-7, მე-9 და მე-12 პუნქტები.

თავი 12:
რა უნდა იცოდეს პარლამენტარმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

სიცოცხლის უფლება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-3 მუხლი
ყ ველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და
პირადი ხელშეუხებლობის უფლება.“

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა.
ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად
წაერთვას სიცოცხლე.“

სიცოცხლის უფლება ყველაზე ფუნდამენტური ადამიანის უფლებაა და იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს გადახვევას თვით ომისა თუ საგანგებო მდგომარეობის დროს. თუმცა წამებისა თუ მონობის აკრძალვისაგან გასხვავებით, სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. სამხედრო პირის სიკვდილი, რომელიც გამოწვეულია ომის დროს განხორციელებული კანონიერი მოქმედებების“ შედეგად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით, არ წარმოადგენს სიცოცხლის უფლების დარღვევას. ამის მსგავსად, იმ შემთხვევაში, თუკი სამართალდამცველი პირს სიცოცხლეს წაართმევს, ასეთმა აქტმაც, შესაძლოა, არ გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების დარღვევა. მაგალითად, როდესაც სიკვდილის გამომწვევი მიზეზი ძალის გამოყენებაა, რომელიც აბსოლუტურად აუცილე-

ბელი იყო იმგვარი კანონიერი მიზნებისათვის, როგორიცაა თავდაცვა ან მესამე პირის დაცვა, კანონიერი დაკავებისათვის, ან ღონისძიებათა განხორციელებისას კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად ან აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად. თუ რამდენად აბსოლუტურად აუცილებელი იყო გატარებული ღონისძიება ადგენს კომპეტენტური სასამართლო ორგანო, კონკრეტული საქმის პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით; ხოლო საბოლოო მეთვალყურეობას საზედამხედველო ორგანო ახორციელებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის უფლება არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად იმ სამართლებრივ სისტემებში, სადაც ნებადართულია სიკვდილით დასჯა (იხ. ქვემოთ).



სიცოცხლის უფლება და საერთაშორისო იურისპრუდენცია

1995 წელს საქმეზე *McCann and others v. the United Kingdom* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედრო ოპერაცია, რომლის დროსაც ტერორიზმში ეჭვმიტანილი სამი პირი – რომლებიც, ბრიტანელი ჯარისკაცების მტკიცებით, უნდა დაეკავებინათ – სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი, არასათანადოდ იყო დაგეგმილი და ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლების დარღვევას.

მრავალ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა და ინტერ-ამერიკულმა სასამართლოებმა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინეს, რომ სასამართლო ბრძანების გარეშე და თვითნებურად გამოტანილი გადაწყვეტილებები, რამაც გამოიწვია პირის სიკვდილი, წარმოადგენს სიცოცხლის უფლების დარღვევას.

დამატებით, მას შემდეგ რაც ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ უმნიშვენლოვანეს საქმეზე 1988 წელს *Velбsquez Rodrнguez v. Honduras* გამოიტანა გადაწყვეტილება, დადგინდა, რომ ძალადობრივი გაუჩინარებების პრაქტიკა წარმოადგენს სიცოცხლის უფლების დარღვევას, ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის მას.

სიცოცხლის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები

ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებები, სიცოცხლის უფლება არა მხოლოდ იცავს ინდივიდებს ხელისუფლების ორგანოთა წამომადგენლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, არამედ ავალდებულებს სახელმწიფოებს, გადადგან **პოზიტიური ვალდებულებები,** რათა დაცული იყოს ადამიანის სოცოცხლის უფლებაა, აღიკვეთოს ძალადობრივი გაუჩირება და მსგავსი უკანონო ქმედებები, რომლებიც ჩადენილია გასამხედროებული დანაყოფის, ორგანიზებული დანაშაულის ან კერძო პირების მიერ. სახელმწიფოებმა ამგვარი ქმედებები უნდა გამოაცხადოს უკანონოდ და მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა.

საქმე Osman v. the United Kingdom (1998 წ.)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა აჰმედ ოსმანის ნათესავების საჩივარი (იგი მოკლა მისი ვაჟის სკოლის მასწავლებელმა), რომელშიც ისინი აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა პირის სიცოცხლის უფლების დარღვევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემოთ მოყვანილი ორი პირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, რათა დასაბუთებულ იქნეს პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს პირის დაცვა, რომლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა მესამე პირის მიერ სისხლისსამართლებირივი ქმედების შედეგად, დაარღიეს პოზიტიური ვალდებულება დაეცვათ მსხვერპლის სიცოცხლის უფლება;

ა) ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან წინასწარ უნდა სცოდნოდათ, რომ მსხვერპლის სოცოცხლეს ემუქრებოდა რეალური საფრთხე მესამე პირის სისხლის-სამართლებრივი ქმედების შედეგად; და

ბ) ხელისუფლების ორგანოებმა ვერ გაატარეს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საფრთხის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები.

ამ საქმეში სასამართლომ სიცოცხლის უფლების დარღვევა არ დაადგინა, რადგან განმცხადებლებმა ვერ აჩვენეს, რომ პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ოსმანის ოჯახის წევრთა სიცოცხლეს რალური საფრთხე ემუქრებოდა სკოლის მასწავლებლის მხრიდან, ან ის ზომები, რომლებიც პოლიციას უნდა მიეღო, არსებით შედეგებამდე მიგვიყვანდა.

შესაბამისად, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება უზრუნველყონ შემდეგი:

- სხვა პირის მიერ სიცოცხლის ხელყოფის მიზნით თავდასხმა არის დანაშაული, რაც უნდა ითვალისწინებდეს სასჯელს სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად;

- ყველა დანაშაულებრივ ქმედებას უნდა მოჰყვეს სრულყოფილი გამოძიება დამნაშავეთა დადგენისა და მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით;

- ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული, რათა აღიკვეთოს და დაისაჯოს სამართლადამცავების მიერ სიცოცხლის თვითნებურად ხელყოფა;

- კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ეფექტურ პროცედურებს იმ პირთა საქმეების გამოსაძიებლად, რომლებიც დაექვემდებარენ ძალადობრივ გაუჩინარებას.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფოები ხშირად სი-

ცოცხლის უფლებას ძალიან ვიწროდ განმარტავენ და, რომ მათი ვალდებულება დაიცვან და შეასრულონ იგი უფრო ფართოა, ვიდრე უბრალოდ მკვლელობა, განადგურება და სიცოცხლის მოსპობა. მე-6 ზოგად კომენტარში კომიტეტმა განაცხადა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა შემცირებულ იქნეს ბავშვთა სიკვდილიანობა და გაზარდოს სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკი, განსაკუთრებით კი იმგვარი ღონისძიებების გატარებით, რაც აღმოფხვრავს საკვების უკმარისობისა და ეპიდემიების არსებობას" – რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება გაატარონ ყველა შესაძლო ღონისძიება ცხოვრების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით – და რომ მათ გააჩნიათ უზენაესი მოვალეობა აღკვეთონ ომი, გენოციდის აქტები და მასიური ძალადობის სხვა აქტები, რომლებიც ინვევს სიცოცხლის თვითნებურ ხელყოფას".

ამ ფონზე პარლამენტარებს შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ სიცოცხლის უფლების რეალიზებაში უზრუნველყოფენ რა

- შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც კვების, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების უფლებებთან დაკავშირებული პირობებს გააუმჯობესებენ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სიცოცხლის უფლების დაცვას;

- მთავრობის მიერ იმგვარი პოლიტიკის გატარებას, რაც ითვალისწინებს პოლიციისა და ციხის თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სიცოცხლის უფლების დარღვევის შესაძლებლობას;

- ისეთი ღონისძიებები გატარებას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას და გაზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკს, განსაკუთრებით კი საკვების უკმარისობისა და ეპიდემიების აღმოფხვრით.

სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები

სიკვდილით დასჯა

სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებული საკითხი პირდაპირ კავშირშია სიცოცხლის უფლებასთან. ამ საკითხთან დაკავშირებულ სამართლებრივ ისტორიასა და შესაბამის დისკუსიებს მრავალი მსგავსება გააჩნია ორი სხვა პრაქტიკის – მონობა და წამება – ისტორიასა და დისკუსიებთან. მონობა, რომელიც მთელი ისტორიის განმავლობაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო მთელს მსოფლიოში, კანონის ძალით მხოლოდ მე-19 საუკუნეში გაუქმდა, ხოლო წამება რეგულარულად გამოიყენებოდა როგორც სისხლის-სამართლებრივი პროცედურის ნაწილი ვიდრე არ დაედო სათავე ევროპულ ფილოსოფიურ მოძრაობას (მე-18 საუკუნე). მაშინ როდესაც ამჟამად ორივე პრაქტიკა აბსოლუტურად აკრძალულია ჩვეულებითი და სახელშეკრულებო საერთაშორისო სამართლის მიხედვით, შედარებით ნელი პროგრესი შეინიშნება სიკვდილით დასჯის გაუქმების მხრივ.

სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით არსებული არგუმენტები და კონტრარგუმენტები

სიკვიდილით დასჯის გამამართლებელი არგუმენტები	კონტრარგუმენტები
საშუალება	მტკიცებულებებით ვერ იქნა გამყარებული სიკვდილით დასჯის დამაშინებელი ეფექტი
დასჯა და სამართლიანობა მსხვერპლისათვის	მართლმსაჯულების თანამედროვე სტანდარტები უპირატესობას ანიჭებს დამნაშავეთა რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას
გასაჩივრების შეზღუდვა და სასამართლოს (ჰაბეას ცორპუს) რეფორმა	ხსენებული ზრდის სასამართლო შეცდომისა და უდანაშაულო პირების დასჯის საფრთხეს
საერთაშორისო სამართლის თანახმად სიცოცხლის უფლებიდან განსაკუთრებული გამონაკლისი	ხსენებული წაახალისებდა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი დასჯის ფორმას

1984 წელს გაერთიანებული ერების ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო და გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ დაამონმა[14] სიკვდილმისჯილთა დამცავი მექანიზმები (ხანდახან ვხვდებით როგორც ECOSOC-ის დამცავ მექანიზმებს"). თუმცა ეს დამცავი მექანიზმები – რომლებიც ფართოდ ასახავს სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის დებულებებს – არის მინიმალური სტანდარტები; მათი დარღვევა დღესაც სახეზეა. ქვემოთ მოცემულია გარკვეული შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

დამნაშავეთა კონკრეტული კატეგორიები უნდა გათავისუფლდნენ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებისაგან. აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

- *არასრულწლოვნები: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი და ბავშვთა უფლებების კონვენცია* ნათლად აცხადებს, რომ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს 18 წლამდე ასაკის პირებმა. აღნიშნული წესი გახდა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილი;

- *უფროსი ასაკის პირები:* არც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის და არც ზემოთ ხსენებული დამცავი მექანიზმები არ ითვალისწინებს

14 გენერალური ასამბლეის 118/39 რეზოლუცია, 1984 წლის 14 დეკემბერი.

ამგვარ გათავისუფლებას, თუმცა 1988 წელს გაერთიანებული ერების დანაშაულის აღკვეთისა და კონტროლის კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, რომ წევრ სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ რჩევა, რათა დადგენილ იქნეს მაქსიმალური ასაკი მისჯასა თუ აღსრულებაზე; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი განმარტავს, რომ ის პირები, რომლებიც დანაშაულის ჩადენისათვის არიან 70 წელზე მეტი ხნის, არ უნდა დაექვემდებარონ სიკვდილით დასჯას;

- *ორსული ქალები:* დამცავი მექნიზმები აცხადებს, რომ სიკვდილით დასჯის აღსრულება დაუშვებელია ორსული ქალების მიმართ, რითაც დაცულია დაუბადებელი ბავშვი (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მე-6 მუხლის შესაბამისად);

- *სულიერად დაავადებული პირები* – პრინციპი, რომლის მიხედვითად სულიერად დაავადებულ პირებს არ უნდა მიესაჯოთ ან მათ მიმართ დაუშვებელია სასიკვდილო განაჩენის გამოტანა – აღნიშნული არ მოიპოვება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში და ადამიანის უფლებათა რეგიონალურ ხელშეკრულებებში. თუმცა ეს საკითხი მოცემულია ზემოთ ხსენებულ დამცავ მექანიზმებში და იცავს სიკვდილმისჯილ პირთა უფლებებს.

უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს პროცედურულ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება სიკვდილით დასჯის ნებისმიერ შემთხვევაში:ჭსამართლიანი სასამართლოს გარანტიები, გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებელობა და შეწყალება. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლა დასაშვებია ყველა შემთხვევაში. შეწყალებამ შეიძლება შეაჩეროს ან გააუქმოს სიკვდილით დასჯის განაჩენი – მაგალითად, იგი შეიძლება შეიცვალოს სამუდამო პატიმრობით – და გამოყენებულ იქნეს შეცდომების გამოსასწორებლად, მძიმე სასჯელის შესარბილებლად ან სისხლის-სამართლებრივი დებულებების კომპენსაციისათის, რომლებიც შესაძლოა არ იძლეოდეს შესაბამისი ფაქტორების განხილვის შესაძლებლობას. ყველა სიკვდილმისჯილის უფლება შეწყალების თაობაზე ნათლად არის გარანტირებული ადამიანის უფლებათა საერთაშირისო სამართლის მიხედვით.

მაშინ როდესაც ქვეყნის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა არ არის გაუქმებული, სასჯელის ეს უმაღლესი ზომა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევებში და უნდა განისაზღვროს პროპორციულობის პრინციპის გათვალიწინებით. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მე-6 მუხლში ნახსენებია „ყველაზე მძიმე დანაშაული" და ზემოხსენებული დამცავი მექანიზმების თანახმად, „ყველაზე მძიმე დანაშაულის" დეფინიცია, რომელიც სიკვდილით დასჯას ექვემდებარება, „არ უნდა გასცდეს განზრახ ჩადენილ დანაშაულებს, რასაც მოჰყვა სიკვდილი ან სხვა სახის განსაკუთრებით მძიმე შედეგი". აღნიშნული შეზღუდვა შესაბამისობაში მოდის სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების ამოცანასთან. როგორც ეს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბელამ 1971 წელს დაადასტურა, სიცოცხლის უფლების სრული გარანტირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იმ დანაშაულთა რაოდენობა, რისთვისაც გამოიყენება სივკდილით დასჯა, პროგრესულად იზღუდება, იმის გათვალისწინებით,

რომ ყველა ქვეყანაში არსებობს მისი გაუქმების სურვილი".[15]

მოძრაობა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისათვის, როდესაც შემუშავდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, მრავალ ქვეყანაში მაინც გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-6 მუხლი და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლი უშვებს სიცოცხლის უფლების პრინციპიდან გამონაკლის სიკვდილით დასჯის შემთხვევაში. თუმცა უკანასკნელ პერიოდში ჩნდება ტენდენცია რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გაუქმება, და ამას ადგილი აქვს განსაკუთრებით ევროპასა და ლათინურ ამერიკაში.

სიკვდილით დასჯის გაუქმება ევროპაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმი, რომელიც 1983 წელს იქნა მიღებული და რომლის რატიფიცირებაც მონაკოსა და რუსეთის ფედერაციის გარდა ევროპის საბჭოს ყველა სახელმწიფომ მოახდინა, კრძალავს სიკვდილით დასჯის გამოყენებას მშვიდობიან დროს, ხოლო ევროპული კონვენციის მე-13 დამატებითი ოქმი, რომელიც 2002 წელს იქნა მიღებული, ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის აბსოლუტურ აკრძალვას ევროპაში (თვით ომის დროსაც კი). მას შემდეგ რაც სიკვდილით დასჯის გაუქმება იქნა მიღებული როგორც ევროგაერთიანებისა და ევროპის საბჭოს პოლიტიკის ნაწილი (და ახალი წევრებისათვის როგორც ორგანიზაციაში მიღების პირობა), შესაძლებელია, რომ ევროპა დღესდღეისობით განიხილებოდეს, როგორც სიკვდილით დასჯისაგან თავისუფალი ზონა.

ამერიკასა და მთელს მსოფლიოში სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

მსგავსი განვითარებები შეინიშნება ამერიკასა და ასევე მთელი მსოფლიო მაშტაბით. 1990 წელს ამერიკის სახელმწიფოთა კავშირმა მიიღო ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით მხოლოდ რვა სახელმწიფომ (ბრაზილია, კოსტა რიკა, ეკვადორი, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, ურუგვაი და ვენესუელა) მოახდინა მისი რატიფიცირება. ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი (1989წ.), რომელიც მიზნად ისახავს სიკვდილით დასჯის საყოველთაო გაუქმებას, რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ 54 სახელმწიფოს მიერ (უფრო ევროპული და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ). თუმცა, ისეთი ძლიერი სახელმწიფოები, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი და მრავალი ისლამური სახელმწიფო არა მხოლოდ აგრეძელებენ სიკვდილით დასჯის გამოყენებას, არამედ მკაცრად ეწინააღმდეგებიან მის გაუქმებას საერთაშორისო სამართლის თანახმად.

---

15 გენერალური ასამბლეის 2857 (XXVI) რეზოლუცია, 1971 წლის 20 დეკემბერი.

[illegible]

ექსტრადიციის საწინააღმდეგო და სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებული იურისპრუდენციის განვითარება

- 1989 წელს საქმის *Soering v. the United Kingdom* განხილვის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს მიერ გერმანიის მოქალაქის ექსტრადირება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იგი წლების განმავლობაში უნდა ყოფილიყო სიკვდილმისჯილთა საკანში, წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად.

- 1993 წელს საქმეში *Ng v. Canada*, რომელიც ექსტრადიციას ეხებოდა და მასში ჩართული იყო ამერიკის შეერთებულ შტატები, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ პირის სიკვდილით დასჯის განაჩენის სისრულეში მოყვანა გაზით გაგუდვის გზით, რომელიც დამკვიდრებული პრაქტიკა იყო კალიფორნიაში, წარმოადგენდა არაადამიანურ სასჯელს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-7 მუხლის თანახმად.

- 1995 წლის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაში სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც ესეთი, მისი აღსრულების მეთოდისა თუ სხვა გარემოებების მიუხედავად, იყო არაადამიანური და არღვევდა სამხრეთ აფრიკაში არაადამიანური სასჯელის აკრძალვის მოთხოვნას.

- 2003 წელს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა რა საქმე *Judge v. Canada*, მიიჩნია, რომ კანადამ, როგორც მხარემ, რომელმაც გააუქმა სიკვდილით დასჯა, მიუხედავად იმისა მოახდინა თუ არა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, დაარღვია ავტორის სიცოცხლის უფლება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოახდინა რა მისი ამერიკის შეერთებულ შტატებში დეპორტაცია, სადაც იგი სიკვდილმისჯილია, არ დარწმუნდა რა იმაში, რომ იგი არ დაექვემდებარებოდა სიკვდილით დასჯას."

- საქმეზე *Öcalan v. Turkey* (2003წ.) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არასამართლიანი სასამართლო განხილვის შედეგად სიკვდილით დასჯის შეფარდება წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

- 2005 წლის 1 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენის მომენტისათვისაც ისინი არასრულწლოვნები იყვნენ, სიკვდილის დასჯის გამოყენება არაკონსტიტუციურად ცნო. სასამართლომ აღნიშნა აბსოლუტური ერთსულოვნება საერთაშორისო დონეზე არასრულწლოვნების სიკვდილით დასჯის საწინააღმდე-

> გოდ" როგორც თავისი გადაწყვეტილების შესაბამისი და მნიშვნელოვანი დადასტურება. სასამართლომ განაცხადა, რომ არანაირად არ მცირდება კონსტიტუციისადმი ერთგულება ან მის შექმნასთან დაკავშირებული სიამაყე იმ ფაქტის აღიარებით, რომ ცალკეულ ძირითად უფლებათა აშკარა დადასტურება სხვა ერებისა და ხალხების მიერ, არანაირად არ აკნინებს იგივე უფლებების მნიშვნელობას ჩვენს საკუთარ თავისუფლების სამკვიდროში."

აბორტი

მაშინ როდესაც ადამიანის უფლებათ ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლი ზოგადად იცავს სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-6 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ნათლად არ განსაზღვრავს, თუ როდის იწყება სიცოცხლის დაცვა. გაიხსენეს რა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1973 წლის განაჩენი საქმეზე *Roe v. Wade*, სხვა ქვეყნების ეროვნულმა სასამართლოებმა და ზოგიერთმა მკვლევარმა აღნიშნეს, რომ სიცოცხლის უფლების სამართლებრივი დაცვა იმ მომენტიდან იწყება, როდესაც *Foetus*-ს (ჩანასახი) არსებობის უნარი დამოუკიდებლად შესწევს. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, ის პირები, რომლებიც აბორტს იკეთებენ დაახლოებით ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრამდე, შეიძლება გათავისუფლდნენ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მათი ქმედებების გამო. კანონი, რომელიც გაათავისუფლებს მათ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შესაბამისობაში იქნება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაიცვას *ფეტუს*-ის სიცოცხლის უფლება მშობლებისა და ექიმების ჩარევისაგან, ვინაიდან *ფეტუს*-ის სიცოცხლის უფლება წარმოიშვება მას შემდეგ, რაც მას დედისაგან დამოუკიდებლად არსებობის უნარი შესწევს. თუმცა, ფეხმძიმობის პირველი ტრიმესტრის შემდეგ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება წარმოიშვება და დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლება უნდა დაბალანსდეს ადამიანის სხვა უფლებებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი დედის სიცოცხლის უფლებასთან და, შესაძლოა, დედის ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებებთან მიმართებითაც.



სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებული სიტუაცია მსოფლიოში

Amnesty International-ის თანახმად, 2004 წელს სულ მცირე 3 797 ადამიანი დაექვემდებარა სიკვდილით დასჯას 25 ქვეყანაში და სულ მცირე 7 395 ადამიანს შეეფარდა სიკვდილით დასჯის სასჯელი 64 ქვეყანაში. წარმოდგენილი მაჩვენებლები მოიცავს მხოლოდ *Amnesty International*-ის ხელთ არსებულ ინფორმაციას; სავარაუდოდ, რეალური მაჩვენებლები გაცილებით მაღალია.[1]

1 დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია *Amnesty International*-ის ვებ-გვერდის შემდეგ ბმულზე: http://web.amnesty.org/pages/deathpenalty-facts-eng.

ქვეყნები, რომლებმაც გააუქმეს და შეინარჩუნეს სიკვდილით დასჯა

ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა ყველა დანაშაულთან მიმართებით: 85

ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა ყველა დანაშაულთან მიმართებით, გარდა საომარი მოქმედებების დროს: 11

ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა პრაქტიკაში: 24

ქვეყნების ჯამური რაოდენობა, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა როგორც კანონმდებლობით, ასევე პრაქტიკაში: 120

ქვეყნებისა და ტერიტორიების რაოდენობა, რომლებმაც შეინარჩუნეს სიკვდილით დასჯა: 76

1. ქვეყნები, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა ყველა დანაშაულთან მიმართებით

ქვეყნები და ტერიტორიები, სადაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ნებისმიერი დანაშაულისათვის:

ანდორა, ანგოლა, სასომხეთი, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბუტანი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბუგლარეთი, კამბოჯა, კანადა, კაბო ვერდე, კოლუმბია, კოსტარიკა, კოტდივუარი, ხორვატია, კიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ჯიბუტი, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, გვინეა ბისაუ, ჰაიტი, ვატიკანი, ჰონდურასი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, კირიბათი, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მარშალის კუნძულები, მაურიტანია, მექსიკა, მიკრონეზიის ფედერალური სახელმწიფოები, მონაკო, მოზამბიკი, ნამიბია, ნეპალი, ნიდერლანდების სამეფო, ახალი ზელანდია, ნიკარაგუა, ნიუე, ნორვეგია, პალაუ, პანამა, პარაგვაი, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვეთის რესპუბლიკა, რუმინეთი, სამოა, სან მარინო, სანტომე და პრინსიპი, სენეგალი, სერბია და მონტენეგრო, სეიშელი, სლოვაკეთი, სლოვენია, სოლომონის კუნძულები, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, მაკედონიის ყოფილი რესპუბლიკა, ისტიმორი, თურქეთი, თურქმენეთი, ტუვალუ, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, ურუგვაი, ვანუატუ, ვენესუელა.

2. ქვეყნები, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის

ქვეყნები, სადაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას მხოლოდ ისეთი დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩადენილ იქნა სამხედრო კანონმდებლობის თანახმად ან სხვა გამონაკლის შემთხვევებში:

ალბანეთი, არგენტინა, სასომხეთი, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, ქუქის კუნძულები, ელსალვადორი, ფიჯი, საბერძნეთი, ისრაელი, ლატვია, მექსიკა, პერუ და თურქეთი.

3. ქვეყნები, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა პრაქტიკაში

ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა შეინარჩუნეს სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის, მაგრამ რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნებად, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა პრაქტიკაში, იმ პირობით, რომ მათ ბოლო 10 წლის განმავლობაში არავინ დაუსჯიათ სიკვდილით და მიჩნეულია, რომ აქვთ პოლიტიკა ან დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ არ აღასრულონ სიკვდილით დასჯა, და ქვეყნები, რომლებმაც იკისრეს საერთაშორისო ვალდებულება არ გამოიყენონ სიკვდილით დასჯა:

ალჟირი, ბენინი, ბრუნეი დარუსალამი, ბურკინა ფასო, აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა, კონგო, გამბია, გრენადა, კენია, მადაგასკარი, მალდივი, მალი, მაურიტანია, ნაურუ, ნიგერი, პაპუა ახალი გვინეა, რუსეთის ფედერაცია, შრი ლანკა, სურინამი, ტოგო, ტონგა და ტუნისი.

4. ქვეყნები, რომლებმაც შეინარჩუნეს სიკვდილით დასჯა

ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებმაც შეინარჩუნეს სიკვდილით დასჯა სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის:

ავღანეთი, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამა, ბაჰრეინი, ბანგლადეში, ბარბადოსი, ბელარუსია, ბელიზე, ბოცვანა, ბურუნდი, კამერუნი, ჩადი, ჩინეთი, კომოროსი, კუბა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დომონიკა, ეგვიპტე, ეკვატორიული გვინეა, ერითრია, ეთიოპია, გაბონი, განა, გვატემალა, გვინეა, გაიანა, ინდოეთი, ინდონეზია, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ერაყი, იამაიკა, იაპონია, იორდანე, ყაზახეთი, კუვეიტი, ყირგიზეთი, ლაოს სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბანი, ლესეტო, ლიბერია, ლიბია, მალავი, მალაიზია, მონღოლეთი, მაროკო, მიანმა, ნიგერია, ომანი, პაკისტანი, პალესტინა, ფილიპინები, კატარი, კორეის რესპუბლიკა, რუანდა, წმ. კითსი და ნევისი, წმ. ლუსია, წმ. ვინსენტი და გრენადა, საუდის არაბეთი, სიერა ლეონე, სინგაპური, სომალი, სუდანი, სვაზილენდი, სირიის არაბული რესპუბლიკა, ტაჯიკეთი, ტაილანდი, ტრინიდადი და ტოგადო, უგანდა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, უზბეკეთი, ვიეტნამი, იემენი, ზამბია და ზიმბაბვე.

გენური ინჟინერია

ევროპის საბჭო წამყვან როლს თამაშობს ამ სადაო საკითხში, რომელიც ეთიკის, ადამიანის უფლებებისა და თანამედროვე ბიოტექნოლოგიური განვითარებების ზღვარზეა. 1997 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვისა და ადამიანთა ღირსების კონვენცია (ადამიანის უფლებათა და ბიომედიცინის კონვენცია). კონვენცია კვლავაც ადასტურებს ჯანმრთელობის სფეროში თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპს (მე-5 მუხლი); აცხადებს რა, რომ ინტერვენცია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის გენეტიკის შეცვლას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პრევენციული, დიაგნოსტიკური ან თერაპიული მიზნებით, და

მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიზნად არ ისახავს შთამომავლობის გენეტიკის მოდიფიკაციის დანერგვას (მე-13 მუხლი); და ითვალისწინებს, რომ ადამიანის სხეული და მისი ნაწილები, როგორც ესეთი, არ უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსური მოგების მიზნით (21-ე მუხლი). კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, რომელიც ერთი წლის შემდეგ იქნა მიღებული, კრძალავს ადამიანის კლონირებას, ხოლო კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც 2002 წელს იქნა მიღებული, ორგანოთა და ადამიანური წარმოშობის ქსოვილების ტრანსპლანტაციას ეხება.

ევთანაზია

უდავოა, რომ სახელმწიფოების ვალდებულება დაიცვას სიცოცხლის უფლება განსაკუთრებით ვრცელდება განუკურნებელი სენით შეპყრობილ ავადმყოფებზე, უნარშეზღუდულ პირებსა და იმ ხალხზე, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ევთანაზიის შეფარდებულ ღონისძიებებთან მიმართებით. რაც შეეხებათ უკიდურესად ავადმყოფ პირებს, რომელთაც სურთ სიკვდილი, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება უნდა აინონოს ამ პირის სხვა უფლებებთან მიმართებით და ყველაზე მეტად კი – პირადი ცხოვრებისა და ღირსების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით. აქტიურ ან პასიურ ევთანაზიასთან დაკავშირებულილ ეროვნული კანონმდებლობა (როგორიცაა ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა), რომელიც ზღუდავს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას არსებული უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით უსაფრთხოების სათანადო ზომების მიღებით, არ არის შესაბამისობაში სახელმწიფოს ვალდებულებასთან დაიცვას სიცოცხლის უფლება. ამასთან, მაშინ როდესაც ზღვარი გადის ეთიკასა და მედიცინას შორის, სახელმწიფოებს შეუძლიათ ასევე მიიღონ გადაწყვეტილება ევთანაზიის აკრძალვის თაობაზე, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამოტანილი გადაწყვეტილება ცხადყოფს- *Pretty v. the United Kingdom* (2002წ.) (იხ. 52-ე ყუთი).



საქმე Pretty v. the United Kingdom (2002 წ.)

დიანა ფრეთი უკიდურესად ავად იყო და ნეიროდეგენერაციული დაავადების გამო წართმეული ჰქონდა კიდურები. თუმცა მისი გონებრივი შესაძლებლობები ხელშეუხებელი იყო. მას უნდოდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე, მაგრამ მისი ფიზიკური მდგომარეობა არ აძლევდა მას ამის განხორციელების საშუალებას. ამიტომაც მან გადაწყვიტა გარანტია მოეპოვებინა პროკურატურის ხელმძღვანელისაგან, რომ მის ქმარს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, თუ იგი დაეხმარებოდა მას სიცოცხლის მოსწრაფებაში. მისი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული ინგლისური კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების თანახმად, რომელიც კრძალავს თვითმკველობის განხორციელებაში რაიმე სახის დახმარებას. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ბოლო ინსტანციის ეროვნულმა სასამართლომაც. განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ ეროვნუ-

ლი სასამართლოს გადაწყვეტილებამ, მათ შორის, დაარღვია მისი სიცოცხლის უფლება, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს უფლება ისე კი არ უნდა განიმარტოს, თითქოს იგი რადიკალურად საწინააღმდეგო უფლებას – სიკვდილის უფლება – გულისხმობს, თუნდაც სხვა პირის დახმარებით იქნება ეს, თუ ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ. ამ გადაწყვეტილების შედეგად, ბრიტანეთის პარლამენტის წინაშე განსახილველად წარდგენილ იქნა კანონპროექტი (რომელიც ცნობილია, როგორც კანონპროექტი სიკვდილის დადგომაში პაციენტის დახმარების თაობაზე), რაც კანონიერს გახდიდა ექიმის დახმარებით პირისათვის სიცოცხლის მოსწრაფებას ზუსტად განსაზღვრულ პირობებსა და გარემოებებში. კანონპროექტის (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დღესაც მსჯელობის საგანია) ავტორები მიიჩნევენ, რომ სიცოცხლის მოსწრაფებაში პირისათვის დახმარების გაწევის უფლება გამომდინარეობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტიდან, მუხლი, რომელიც განმარტავს , რომ ყველას აქვს უფლება პატივი სცენ პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. მათი აზრით, აღნიშნული არ მოდის შეუსაბამობაში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაიცვას სიცოცხლე.

წამებისა და სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა: პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი
ა რავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი
ა რავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.
კერძოდ, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო თუ სამეცნიერო ცდების ჩატარებას თანხმობის გარეშე."

წამება ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევაა, ვინაიდან იგი წარმოადგენს ადამიანის პიროვნებასა და ღირსებაზე პირდაპირ თავდასხმას. წამებისა და ფიზიკური და სულიერი არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვა, ანუ პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლება, *აბსოლუტური უფლებაა* და ამიტომაც დაუშვებელია მისგან გადახვევა ნებისმიერ გარემოებაში. აღნიშნული იმასაც გულისხმობს, რომ დაუშვებელია ვინმემ ზემდგომი პირის ბრძანება მოიშველიოს წამების გასამართლებლად.

რა არის წამება?

წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლი წამებას განსაზღვრავს რო-

წამების აკრძალვის კოდიფიცირება

წამების აკრძალვა კოდიფიცირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მე-5 მუხლი), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში (მე-7 მუხლი) და კონვენციაში წამების წინააღმდეგ; ასევე რეგიონალურ ხელშეკრულებებში, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია(მე-3 მუხლი), წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათაამერიკული კონვენცია (მე-5 მუხლი), ინტერამერიკული კონვენცია წამების აღმოფხვრისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ და აფრიკული ქარტია ადამიანისა და ხალხთა უფლებების შესახებ (მე-5 მუხლი), და სხვა სამართლებრივად იურიდიული ძალის არ მქონე, თუმცა მორალურად ავტორიტეტულ ინსტრუმენტებში. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს შემდეგს: პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს, ძირითად პრინციპებს პატიმართა მოპყრობის შესახებ, პრინციპთა ერთობლიობას ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად, გაერთიანებული ერების წესებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, პრინციპებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტაციის შესახებ. წამება ასევე აბსოლუტურად აკრძალულია 1949 წლის ჟენევის კონვენციების დებულებებით, განსაკუთრებით კი მათი მე-3 საერთო მუხლით. დამატებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი განსაზღვრავს წამებას, როგორც "დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ", როდესაც იგი განზრახ ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართოდ გავრცელებული ან სისტემატური თავდასხმების სახით.

გორც ქმედებას, რომელიც ჩადენილია საჯარო მოხელის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ წაქეზებით ან ნებართვით, ან დუმილით გამოხატული თანხმობით, რომლითაც მძიმე ფიზიკური ან სულიერი ტკივილი თუ ტანჯვა განზრახ მიადგა პირს კონკრეტული მიზნით, როგორიცაა ინფორმაციის ან აღიარების მიღება, მისი დასჯა, დაშინება ან დისკრიმინაცია.

ქმედებები, რომელთაც აკლიათ წამებისათვის აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტი – ჩადენილი უნდა იყოს საჯარო მოხელის მიერ ან მისი თანხმობით, განზრახვა, კონკრეტული მიზანი და ტანჯვის ინტენსიურობა – ჩაითვლება, იმის გათვალისწინებით თუ რა ფორმის, მიზნისა და სიმძიმის იყო ტანჯვა, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობად ან დასჯად.

„წამება მიზნად ისახავს დაამციროს, შეურაცხობა მიაყენოს და ღირსება შეულახოს ადამიანს და აქცოს იგი „ნივთად"

ანტონიო კასესე, ევროპის საბჭოს წამების აკრძალვის
კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე,

სახელმწიფოები, სადაც ადგილი აქვს არაადამიანურ მოპყრობას: ციხეში მოთავსება, დაპატიმრება და წამება დღევანდელ ევროპაში, *ჩამბრიდგე ჯოლიტყ ჯრესს, 1996წ., 47-ე გვ.*

„წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის საერთაშორისო და მორალური საფუძველი აბსოლუტური, იმპერატიული და დაუშვებელია; არა აქვს მნიშვნელობა რა გარემოებების ფონის არის იგი ჩადენილი თუ რა ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

თეო ვან ბოვენი, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის შესახებ ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებელი.

წამების აკრძალვიდან რა სახის სახელმწიფო ვალდებულები გამომდინარეობს?

მთავრობებმა არ უნდა შეზღუდონ ან დაუშვან გადახვევები პირადი ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებიდან, თუნდაც ომისა თუ საგანგებო მდგომარეობის დროს. კომიტეტმა წამების წინააღმდეგ დაადგინა: იმ შემთხვევაშიც კი თუ ეჭვმიტანილს გააჩნია ინფორმაცია გარდაუვალ თავდასხმაზე, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მშვიდობიან მოსახლეობას, შესაბამის სახელწმიფოებს არ შეუძლიათ გამოიყენონ დაკითხვის იმგვარი მეთოდები, რაც დაარღვევს წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვას, როგორიცაა პირის სასტიკ პირობებში მოთავსება, თავზე ტომარის ჩამოცმევა, ხანგრძლივი დროის პერიოდში ხმამაღალი მუსიკისადმი დაქვემდებარება ან ძილის აღკვეთა, მუქარები, ან ცივი ჰაერის გამოყენება პატიმრის გასაყინად. წამებისა და არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა დაფუძნებულია იმ წინაპირობაზე, რომ თუ გამონაკლისებს დავუშვებთ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს წამების ფაქტები ძალიან სწრაფად მრავლდება.

წამების აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი გარანტირებული უნდა იყოს. ამიტომაც სახელმწიფოებს ეკრძალებათ იმ უფლებებიდან გადახვევა, რომელთა მოქმედების შეფერხება გამოიწვევდა წამების რისკს, მაგალითად, პირის უფლება არ იქნეს მოთავსებული სრულ იზოლაციაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და დაკავებული პირის უფლება დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს. სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება აღკვეთონ, გამოიძიონ, სისხლის-სამართლებრივი დევნა აწარმოონ და დასაჯონ წამების ჩამდენი პირები. მათ რეპარაციით უნდა უზრუნველყონ მსხვერპლები, მათ შორის, სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციითა და კომპენსაციით მეტერიალური და მორალური ზიანისათვის (იხ. 55-ე ყუთი).

სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი დასჯის აკრძალვა

გამომდინარე იქედან, რომ დასჯის ნებისმიერი ფორმა მოიცავს ტანჯვასა და დამცირებას, დამატებითი ელემენტი მოითხოვება, რათა მას მიეცეს იგი სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობის კვალიფიკაცია. ამ სფეროში მინიმალური სტანდარტები ცვალებადია ქვეყნებს შორის. ევროპაში, სიკვდილით დასჯა და ყველა სხვა სახის სხეულებრივი სასჯელი დღესდღეობით მიჩნეულია როგორც არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ სასჯელი და, ამიტომაც, აკრძა-

პოლიციის დაწესებულებაში ყოფნისას მოქმედი პროცესუალური გარანტიები

ფართოდ არის აღიარებული, რომ წამებასა და არასათანადო მოპყრობას ადგილი ძირითადად პოლიციაში. ქვემოთ მოყვანილი პროცესუალური გარანტიები მნიშვნელოვანწილად ზღუდავს დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკს:

- დაპატიმრების თაობაზე შეტყობინება: დაკავებულ პირთა უფლება მათი დაპატიმრების შესახებ საკუთარი არჩევანისამებრ აცნობოს მესამე პირს (ოჯახის წევრი, მეგობარი ან საკონსულო);
- დაპატიმრებულ პირთა უფლება ხელი მიუწვდებოდეთ ადვოკატზე;
- დაპატიმრებულ პირთა უფლება მოითხოვონ ექიმი საკუთარი არჩევანის საფუძველზე სამედიცინო შემოწმების ჩატარების მიზნით (პოლიციის მიერ მოწვეული ექიმის მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმებასთან ერთად);
- დაპატიმრებულ პირთა და პატიმრობის ადგილებში ცენტრალიზებული სარეგისტრაციო სისტემის ხელმისაწვდომობა;
- წამებითა თუ ძალადობის სხვა ფორმით მოპოვებული მტკიცებულების მიღების გამორიცხვა;
- პოლიციის დაწესებულებაში დაკითხვის აუდიო თუ ვიდეო ჩაწერა.

სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებები წამების წინააღმდეგ კონვენციის შესაბამისად

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ შემდეგი მოვალეობები:

- მიიღონ კანონმდებლობა, რომლის მიხედვით წამების ჩანდენი პირის მიმართ აღიძვრება სისხლის-სამართლებრივი დევნა. დამნაშავე გადაეცემა მართლმსაჯულებას დანაშაულის ადგილის და დამნაშავის ან მსხვერპლის ეროვნების მიუხედავად. სახელმწიფოს მოვალეობაა წამების პრაქტიკის აღკვეთა (უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი);
- უზრუნველყონ, რომ წამების აკრძალვასთან დაკავშირებული ცოდნა და ინფორმაცია სრულად იყოს მოცემული სამართალდამცავი ორგანოების სამოქალაქო თუ სამხედრო თანამშრომელთა, სამედიცინო მუშაკთა, სა-

ჯარო მოხელეთა და სხვა პირთა გადამზადების კურსებში, რომელთაც შესაძლოა შეხება ჰქონდეთ პატიმრობასთან, დაკითხვასთან ან დაკავებულებთან, დაპატიმრებულებთან ან ციხეში მოთავსებულ პირებთან;

- უზრუნველყონ, რომ დაკითხვის წესები, ინსტუქციები, მეთოდები და პრაქტიკა და დაკავებულ, დაპატიმრებულ და ციხეში მოთავსებულ პირებთან დაკავშირებული პატიმრობის ღონისძიებები და მოპყრობა სისტემატურად დაექვემდებაროს დამოუკიდებელი ორგანოების მიერ გადახედვას;

- უზრუნველყონ, რომ წამებასთან და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები სრულყოფილად იქნეს გამოძიებული კომპეტენტური ორგანოების მიერ; დამნაშავეები კი წარდგენილ იქნენ მართლმსაჯულების წინაშე; მსხვერპლისათვის ხელმისაწვდომი იყო ეფექტური დაცვის საშუალებები. ასევე კანონები უნდა ითვალისწინებდეს იმგვარი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც აღკვეთავენ წამებასა და არასათანადო მოპყრობას პატიმრობის პერიოდში.

- თავი შეიკავონ იმ პირის სხვა ქვეყანაში გაძევების, დაბრუნებისა თუ ექსტრადირებისაგან, სადაც იგი სავარაუდოდ დაექვემდებარება წამებას (გაძევებისაგან ან რეპატრიაციისაგან თავის შეკავების" პრინციპი);

- კომიტეტს წამების წინააღმდეგ წარუდგინონ პერიოდული ანგარიშები კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებზე ან კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად ნებისმიერი სხვა სახის ანგარიშები;

- ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი ეროვნული კომისიები (რომლებიც შედგება სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისგან, იურისტებისა და ექიმებისაგან, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან) პატიმრობის ყველა ადგილში ვიზიტების განხორციელების მიზნით (წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი, მიღების თარიღი 2002წ.)

დაპატიმრებასა და სამართალდამცავ ორგანოთა ქმედებებთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტები

- სიკვდილმისჯილების უფლებათა დაცვის გარანტირები, 1948წ.;
- პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 1955წ.;
- მართლწესრიგის დამცველ პირთა ქცევის კოდექსი, 1979წ.;
- სამედიცინო ეთიკის პრინციპები სამედიცინო პერსონალის, კერძოდ, ექიმ-

თა როლის შესახებ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯისაგან ციხეში მოთავსებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვის საქმეში, 1982წ.;

- სიკვდილმისჯილების უფლებათა დაცვის გარანტირები, 1985წ.;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები"), 1985წ.;
- პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად, 1988წ.;
- ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ, 1990წ.;
- ძირითადი პრინციპები პატიმართა მოპყრობის შესახებ, 1990წ.;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები"), 1990 წ.;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები აღმკვეთი ღონისძიების ალტერნატიული საშუალებების შესახებ (ტოკიოს წესები"), 1990 წ.;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრუწლოვანთა დაცვის შესახებ, 1990 წ.

ლულია და ბევრ ქვეყანაში სამუდამო პატიმრობა განიხილება იგივე ასპექტში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სხეულებრივი სასჯელი პატიმართა დასჯად მიიჩნია იამაიკასა და ტრინიდად და ტოგადოში და იგი შეაფასა როგორც ღირსების შემლახველი სასჯელი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-7 მუხლის თანახმად. დამატებით, ასევე დადგინდა, რომ აღსრულების ზოგიერთი მეთოდი, როგორიცაა გაზით გაგუდვა წარმოადგენს არაადამიანურ სასჯელს, რაც, თავის მხრივ, არღვევს საერთაშორისო სამართალს.

დაპატიმრებულ და ციხეში მოთავსებულ პირთა მიმართ ჰუმანური მოპყრობის შესახებ

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლი ახდენს ყველა თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლების გარანტირებას მოექცნენ ჰუმანურად და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, თავისუფლებაშეზღუდულ პირები არ უნდა დაექვემდებარონ სიძნელეებსა და ზეწოლას გარდა იმისა, რაც ეს გამოწვეულია თავისუფლების შეზღუდვით."

მრავალი რბილი კანონი" ითვალისწინებს მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც ვრცელდება დაპატიმრებულ პირებზე.

ადამიანის უფლებები და ციხეების პრივატიზაცია

კერძო სექტორის ჩართვამ ციხეების ოპერირებაში – პენიტენციალური დაწესებულებების მშენებლობა, პატიმართა ტრანსპორტირება, ხელსაწყოებით მომარაგება და საერთოდ პატიმრობის ადგილების სრული მართვა – სულ უფრო ფეხი მოიკიდა 1980 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც იგი ხელახლა იქნა შემოღებული ამერიკის შეერთებულ შტატებში (იგი მივიწყებულ იქნა ნახევარი საუკუნით ადრე). ციხის პრივატიზებამ შეამცირა სახელმწიფოს მხრიდან პატიმართა უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა. ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომიტეტის მიერ გაკეთებულ იქნა კვლევა[1], რომელშიც ექსპერტმა ქ-ნმა კლარ პალეიმ გაწერა ხუთი პრინციპული სტრატეგიული არგუმენტები ციხის მართვის ხელშეკრულებით გადაცემის წინააღმდეგ:

ა. მხოლოდ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მართლმსაჯულების განხორციელებისა და მისი იძულებითი აღსრულების უფლება, ვინაიდან ამ ნამდვილად სახელმწიფო უფლებამოსილების კანონიერება, რასაც დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხალხი სახელმწიფოს ანდობს, დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ მის კეთილგონივრულ განხორციელებაზე;

ბ. დისციპლინური ძალაუფლება და ფუნქციები უნდა განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, ვინაიდან ამგვარმა ფუნქციებმა შესაძლოა გამოიწვიოს პატიმრობის გახანგრძლივება;

გ. პატიმრებზე შეზღუდვების დაწესება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ უნდა განხორციელდეს და იგი წარმოადგენს ერთადერთ სუბიექტს, რომელიც უფლებამოსილია მართლმსაჯულების ლეგიტიმურად განხორციელებასა და მის იძულებით აღსრულებაზე;

დ. ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სახელწიფოს ეკისრება;

ე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულება და საზოგადოების მონაწილეობა და საზოგადოების ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე.

კვლევა ასევე ეხება ციხეების დიდი ერთობის შექმნის პრობლემას, რომლიც შექმნილი იქნება სამშენებლო ინდუსტრიული საწარმოებისა და უსაფრთხოების კომპანიების მიერ და ასევე პრობლემას, რომელიც უკავშირდება ასეთი ერთობების მიერ ზოგადად პოლიტიკაზე განხორციელებულ ზეგავლენას. ასევე წამოჭრა საკითხი, შესაძლებელი იყო თუ არა ციხეების პრივატიზების საკითხის პატიმართა პრივატიზებასთან გაიგივება.[2]

1 E/CN.4/Sub.2/1993/21.

2 მაგალითისათვის იხ. *კორპვოჩი,* ციხის პრივატიზაცია: პრაქტიკული შედეგი", 1999 წლის 21 აგვისტო.

პირადი თავისუფლების უფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი
ყ ველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და
პირადი ხელშეუხებლობის უფლება."

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლი
ა რავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას,
დაპატიმრებას ან გაძევებას."

სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი
ყ ველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ
შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებასა და დაპატიმრებას.
თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი
პროცედურების შესამაბისად."

პირადი ხელშეუხებლობის უფლება მიზნად ისახავს უკანონო ან თვითნებური დაკავების ან დაპატიმრებისაგან დაცვის უზრუნველყოფას. ეს ზოგადი გარანტია ეხება ყველას, მათ შორის იმ პირებს, რომელთაც წარედგინათ სისხლის-სა-



ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი: დაკავებისა და დაპატიმრებისათვის დასაშვები საფუძვლები

- მსჯავრდებული პირის დაპატიმრება;
- მიმალვის, მტკიცებულების შეცვლის ან დანაშაულის განმეორებით ჩადენის აღკვეთის მიზნით სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში მოთავსება ან წინასწარი პატიმრობის შეფარდება;
- პირის სამოქალაქო კონტექსტში დაპატიმრება იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მოწმე გამოცხადდეს სასამართლოში ან გაიაროს მამობის დამადასტურებელი ტესტი;
- უცხოელთა დაპატიმრება იმიგრაციასთან, თავშესაფართან, გაძევებასა და ექსტრადიციასთან დაკავშირებით;
- არასრულწლოვანათა დაპატიმრება საგანმანათლებლო მეთვალყურეობის განხორციელების მიზნით;
- სულით ავადმყოფების დაპატიმრება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მათი მოთავსების მიზნით;
- ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ავადმყოფთა კარანტინში მოთავსება;
- ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების დაპატიმრება.

მართლებრივი ბრალდება ან სულიერი ავადმყოფობის, მაწანწალობის ან საიმიგრაციო კონტროლის საფუძველზე. მიმოსვლის შეზღუდვის სხვა საფუძვლები, როგორიცაა პირის გადასახლება კუნძულზე ან ქვეყნის კონკრეტულ ნაწილში, კომენდანტის საათი, ქვეყნიდან გაძევება ან ქვეყნის დატოვების აკრძალვა, არ წარმოადგენს პირად ხელშეუხებლობაში ჩარევას, თუმცა მათ შეიძლება გამოიწვიონ ადამიანის სხვა უფლებათა დარღვევა, როგორიცაა მიმოსვლისა და საცხოვრებლის არჩევის თავისუფლება (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლი).

როდის არის დაკავება ან დაპატიმრება კანონიერი?

პირს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სამართლებრივ საფუძვლებზე და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ საერთაშორისო სტანდარტებსაც. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა არ უნდა იყოს თვითნებური ან უსამართლო. ამასთან, სამართალდამცავების მიერ გადადგმული ნაბიჯები არ უნდა იყოს თვითნებური ან დისკრიმინაციული, არამედ უნდა იყოს პროპორციული გამომდინარე საქმის გარემოებებიდან.

დაკავებისა და დაპატიმრების დასაშვები საფუძვლების ტიპიური მაგალითები შეიძლება ინახოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში, რომელიც ევროპაში თავისუფლების კანონიერი აღკვეთის შესახებ ამომწურავ მაგალითებს შეიცავს (იხ. 58-ე ყუთი) და შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლში ნახსენები ტერმინის „თავისუფლების თვითნებური აღკვეთა" განმარტების საფუძველს. პირის დაპატიმრება სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, როგორიცაა მაგალითად ვალის გადაუხდელობა, მკაცრად არის აკრძალული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლით, ადამიანის უფლებათა

ადამიანის უფლებათა კომიტეტის იურისპრუდენცია
წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, წინასწარი პატიმრობა უნდა იყოს არა მხოლოდ კანონიერი, არამედ აუცილებელი და გონივრული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღიარა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათაა პაქტი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აძლევს უფლებას ხელისუფლების ორგანოებს შეუფარდონ პირს პატიმრობა, რაც აუცილებელია პირის სასამართლოს წინაშე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, თუმცა „აუცილებლობის" მოთხოვნას შედარებით მწირი განმარტება გააჩნია: ეჭვი, იმის შესახებ, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თავისთავად არ ამართლებს მის პატიმრობაში ყოფნას გამოძიების პროცესში. თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ პატიმრობა შეიძლება აუცილებელი იყოს მიმალვის, მტკიცებულებათა და მოწმეთა ჩვენებების შეცვლის თავიდან ასაცილებლად, ან სხვა დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად.

ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით.

ღა უფლებებით სარგებლობს პირი პატიმრობისას პერიოდში ?

- დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა გააცნონ დაკავების მიზეზები და ადვოკატის ყოლის უფლება; აგრეთვე წაყენებული ყველა ბრალდება, რათა პირს ჰქონდეს დაკავების ან დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრების საშუალება, ხოლო გასამართლების შემთხვევაში, დაცვის მომზადების საშუალება;

- იმ პირებს, რომელთაც წარედგინათ სისხლის-სამართლებრივი ბრალდება, *უფლება აქვთ აირჩიონ ადვოკატი.* თუ ისინი ვერ შეძლებენ ადვოკატის დაქირავებას, მაშინ უნდა მოხდეს მათი კვალიფიციური და ეფექტური ადვოკატით უზრუნველყოფა. სათანადო დრო და საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ადვოკატთან დასაკავშირებლად. ადვოკატის ხელმისაწვდომობა დაუყოვნებლად უნდა განხორციელდეს.

- პატიმრობაში მყოფ პირებს *აქვთ გარე სამყაროსთან კავშირის უფლება,* და განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან, ადვოკატთან, ექიმთან, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლთან კავშირის უფლება. თუ დაპატიმრებული უცხოეთის მოქალაქეა, მას უფლება აქვს დაუკავშირდეს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობას. გარე სამყაროს ხელმისაწვდომობა არის არსებითი დამცავი მექანიზმი ადამიანის უფლებათა ისეთი დარღვევების წინააღმდეგ, როგორიცაა „გაუჩინარება", წამება და არასათანადო მოპყრობა, და აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უფლების განსახორციელებლად;

- დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებს, რომელთაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთათ თავისუფლება, *უფლება აქვთ დაუყოვნებლივ წარდგნენ მოსამართლის* ან სასამართლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის წინაშე, რომელიც (ა) განიხილავს მათი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს, (ბ) შეაფასებს რამდენად საჭიროა მათთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, (გ) დაიცავს მათ ჯანმრთელობასა და (დ) აღკვეთს მათი ძირითადი უფლებების დარღვევას;

- წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს *უფლება აქვთ მათი საქმე სასამართლომ განიხილოს გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში.* უდანაშაულობის პრეზუმპციის თანახმად, პირი, რომელიც სისხლის-სამართლებრივ საქმეზე ელოდება სასამართლოს განაჩენს, ზოგადად არ უნდა იმყოფებოდეს პატიმრობაში.

- რა საფუძვლითაც არ უნდა ჰქონდეთ აღკვეთილი თავისუფლება, ყველა დაპატიმრებულ პირს *უფლება აქვს ჰაბეას ცორპუს-ზე,* ანუ მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ მათი დაპატიმრების მართლზომიერება სასამართლოს წინაშე, ხოლო მათი პატიმრობა რეგულარულად იქნეს გადასინჯული. სასამართლომ ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, როგორც წესი რამდენიმე დღეში ან კვირაში, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დაპატიმრების მართლზომიერების შესახებ და გამოსცეს ბრძანება მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ, თუ

პატიმრობა უკანონოა. იმ შემთხვევაში, თუკი განუსაზღვრელი ვადით არის გაცემული ბრძანება დაპატიმრების შესახებ (მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში), დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს მის პერიოდულ გადასინჯვაზე, როგორც წესი ყოველ რამდენიმე თვეში. და ბოლოს, არამართლზომიერი დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლს აქვს *კომპენსაციის* უფლება.

მართლმსაჯულების განხორციელება: სამართლიანი სასამართლოს უფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6 მუხლი
ყ ველას, სადაც უნდა იმყოფებოდეს, აქვს უფლება ცნონ
მისი სამართალსუბიექტობა.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლი
ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. ყველას აქვს უფლება
თანაბრად იყოს დაცული კანონის წინაშე.“

მე-8 მუხლი
ყ ველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი
უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება
კომპეტენტური ეროვნული სასამართლოს მიერ.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლი
უფ ლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი
სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას,
ყველას აქვს გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის
უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლი
1 . ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა,
ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის
შესაბამისად საქვეყნო სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც მისთვის
უ ზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში
ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ
ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო
სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება
შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის
სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.“

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-14, მე-15 და მე-16 მუხლები ასევე იცავენ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6 და მე-11 მუხლები შეიძლება დაჯგუფდეს საერთო სათაურის ქვეშ: მართლმსაჯულების განხორციელება.

სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის და ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებებით, არის ადამიანის ძირითადი უფლება და მოითხოვს პროცედურულ გარანტიებს.

კანონისა და სასამართლოების წინაშე თანასწორობის უფლება

სამართლიანი სასამართლო უფლება ახდენს კანონისა და სასამართლოების წინაშე თანასწორობის უფლების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უფლება გულისხმობს, რომ კანონი არ უნდა იყოს დისკრიმინაციული; მოსამართლეებმა და თანამდებობის პირებმა არ აღასრულონ კანონი დისკრიმინაციულად. სასამართლოების წინაშე თანასწორობის უფლება გულისხმობს, რომ ყველა პირს თანაბრად აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს სასამართლოზე და სასამართლოს მხრიდან თანასწორად მოპყრობის უფლება.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითადი ელემენტები

სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სხვა სახის სამართალწარმოებისას სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი ელემენტებია მხარეთა თანასწორობის" პრინციპი და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე სამართლიანი და საჯარო მოსმენის მოთხოვნა.

- مხარეთა თანასწორობა" გულისხმობს, რომ ორივე მხარეს (ბრალმდებელი და ბრალდებული სისხლის სამართლის საქმეში, ან მომჩივანი და მოპასუხე სამოქალაქო საქმეში) სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე გააჩნია თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს, რომ მეორე მხარეს ეცნობოს ფაქტებისა და არგუმენტების შესახებ და რომ ეს არგუმენტები მოსმენილ იქნეს სასამართლოს მიერ *(audiatur et altera pars)*.

- სასამართლოს მოსმენები და გადაწყვეტილებები ზოგადად უნდა იყოს საჯარო: არა მხოლოდ საქმის მხარეებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს დასწრების უფლება. *საჯარო მოსმენის* პრინციპის მიღმა ასევე აუცილებელია გამჭვირვალობა და საზოგადოების კონტროლი, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების განხორციელებისათვის: *მა რთლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს; არამედ მისი განხორციელება დანახულ უნდა იქნეს"*. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც ზოგადი პრინციპი, სამართალწარმოება წერილობითი ფორმით დახურულ სხდომებზე კი არ უნდა წარიმართოს, არამედ ზეპირი მოსმენით, რომელზე დასწრების უფლებაც საზოგადოებას გააჩნია. არ არის აუცილებელი, რომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით სააპელაციო სამართალწარმოებისას, გაიმართოს საჯარო მოსმენები; და საზოგადოება, მედიის ჩათვლით, შეიძლება არ იქნეს დაშვებული სასამართლო პროცესზე დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ან კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ან გამონაკლის შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა ყველა განაჩენი გამოტანილ უნდა იქნეს საჯაროდ, ან ზეპირსიტყვიერად ან კიდევ წერილობითი გამოცხადებით.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალები: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა

ტრიბუნალები (სასამართლოები) იმგვარად უნდა იქნეს შექმნილი, რომ უზრუნველყოფდეს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. დამოუკიდებლობა მოიცავს დამცავ მექანიზმებს, რომლებიც ეხება მოსამართლეთა დანიშვნას, მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადას და გარე ზეწოლისაგან დაცვის გარანტიებს. მიუკერძოებლობა ნიშნავს, რომ საქმის მოსმენისას მოსამართლეები არ უნდა იყვნენ მიკერძოებულები ან იმართებოდნენ პირადი ინტერესებით ან პოლიტიკური მოტივით. გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპები სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ წარმოგვიდგენს კარგად ჩამოყალიბებულ სახელმძღვანელო მითითებებს ამ სფეროში.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი დებულებების აუცილებელი პირობებია:

1. პირველი და მთავარი, სასამართლოს დამოკიდებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს კონსტიტუციით ან ეროვნული კანონმდებლობით;

2. სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევის მეთოდს უნდა ახასიათებდეს ბალანსი აღმასრულებელ და დამოუკიდებელ ორგანოს შორის, რომლის ბევრი წევრი უნდა ინიშნებოდეს პროფესიული ორგანიზაციები მიერ, როგორიცაა იურიდიული საზოგადოება;

3. მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესება გარანტირებულ უნდა იქნეს სავალდებულო საპენსიო ასაკამდე ან მათი თანამდებობაზე დანიშვნის ვადის გასვლამდე.

4. მოსამართლის მიმართ დისციპლინარული ზომის გამოყენებასთან, შეჩერებასა და გაუქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ გადასინჯვის მექანიზმს.

ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართალწარმოებისას

მხარეთა თანასწორობისა" და საჯარო მოსმენის უფლებასთან ერთად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს გარკვეულ სპეციფიკურ უფლებებს. ამ უფლებებით სარგებლობენ პირები, რომელთაც სისხლის სამართლის ბრალდება აქვთ წაყენებული:

- უდანაშაულობის პრეზუმპციის უფლება. პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს პირის ბრალეულობა. თუ ეს არ მტკიცდება ბრალდებული არ უნდა იქნეს ცნობილი დამნაშავედ, არამედ უნდა მოხდეს მისი გათავისუფლება;

- პირის უფლება არ აიძულონ მისცეს ჩვენება ან თავი ცნოს დამნაშავედ. ეს

აკრძალვა კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმპციასთან, რომელიც მტკიცებების ტვირთს გამოძიებას აკისრებს, და წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვასთან. წამებითა და არასათანადო მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოზე;

- პირის უფლება დაიცვას საკუთარი თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მიერ, და პირის უფლება მიიღოს სამართლებრივი დახმარება უფასოდ;

- პირის უფლება ჰქონდეს სათანადო დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად, და პირის უფლება დაუკავშირდეს დამცველს;

- პირის უფლება განიხილონ მისი საქმე დაგვიანების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გადადება მართლმსაჯულებაზე უარს ნიშნავს". პრინციპში, სისხლის სამართალწარმოება უნდა წარიმართლოს უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა სახის სამართალწარმოება, განსაკუთრებით თუ ბრალდებული დაპატიმრებულია;

- საკუთარ სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება;

- მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება;

- უფასო თარგმნის უზრუნველყოფის უფლება იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებული არ ფლობს სამართალწარმოების ენას;

სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სამხედრო მოსამსახურეთა გასამართლება სამხედრო სასამართლოებში

სამხედრო მოსამსახურეთა გასამართლება სამხედრო სასამართლოების წინაშე ჩვეულებრივი დანაშაულისა და ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის ხშირად დაუსჯელობასთან არის დაკავშირებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა მომხსენებელმა სასჯელთა უკანონო, თვითნებური და სასამართლო ბრძანების გარეშე აღსრულების საკითხებზე შეშფოთება გამოხატა იმ ანგარიშებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება შეიარაღებული ძალების წევრების გასამართლებას სამხედრო სასამართლოების წინაშე, როდესაც, სავარაუდოდ, ისინი თავს არიდებენ სასჯელს არასწორად აღქმული *ესპრიტ დე ცორპს*-ის გამო, რასაც დაუსჯელობამდე მივყავართ".[1] ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისო კომისიამ მიიჩნია, რომ სამხედრო იურისდიქციის გავრცელება ჩვეულებრივ დანაშაულებებზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი ჩადენილია სამხედრო პირების მიერ, არ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტიებს, როგორც ამას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი.[2]

1 IACHR, წლიური ანგარიში, 1993 წელი.
2 კომისიის რეზოლუცია 1994/32.

- ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლება;

- პირის უფლება არ იყოს გასამართლებული და მისჯილი ერთი დანაშაულისათვის ორჯერ (*ne bis in idem*-is principi);

- მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელების შემთხვევაში, კომპენსაციის მიღების უფლება;

- *ნულლუმ ცრიმენ სინე ლეგე* და *ნულლა პოენა სინე ლეგე* პრინციპები, რომლებიც კრძალავს უკუქცევითი ძალის მქონე სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებას და უზრუნველყოფს, რომ მსჯავრდებულების მიმართ გამოყენებულ იქნება უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ ისინი მიღებულ იქნა დანაშაულის ჩადენის შემდგომ.

სპეციალური სასამართლოები და სამხედრო სასამართლოები

მრავალ ქვეყანაში ვხვდებით სპეციალურ, საგანგებო ან სამხედრო სასამართლოებს, რომლებიც განიხილავენ სპეციფიკური ტიპის დანაშაულებს ან ახდენენ სპეციალური სამართლებრივი სტატუსის მქონე პირებს. ხშირ შემთხვევაში, ამგვარი სასამართლოები სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებს ნაკლებად ითვალისწინებენ, ვიდრე საერთო სასამართლოები და როგორც ეს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, საკმაოდ ხშირად ამგვარი სასამართლოების შექმნის მიზანი განსაკუთრებული პროცედურების გამოყენებაა, რაც არ შეესაბამება მართლმსაჯულების ნორმალურ სტანდარტებს".[16]

საერთაშორისო სტანდარტების უმრავლესობა არ კრძალავს სპეციალური სასამართლოების შექმნას *პერ სე*, მაგრამ მოითხოვს, რომ ისინი იყვნენ კომპეტენტურები, დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები და, რომ უზრუნველყოფდნენ სასამართლო გარანტიებს სამართლიანი სამართალწარმოებისათვის.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საგანგებო მდგომარეობისა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს

როგორც პირველ ნაწილში აღნიშნა, ადამიანის ზოგიერთი უფლების შეჩერება დაუშვებელია ნებისმიერ მდგომარეობაში. ამ უფლებებიდან ზოგიერთი, მაგალითად როგორიცაა წამებისაგან დაცვის უფლება და უკუქცევითი ძალის მქონე სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღების აკრძალვა – წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს გარანტიების ნაწილს. უფრო მეტიც, არსებობს მზარდი საერთაშორისო კონსენსუსი, რომ *ჰაბეას ცორპუს*-იდან გადახვევა ასევე დაუშვებელია. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიამ ყველა სახელმწიფოს მოუწოდა მიიღონ ისეთი პროცედურები, როგორიცაა *ჰაბეას ცორპუს* ან მსგავსი პროცედურა, რაც არ დაუშვებს პირადი უფლებიდან გადახვევას, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის დროსაც".[17]

სავარაუდოა, რომ სახელმწიფოები დაარღვევენ ადამიანის უფლებებს საგანგებო

16 ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-13 ზოგადი კომენტარი, მე-4 პუნქტი.
17 კომისიის 1994/32 რეზოლუცია.

მდგომარეობის დროს. პატლამენტებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი ძალაუფლება და უზრუნველყონ, რომ სამართლიანი სასამართლოს გარანტიები და სასამართლოს დამოუკიდებლობა, რაც უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა დასაცავად, ძალაში რჩებოდეს საგანგებო მდგომარეობის დროსაც.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არეგულირებს ქმედებებს შეიარაღებული კომფლიქტების დროს. 1949 წლის ჟენევის კონვენციები აფუძნებს სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს იმ პირებისათვის, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაულში ედებათ ბრალი.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან."

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლი

1 . ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, აქვს უფლება დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ისინი თანასწორი უფლებებით სარგებლობენ დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან."

სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მე-17 მუხლი

1. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას.
2. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან."

სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის 23-ე მუხლი

1 . ჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.

2. მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.

3. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში მეუღლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების

უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ბავშვის აუცილებელი დაცვა."

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისუფლებისა და ინდივიდის ავტონომიურობის მცნებაში. როდესაც სახელმწიფო ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას ეხება ისეთ საკითების სასამართლო განხილვისას როგორიცაა ჰომოსექსუალიზმი, ტრანსსექსუალიზმი, პროსტიტუცია, აბორტი, (დახმარების გზით ჩადენილი), თვითმკვლელობა, ჩაცმულობის კოდექსი, ქცევის კოდექსი, პირად კომუნიკაციები, ქორწინება და განქორწინება, რეპროდუქციულ უფლებები, გენურ ინჟინერია, კლონირება, ბავშვის მშობლისაგან ძალადორივი დაშორება, მსგავსი ფაქტები სხვადასხვა საზოგადოებებში განსხვავებულად აღიქმება ამ საზოგადოების მორალური ღირებულებებიდან გამომდინარე. დამატებით, პირადი ცხოვრების პატივისცემის ლიბერალური კონცეპციიდან გამომდინარე მთავრობა არ უნდა ჩაერიოს პირად და ოჯახურ საკითხებში. თუმცა, ცალსახაა, რომ დიხოტომია (პირადულის საზოგადეობრივიდან გამიჯნვა), რომელსაც უშუალოდ ეწინააღმდეგებიან, ყველა თანამედროვე ფემინისტურ თეორიაზე მაღლა დგას და მას აკრიტიკებენ ქალებისა და ბავშვების უფლებების სერიოზული დარღვევების, მათ შორის ოჯახური ძალადობისა და ქალთა სასქესო ორგანოების (FGM) დასახიჩრების გამო.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება: ადამიანის მრავალმხრივი უფლება

ეს უფლება უზრუნველყოფს:

- ადამიანის ინდივიდუალურად არსებობის პატივისცემას, ე.ი. მისი ინდივიდუალური ბუნების, ინდივიდუალურად გამორჩეული თავისებურებების, გარეგანი სახის, პატივისა და რეპუტაციის პატივისცემას;

- იგი იცავს ინდივიდის ავტონომიურობას და უფლებამოსილებას ანიჭებს ადამიანებს იზოლირებულ იყვნენ სხვა ადამიანებისაგან და გაემიჯნონ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მათი პირადი სურვილებისა და გეგმების შესაბამისად. გარკვეული ინსტიტუციონალური გარანტიები, როგორებიცაა *სახლის, ოჯახის, ქორწინებისა* და *კორესპოდენციის საიდუმლოების* დაცვა ეხმარება პირადი ცხოვრების პატივისცემის ამ ასპექტის განხორციელებას.

- აღნიშნული მოიცავს უფლებას იყო განსხვავებული და გამოხატო საკუთარი განსხვავებულება საზოგადოებაში იმ ქმედებით, რომელიც თუნდაც მოცემულ საზოგადოებასა და გარემოში დამკვიდრებული ზნეობის საწინააღმდეგო იყოს. ამიტომაც ხელისუფლების ორგანოები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციები დგანან დელიკატური და რთული ამოცანის წინაშე, რაც *ბალანსის დადგენას* გულისხმობს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და კანონიერ საჯარო ინტერესებს შორის, როგორიცაა საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობისა და სხვათა უფლებათა დაცვა.

ქვევით მოცემული ინფორმაცია ეხება მხოლოდ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებულ ასპექტებს. მათი სადაო ბუნებადან გამომ-

დინარე, ყოველთვის არ არის შესაძლებელი მოიძებნოს მზა პასუხები, ვინაიდან აღნიშნული დამოკიდებულია ინტერესთა ბალანსის დადგენაზე თითოეულ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ძირითადი ასპექტები

ინდივიდუალურობისა და ინტიმურობის შენარჩუნება

პირადი ცხოვრება იწყება ადამიანის სპეციფიკური ინდივიდუალურობის პატივისცემით, რომელიც მოიცავს მის სახელსა და გვარს, გარეგნობას, ჩაცმულობას, თმის ვარცხნილობას, სქესს, გრძნობებს, აზროვნებას, რელიგიასა და სხვა შეხედულებებს. ჩაცმასთან ან ვარცხნილობასთან დაკავშირებული სავალდებულო წესები, სახელისა და გვარის, რელიგიის, სქესის იძულებითი შეცლვა ან შეცვლილი სახელისა და გვარის, რელიგიის, სქესის აუღიარებლობა (მაგალითად, სახელმწიფოს უარი ტრანსსექსუალისათვის დაბადების მოწმობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) ან იდეოლოგიური დამუშავების ნებისმიერი ფორმა (ტვინის გამორეცხვა") ან პიროვნულობის იძულებითი შეცვლა წარმოადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. ზოგადად აღიარებული კონფიდენციალურობის ვალდებულებების, საიდუმლოების გარანტიებისა (მაგალითად, ხმის მიცემის დროს) და მონაცემთა პერსონალური ბაზაზე ინფორმაციისა და მისი შესწორებისა და წაშლის განხორციელებადი უფლების (მონაცემთა ბაზის დაცვის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით) პატივისცემით პიროვნების ინტიმურობა დაცულ უნდა იქნეს (მაგალითად, ექიმებისა და სასულიერო პირების მხრიდან).

ინდივიდუალური ავტონომიურობის დაცვა

თუ რა ხარისხით არის დაცული ავტონომიურობის სფერო პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით საკმაოდ სადაო საკითხია. ინდივიდუალური ავტონომიურობას – პირადი ცხოვრების სფერო, რომელშიც ადამიანები იბრძვიან თვით-რეალიზებისათვის იმგვარი ქმედებებით, რომლებიც არ იჭრება სხვათა უფლებებში – ცენტრალური ადგილი უკავია პირადი ცხოვრების კონცეპციაში. პრინციპში, ავტონომიურობა წარმოშობს საკუთარი სხეულის განკარგვის უფლებას, რომელიც ასევე მოიცავს პირის უფლებას მოიქცეს მისი ჯანმრთელობის საზიანოდ, მათ შორის ჩაიდინოს თვითმკლელობა. თუმცა, საზოგადოებები ამგვარ ქმედებებს ყოველთვის მიიჩნევდნენ საერთო ღირებულებებისა და ზნეობის საზიანოდ ; ხშირად კრძალავდნენ და დასჯადად აცხადებდნენ მათ გამოხატვას (მაგალითად, თვითმკვლელობა, პასიური ევთანაზია და წამლის, ალკოჰოლისა და ნიკოტინის მოხმარება). ქალის უფლება განკარგავდეს საკუთარ სხეულს წარმოშობს თუ არა აბორტის უფლებას ? ესეც სადაო საკითხია, რომელზედაც განსხვავებული პასუხებია სხვადასხვა უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოებიდან. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას დაამყაროს ურთიერთობა სხვა პიროვნებასთან. სექსუალური ავტონომია და სექსუალური ურთიერთობები ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მთავრობებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ამგვარ საკითხებში ჩარევისას.

რას ნიშნავს ოჯ ახი" ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლაში?

გარდა იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია იცავს ოჯახის ინსტიტუტს, მიიჩნევს რა მას საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედად", იგი ასევე სარგებლობს სპეციალური დაცვით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 23-ე მუხლით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-10 მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის მე-16 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-17 მუხლითა და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტიის მე-18 მუხლით. მოცემულ დებულებათა სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ „ტერმინის ოჯახი" მნიშვნელობა სცილდება ოჯახური ბირთვის კონცეპციას დამკვიდრებულს მაღალ ინდუსტრუალიზირებულ ქვეყნებში და მოიცავს უფრო დიდ ერთეულებს, როგორიცაა გაფართოებული ოჯახი, რომელიც მაგალითად გვხვდება აფრიკული საზოგადოებაში. სისხლით ნათესაობა და კანონიერი ურთიერთობები (მაგალითად, ქორწინება, შვილად აყვანა, ჰომოსექსუალური ურთიერთობების დარეგისტრირება და სხვ.), თანაცხოვრება, ეკონომიკური ურთიერთობი და შესაბამის საზოგადოებაში სპეციფიკური სოციალური და კულტურული ღირებულებები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს, რომელიც გვეხმარება იმის განსაზღვრაში, წარმოადგენს თუ არა ოჯახს გარკვეული ურთიერთობების მქონე ადამიანთა ჯგუფი.

ოჯახის დაცვა

ოჯახის დაცვა არის პირადი ცხოვრების პატივისცემის არსებითი ნაწილი. ოჯახისათვის არსებული ინსტიტუციონალური გარანტიები (მაგალითად, მისი სამართლებრივი აღიარება და ამ სტატუსიდან გამომდინარე სპეციფიკური უპირატესობები, და მეუღლეთა, პარტნიორთა, მშობლეთა და შვილთა შორის არსებული ურთიერთოებების დარეგულირება) მიზნად ისახავს დაიცვას საზოგადოებრივი წყობა იმ ტენდენციისაგან, რომელიც მიმართულია დაშლისაკენ და შეინარჩუნოს სპეციფიკური ოჯახური ფუნქციები (როგორიცაა გამრავლება ან ბავშვთა აღზრდა), რაც მიჩნეულია საზოგადოების გადარჩენის აუცილებელ ელემენტად. ადამიანის უფლებები *დაოჯახდე და შექმნა ოჯახი, მათ შორის გამრავლების უფლებები, მეუღლეთა თანასწორობის უფლება, დედების დაცვა* და *ბავშვთა სპეციალური უფლებები*, როგორც ეს მოცემულია ბავშვთა უფლებების კონვენციაში, პირდაპირ კავშირშია ოჯახის ინსტიტუციონალურ გარანტიასთან. ბავშვთა უფლებები, არ დააშორონ მშობლებს, მშობელთა საერთო პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე და ოჯახის ხელახალი გაეთიანების, ბავშვის აღზრდისა და აყვანის უფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მოიცავს ოჯახის დაცვას თვითნებური ან უკანონო ჩარევებისაგან, ყველაზე მეტად ხელისუფლების წარმომად-

გენლებისაგან. ერთი ტიპიური ჩარევის მაგალითია ბავშვების მშობლებისაგან სავალდებულო ჩამოშორება იმ საფუძველზე, რომ მშობლები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს და, შესაბამისად, ბავშვები ექვემდებარებიან სახელმწიფოს მზრუნველობას. მრავალი საქმის განხილვის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განავითარა გარკვეული მინიმალური გარანტირები მშობლებისა და შვილებისათვის, როგორიცაა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილეობა, სასამართლო გადასინჯვა, მშობლებსა და შვილებს შორის რეგულარული კონტაქტების დაწესება მათი განშორების პერიოდში ოჯახის ხელახალი გაერთიანების შესაძლებლობის მიზნით. მსგავსადვე, განქორწინების შემდეგომ, მეუღლეები ინარჩუნებენ მათ შვილებთან ურთიერთობის უფლებას.

საცხოვრებლის დაცვა

საცხოვრებლის დაცვა პირადი ცხოვრების პატივისცემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან საცხოვრებელი გადმოსცემს ოჯახურობის თავშესაფარისა და უსაფრთხოების გრძნობას და, ამიტომაც, გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან თავშესაფარის ადგილის, როდესაც პირს სურს პირადი ცხოვრება საკუთარი სურვილისამებრ წარმართოს შეწუხების შიშის გარეშე. „საცხოვრებელი" არ ეხება მხოლოდ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს, არამედ ასევე სხვადასხვა სახლებსა თუ ბინებს, მიუხედავად მათი სამართლებრივი მდგომარეობისა (საკუთება, იჯარა, ფლობა და თუნდაც უკანონო გამოყენება) ან გამოყენების ბუნებისა (როგორც მთავარი საცხოვრებელი, შაბათ-კვირას დასასვენებელი სახლი ან თუმდაც ოფისი). ამ სფეროში – რომელიც აღწერილია ტერმინის „საცხოვრებლის" თამახმად – შეჭრის ყოველი შემთხვევა, რაც ხორციელდება შესაბამისი ინდივიდების თანხმობის გარეშე, წარმოადგენს ჩარევას. ჩარევის კლასიკური ფორმაა პოლიციის მიერ განხორციელებული ჩხრეკა პირის დადგენისა და დაკავების მიზნით, ან კიდევ სისხლისსამართლებრივი წარმოების პროცესში მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. მაგრამ ეს არ არის ჩარევის ერთადერთი ფორმა. საცხოვრებლის განადგურება უშიშროების ძალების მიერ, უძილებითი გამოსახლება, დაფარული სატელევიზიო კამერების ან მოსასმენი მოწყობილობების გამოყენება, თვალთვალის ელექტრონული პრაქტიკა ან გარემოს დაბინძურების განსაკუთრებით მძიმე ფორმები შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებლის დაცვის უფლებაში ჩარევად. ამგვარი ჩარევები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისობაში ეროვნულ კანონმდებლობასთან და არ არის თვითნებური, ანუ ჩარევა ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული მიზნითა და პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. პოლიციის მიერ განხორციელებული ჩხრეკები, ამოღება და თვალთვალი ხშირ შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული წერილობითი ბრძანების საფუძველზე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და უნდა ემსახურებოდეს დასახულ კონკრეტულ მიზანს, როგორიცაა მტკიცებულების მოპოვება.

პირადი მიმოწერის დაცვა

მართალია, ტერმინი „მიმოწერა" თავიდან მხოლოდ წერილებს ეხებოდა, ის ახლა მოიცავს კომუნიკაციის ყველა ფორმას დისტანციის მიუხედავად: ტელეფონი,

იმიგრაციის, გაძევების, დეპორტაციისა და ექსტრადიციის კანონებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებით ოჯახურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შეზღუდვა

თუმცა არ არსებობს უცხოელთათვის ზოგადი უფლება შეეიდნენ და იცხოვრონ ქვეყანაში, თვითნებური და დისკრიმინაციული საიმიგრაციო პოლიტიკა არღვევს ოჯახის დაცვისა და ხელახალი გაერთიანების უფლებას. რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს უცხოელი ქვეყანაში, განსაკუთრებით დაოჯახებისა და ოჯახის შემქნის შემდგომ, მით უფრო ძლიერი არგუმენტი, უნდა წარმოადგინოს მთავრობამ პირის გაძევებისა და დეპორტაციის შემთხვევაში. მაგალითად, საქმეში *Berrehab v. the Netherlands* (1988 წ.) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჰოლანდიელი მეუღლისაგან განქორწინების ფაქტს არ შეეძლო გაემართლებინა მაროკოელი მამაკაცის გაძევება, რომელიც ახლო კავშირებს ინარჩუნებდა მისი შვილთან ნიდერლანდების სამეფოში. მეორეს მხრივ, თუ უცხოელის ოჯახური ცხოვრების უფლებას ავწონით და შევადარებთ სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესებს არეულობის ან დანაშაულის აღკვეთის კუთხით, მაში შესაბამისი პირის სისხლისსამართლებრივი ქმედება, როგორც წესი, გაამართლებდა ოჯახის დანგრევას, მიუხედავად ქვეყანაში ხანგრძლივი ვადით ცხოვრებისა. მხოლოდ გამონაკლისს საქმეებში – რომლებშიც, ერთ შემთხვევაში, მეორე თაობის იმიგრანტებს რაიმე სახის რეალური კავშირები არ ჰქონდათ წარმოშობის ქვეყანასთან, ხოლო მეორეში, სახეზე იყვნენ სერიოზული უნარშეზღუდულობის მქონე ან დაავადებული პირები – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ზღვარით უცხოელებთან მიმართებით განხორციელებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, მაგრამ უნდა ეცადნონ დაადგინონ ბალანსი კანონიერ საჯარო ინტერესებსა და ოჯახური ცხოვრების დაცვის მოთხოვნებსა და სხვა პირად გარემოებებს შორის, როგორიცაა მუდმივი საცხოვრებელი ან საკუთრება იმ ქვეყანაში, სადაც პირი ცხოვრობს.

კაბელი, ტელექსი, ფაქსი, ელ. ფოსტა ან სხვა მექანიკური თუ ელექტრონული საშუალებები. მიმოწერის დაცვა გულისხმობს ამგვარი კომუნიკაციის დაცვის პატივისცემას. პირადი კორესპოდენციის შეჩერება, ცენზურა, ინსპექტირება, შემოწმება ან გამოქვეყნება წარმოადგენს პირად ცხოვრებაში ჩარევას. ამგვარი ჩარევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან სათვალთვალო ღონისძიებების გატარება (წერილების გახსნა, სატელეფონო საუბრების მონიტორინგი, ფაქსისა და ელ. ფოსტის შემოწმება და სხვ.) მართლმსაჯულების განხორციელების, დანაშაულის აღკვეთის (მაგალითად, პატიმრის კორესპოდენციაზე ცენზურის დაწესების გზით) ან ტერორიზმის დამარცხების მიზნით. როგორც ეს დადგენილია სახლის ჩხრეკასთან მიმართებით, კორესპოდენციაში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კანონმდებლობას (როგორც წესი, აღნიშნული მოითხოვს სასამართლოს ბრძანებას) და პროპორციულობის პრინციპის დაცვას.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია საკანონმდებლო ინიციატივებმა რიგ ქვეყნებში, რაც გულისხმობს პოლიციისა და უშიშროების ძალების უფლებამოსილების გაფართოებას ტერორიზმის დამარცხების მიზნით. ტრადიციული პოლიციური ფუნქციების (როგორებიცაა ჩხრეკა, სამხილის ამოღება და თვალთვალი, რაც ხშირ შემთხვევაში სასამართლოს წინასწარი ბრძანების გარეშე ხდება) გაფართოების გარდა, ტიპიური მაგალითები მოიცავს ელექტრონულ თვალთვალის განხორციელებას პოტენციურ ტერორისტებზე ინფორმაციის მოპოვების, მისი შემდგომი დამუშავების, სკანირებისა და მონიტორინგის მიზნით; ასევე ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორებიცაა შესაბამისი ჯგუფის თითის ანაბეჭდების და სისხლის და დნკ-ას ნიმუშების ავტომატურად აღება.

ამ სფეროში (სხვა უფლებებთან კავშირში, როგორებიცაა პირადი თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებები), *პარლამენტის წევრებს აკისრიათა უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობა:* მათ უნდა უზრუნველყონ, რომ პოლიციისა და უშიშროების ძალების მხრიდან ნებისმიერი ჩარევის გაგრძელება (რა თქმა უნდა, თუ არის ამის საჭიროება) ხდებოდეს

1. გამჭვირვალედ და დემოკრატიულად;

2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების სათანადო პატივისცემით;

3. თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების უძვირფასესი ღირებულებების (ინდივიდუალური თავისუფლება, პირადი ცხოვრების პატივისცემა და კანონის უზენაესობა) დაცვით.

მიმოსვლის უფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლი

1 . ყველა ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება.

2. ყველა ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლი

1 . ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.

2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა.
3. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად და შესაბამისობაში მოდის წინამდებარე პაქტით გარანტირებულ უფლებებთან.
4. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების უფლება."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-13 მუხლი
წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელის გაძევება შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და მას უნდა მიეცეს საშუალება, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება და ამ მიზნით მისი საქმე განხილულ და წარმოდგენილ იქნეს კომპეტენტური ხელისუფლების ან კომპეტენტური ხელისუფლების მიერ სპეციალურად დანიშნული პირის ან პირების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეროვნული უშიშროებიდან გამომდინარე არსებობს დასაბუთებული მოსაზრებები,რომლებიც საპირისპიროს მოითხოვს."

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი იცავს ყველა პირის უფლებას, რომელიც კანონიერად იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე, გააჩნია თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს უფლება დაცული უნდა იყოს როგორც ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვების დაწესებისაგან, და ასევე კერძო პირთა მხრიდან ჩარევებისაგან.

უცხოელთა მიმოსვლის თავისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე

გამომდინარე იქედან, რომ ეს უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე, მთავრობებს შეუძლიათ დააწესონ შეზღუდვები უცხოელთა ქვეყანაში შესვლაზე. უცხოელი „კანონიერად" იმყოფება თუ არა ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა განისაზღვროს ქვეყნის კანონმდებლობით, რომლითაც შეიძლება დაწესდეს შესვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით აღებულ ვალდებულებებს.

ის უცხოელები, რომლებმაც უკანონოდ შეაღწიეს ქვეყანაში, მაგრამ რომელთა სტატუსი დარეგულირდა, მიჩნეულ უნდა იქნენ კანონიერად ქვეყნის ტეროტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუკი პირი ლეგალურად იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე, ამ პირზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა, ან ამ პირის მიმართ განხორციელებული ნებისმიერ სახის მოპყრობა, რაც განსხვავდება სხვა მოქალაქის მიმართ განხორციელებული მოპყრობისაგან, დასაბუთებული უნდა იქნეს სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით.

ამ მუხლის მიხედვით უცხოელზე დაწესებული შეზღუდვების მაგალითი მოცემულია საქმეში *Celepli v. Sweden*, რომელიც განიხილა ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (1994 წ.). ბ-ნი კელეპლის, ქურთული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე მცხოვრები შვედეთში, ებრძანა დაეტოვებინა ქვეყანა იმის გამო, რომ იგი ეჭვმიტანილი იყო ტერორისტულ საქმიანობაში. აღნიშნული ბრძანება არ იქნა აღსრულებული, და მას მისცეს თავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება,სადაც მას პოლიციისათვის რეგულარულად უნდა წარედგინა მოხსენებები. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ ეს შეზღუდვები შესაბამისობაში მოდიოდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებთან და, შესაბამისად, კანონიერი იყო.

ქვეყნის ტერიტორიის დატოვების უფლება

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია, რომ ყველა პირი (მოქალაქეები და უცხოელები, და თვით ის პირებიც, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან ქვეყანაში) თავისუფალია, დატოვოს ქვეყანის ტერიტორია. ეს უფლება ეხება მოკლე და გრძელვადიან ვიზიტებს უცხოეთში და (მუდმივ ან ნაწილობრივ მუდმივ) ემიგრაციას. ამ უფლებით სარგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული უცხოეთში მოგზაურობის მიზანსა თუ ხანგრძლივობაზე.

ეს უფლება ვალდებულებას აკისრებს როგორც იმ ქვეყანას, სადაც პირი ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეა იგი. მაგალითად, იმ ქვეყანამ, რომლის მოქალაქეც არის პირი, უნდა გასცეს სამოგზაურო დოკუმენტაცია ან პასპორტები ყველა მოქალაქეზე მიუხედავად იმისა, ისინი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან თუ მის ფარგლებს გარეთ. იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო უარს განაცხადებს პასპორტის გაცემაზე ან მოსთხოვს საკუთარ მოქალაქეს გასასვლელ ვიზას, სახეზე იქნება ჩარევა, რომლის გამართლება. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაგმო კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს ქალთა უფლებას დატოვოს ქვეყანა და მოითხოვს მეუღლის თანხმობას.

შეზღუდვები

მიმოსვლის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი შეზღუდვები გათვალისწინებულია კანონით და როდესაც ისინი აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი).

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, აღნიშნული მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, მაგალითად, თუკი ინდივიდს უარი ეთქვა ქვეყნის დატოვებაზე მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ფლობს სახელმწიფო საიდუმლოებას", ან ინდივიდს უარი ეთქვა ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე სპეციალური ნებართვის არქონის გამო". ასევე, ქალებისათვის გადაადგილებაზე უარის თქმა ან უარი მამაკაცის ნებართვის ან თანხლების გარეშე, წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლის დარღვევას. მეორეს მხრივ, სამხედრო ზონების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების დაცვის

მიმოსვლის თავისუფლებაზე დაწესებული ბარიერები: მაგალითები

მიმოსვლის თავისუფლება ხშირად ექვემდებარება ქვემოთ მოყვანილ აუცილებლობას მოკლებულ ბარიერებს, რაც ართულებს ქვეყანაში ან ქვეყნებს შორის მოგზაურობას ან შეუძლებელს ხდის მას. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ წინ აღუდგნენ ამ ღონისძიებებს.

ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოსვლა

- ქვეყნის ტერიტორიაზე მოგზაურობისათვის ნებართვის მიღების ვალდებულება;
- საცხოვრებლის შეცვლის შესახებ ნებართვის მისაღებად მიმართვის ვალდებულება;
- ხელისუფლების იმ ადგილობრივი ორგანოების თანხმობის მიღების ვალდებულება, სადაც აპირებს პირი გამგზავრებას;
- წერილობითი განცხადებებისათვის მსვლელობის მიცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული შეფერხებები

სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება

- ხელისუფლების ორგანოების ან საჭირო ინფორმაციის არასაკმარისად ხელმისაწვდომობა;
- პასპორტის მისაღებად საჭირო განაცხადის ფორმების მიღების მიზნით, განაცხადის სპეციალური ფორმებისათვის მიმართვის მოთხოვნა;
- თანამშრომლების ან ნათესავების მხრიდან პირადობის დამადასტურებელი წერილის წარდგენის მოთხოვნა;
- ზუსტი სამოგზაურო მარშრუტის წარდგენის მოთხოვნა;
- პასპორტის გაცემისათვის დადგენილი მაღალი მოსაკრებელი;
- დაუსაბუთებელი დაგვიანებები სამოგზაურო დოკუმენტების გაცემის თაობაზე
- მოგზაურობაში ერთად მყოფ ოჯახის წევრებზე დაკისრებული შეზღუდვები;
- რეპატრიაციის დეპოზიტის ან უკანა ბილეთის გაკეთების მოთხოვნა;
- იმ ქვეყნიდან მოწვევის წარგენის მოთხოვნა, სადაც პირი მიემგზავრება;
- განმცხადებელთა შეურაცხმყოფა.

მიზნით, ან იმ ტერიტორიებზე დასახლების შეზღუდვა, რომელ ტერიტორიებზე ცხოვრობენ მკვიდრი მოსახლეობა ან უმცირესობები, შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ შეზღუდვებად.

შეზღუდვების დაწესება და მათი განხორციელების კონტროლი

კანონმდებლობის შემუშავება

ასეთი კანონმდებლობის მიღებისას, რომელიც ითვალისინწინებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით დაწესებულ შეზღუდვებს, პარლამენტებმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელონ იმ პრინციპით, რომ შეზღუდვებმა ზიანი არ მიაყენოს უფლების მიზანს. კანონმდებლობამ ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს შეზღუდვის კრიტერიუმი – რაც ობიექტურად უნდა განხორციელდეს – და პატივი უნდა სცეს პროპორციულობის პრინციპს; შეზღუდვები უნდა იყოს შესაბამისი და პროპორციული იმ ინტერესთან, რომელიც დაცვას ისინი ემსახურებიან.

განხორციელება

თუკი სახელმწიფო გადაწყვეტს შეზღუდვების დაწესებას, ისინი კანონში უნდა იქნეს გაწერილი. შეზღუდვები, რომლებიც არ არის კანონით გათვალისწინებული და არ არის შესაბამისობაში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებაატ პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტთან, პირდაპირ იწვევს მიმოსვლის თავისუფლების დარღვევას. შეზღუდვების ფაქტობრივი განხორციელება უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს, როგორც ზემოთ იქნა განმარტებული. დამატებით, შეზღუდვა შესაბამისობაში უნდა იყოს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის სხვა უფლებებთან, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებთან.

საკუთარ ქვეყანაში შესვლის უფლება

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი განმარტავს, რომ პირს აქვს უფლება დარჩეს საკუთარ ქვეყანაში და დაბრუნდეს მას შემდეგ, რაც დატოვა იგი, და აღნიშნულმა შეიძლება მიანიჭოს პირს უფლება შევიდეს ქვეყანაში პირველად (თუ იგი არის ეროვნებით ამ ქვეყნიდან, მაგრამ დაიბადა უცხოეთში). დაბრუნების უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლტოლვილებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით რეპატრიაციას ითხოვენ.

შესიტყვება „პირის საკუთარი ქვეყანა“ პირდაპირ ეხება ამ ქვეყნის მოქალაქეებს. გამონაკლისს შემთხვევებში, პირებს, რომლებიც ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ქვეყანაში როგორც უცხოელები, ან რომლებიც დაიბადნენ როგორც მეორე თაობის იმიგრანტები, შეუძლიათა ჩათვალონ ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობენ, „საკუთარ“ ქვეყნად.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლი
ყ ველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა სწავლებით, წესების დაცვით, აღმსარებლობითა და რიტუალების აღსრულებით."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-18 მუხლი
1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, რიტუალების აღსრულებით, წესების დაცვითა და სწავლებით.
2. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, რაც ზღუდავს მის თავისუფლებას ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა საკუთარი არჩევნიდან გამომდინარე.
3. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.
4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა."

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება იმდენად არსებითია, რომ მისგან გადახვევა დაუშვებელია, თვით საომარი მდგომარეობის დროსაც კი. რაც ცნობილია როგორც *ფორუმ ინტერნუმ*, ანუ პირის საკუთარი აზრის, შეხედულების, სინდისისა და რწმენის ჩამოყალიბების უფლება, არის აბსოლუტური უფლება, რომელიც დაცულია სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმით ჩარევისაგან, როგორიცაა იდეოლოგიური დამუშავების ნებისმიერი ფორმა (ტვინის გამორეცხვა"). თუმცა რელიგიის ან რწმენის სახალხოდ გაცხადება შეიძლება შეზღუდულ იქნეს კანონიერი საფუძვლებით.

ტერმინები რელიგია" და რწმენა" ფართოდ უნდა განიმარტოს, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ტრადიციულ, ასევე არატრადიციულ რწმენასა და რელიგიებს, იქნება ეს თეიზმი, თუ არათეიზმი ან ათეიზმი. რელიგიისა თუ რწმენის ქონის ან მიღების უფლება გულისხმობს არჩევის თავისუფლებას, რაც შეიძლება მოიცავდეს რელიგიისა თუ რწმენის ახლით შეცვლას, ან ათეისტური შეხედულებების შეძენას, ან პირის რელიგიისა თუ რწმენის შენარჩუნებას.

იძულების აკრძალვა

დაუშვებელია პირი დაექვემდებაროს ფიზიკური ძალის გამოყენებას ან დაშინებას ან დამსჯელი სანქციების მიღებით დაშინებას ნებისმიერ გარემოებაში, რაც მიზნად ისახავს უარის თქვას კონკრეტულ რელიგიაზე თუ რწმენაზე. აკრძალვა ასევე ეხება პოლიტიკას ან ღონისძიებებს, რომლებმაც იგივე გავლენა შეიძლება იქონიონ. მაგალითად, რელიგიურ ჯგუფში *პერ სე* გაწევრიანებამ არ უნდა გამოიწვიოს პირის საჯარო სამსახურიდან დათხოვნა.

პირის რელიგიისა თუ რწმენის გაცხადება

გაცხადების" მნიშვნელობა ძალიან ფართოა. იგი მოიცავს:

- აღმსარებლობა: რიტუალური და ცერემონიალური ქმედებების განხორციელება, აღმსარებლობისათვის ადგილების აშენება, რიტუალური ფორმულისა და საგნების გამოყენება, დღესასწაულებისა და უქმე დღეების დაცვა;

- რიტუალების აღსრულება: ცერემონიალური აქტების განხორციელება, მარხვის შენახვა, შესაბამისი ტანსაცმლის ან სამოსელის ტარება, და სპეციფიკური ენის გამოყენება;

- წესების დაცვა და სწავლება: რელიგიური ლიდერების, მღვდლებისა და მასწავლებლების არჩევა, სემინარიებისა თუ რელიგიური სკოლების დაფუძნება, და რელიგიური ტექსტებისა თუ გამოცემების წარმოება ან გავრცელება.

ვინაიდან რელიგიისა თუ რწმენის გაცხადება აქტიური ფორმაა, მან შეიძლება გავლება მოახდინოს სხვა პირთა ზოგიერთ უფლებაზე, და გარკვეულ შემთხვევებში, საფრთხე შეუქმნას საზოგადოებას. ამიტომაც, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იგი შეიძლება დაექვემდებაროს კონკრეტულ შეზღუდვებს.

პირის რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების შეზღუდვა

პირის რელიგიისა თუ რწმენის *გაცხადების* თავისუფლების შეზღუდვა ექვემდებარება მკაცრად განსაზღვრულ პირობებს, და დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი

- იგი კანონით არის გათვალისწინებული; და

- აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

პირის რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებია მაშინ, როცა ასეთი გაცხადება წარმოადგენს ომის პროპაგანდას ან ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობას, რაც მიმართული იქნება დისკრიმინაციის, მტრობისა და ძალადობისაკენ. ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის კონფლიქტები ყველაზე ხშირად რელიგიური შეუწყნარებლობიდან გამომდინარეობს.

საფრანგეთის სკოლებში რელიგიური სიმბოლოების აკრძალვა

საფრანგეთში 2004 წელს მიღებულ კანონზე აზრთა სხვადასხვაობამ დაგვანახა, თუ რამდენად მგრძნობიარე შეიძლება იყოს რელიგიისა თუ რწმენის გაცხადებაზე შეზღუდვების დაწესების საკითხი. კანონი მიღებულ იქნა პარლამენტის დიდი უმრავლესობით, რაც კრძალავდა აშკარა რელიგიური სიმბოლების გამოყენებას საფრანგეთის სახელმწიფო სკოლებში. უფრო ფართო ხედვით კანონის სამიზნე ისლამური თავსაფარები იყო, თუმცა აკარძალვა ასევე ეხებოდა ებრაელთა ქუდებსა და დიდ ქრისტიანულ ჯვრებს.

მაშინ როდესაც საფრანგეთის პარლამენტი და მთავრობა ამართლებდა კანონს სეკულარობის პრინციპზე (სახელმწიფოსა და რელიგიის მკაცრად გამიჯვნა) დაყრდნობით და მუსლიმი გოგონების დაცვის საჭიროებით გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბევრმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფმა განაცხადა, რომ აკრძალვა არღვევდა რელიგიისა თუ რწმენის თავისუფლების უფლებას და იგი წარმოადგენს იძულებას, რომელიც ცალსახად აკრძალულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათ პაქტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით.

რელიგია და მორალური განათლება

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობელთა და კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა. სავალდებულო რელიგიური ან მორალური განათლება საჯარო სკოლებში წინააღმდეგობაში არ მოდის ამ დებულებასთან იმ შემთხვევაში, თუკი რელიგია ისწავლება ობიექტური და პლურალისტული მეთოდით (მაგალითად, რელიგიისა და ეთიკის ისტორიის კურსის ნაწილი). იმ შემთხვევაში, თუკი მხოლოდ ერთი რელიგია ისწავლება საჯარო სკოლაში, შესაბამისი დებულებები უნდა იქნეს მიღებული, რომ ადგილი არ ჰქონდეს დისკრიმინაციას. ამ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა მშობლისა თუ კანონიერი მეურვის სურვილი.

აზრისა და გამოხატვის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი
ყ ველას აქვს ა ზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი ა ზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსა ზრებები ყოველგარი საშუალებით, მიუხედავად სა ზღვრებისა.“

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-19 მუხლი
1 . ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი მოსა ზრებები, ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

2. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, მიუხედავად საზღვრებისა, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყველა სახის ინფორმაცია და მოსაზრებები ზეპირად, წერილობით ან პრესის მეშვეობით, ხელოვნების სახით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით საკუთარი შეხედულებისამებრ.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული უფლების განხორციელება დაკავშირებულია სპეციალურ მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან. ამიტომაც უფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, მაგრამ ეს შეზღუდვები შესაძლოა იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი:

ა) სხვათა უფლებათა ან რეპუტაციის დასაცავად;

ბ) ეროვნული უშიშროების, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად."

აზრის თავისუფლება

აზრის ქონის თავისუფლება ბუნებით პასიურ უფლებას წარმოადგენს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისს ან შეზღუდვას ამ თავისუფლების განხორციელებაში – რომლის აბსოლუტური ხასიათი რიგ შემთხვევებში ქარწყლდება. როგორც ჩვენ ამას ქვევით ვნახავთ, აზრის გამოხატვის თავისუფლება არა მხოლოდ შეიძლება, არამედ უნდა შეიზღუდოს კიდეც გარკვეულ შემთხვევებში.

გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებასთან ერთად, დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. დემოკრატიის რეალიზება შეუძლებელია იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის, ხალხის მიერ თავისი იდეების და უფლებების დაცვის და ამ მიზნით პოლიტიკური პარტიების და პროფესიული კავშირების ჩამოყალიბების გარეშე. გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომხსენებელმა განსაზღვრა ეს უფლება როგორც არსებითი უფლება-ტესტი, რომლის განხორციელებაც წარმოაჩენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გარანტირებული ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის ხარისხს".[18]

ყველა რეგიონალურმა და საერთაშორისო საზედამხედველო ორგანომ ხაზგასმით აღნიშნა ამ უფლების უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიისათვის. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიაც ასევე მოიქცა 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც მიიღო დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლების პრინციპების შესახებ აფრიკაში.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდთა უფლებას გამო-

18 გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისია, *აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ხელმშეწყობისა და დაცვის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მოხსენება*, E/CN.4/2002/75), 2002 წლის იანვარი.

ხატონ საკუთარი აზრები, არამედ უფლებას მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ყველა სახის ინფორმაცია. ამიტომაც მას გააჩნია ინდივიდუალური და სოციალური განზომილება: ეს არის უფლება, რომელიც ეკუთვნის ინდივიდებს, და ასევე

გამოხატვის თავისუფლება – ფართო უფლება

საქმეზე *Ჭანდყსიდე ვ.უნიტედ კინგდომ* (1976წ.) საგამომცემლო ფირმამ გამოსცა „პატარა წითელი წიგნი", რომელიც განკუთვნილი იყო 12 წელზე უფროსი ასაკის სკოლის მოსწავლეთათვის. წიგნი მოიცავდა თავებს სექსზე და სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით დახმარებასა და რჩევებს იძლეოდა. ხელისუფლების მიერ მრავალი საჩივრის მიღების შედეგად, განცხადებლის შენობა გაიჩხრიკა, წიგნის ასლები ამოღებულ იქნა, და განცხადებელი ცნობილ იქნა დამნაშავედ უხამსი წიგნების ქონის გამო, რომლებიც მოგების მიზნით განკუთვნილი იყო გამოსაცემად. Mმას დაეკისრა საჯარიმო თანხის გადახდა. გამამტყუნებელი განაჩენი გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში. ამოღებული წიგნები განადგურდა. მოგვიანებით მოხდა განახლებული გამოცემის გამოცემა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, ვინაიდან ხელისუფლების ორგანოების მიერ დაწესებული შეზღუდვა გამართლებულ იქნა.

სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენდა საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას. კანონიერი შეზღუდვების გათვალისწინებით იგი ეხება „არა მხოლოდ ინფორმაციასა და მოსაზრებებს, რომლებსაც ბევრი იზიარებს ან გულგრილად ეკიდება, არამედ სახელმწიფოსათვის ან მოსახლეობის რომელიმე სეგმენტისათვის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის მიწოდებას. Eეს არის საზოგადოების მოთხოვნები, რომელიც პლურალიზმისა და შემწყნარებლობისა პრინციპებს იზიარებს; ამის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა."

საქმეზე *Feldek v. Slovakia (2001)*, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის ცილისწამებისათვის მსჯავრდებას, რაც მოჰყვა ახლად დანიშნული მინისტრის შესახებ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს, მიუთითებდა რა მის ფაშისტურ წარსულზე, ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გამოხატვის თავისუფლება ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკური დებატების დროს. მან ასევე მიიჩნია, რომ ძალიან ძლიერი არგუმენტები იყო საჭირო პოლიტიკური სიტყვის შეზღუდვის გასამართლებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის განცხადებები იყო შეფასებითი მსჯელობა, რომლის სიმართლესთან შესაბამისობა არ ექვემდებარებოდა დამტკიცებას, და აღნიშნა, რომ „შეფასებითი მსჯელობის სიმართლესთან შესაბამისობის დამტკიცება შეუძლებელია, რაც თავის მხრივ იწვევს გამოხატვის თავისუფლების დარღვევას." შეაფასა რა თუ რა ხარისხით შეიძლებოდა კავშირში ყოფილიყო შეფასებითი მსჯელობა ფაქტებთან, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება დარღვეულ იქნა, ვინაიდან ეროვნულმა

სასამართლოებმა ვერ დაადგინეს მწვავე სოციალური საჭიროება მინისტრის პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად, რაც განმცხადებელის გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და საჯარო ინტერესის საკითხებთან დაკავშირებული თავისუფლებების ნახალისების ზოგად ინტერესზე უფრო ძლიერი იქნებოდა.

ჟერსილდ-ის საქმეში (1994წ.) განმცხადებელი იყო ტელე-ჟურნალისტი, რომელიც მსჯავრდებულ იქნა ახალგაზრდების ჯგუფისაგან ინტერვიუს აღებისათვის. ხსენებული ინტერვიუს დროს ახალგაზრდებმა გააკეთეს რადიკალური რასისტული ხასიათის მქონე განცხადებები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დასჯამ დაარღვია გამოხატვის თავისუფლება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ პროგრამა სრულად კრიტიკული იყო ახალგაზრდათა ამ ჯგუფისა და მათი იდეოლოგიის მიმართ, და ამიტომაც არ წარმოადგენდა დისკრიმინაციის მხარდაჭერასა და წახალისებას.

მოიცავს კოლექტიურ უფლებას მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეთ სხვების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

„გამოხატვის თავისუფლება ქმაკუთხელია, რომელსაც ეფუძნება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საკითხი. იგი საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად. იგი ასევე წარმოადგენს ცონდიტიო სინე ქუა ნონ-ს (აუცილებელი პირობა) პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, საქმიანი ლ კულტურული საზოგადოებების და ზოგადად ამ ორგანიზაციათა განსავითარებლად, რომელთაც სურთ გაეფინა იქონიონ საზოგადოებაზე. მოკლედ, იგი წარმოადგენს საშუალებას, რაც საზოგადებას, მისი არჩევანის გაკეთებისას, უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება, რომელიც კარგად ინფორმირებული არ არის, არ არის ჭეშმარიტად თავისუფალი".

ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო,
საკონსულტაციო დასკვნა ჟჩ-5/85, 70-ე პუნქტი.

ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტარებისათვის, ვინაიდან იგი მოიცავს თავისუფლებას გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები. საქმეში *Kivenmaa v. Finland (1994)*, რომელიც ეხებოდა ფინეთში ოფიციალური ვიზით მყოფი უცხო ქვეყნის მეთაურის ადამიანის უფლებათა დოკუმენტის დენონსირებასთან დაკავშირებულ დემონსტრაციას, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ ინდივიდის უფლება გამოხატოს პოლიტიკური შეხედულებები, მათ შორის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული შეხედულებები, წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ნაწილს გარანტირებულს პაქტის მე-19 მუხლით". როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, იგი ეხება არა მხოლოდ ინფორმაციასა" და მოსაზრებებს", რომლებსაც ბევრი იზიარებს ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, თავზარდამცემი ან შემაშფოთებელია" (იხ. 68-ე ყუთი).

„ის ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ საჯარო ხელისუფლების ორგანოები უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, კანონით დადგენილი ნათლად ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დეკლარაციის IV მუხლი.

ინფორმაციის მოპოვებისა და მიღების თავისუფლების გარეშე, მედია, პარლამენტის წევრები და სხვები ვერ შეძლებდნენ კორუფციის ან არაჯეროვანი მართვის შემთხვევების გამოაშკარავებასა და გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მთავრობის უზრუნველყოფას. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიის 1995 წლის ანგარიშში, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიული ცხოვრების წესის საფუძვე-



კანონმდებლობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ

მრავალმა ქვეყანამ მიიღო კანონმდებლობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. ამგვარი კანონი აღმოჩნდა ძალიან ქმედითუნარიანი ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და დაუსჯელობასთან ბრძოლის გამოაშკარავების საქმეში. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიისათვის 2004 წელს დაუსჯელობასთან დაკავშირებით მომზადებულ ნაშრომში დამოუკიდებელმა ექსპერტმა (დაუსჯელობის დასამარცხებლად ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისების პრინციპთა ერობლიობის განახლების მიზნით) მოიყვანა მრავალი მაგალითი, რომლებშიც ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლებს ამგვარი კანონმდებლობა აძლევდა სიმართლის გაგების საშუალებას. მაგალითად, ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტის სამხრეთ აფრიკის არქივმა გამოიყენა სამხრეთ აფრიკის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წახალისების აქტი, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წელს, რათა მოეძიებინა „დაკარგული" ჩანაწერები და გამოეაშკარავებინა, თუ რა რატომ არ იყო ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ქვეყნაში არსებული ნდობის კომისიისათვის". ექსპერტმა გამოსცა, რეკომენდაცია რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მოქალაქეებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი შესაბამის ინფორმაციაზე. სახელმწიფოებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ არ გადადგეს ეს ნაბიჯები უნდა მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც ნებას დართავს მოქალაქეებს ხელმისაწვდომი გახდეს სამთავრობო დოკუმენტები, მათ შორის ისეთი დოკუმენტებიც, რომლებიც ამჟღავნებს ადამიანის უფლებათა დარღვევებს". მან მაგალითად მოიტანა მექსიკის ფედერალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ აქტი, რომელიც მიღებულია 2002 წელს, რომელიც დასჯადად აცხადებს ისეთი დოკუმენტების დამალვას, რომლებიც აღწერს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს".[1]

1 E/CN.4/2004/88, მე-20 პუნქტი.

ლია. ხალხისაგან ინფორმაციის დამალვის ტენდენცია მკაცრად უნდა იქნეს გაკონტროლებული".[19]

მედიის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია პრესისა და მედიის სხვა საშუალებების თავისუფლება. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მე-10 ზოგად კომენტარში აღნიშნა, რომ ... თანამედროვე მასმედიის განვითარების გათვალისწინებით, მედიის კონტროლის აღკვეთის მიზნით უნდა გატარდეს ეფექტური ღონისძიებები; წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული გამოიწვევს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას".

შეზღუდვები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ხაზს უსვამს, რომ გამოხატვის თავისუფლების განხორციელება დაკავშირებულია სპეციალურ მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან, რაც ამართლებს ამ უფლებაზე დაწესებულ გარკვეულ შეზღუდვებს.

თუმცა გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს მკაცრად განსაზღვრულ შემდეგ მოთხოვნებს:

- შეზღუდვას *უნდა ითვალისწინებდეს კანონი* (პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, სასამართლოების მიერ ან პროფესიული წესების საფუძველზე დადგენილი სამართალი). შეზღუდვა უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული. კანონი, რომლებიც ძალიან ბუნდოვანია ან გამოყენების განუსაზღვრელ უფლებამოსილებას იძლევა ვერ დაიცავს ინდივიდებს თვითნებური ჩარევებისაგან და არ წარმოადგენს სათანადო დამცავ მექანიზმს უკანონო ქმედებების წინააღმდეგ;

- შეზღუდვები *აუცილებელი* უნდა იყოს სხვათა უფლებების ან რეპუტაციის პატივისცემისათვის;

- ეროვნული უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დასაცავად.

ბოლო კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეზღუდვა გამოწვეულია მწვავე სოციალური საჭიროებით და პროპორციულია დასახულ კანონიერ მიზანთან.

ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვები

საქმეში *Mukong v. Cameroon (1994)*, ჟურნალისტი აცხადებდა, რომ მისი გამოხატვისა და აზრის თავისუფლება დარღვეულ იქნა; იგი არაერთხელ დააკავეს და მისი ზოგიერთი წიგნი სახელმწიფომ აკრძალა, გამომდინარე მისი საქმიანობიდან

19 E/CN.4/1995/32, 35-ე პუნქტი.

მედიის თავისუფლების დაცვა

პარლამენტს შეუძლია გადადგას რიგი ნაბიჯებისა, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობის უზრუნველყოფას. აღნიშნული ნაბიჯები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- საჭიროების შემთხვევაში, სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მე-19 მუხლთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განსაკუთრებით კი, გაერთიანებული ერების აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის თანახმად, მედიის შესახებ კანონმდებლობის გადახედვა, ყველა იმ კანონის გაუქმება, რომლებიც პრესის მეშვეობით ითვალისწინებს პატიმრობას უკანონო ქმედებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე რასისტული ან დისკრიმინაციული ხასიათის კომენტარებთან ან ძალადობისაკენ მოწოდებასთან გვაქვს, და იმის უზრუნველყოფა, რომ ჯარიმა ისეთი უკანონო ქმედებებისათვის, როგორებიცაა ცილისწამება, შეურაცხმყოფა და სხვ., არ სცდებოდეს პროპორციულობის ფარგლებს;

- გაზეთების პლურალურობისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;

- მაუწყებლის პოლიტიკური და კომერციული ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს დამოუკიდებელი მმართველი საბჭოს შექმნას და რედაქტორული დამოუკიდებლობის პატივისცემის უზრუნველყოფას;

- დამოუკიდებელი სამაუწყებლო სალიცენზიო ორგანოს შექმნის უზრუნველყოფა;

- პრესისათვის სამთავრობო სუბსიდიების დანიშვნისა თუ გამოთხოვის ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმების დადგენა;

- მედია კონტროლზე განსაკუთრებული კონცენტრაციის თავიდან აცილება; წყაროების მიუკერძოებელი მოძიებისა და მედიის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; მედიის შესახებ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება;

- ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

(ის მხარს უჭერდა მრავალპარტიული დემოკრატიის შექმნის იდეას). სახელმწიფო დაეყრდნო ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგს დაცვის პრინციპს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვა, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არ იყო აუცილებელი და მიიჩნია, რომ დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების ხელყოფით ეროვნული ერთიანობის დაცვისა და განმტკიცების ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება მიღწეული “.

ზნეობის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვები

საქმეში *Open Door Counselling and Dublin Woman Well Centre and Others v. Ireland (1992)*, ორი განმცხადებელი (ორგანიზაციები) ორსულ ქალებს უწევდა კონსულტაციებს ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთის კლინიკებში აბორტის გაკეთების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რითაც მათ აეკრძალათა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება იმ საფუძველზე, რომ აბორტი არალეგალური იყო ირლანდიის კონსტიტუციის თანახმად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, განაცხადა რა, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილება ზნეობის დაცვის სფეროში არ იყო შეუზღუდავი, აღნიშნა, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა ისარგებლეს შეფასების ფართო ზღვარით ზნეობის საკითხებში. სასამართლომ ჩათვალა, რომ აკრძალვა ძალიან ფართო და არაპროპორციული იყო. ხსენებულიდან გამომდინარე მან დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებელთა უფლებების დარღვევას როგორც ინფორმაციის გავრცელების ასევე მისი მიღების კუთხით.

სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვები

საქმე *Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria (2002)* შემდეგში მდგომარეობდა: გაზეთს აეკრძალა იმ პოლიტიკოსის სურათის გამოქვეყნება, რომლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე გარკვეული ეჭვები არსებობდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევა კანონით იყო განსაზღვრული და ემსახურებოდა პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის კანონიერ მიზანს. მან დაადგინა, რომ წამოჭრილი საკითხი შედიოდა საზოგადოების ინტერესში, რომ იგი ეხებოდა საზოგადო მოღვაწეს და, რომ სურათის გამოქვეყნება თავის მხრივ არ ამჟღავნებდა პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების დეტალებს. შესაბამისად, ჩარევა არ იყო მწვავე სოციალური აუცილებლობიდან გამონაკადული და წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.

გამოხატვის თავისუფლება და პარლამენტარები: მათი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეფასება, მაგრამ ამავდროულად ტოლერანტული დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ

გამოხატვის თავისუფლება პარლამენტარების მთავარი სამუშაო ინსტრუმენტია. ადამიანის უფლებათა საპარლამენტთაშორისო კავშირი განუწყვეტილივ აცხადებს, რომ პარლამეტარებმა მანდატების შესაბამისად უნდა შეეძლონ თავიანთი შეხედულობების თავისუფლად გამოხატვა ვინაიდან ისინი გვევლინებიან მოქალაქეთა – მათი ამომრჩევლების – უფლებათა დამცველებად.

მეტად მნიშვნელოვან საქმეში *Castells v. Spain* (1992) პარლამენტის წევრი მსჯავრდებულ იქნა სტატიის გამოქვეყნებისათვის, რომელშიც იგი ბრალს სდებდა მთავრობას მრავალი თავდასხმისა და მკვლელობის თანამონაწილეობაში.

ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია ყველასთვის, განსაკუთრებით ეს ეხება ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტის წევრებს. მათი ვალდებულებაა ამომრჩეველის ინტერესების დაცვა. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ოპოზიციის წევრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მოითხოვს ზედმიწევნით შესწავლას სასამართლოს მხრიდან." მან ასევე დაადგინა, რომ დასაშვები კრიტიკის ზღვარი უფრო ფართოა მთავრობასთან, ვიდრე კერძო პირთან ან თუნდაც პოლიტიკოსთან მიმართებაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავრობის მოქმედება ან უმოქმედობა ექვემდებარება ზედმიწევნით განხილვას არა მარტო საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების, არამედ აგრეთვე პრესისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ. გარდა ამისა, მთავრობის დომინანტური პოზიცია ავალდებულებს მას, თავი შეიკავოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს მედიის მხრიდან გაუმართლებელ თავდასხმებსა და კრიტიკაზე რეაგირების სხვა საშუალებები." სხვა მრავალ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით, ხალხს ნება უნდა მიეცეს პოლიტიკოსების უფრო მძაფრი კრიტიკისა, ვიდრე საზოგადოებაში უფრო ნაკლებად ცნობილი სახეების." (მაგალითისათვის იხ. საქმეები *Lingens v. Austria (1986)* და *Dichand and Others v. Austria (2002).*

გამოხატვის თავისუფლებაზე სავალდებულო შეზღუდვების დაწესება

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-20 მუხლში მოცემულია მე-19 მუხლის სავალდებულო შეზღუდვების ნუსხა, რომელიც დაკავშირებულია ომის პროპაგანდასთან, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართულ გამოსვლასთან. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მე-20 მუხლის ეფექტურობის მიზნით, *უნდა არსებობდეს კანონი,* რომელიც ნათლად ჩამოაყალიბებს, რომ პროპაგანდა და წაქეზება, როგორც ეს აღწერილია აღნიშნულ მუხლში, წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო პოლიტიკასთან და, რომელიც გაითვალისწინებს სათანადო სანქციებს" (ზოგადი კომენტარი №11).

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდა მთავრობებს, განახორციელონ სამართლებრივი ღონისძიებები, რათა შეიზღუდოს უხამსი და პორნოგრაფიული მასალის გამოქვეყნება ან გავრცელება, რომელშიც მოცემული იქნება ქალებისა და გოგონების სურათები, როგორც ძალადობის ან არაადამიანური მოპყრობას დაქვემდებარებული პირების. (ზოგადი კომენტარი №28).



საქმე *Faurisson v. France* (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 1996 წ.)

ბ-ნი ფაურისონი იყო ლიტერატურის პროფესორი პარიზის სორბონის უნივერსიტეტში 1973 წლამდე, ხოლო ლიონის უნივერსიტეტში – 1991 წლამდე, როდესაც გაათავისუფლეს იდაკავებული თანამდებობიდან, ვინაიდან მან კითხვის ქვეშ დააყენა გაზის კამერების არსებობა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. 1990 წელს საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გაისოტის

აქტი, რომელმაც ცვლილებები შეიტანა 1881 წლის პრესის თავისუფლების კანონში და მოახდინა 1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონის ქარტიაში განსაზღვრული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კატეგორიის არსებობის ეჭვქვეშ დაყენების კრიმინალიზაცია, რომლის საფუძველზე მოხდა ნაციზმის ლიდერების გასამართლება ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ 1945-1946 წლებში. 1991 წელს ავტორი მსჯავრდებულ იქნა გამოქვეყნებულ ინტერვიუში იმავე შეხედულებების გამეორების გამო.

ავტორმა შეტყობინება შეიტანა ადამიანის უფლებათა კომიტეტში, რომელშიც ამტკიცებდა, რომ გაისოტის აქტი არღვევდა მისი გამოხატვის თავისუფლებისა და აკადემიური თავისუფლების უფლებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბ-ნ ფაურისონის გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვა დასაშვები იყო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით, ვინაიდან შეზღუდვა ემსახურებოდა ებრაული საზოგადოების მისწრაფებას ეცხოვრათ ანტისემიტიზმისგან თავისუფალ სამყაროში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ დაწესებული შეზღუდვა აუცილებელი იყო რასიზმთან და ანტისემიტიზმთან აღმოფხვრის მიზნით.

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლი

1 . ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

2. არავინ შეიძლება აიძულონ შევიდეს რაიმე გაერთიანებაში."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 21-ე მუხლი

მშვ იდობიანი შეკრების უფლება აღიარებულია. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლების განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა დასაცავად."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 22-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები

1 . ყველას აქვს უფლება სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლების განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და

თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი არ კრძალავს შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირთათვის ამ უფლებით სარგებლობაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას."

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად წარმოადგენს არსებით უფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან იგი ხალხს დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მიიღების საშუალებას აძლევს. ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლება, ისიც დაკავშირებულია მთელ რიგ შეზღუდვებთან.

შეკრების თავისუფლება

მოქმედების სფერო

შეკრების თავისუფლების დაცვა უზრუნველყოფს ისეთი შეხვედრების ჩატარების უფლებას, რომლის მიზანია ინფორმაციის ან მოსაზრებების განხილვა საჯაროდ ან მათი გავრცელება. თუმცა, შეკრება დაცულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი "მშვიდობიანია". აღნიშნული ტერმინი ფართო ინტერპრეტაციას ექვემდებარება. მაგალითად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ მშვიდობიანი შეკრება, რომელიც მაგალითად დემონსტრაციის მონაწილეების მიერ ძალის გამოყენების ან პროვოკაციის შედეგად გადაიზრდება ამბოხებაში.

სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ პოზიტიური ზომები ზემოხსენებული უფლების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო უწყებებისა და კერძო პირების მხრიდან ჩარევა გამორიცხონ. ამ მიზნით ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა დემონსტრაცია ან შეკრება მშვიდობიანად ჩატარდეს. ამდაგვარად, ხელისუფლებას წინსწარ უნდა ეცნობოს დაგეგმილი შეკრების ადგილისა და დროის შესახებ.

შეზღუდვები

მშვიდობიანი შეკრების უფლება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც უნდა:

- შეესაბამებოდეს კანონს: მშვიდობიანი შეკრების უფლებაში ჩარევა შესაძლებელია განხორციელდეს დამოუკიდებლად ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ, პოლიციის, მხრიდან, კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი უფლებასამოსილების საფუძველზე;

- წარმოადგენდეს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში: მაგალითად, შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს პლურალიზმის, ტოლერანტობის, ლიბერალიზმისა და ხალხთა სუნერენიტეტის ღირებულებებს; აქედან გამომდინარე, შეკრების იძულებით დაშლა დასაშვებია მხოლოდ თუ სხვა საშუალებებმა არ გაამართლა.

- ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, როგორიცაა: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება (შეკრება შეიძლება დაშლილ იქნეს, თუ იგი განსა-

კუთრებულ საფრთხეს უქმნის ადამიანებს ან გამვლელებს), საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა დაცვა.

გაერთიანების თავისუფლება

მოქმედების სფერო

გაერთიანების თავისუფლების დაცვა უზრუნველყოფს ნებისმიერი პირის უფლებას, შექმნას გაერთიანება თავის მოაზრეებთან ერთად ან შევიდეს უკვე არსებულ გაერთიანებაში. შესაბამისად, აბსოლუტურად ერთ-პარტიული სისტემა, რომელიც ხელს უშლის სხვა პოლიტიკური პარტიების შექმნასა და მათ საქმიანობას, არღვევს გაერთიანების თავისუფლებას. გაერთიანების ჩამოყალიბება და მასში გაწევრიანება უნდა იყოს ნებაყოფლობითი; სახელმწიფომ თუ კერძო პირმა არავინ უნდა აიძულოს – პირდაპირ თუ არაპირდაპირ – შევიდეს რაიმე პოლიტიკურ პარტიაში, რელიგიურ საზოგადოებაში, კომერციულ საწარმოსა თუ სპორტულ კლუბში. სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ გაერთია-



საქმე Socialist Party of Turkey (STP) and Others v. Turkey
(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2003 წ.)

თურქეთის სოციალისტური პარტია შეიქმნა 1992 წლის 6 ნოემბერს, მაგრამ 1993 წლის 30 ნოემბერს თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო ბრძანება მისი დაშლის შესახებ იმ საფუძვლით, რომ პარტიის პროგრამა ხელყოფდა სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ერის ერთიანობას. სასამართლომ დაადგინა, რომ პარტია ითხოვდა ქურთების თვითგამორკვევის უფლებას და მხარს უჭერდა "დამოუკიდებლობისათვის ომის წარმოების" უფლებას. განმცხადებელთა მტკიცებით, *inter alia*, პარტიის დაშლამ განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებული გაერთიანების თავისუფლების უფლების დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პარტიის დაშლა გაუთანაბრდა განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევას. არ არსებობდა რაიმე გარემოება, რომელიც გაამართლებდა პოლიტიკური ჯგუფისთვის ხელის შეშლას მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მას სურდა, საჯაროდ განეხილა სახელმწიფოს მოსახლეობის ერთი ნაწილის მდგომარეობა, რომელსაც სურდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო თურქეთის სოციალისტური პარტიის მიერ საქმიანობის დაწყებამდე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რაც გაამყარებდა იმ ბრალდებას, რომლიე მიხედვით პარტიას ეკისრებოდა რაიმე პასუხისმგებლობა თურქეთში ტერორიზმით გამოწვეული პრობლემების გამო. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, პარტიის დაშლა იყო არაპროპორციული და არ წარმოადგენდა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ნების შექმნის სამართლებრივი რეგულირების სისტემა და დაიცვან ეს უფლება კერძო პირების მხრიდან ჩარევისაგან.

გაერთიანების თავისუფლება მოიცავს პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლებას საკუთარი ინტერესების დასაცავად. პროფესიული კავშირების უფლება უფრო დეტალურად განხილულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-8 მუხლში.

შეზღუდვები

გაერთიანების თავისუფლება ექვემდებარება იმავე შეზღუდვებს, რასაც შეკრების თავისუფლება: ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურებოდეს ერთ-ერთ მიზანს, რომელიც ამართლებს ჩარევას, მაგალითად: უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან, ემსახურებოდეს საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებების დაცვას. გაერთიანება, რომელიც მოუწოდებს ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური სიძულვილისაკენ, უნდა იქნეს აკრძალული სხვათა ინტერესების დასაცავად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომელიც კრძალავს ეროვნულ, რასობრივ და რელიგიურ სიძულვილის გაღვივებას.

პირის უფლება მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში უშუალო მონაწილეობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-21 მუხლი

1 . ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ხალხის ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო ხმის უფლებით, ფარული კენჭისყრისა თუ სხვა თანაბრად მნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.“

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 25-ე მუხლი

ყ ველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის უფლებით, რომელიც ჩატარებული იქნება ფარული კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს ამომრჩევლთა თავისუფალი ნების გამოხატვას.

გ) თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.“

პირის უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში თანამედროვე დემოკრატიის ქვაკუთხედია და ამიტომაც მნიშვნელოვანია პარლამენტისათვის. ამ უფლების სწორად განხორციელებას პარლამენტის დემოკრატიულ ბუნებაზე, ზოგადად მთავრობის ლეგიტიმურობასა და მის პოლიტიკაზე პირდაპირი გავლენა აქვს.

ფაქტობრივად, ეს უფლება სამი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ:

- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ზოგადი უფლება;
- უფლება მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და იქნე არჩეული;
- საჯარო სამსახურზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ზოგადი უფლება

საზოგადოების მონაწილეობის უფლება შედგება (ა) არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით საზოგადოებრივ ურთიერთოებებში არაპირდაპირი მონაწილეობისა და (ბ) საზოგადოებრივ ურთიერთოებებში პირდაპირი მონაწილეობისაგან.

არაპირდაპირი მონაწილეობა

ხალხი მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოხატავს თავის სურვილს და პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობას ძირითადად არჩევნებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების, კერძოდ კი ეროვნული პარლამენტის, მეშვეობით. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოების ძალაუფლება უნდა იყოს სამართლებრივად განხორციელებადი და არ უნდა იზღუდებოდეს სათათბირო ფუნქციებით, ხოლო წარმომადგენლებმა უნდა განახორციელონ მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რომელიც მათ ენიჭებათ კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე (25-ე ზოგადი კომენტარი).

პარლამენტმა რომ სრულად გამოხატოს ხალხის ნება, არჩევნები უნდა იყოს რეალური, თავისუფალი და სამართლიანი. 1994 წელს საპარლამენთაშორისო კავშირმა მიიღო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კრიტერიუმების შესახებ დეკლარაცია, რომელიც აკონკრეტებს პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებათა კრიტერიუმებს; კანდიდატურებისა და პარტიების უფლებებსა და ვალდებულებებს საარჩევნო კომპანიის დროს; სახელმწიფოთა უფლებებსა და ვალდებულებებს. გაერომ საარჩევნო დახმარებისა და არჩევნებზე სადამკვირვებლო საქმიანობის პროგრამის ფარგლებში ცალსახად დაადგინა აგრეთვე ის კრიტერიუმები, რომლებიც საერთო ელემენტებს უნდა წარმოადგენდნენ საარჩევნო კანონმდებლობასა და პროცედურებში.

პირდაპირი მონაწილეობა

პირდაპირი მონაწილეობა ნიშნავს არა მხოლოდ არჩეულ წარმომადგენლებს. მოქალაქეებსაც შეუძლიათ პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში არჩეულ წარმომადგენლებთან საჯარო დებატებისა და დიალოგის,

საპარლამენტთაშორისო კავშირის დეკლარაცია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კრიტერიუმების შესახებ (1994 წ.)

პარლამენტის ძალაუფლება, უმეტესწილად, გამომდინარეობს მისი შესაძლებლობიდან, სამართლიანად წარმოადგინოს საზოგადოების ყველა სეგმენტის მრავალფეროვნება, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება არჩევნების ორგანიზება. აქედან გამომდინარე, კავშირმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაწია არჩევნების შესახებ კრიტერიუმების შემუშავების მიზნით, რის შედეგადაც 1994 წელს მიღებულ იქნა დეკლარაცია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კრიტერიუმების შესახებ. იგი ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და წესებს და სახელმწიფოთა პრაქტიკას არჩევნებთან დაკავშირებით. ეს კრიტერუმები შეეხება მთლიან საარჩევნო პროცესს — საარჩევნო კანონმდებლობისა და ხმის მიცემის, საარჩევნო პუნქტების, ხმების დათვლის, შედეგების გამოცხადების, საჩივრების განხილვისა და დავების გადაწყვეტის მონიტორინგის ჩათვლით. დეკლარაცია აგრეთვე მოიცავს ხმის მიცემისა და საარჩევნო უფლების, კანდიდატურების, პარტიებისა და საარჩევნო კომპანიის დროს მოქმედ უფლებებსა და ვალდებულებებს. წარმოადგენს რა პირველ დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს მსოფლიოში პოლიტიკურ კონსენსუსს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბევრ ქვეყანაში არჩევნების დროს იყენებენ როგორც სახელმძღვანელო წესებს არჩევნებთან დაკავშირებით.

რეფერენდუმისა და საზოგადოებრივი ინიციატივების მეშვეობით, რასაც უზრუნველყოფს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. 1991 წელს საქმეზე Marshall v. Canada გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღიარა სახელმწიფოთა შეფასების ფართო ზღვარი პირდაპირი უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად:

ცალსახაა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვა არის ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა და საჯარო მოხელეთა უშუალო ამოცანა. უდაოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვა ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ფართო სეგმენტის ან მთელი მოსახლეობის ინტერესებზე, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევებში იგი უფრო პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების ინტერესებზე. თუმცა წინასწარი კონსულტაციები, როგორიცაა საჯარო განხილვები დაინტერესებულ ჯგუფებთან, შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობით ან საზოგადოებრივ ურთიერთობების მართვის სახელმწიფოს პოლიტიკიდან გამომდინარეობდეს, პაქტის 25-ე მუხლის ა" ქვეპუნქტი არ შეიძლება გაგებულ იქნეს, ისე თითქოს იგი აძლევს უპირობო უფლებას ნებისმიერ ჯგუფს, დიდსა თუ პატარას აირჩიოს საზოგადოებრივ ურთიერთობების მართვაში მონაწილეობის უფლებამოსილება. ფაქტიურად, ეს იქნებოდა მოქალაქეების მიერ პირდაპირი მონაწილეობის უფლების ექსტრაპოლაცია, რაც სცილდება 25-ე მუხლის ა" ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლებს."

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ძალზედ მნიშვნელოვანია პარლამენტისთვის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის სათანადო ფუნქციონირებისათვის და ზოგადად დემოკრატიისათვის. საარჩევნო უფლების სათანადო განხორციელება პირდაპირი ზეგავლენა აქვს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ამომრჩევლები თავიანთ არჩევით წარმომადგნლებს, აგრეთვე პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონმდებლობის კანონიერებასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე.. ამ უფლების ნებისმიერი დარღვევა უშუალო ზეგავლენას ახდენს პარლამენტის ლიგიტიმურობზე, ხოლო ყველაზე მძიმე შემთხვევებში – ქვეყანაში არსებულ მართლწესრიგსა და სტაბილურობაზე. ამიტომ პარლამენტარებს ეკისრებათ ზემოხსენებული უფლების ჯეროვნად განხორციელების დაცვის ფუნქცია.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება შესაძლებელია მაშინ, როდესაც დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. არჩევნები იმგვარად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ ხალხმა თავისი ნება თავისუფლად გამოხატონ, ხოლოდ ამომრჩევლებს მიეცეთ არჩევანის რეალური საშუალება.

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება კანომდებლობით უნდა იქნეს განსაზღვრული დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და საარჩევნო პროცესის ყველა პირისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის საფუძველზე. მართალია, სახელმწიფოს მოქალაქეებს შეიძლება შეეზღუდოთ არჩევნებში მონაწილეობა, დაუშვებელია რაიმე სახის შეზღუდვის დაწესება გაუმართლებელი მიზეზების, როგორიცაა: ფიზიკური ნაკლის, უწიგნურობის, განათლების დონის, პარტიის წევრობის თუ ქონებრივი ცენზის საფუძველზე.

აქტიური საარჩევნო უფლება

პირებს, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლება, უნდა ჰქონდეთ რეგისტრაციის საშუალება. რეგისტრაციასთან ან უშუალოდ ხმის მიცემასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის მანიპულაცია, როგორიცაა დაშინება ან იძულება, კანონით უნდა იქნეს აკრძალული. არჩევნები უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: "ერთი ადამიანი, ერთი ხმა". საარჩევნო საზღვრები და ხმის დათვლის მეთოდები არ უნდა ხელყოფდეს ამომრჩეველთა გადანაწილებას და აყენებდეს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში რომელიმე სოციალურ ჯგუფს.

პოზიტიური ზომები უნდა იქნეს მიღებული ისეთი დაბრკოლებების გადასალახად, როგორიცაა: უწიგნურობა, ენობრივი ბარიერი (ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უმცირესობის ენაზეც), სიღარიბე ან გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოქალაქეები დაცული უნდა იყვნენ იძულებისაგან ან მისი მცდელობისაგან, გამჟღავნონ თავიანთი არჩევანი. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფარული კენჭისყრის პრინციპი.

პასიური საარჩევნო უფლება

არჩევნებში კენჭისყრის უფლება შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, როგორიცაა მინიმალური ასაკი. თუმცაღა შეზღუდვები უნდა იყოს გამართლებული და გონივრული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფიზიკური ნაკლი, უწიგნურობა, განათლების დონე, პარტიის წევრობა თუ ქონებრივი ცენზი არასდროს უნდა იქნეს გამოყენებული როგორც წინაპირობა შეზღუდვების დაწესების მიზნით.

ამასთანავე პირობები, რომლებიც ეხება თარიღის დასახელებას ან გადასახადის განსაზღვრას უნდა იყოს გონივრული და არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა იმ ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებული ამერიკის შეერთებული შტატებში საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად, და დაადგინა, რომ იგი ხელყოფს არჩევნებში კენჭისყრის უფლებას.

ხმის მიცემის პროცედურები

არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი და სამართლიანი. ამომრჩევლებს უნდა შეეძლოთ მთავრობის მხარდაჭერა ან ოპოზიციაში ყოფნა და თავიანთი შეხედულების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება. არჩევნები უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრის საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა.

სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული რეალური, თავისუფალი, სამართლიანი და პერიოდული არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით. სათანადო კანონმდებლობა და პროცედურები უნდა იქნეს შემუშავებული, რათა ყველა მოქალაქეს რეალურად შეეძლოს ხმის მიცემის უფლების თავისუფლად განხორციელება.

ერთ-ერთი ასეთი არსებითი ზომაა საარჩევნო პროცესზე საზედამხედველო ფუნქციის დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა. მნიშვნელოვანია ხმის მიცემის დროს საარჩევნო ყუთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ხმის მიცემის შემდეგ ხმების დათვლა უნდა განხორციელდეს (საერთაშორისო) დამკვირვებლების, კანდიდატებისა თუ მათი წარმომადგენლების თანდასწრებით.

თანაბარი ხელმისაწვდომობა საჯარო სამსახურზე

საჯარო ხელისუფლების თანამდებობებზე დანიშვნის კრიტერიუმები და პროცედურები, დაწინაურების, სამსახურებრივი ურთიერთობების შეჩერებისა და სამსახურიდან გათავისუფლების პირობები უნდა რეგულირდებოდეს თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, რაც უნდა იყოს ობიექტური და გონივრული.

ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელებისას პარლამენტარებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმისაწვდომობის პირობებს, არსებულ შეზღუდვებს, დაწინაურების, სამსახურებრივი ურთიერთობების შეჩერების, სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურებს; აგრეთვე სასამართლო ან გადასინჯვის სხვა მექანიზმების არსებობას აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს, კანდიდატებსა და არჩეულ წარმომადგენლებს შეეძლოთ პოლიტიკურ საკითხებზე ინფორმაციისა და მოსაზრებების თავისუფლად განხილვა და გავრცელება; მშვიდობიანი დემონსტრაციები და მიტინგების ჩატარება, პოლიტიკური მასალების გამოქვეყნება და საარჩევნო კომპანიის წარმოება. დამოუკიდებელი პრესა და თავისუფალი მედია — წარმოადგენენ აუცილებელი ელემენტებს ამ პროცესში. გაერთიანების თავისუფლების პატივისცემა, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მასში გაწევრიანებს შესაძლებლობას, უმნიშვნელოვანესია ეფექტური დემოკრატიის ფუნქციონირებისათვისთვის.

თავი 13:
რა უნდა იცოდეს პარლამენტარმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა უსასრულ

დღეისათვის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევები სიღარიბით არის განპირობებული. შესაბამისად, სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან აცილების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით. ამდენად, ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხილვას წინ უნდა უსწრებდეს სოციალური და ეკონომიკური განვითარების იმ ძირითადი მიმართულებების გაანალიზება, რომლებსაც გავლენა აქვს ამ უფლებების განხორციელებაზე.

სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები

სწრაფი გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა განხორციელებაზე. სოციალური განვითარების შესახებ 1995 წელს კოპენჰაგენში გამართულ მსოფლიო სამიტზე აღნიშნულ იქნა, რომ, მართალია, გლობალიზაციით განპირობებულმა ზრდადმა მობილურობამ და კომუნიკაციებმა, გაზრდილმა ვაჭრობამ და კაპიტალის დინებამ, ასევე ტექნოლოგიურმა წინსვლამ წარმოშვა ახალი შესაძლებლობები მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ გლობალიზაციას თან ახლავს მასიური სიღარიბე, უმუშევრობა და სოციალური დეინტეგრაცია".[20]

---

20 სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტი, *კოპენჰაგენის დეკლარაცია სოციალური განვითარების შესახებ*, პუნქტი 14.

ბევრ ქვეყანაში, ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შემცირებამ, ლიბერალიზაციამ, პრივატიზაციამ და ანალოგიურმა ტენდენციებმა, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს როლის შემცირებისაკენ ამ კუთხით უარყოფითი გავ-



გლობალიზაცია და ადამიანის უფლებები

2000 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ დანიშნა ორი სპეციალური მომხსენებელი გლობალიზაციისა და ადამიანის უფლებათა განხორციელებაზე მისი ზეგავლენის შესწავლის მიზნით. მათ მიერ მომზადებული ანგარიში შეიცავდა შემდეგ განცხადებებს:

გლობალური კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების მხოლოდ დადებითი ასპექტის განხილვისას ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამ პროცესს ახლავს უთანასწორობის გაღრმავება. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ფატალური დაავადებების, შიმშილობის, არასათანადო ტანსაცმლისა და თავშესაფრის, საკვების უქონლობასთან დაკავშირებული მუდმივი (და მზარდი) პრობლემები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მინერალური და სხვა ბუნებრივი რესურსების მოპოვებისათვის მზარდი კონკურენცია იწვევს კონფლიქტების ესკალაციას....

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესებს ადგილი აქვს გამწვავებული სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური დაძაბულობის კონტექსტში.... ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან გამომდინარე, ხსენებული (ანტი-გლობალიზაციის) მოძრაობების ჩამოყალიბება და მიმდინარეობა და მათ წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები წამოჭრის უამრავ კითხვას თავისუფალი გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების უფლებების კონტექსტში..... ამგვარად, გლობალიზაცია არ არის მხოლოდ ეკონომიკური საკითხი, იგი, მნიშვნელოვანნილად, პოლიტიკური ფენომენია.."

სპეციალური მომხსენებლების აზრით, გლობალიზაცია არ არის სრულყოფილად განსაზღვრული", არამედ უფრო ...საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს". არსებითად, იგი სპეციფიკური იდეოლოგიით, ინტერესებითა და ინსტიტუტებით არის განპირობებული.

ჩვენ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, თუ რა შესაძლებლობები და შეზღუდვები მოაქვს გლობალიზაციას და ჩვენ როგორ შეგვიძლებთ ამ პროცესში გარკვეული წვლილის შეტანას. უუფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ გლობალიზაციის პროცესის შემადგენელი ნაწილი გავხდეთ და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ გადაწყვეტილებების მიღების პროცეში."[1]

---

1 ჟ. ოლაკა-ონიანგო და დიიპიკა უდაგამა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების წახალისებისა და დაცვის ქვეკომიტეტის სპეციალური მომხსენებლები, *პროგრესული ანგარიში გლობალიზაციისა და ადამიანის უფლებების განხორციელებაზე მისი გავლენის შესახებ*, E/CN.4/ Sub.2/2001/10, პუნქტები 7, 10, 11 და 12.

ლენა იქონია განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის და შრომის უფლებების, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევებში. შემდეგი თავები, რომლებშიც მოცემულია საერთაშორისო სტანდარტები ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში, მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ზღვარი სახელმწიფოს ვალდებულებებსა და მის სურვილს შორის, დაიცვას ეს ვალდებულებები. უფრო მეტად, გლობალიზაციამ მიგვიყვანა ადამიანის უფლებათა დარღვევების პრივატიზაციამდე". ბევრ ქვეყანაში (და არა მხოლოდ ე.წ. არშემდგარ სახელმწიფოებში) ამგვარი არასახელმწიფო მონაწილეები, როგორიცაა სამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო კორპორაციები, კერძო უშიშროების კომპანიები, გასამხედროებული და პარტიზანული დაჯგუფებები, ორგანიზებული დანაშაულებრივი და ტერორისტული დაჯგუფებები პასუხისმგებელი არიან უფრო მძიმე და ფართოდ გავრცელებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, ვიდრე მთავრობები (იხ. 57-ე ყუთი ციხეების პრივატიზაციის შესახებ).

ზღვარი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, აგრეთვე იმავე საზოგადოებაში მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის განუწყვეტლივ მატულობს. მსოფლიოში დაახლოებით მილიარდი ადამიანი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, სათანადო კვების, თავშესაფრის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობის გარეშე. ამავდროულად, გლობალიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების პირობების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მდიდარი და ღარიბი საზოგადოებების ურთიერთ დამოკიდებულების გაღრმავებასა და მონინავე მეცნიერული საშუალებებისა თუ ტექნოლოგიების განვითარებას სიღარიბის დასამარცხებლად. ამგვარად, ჩვენი გლობალური სოფლისთვის" მიუღებელია, რომ კაცობრიობის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილი გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

სიღარიბის აღმოფხვრა

„სიღარიბის აღმოფხვრა უნდა იყოს ჩვენი უპირველესი მიზანი ამ ახალ ათასწლეულში. მთავრობებმა თავიანთ თავზე აიღეს ვალდებულება, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ სიღარიბის დონის შემცირებასა და უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას. სიღარიბის დროს ადამიანის უფლებების დარღვევა გარდუვალია."

მერი რობინსონი,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა
ყოფილი კომისარი, სახელმძღვანელო წესების *პროექტის წინასიტყვაობა:*

ადამიანის უფლებათა მიდგომა სიღარიბის დონის შემცირების სტრატეგიების მიმართ, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ჟენევა, 2002 წლის სექტემბერი.

ზემოხსენებული მოსაზრებების ფონზე სიღარიბის აღმოფხვრა გასულ ათწლეულში წარმოიშვა როგორც განვითარების უმთავრესი მიზანი. ამავდროულად, სიღარიბის რაობა თანდათანობით გაფართოვდა. თუ დიდი ხნის წინ ღარიბებად მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით მოიაზრებდნენ (მაგალითად, ვისაც დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს"), დღეისათვის, ფაქტიურად, სიღარიბის არამატერიალური განზომილებაა შემაშფოთებელი. მსოფლიოში დაახლოებით ერთ მილიონ

ადამიანს არ გააჩნია სათანადო თავშესაფარი, საკმარისი საკვები, განათლება, ხელი არ მიუწვდება სასმელ წყალსა და პირველად სამედიცინო დახმარებაზე. ყოველდღიურად 34,000 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი იღუპება შიმშილისა და ინფექციური დაავადებებისაგან. ეს ფაქტი არ წარმოადგენს სიახლეს. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის თანდათანობით იზრდება, რის გამოც სიღარიბის ეფექტურად დაძლევის მარცხი სწრაფი გლობალიზაციის ფონზე ყოვლად გაუმართლებელია. ამ კონტექსტში 2000 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ათასწლეულის განვითარების მიზნები, მათ შორის 2015 წლისთვის უკიდურეს სიღარიბეში მყოფ ადამიანთა რაოდენობის განახევრებისა და იმავე წელს ისეთი ამბიციური მიზნები, როგორიცაა: საყოველთაო დაწყებითი განათლება, ხუთ წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის ორი მესამედით შემცირება, დედების სიკვდილიანობის სამი მეოთხედით შემცირება, იმ ადამიანთა პროპორციის შემცირება, რომლებიც შიმშილობენ და ხელი არ მიუწვდებათ უსაფრთხო სასმელ წყალზე. რადგან სიღარიბე წარმოადგენს მთელი რიგი ადამიანების უფლებების დარღვევას, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა აუცილებელია სიღარიბის დონის შესამცირებლად. 2001 წლის ივლისში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხების კომიტეტის თხოვნის საპასუხოდ მერი რობინსონმა, რომელიც იმ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისარი იყო, სამი ექსპერტის დახმარებით, განავითარა სახელმძღვანელო წესების პროექტი: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სიღარიბის დონის შემცირების სტრატეგიის შესახებ (გამოქვეყნდა 2002 წლის სექტემბერში). სიღარიბის განსაზღვრისას მათ გაიზიარეს საყოველთაოდ აღიარებული შეხედულება, რომელიც პირველად ამარტია სენმა განავითარა, რომ ღარიბი ადამიანი არის პირი, რომელიც მოკლებულია ძირითად შესაძლებლობებს – არ იშიმშილოს, იყოს ჯანმრთელი და განათლებული. ამ კუთხით ადამიანის უფლებების მაგალითებია: უფლება კვებაზე, თავშესაფარზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე. ადამიანის სხვა უფლებებიც არსებითად დაკავშირებულია სიღარიბესთან; მათი განხორციელება ხელს უწყობს კონტექსტურად დაკავშირებულ უფლებებს. მაგალითად, მუშაობის უფლების განხორციელება უკავშირდება სხვა ისეთი უფლებების განხორციელებას, როგორიცაა: უფლება კვებაზე, ჯანმრთელობასა და საცხოვრებელზე. აღნიშნულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, როგორიცაა: უფლება პიროვნულ უსაფრთხოებაზე, მართლმსაჯულებისა და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის განვითარების მიზნები

1. **უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილობის აღმოფხვრა**

   2015 წლისთვის დასახული მიზანი: იმ ადამიანთა ოდენობის განახევრება, რომლებიც დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობენ და შესაბამისად შიმშილობენ;

2. **საყოველთაო დაწყებითი განათლების მიღწევა**

   2015 წლისთვის დასახული მიზანი: იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ბავ-

შვმა დაამთავროს დაწყებითი სკოლა;

3. **გენდერული თანასწორობის განმტკიცება და ქალებისთვის უფლებების მინიჭება**

2015 წლისთვის დასახული მიზანი: გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა დაწყებით და საშუალო განათლებაში მიზანშეწონილია 2005 წლისთვის, ყველა საფეხურზე – 2015 წლისთვის;

4. **ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება**

2015 წლისთვის დასახული მიზანი: ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებს შორის სიკვდილიანობის ორი მესამედით შემცირება;

5. **დედათა ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა**

2015 წლისთვის დასახული მიზანი: იმ ქალების რაოდენობის სამი მეოთხედით შემცირება, რომლებიც იღუპებიან მშობიარობის შემდეგ;

6. **შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა**

2015 წლისთვის დასახული მიზანი: იმუნოდეფიციტის ვირუსის/შიდსის, *მალარიისა და სხვა მძიმე დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება და მკურნალობა;*

7. **მდგრადი გარემოს უზრუნველყოფა**

მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში, გარემოს დაცვის რესურსების დანაკარგების აღმოფხვრა;

2015 წლისთვის იმ ადამიანთა მინიმუმამდე დაყვანა, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ უსაფრთხო სასმელ წყალზე.

2020 წლისთვის ღარიბთა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;

8. **განვითარების გლობალური პარტნიორობის სრულყოფა, რომელიც მიმართულია დახმარების, ვაჭრობისა და ვალების გასტუმრებისაკენ**

ღია ვაჭრობისა და ფინანსური სისტემის შემდგომი განვითარება, რაც მოიცავს ავტორიტეტული მმართველობის, განვითარებისა და სიღარიბის დონის შემცირების ვალდებულებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;

ნაკლებად განვითარებული ქვეყნების, ხმელეთით შემოსაზღვრული და პატარა კუნძულებზე მდებარე განვითარებადი სახელმწიფოების მიზნობრივ მოთხოვნილებებზე რეაგირება;

განვითარებადი სახელმწიფოების ვალებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა;

ახალგაზრდობისთვის შესაფერისი შემოქმედებითი სამუშაოს შექმნა;

ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობით პირველადი დახმარების წამლებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ახალი ტექნოლოგიების, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გამოყენებაზე ხელმისაწვდომობა.

1996 წლიდან საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაიწყეს სიღარიბის დონის შემცირების მნიშვნელობის აღიარება. მსოფლიო საბანკო ჯგუფმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF), რომლებიც ცნობილია ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებად, თავიანთი *მრავალმხრივი განვითარების პროგრამაში* სიღარიბის დონის შემცირება ვალების გასტუმრებისა და განვითარების მიზნით თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის საფუძვლად მიიჩნიეს. დიდი ვალის მქონე ყველა ღარიბ სახელმწიფოს მოუწოდებენ, მონაწილეობითი პროცესის სახით შეიმუშაონ სიღარიბის დონის შემცირების სტრატეგიის დოკუმენტები (PSPSs), რომლებიც ადგენენ სხვადასხვა სფეროში სიღარიბის დონის შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნებსა და მიმართულებებს, როგორიცაა: საკვები პროდუქტების წარმოება, ჯანმრთელობა, განათლება, შრომა, მართლმსაჯულება, ეფექტური მმართველობა და დემოკრატიზაცია. ასეთი პროგრამები ბევრჯერ იქნა გაკრიტიკებული, მათ შორის გლობალიზაციისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლების მიერ (იხ. 75-ე ყუთი) მაკროეკონომიკური დისციპლინის, ადგილობრივი საკუთრებისა და მონაწილეობის შესახებ საჩივრებზე უარის თქმის მოთხოვნის გამო.[21] 44 განვითარებად ქვეყანაში გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შესწავლილ თუ რამდენად იკვლევს სიღარიბის დონის შემცირების შესახებ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი მოსახლეობის განვითარებასთან დაკავშირებულ შვიდ თემატურ, მათ შორის ადამიანის უფლებების საკითხს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებების საკითხი, რომელიც აშკარად



ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დამატებითი მნიშვნელობა

სიღარიბის დონის შემცირებისა და, ზოგადად, განვითარების მიდგომასთან მიმართებაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დამატებითი მნიშვნელობის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას სახელმძღვანელო წესების პროექტი ითვალისწინებს დამაჯერებელ პასუხს: უფლებამოსილება.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გვთავაზობს მკაფიო და დასაბუთებულ ნორმატიულ ბაზას სიღარიბის დონის შემცირების სტრატეგიების შემუშავებისათვის, რადგან სიღარიბის დონის ეფექტური შემცირება შეუძლებელია ღარიბებისათვის უფლებამოსილების მიცემის გარეშე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის აღნიშნულ ნორმებსა და ღირებულებებს აქვს ამგვარი უფლებამოსილების მიღწევის პოტენციალი. ამ მიდგომის აღიარების შემთხვევაში სიღარიბის დაძლევა არ ნიშნავს მხოლოდ ღარიბების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ეს აგრეთვე ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ღარიბებს აქვთ უფლებები და, რომ არსებობს თანამდევი სამართლებრივი ვალდებულებები. სიღარიბის დონის შემცირება ხდება უფრო მნიშვნელოვანი,

21 ოლოკა-ონიანგო და უდაგამა, op. cit, 53-ე პუნქტი.

ვიდრე ქველმოქმედება, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მორალური ვალდებულება; იგი ხდება სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს იმ ერთეულების, მათ შორის სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა მონაწილეების პასუხისმგებლობას.

კანონიერების, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების კონცეფციების გარდა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის სხვა განმასხვავებელი ნიშნები შეიცავს უნივერსალურობის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის, ადამიანის ყველა უფლების ურთიერთდამოკიდებულების აღიარების პრინციპებს. გაეროს რამდენიმე სააგენტომ და პროგრამამ, კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR), შეიმუშავეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს განვითარების პროცესში პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას უფლებების მქონე და შესაბამისად ვალდებულებების მქონე პირთა იდენტიფიცირების საშუალებით და საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ დონეზე დანერგვის გზით.

უკავშირდებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ნაკლებად იყო გათვალისწინებული, ხოლო სახელმწიფოთა უმრავლესობას საერთოდ არ ჰქონდა ნახსენები ადამიანის უფლებები.[22]

თუმცა ზევით აღნიშნული დოკიმენტის შემუშავებისას ადამიანის უფლებები არ იქნა სათანადო დონეზე გათვალისწინებული, მაგრამ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ინტეგრაცია გამოიღებს ნაყოფს და საბოლოოდ მოხდება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა გაეროს განვითარების, ბრეტონ ვუდის ინსტიტუტების და სხვა დონორი სააგენტოების საქმიანობაში.

ამ თავის მომდევნო ნაწილები მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, რომლებიც შესაბამისი პაქტის გარდა ასევე აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად.

უფლება სოციალურ უზრუნველყოფაზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლი

ყ ოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება მოახდინოს თავისი ღირსების შენარჩუნება და პიროვნების თავისუფალი განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა განხორციელებით ეროვნული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად."

22 მოსახლეობისა და განვითარების თემების ასახვა სიღარიბის შემცირების სტრატეგიების დოკუმენტებში, UNFPA-ს გამოწვევები და შესაძლებლობები, 2002 წლის 11 მარტი

ადამიანის უფლებათ საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი

1. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით."

კონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლი

ა მ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით."

რა არის სოციალური უზრუნველყოფის სისტემა?

იდეალურ შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის სისტემა მიზნად უნდა ისახავდეს ყველა იმ სიტუაციის სრულყოფილ გამოვლენას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას პირის შესაძლებლობას, ჰქონდეს შემოსავალი და შეინარჩუნოს ცხოვრების სათანადო პირობები. სოციალური უზრუნველყოფის სფეროები მოცემულია 1952 წლის 102-ე კონვენციაში სოციალური უზრუნველყოფის (მინიმალური სტანდარტების) შესახებ. ესენია:

- პირველადი სამედიცინო დახმარება;
- დახმარება ავადმყოფობის შემთხვევაში;
- დახმარება უმუშევრობის შემთხვევაში;
- მოხუცებულობის პენსია;
- პენსია სამუშაო ტრავმის შემთხვევაში;
- დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის; მშობიარობის გამო;
- ინვალიდობის პენსია;
- პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში არსებობს განსხვავება სოციალური დაზღვევის პროგრამასა (ითვალისწინებს დასაქმებით მიღებული შემოსავლების წყვეტასთან დაკავშირებულ დახმარებას) და სოციალური დახმარების პროგრამას შორის, რომელიც ითვალისწინებს დანამატს მოწყვლადი ჯგუფების წევრების

არასაკმარის შემოსავალზე. ორივე სახის პროგრამა მიზნად ისახავს მატერიალური პირობების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია ცხოვრების სათანადო სტანდარტებისათვის და სიღარიბისაგან დაცვას.

რაც შეეხება განვითარებად სამყაროს, ქვევით მოცემულია შემდეგი დაკვირვებები სოციალური უზრუნველყოფის შესახებ:

- რამდენიმე სახელმწიფომ შეიმუშავა სოციალური უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი სქემები, რომლებიც ითვალისწინებს საყოველთაო დაცვას;

- სოციალური უზრუნველყოფის სქემები გათვლილია სპეციალურ ჯგუფებზე (მაგ.: ბავშვებსა და ფეხმძიმე ქალებზე);

- სოციალური უზრუნველყოფის სქემები ხშირად წარმოადგენს განსაკუთრებული შემთხვევების, მაგალითად, კატასტროფების დროს გათვალისწინებულ დახმარების პროგრამებს.

დაბრკოლებები, რომლებიც ექმნებათ განვითარებად ქვეყნებს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებისას, მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სიღარიბე, ადმინისტრაციული არაკომპეტენტურობა, საგარეო ვალი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკა.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან მიმართებაში

სახელმწიფოებმა, კერძოდ, პარლამენტებმა, სოციალური უზრუნველყოფის უფლების განხორციელების მიზნით მხედველობაში უნდა მიიღონ შემდეგი რეკომენდაციები:

- შემუშავებულ იქნეს ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნებს, პროგრესის მაჩვენებლებელ ინდიკატორებს და კონკრეტულ ვადებს; ჩამოყალიბებულ იქნეს უფლების პროგრესის მონიტორინგის მექანიზმები.

- შესაბამისი საკანონმდებლო ზომები უნდა უზრუნველყოფდეს უფლების პროგრესულ განხორციელებას და იყოს არადისკრიმინაციული;

- უფლების პროგრესული განხორციელების დროს სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური დონე უნდა იქნეს უზრუნველყოფილ მოწყვლადი ჯგუფებისთვის (როგორებიც არიან: მოხუცები, ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ავადმყოფები და ინვალიდები);

- უნდა განხორციელდეს სოციალური უზრუნველყოფის მონიტორინგი; თავიდან იქნეს აცილებული რეტროგრესიული ზომები (სოციალური უზრუნველყოფის მოცულობის შემცირება);

- ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რაც კომპენსაციის საშუალებას მისცემს პოტენციურ ბენეფიციარებს;

- უნდა იქნეს შემუშავებული დებულებები, რომლებიც იძლევა კორუფციის თავიდან აცილების შესაძლებლობას სოციალური უზრუნველყოფის დახმარებასთან მიმართებაში.

მოხუცების სოციალური უზრუნველყოფა: ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებათა პაქტის მე-6 ზოგადი კომენტარი

ე კონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მითითებას ხანდაზმული ხალხის უფლებებზე, თუმცაღა, მე-9 მუხლი, რომელიც ეხება "ყველა პირის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, მათ შორის სოციალურ დაზღვევაზე", გულისხმობს მოხუცების უფლებას პენსიაზე. მითუმეტეს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პაქტის დებულებები სრულად გამოიყენება საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, ცალსახაა, რომ მოხუცებს აქვთ უფლება, განახორციელონ პაქტით აღიარებულ უფლებათა სრული სპექტრი."

შრომის უფლება და უფლებები შრომის დროს

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
ყ ველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება."

ეეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-6 მუხლი
1 . ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რაც მოიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, და გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ამ უფლების დასაცავად.
2. ზემოთ აღნიშნული უფლებების სრული განხორციელების მიზნით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებები უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და ტრენინგების პროგრამებს, პოლიტიკასა და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნეს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება."

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-7 მუხლი
ა მ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:
ა) ანაზღაურებას, რომელიც ყველა დასაქმებულს უზრუნველყოფს სულ მცირე:
(I) სამართლიანი ხელფასითა და შესაბამისი ანაზღაურებით რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისათვის

შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომლის პირობებიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და შესაბამისი ანაზღაურების შესაძლებლობას;
(II) მას პირადად და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობით, ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად.
ბ) უსაფრთხო და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამის შრომის პირობებს;
გ) ყველასათვის უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დაწინაურების თანაბარ შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად;
დ) დასვენების, თავისუფალი დროის ქონისა და სამუშაო საათების გონივრული შეზღუდვის, აგრეთვე პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობას, ისევე როგორც ანაზღაურებას საზოგადოებრივი უქმე დღეებისათვის.“

შრომის უფლება

შრომის უფლება ძირითადად იცავს ადამიანებს ეკონომიკიდან გარიყვისაგან, ხოლო დაუსაქმებლებს – სოციალური იზოლაციისაგან.

ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული თავისუფალი არჩევანის მნიშვნელობა, რასაც ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: შრომა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს განაწილებული იმგვარად, რომ ყველას, ვისაც სურს მუშაობა, შეუძლია თავისუფლად აირჩიოს, ან დათანხმდეს სამუშაოზე იმ მიზნით, რომ, *ინტერ*ალია, მოიპოვოს საარსებო სახსრები.

ადამიანის უფლებების კონტექსტში, შრომა" გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ დაქირავებული შრომა. მაგრამ, იმის მიუხედავად, ის უფრო მეტად არის ინტეგრირებული ცხოვრების სხვა სფეროსა და ასპექტებში (მაგალითად, მოწყვლად ხალხს შორის) თუ ნაკლებად (მაგალითად, დაქირავებული მუშების შემთხვევაში), შრომა ყოველთვის ნიშნავს იმ ქმედებათა შესრულებას, რომლებიც

[illegible]

სახელმწიფოთა ვალდებულებები ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი მუხლის შესაბამისად

- დასაქმების შეძლებისდაგვარად მაღალი და სტაბილური დონის მიღწევა და შენარჩუნება;
- დასაქმებულთა უფლების ეფექტური დაცვა მოიპოვონ საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევენ;
- შექმნან და შეინარჩუნონ თავისუფალი დასაქმების სამსახურები ყველა დასაქმებულისთვის;
- უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ სათანადო პროფესიულ და ტექნიკურ სწავლებას ან გადამზადებას

აკმაყოფილებს მოთხოვნებს და სთავაზობს მომსახურებას ჯგუფებსა თუ საზოგადოებას, და, ამდენად, მისაღები და ანაზღაურებადია.

როდესაც ხდება კანონმდებლობის შემუშავება შრომის უფლებასა და მის განხორციელებაზე სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამის მეშვეობით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დისკრიმინაციის აკრძალვაზე. კანონმდებლობა აგრეთვე მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ჯგუფების – ქალების, მოხუცებისა და ინვალიდების – ჩართვას შრომის ბაზარში და, ზოგადად, მშრომელთა უფლებების დაცვასა და განმტკიცებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები საკუთარი შრომით.

დასაქმების პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს სრული დასაქმების მიღწევა, ერის რესურსების შესაბამისად. სოციალური დახმარების გარდა, აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეხებოდეს ხანგრძლივი დროით დაუსაქმებელთა და დაბალი შემოსავლის მქონე დასაქმებულ პირთა ინტერესების დაცვას საჯარო სამუშაო პროგრამების შემუშავების მეშვეობით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადად ხელმისაწვდომი და თავისუფალი ან შედარებით იაფი პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და ტრენინგების პროგრამების შემუშავება და ყველა დასაქმებულისათვის დასაქმების სამსახურების არსებობა.

უფლებები შრომის დროს

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-7 მუხლი უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:

- ანაზღაურებას, რომელიც ყველა დასაქმებულს უზრუნველყოფს სულ მცირე:

  - სამართლიანი ხელფასითა და თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე (განსაკუთრებით, ქალების წინააღმდეგ);

  - დასაქმებულებსა და მათ ოჯახებს ღირსეული არსებობის საშუალებებით;

- უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის უვნებელი შრომის პირობებით;

- სამუშაო სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობით;

- გონივრული სამუშაო საათებით, დასვენებით, თავისუფალი დროით, პერიოდული ანაზღაურებადი შვებულებითა და ანაზღაურებადი უქმე დღეებით.

ამგვარად, პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი ძირითადი ელემენტების კანონმდებლობაში ასახვა და პრაქტიკაში განხორციელება:

- მინიმალური ხელფასი, რომელიც საკმარისი იქნება დასაქმებულებისა და მათი ოჯახების ღირსეული არსებობისათვის; იძულებითი შრომის აკრძალვა;

- ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობების სტანდარტები;

- პროფესიული კავშირების შექმნა და მათში გაწევრიანება, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;

- დისკრიმინაციის დაუშვებლობა სამუშაო ადგილზე (*inter alia*, ქალების, უმცირესობების, ინვალიდებისა და რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ)

- ხელფასებთან მიმართებაში: თანაბარი სამუშაოსათვის ყოველთვის თანაბარი ანაზღაურება;

- დაწინაურების პერსპექტივებთან მიმართებაში: სამუშაო სტაჟსა და კომპეტენციაზე დაფუძნებული თანაბარი შესაძლებლობები.

უფლება ცხოვრების სათანადო დონეზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი
1. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის შემთხვევაში.
2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.“

ეეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლი
1 . ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და საცხოვრებლის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ღონისძიებებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.
2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც აღიარებენ თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას არ განიცდიდეს შიმშილს, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები განსაკუთრებული პროგრამების ჩათვლით, რომლებიც საჭიროა, რათა
ა) გაუმჯობესდეს სურსათის წარმოების, შენახვისა და განაწილების

მეთოდები ტექნიკური და სამეცნიერო ცოდნის სრული გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების ისეთი განვითარებისა თუ რეფორმის გ ზით, რითაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენება და განვითარება, და
ბ) მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც სურსათის იმპორტიორი, ასევე ექსპორტიორი ქვეყნების პრობლემები, სურსათის მსოფლიო მარაგის მოთხოვნილების შესაბამისად სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით."

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-12 მუხლი

1 . ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას მიიღოს ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტები.
2. ღონისძიებები, რომლებიც პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:
ა) მკვდარშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად;
ბ) გარემოს დაცვითი და საწარმო ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად;
გ) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად;
დ) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას."

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი უზრუნველყოფს სოციალურ უფლებას, რომელსაც, გარკვეულწილად, აქვს საერთო სახელწოდება: უფლება ცხოვრების სათანადო დონეზე. სოციალური უზრუნველყოფის უფლების გარდა, რომელიც ზემოთ იქნა განხილული, ეს უფლება აგრეთვე აერთიანებს შემდეგ უფლებებს:

- უფლებას სათანადო კვებაზე;
- უფლებას სათანადო ტანსაცმელზე;
- უფლებას საცხოვრებელზე;
- უფლებას ჯანმრთელობაზე.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლი მოიცავს უფლებას ცხოვრების სათანადო დონეზე (საკვებზე, ტანსაცმელსა და საცხოვრებელზე) და აღიარებს უფლებას ცხოვრების პირობების მუდმივ გაუმჯობესებაზე. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ თავზე იღებენ ვალდებულებას, რომ "ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ღონისძიებებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას". პაქტის 11-ე მუხლის შესაბამისად, კომიტეტმა ეს უფლება გაავრცელა წყლის უფლებაზეც.

შიმშილობა და სიღარიბე მსოფლიოში არის სათანადო დონის ცხოვრების უფლების დარღვევა. ეს უფლება წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შიმშილობისა და სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული ყველა გეგმისა და სტრატეგიის საფუძველს.

უფლება კვებაზე

მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთხელ აღნიშნა სათანადო კვების უფლების პატივისცემის მნიშვნელობა, მაგრამ კვლავ არსებობს სერიოზული ხარვეზები საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და იმ სიტუაციებს შორის, რაც ფაქტობრივად მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ხდება. მსოფლიოში 840 მილიონზე მეტი ადამიანი მუდმივად შიმშილობს, მილიონობით ადამიანი სტიქიური შიმშილობის ზღვარზე იმყოფება, რაც განპირობებულია ბუნებრივი კატაკლიზმებით, სამოქალაქო დაპირისპირებით, ომებით, საკვების, როგორც პოლიტიკური იარაღის, გამოყენებით. უფრო მეტიც, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა აღნიშნა, რომ "არასაკმარისი და არასათანადო კვება, ისევე როგორც სათანადო კვებისა და შიმშილისაგან თავისუფლების უფლებებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები, ზოგიერთ ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც არსებობს".[23] ამგვარად, ეს პრობლემა არის გლობალური და იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.

1996 წელს მსოფლიო კვების საკითხებთან დაკავშირებულ სამიტზე მიზნად იქნა დასახული 2015 წლისთვის იმ ადამიანების რაოდენობის შემცირება, რომლებსაც არ აქვთ სათანადო კვება; ათასწლეულის განვითარების პირველი მიზანი მოიცავს იმავე წლისთვის იმ ადამიანთა რაოდენობის განახევრებას, რომლებიც დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობენ და შესაბამისად შიმშილობენ.

მართალია, ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ წარმატებას მიაღწია შიმშილობის შემცირებასთან მიმართებაში, ერთიანი სურათი მაინც არადამაკმაყოფილებელია. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის შეფასებით, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელიც ძირითადად შიმშილობს, 1995-1997 და 2000-2002 წლებში თანდათანობით შემცირდა, თუმცა საერთო რაოდენობა 18 მილიონით გაიზარდა. 2000-2002 წლებში გამოთვლილ იქნა, რომ 852 მილიონი ადამიანი შიმშილობდა მსოფლიოში (9 მილიონი – განვითარებულ ქვეყნებში, 28 მილიონი – გარდამავალ ქვეყნებში და 815 მილიონი – განვითარებად ქვეყნებში).[24]

იმ ქვეყნებში, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს შიმშილობის დონის შემცირებაში, მთლიანი შიდა მოხმარების პროდუქტი სულზე ხუთჯერ გაიზარდა (2.6 პროცენტით ყოველწლიურად) იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც საკვების ნაკლებობის დონე გაიზარდა (0.5 პროცენტი ყოველწლიურად). ყველაზე წარმატებული ქვეყნები აგრეთვე აჩვენებენ სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს, იმუნოდეფიციტის ვირუსით/შიდსით დაავადებათა დაბალ მაჩვენებელსა და მოსახლეობის რაოდენობის ნელი ტემპით ზრდას.[25]

---

23 ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-12 კომენტარი (1999)

24 გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, მსოფლიო სურსათის სფეროში არსებული პრობლემები, რომი, 2004 ნელი.

25 იხ. იქვე.

როგორ შეიძლება განხორციელდეს უფლება კვებაზე?

„შიშველობა და არასაკმარისი კვება არავითარ შემთხვევაში არ არის განპირობებული ბელის ან ბენების უკულმართობის გამო; ისინი ადამიანის მიერ არის ძექმნილი"

ჟან ზიგლერი,
გაეროს სპეციალური მომხსენებელი კვების უფლების შესახებ,
ანგარიში კვების უფლების შესახებ (E/CN.4/2001/53), 2001, მე-6 პუნქტი

უფლება სათანადო კვებაზე განუყოფელია ადამიანის ღირსებისაგან და აუცილებელია ადამიანის სხვა უფლებების განხორციელებისათვის.

კვების უფლების რეალიზება მაშინ ხდება, როდესაც თითოეულ ქალს, მამაკაცს, ბავშვს, როგორც მარტო, ისე სხვებთან ერთად, ფიზიკურად და ეკონომიურად სათანადო საკვებზე ან მისი ყიდვის საშუალებებზე ნებისმიერ დროს მიუწვდება ხელი. ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობა ყველასათვის უფასო კვებას უნდა უზრუნველყოფდეს, თუმცაღა, იგი ვალდებულია, რომ პატივი სცეს, დაიცვას, განახორციელოს, ხოლო გარკვეული გარემოებების არსებობისას უზრუნველყოს ეს უფლება.



კვების შესახებ კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები

მართალია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ კვების უფლების განხორციელებისა და მისი კანონმდებლობის დონეზე უზრუნველყოფის ვალდებულება, მშიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს მხოლოდ მაშინ, თუ პაქტს პირდაპირ იყენებენ ეროვნული სასამართლოები, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, ან თუ ის შესულია ეროვნულ კანონმდებლობაში. შესაბამისად, კომიტეტმა, რომელიც პაქტის განხორციელებაზე ზედამხედველობას აწესებს, აღნიშნა, რომ ქვეყნებმა უნდა შეიმუშავონ ისეთი კანონმდებლობა, რომლითაც დაცული იქნება კვების უფლება. მისივე რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, რომელშიც, *ინტერ ალია*, გათვალისწინებული იქნება სამართლებრივი დაცვის საშუალებები კვების უფლების დარღვევის შემთხვევაში.

ეკონომიკურ, სოციალურ და კუტურულ უფლებათა პაქტის მე-12 ზოგადი კომენტარის მიხედვით, "საკანონმდებლო ბაზა, თავის მხრივ, უნდა შეიცავდეს დებულებებს; დასახულ მიზნებსა თუ ამოცანებს, აგრეთვე მათი შესრულების ვადებს; საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მიზნის მიღწევა ფართო გაგებით, კერძოდ, მიზანმიმართულ თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; პროცესზე ინსტიტუციონალურ პასუხისმგებლობას; მისი მონიტორინგის ეროვნულ მექანიზმებს, ისევე როგორც შესაძლო კომპენსაციის პროცედურებს. კრიტერიუმებისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარების პროცესში მონაწილე სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა ჩართონ სამოქალაქო საზოგადოება."

გასატარებელ ღონისძიებათა და განსახორციელებელ ქმედებათა კონკრეტული მაგალითები:

მიღებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წარმოადგენს ყველა ადამიანისათვის კვებისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ ეროვნული სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების ძირითად საფუძველს.

კონსტიტუციისა და ეროვნული კანონმდებლობის განხილვისას, აგრეთვე კვების შესახებ საერთასორისო სამართალთან მათი ჰარმონიზაციის მიზნით უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება *დისკრიმინაციის თავიდან აცილების* აუცილებლობაზე კვებისა თუ სხვა შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. უნდა იქნეს გატარებული შემდეგი ღონისძიებები:

1. ყველა ჯგუფის წევრებისათვის, მათ შორის ღარიბთათვის და საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც მოწყვლადია და განიცდის დისკრიმინაციას, კვების *ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა* როგორც ეკონომიკურად, ისე ფიზიკურად.

   არც ერთი აქტი არ უნდა ხელყოფდეს სათანადო კვებაზე ხელმისაწვდომობას (მაგალითად, ხალხის თვითნებურად გასახლება საკუთარი მიწიდან, ტოქსიკური ნივთიერებების შეგნებულად შეტანა საკვებ ობიექტებში, შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამრეწველო რესურსების განადგურება და სამოქალაქო საზოგადოებისათვის საკვების მიწოდების შეწყვეტა).

   ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული საწარმოებისა თუ ფიზიკური პირების მიერ ხალხისათვის სათანადო კვებაზე ხელმისაწვდომობის ხელყოფის აღსაკვეთად. დაცვის ვალდებულება მოიცავს მომხმარებლის დაცვის კანონმდებლობის მიღებასა და მოქმედებას, თუ, მაგალითად, საწარმო აბინძურებს წყალს ან მონოპოლია არღვევს კვების ბაზარს, ხორბლეულის მიწოდებას.

2. იმის უზრუნველყოფა, რომ ყველას, განსაკუთრებით კი ქალებს, ჰქონდეთ სრული და თანასწორი *ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ რესურსებზე*, მათ შორის საკუთრების მემკვიდრეობით მიღებაზე, მიწისა და სხვა საკუთრებაზე, აგრეთვე კრედიტზე, ბუნებრივ რესურსებსა და სათანადო ტექნოლოგიებზე.

   რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენების, აგრეთვე საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფისა და მათი განმტკიცების მიზნით უნდა იქნეს გატარებული შემდეგი ღონისძიებები:

   - ხალხს ჰქონდეს სათანადო შემოსავალი ან მიწაზე, საკვების შეძენასა თუ მის წარმოებაზე ხელმისაწვდომობა;

   - მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება და შესაბამისი პოლიტიკის გატარება სათანადო საკვებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რათა მიეცეთ საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობა (მაგალითად, დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესება, აგრარული რეფორმის პროგრამა მიწის უქონელი ჯგუფებისათვის, ან სკოლების უზრუნველყოფა უფასო რძით ბავშვთა კვების გაუმჯობესების მიზნით).

3. ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული თვითდასაქმებისა და ანაზღაურებადი სამუშაოს პატივისცემისა და დაცვის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ პირობებს დასაქმებულთა და მათი ოჯახებისათვის, აგრეთვე სქესის, რასის ან სხვა დისკრიმინაციული კრიტერიუმის საფუძველზე სამსახურის ხელმისაწვდომობაზე უარისაგან დაცვის მიზნით, რამეთუ ამგვარი დისკრიმინაცია ხელყოფს დასაქმებულთა მიერ საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობას.

4. მიწის კადასტრის წარმოება.

მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ფერმერთა დახმარების სათანადო პროგრამები, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფებს, მაგალითად, მოწყვლადი ხალხისათვის საგვარეულო მიწებზე უფლებების უზრუნველყოფის, ქალებისთვის შესაძლებლობების მიცემის, ხოლო მიუვალ ადგილებში (მაგალითად, მთებსა თუ უდაბნოში) მცხოვრები მცირე მეწარმეებისა და გლეხების დახმარების გზით.

კვებით უნდა იყვნენ უზრუნვეყოფილი ინდივიდუალური პირები და ჯგუფები, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის რჩენა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მათ შორის სტიქიური უბედურებისა თუ სხვა კატასტროფის გამო (დახმარების ფორმა შესაძლოა მოიცავდეს საკვების უშუალოდ მიწოდებას, ფულის გადარიცხვას ან პროგრამებს "წარმოება სამუშაოს მიზნით").

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ქმედებათა განხორციელება?

სხვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მსგავსად, სახელმწიფოების ვალდებულება – შეასრულონ და დაიცვან სათანადო კვების უფლება – არის პროგრესული განხორციელების საგანი, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ მისი სრული რეალიზაცია დაუყოვნებლივ, არამედ უ^ და მიიღონ ზომები მისი პროგრესულად მიღწევის მიზნით *ხელმისაწვდომი რეს; რსების მაქსიმალური გამოყენების* გზით. თუმცა, შემდეგი ვალდებულებები არ ; ქვემდებარება პროგრესულ განხორციელებას და სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალ. დებულება, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მათთან მიმართებაში:

- ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან თავის შეკავება, რაც დაკავშირებულია კვების ხელმისაწვდომობასთან, საკვების ყიდვის საშუალებებსა და უფლებებთან;

- არსებობის ძირითადი მინიმალური საშუალებების უზრუნველყოფა (რაც, ამავდროულად, უზრუნველყოფს შიმშილისაგან თავისუფლებას);

- რეტროგრესიული ღონისძიებების თავიდან აცილება.

ტანსაცმელზე უფლება

სათანადო ტანსაცმელზე უფლება არის ცხოვრების სათანადო დონის უფლების მესამე ცალსახა შემადგენელი კომპონენტი (სოციალური უზრუნველყოფისა და კვების უფლებების შემდეგ). მთავრობებმა უნდა დაიცვან ის წესი, თუ როგორ

იცვამს ხალხი, განსაკუთრებით უმცირესობათა წევრები და მოწყვლადი ჯგუფები, და უნდა დაიცვას თვითნებური ან დისკრიმინაციული ჩაცმის კოდექსისაგან, შეურაცხყოფისა და სხვა სახის ჩარევისაგან როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო მოხელეების მიერ. ამასთანავე, მთავრობებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ სათანადო ტანსაცმელი მათთვის, ვინც გაჭირვებაში იმყოფება, მათ შორის, ღარიბთათვის, პატიმართათვის, ლტოლვილთა და იძულებით გადადგილებულ პირთათვის. ტანსაცმლის ფორმა დამოკიდებულია ადგილობრივ – კულტურულ, სოციალურ და კლიმატურ – პირობებზე. დასასრულ, ღარიბ ხალხს აქვს უფლება ისეთ ტანსაცმელზე, რაც მათ აძლევს საზოგადოებაში სირცხვილის გარეშე გამოჩენის საშუალებას.

უფლება საცხოვრებელზე

უფლება სათანადო საცხოვრებელზე არ უნდა იქნეს გაგებული ვიწროდ, როგორც უფლება, ადამიანს ჰქონდეს ჭერი თავს ზემოთ, არამედ იგი უნდა იქნეს გაგებული როგორც უსაფრთხოდ, მშვიდად და ღირსეულად ცხოვრების უფლება.

უსახლკარობა საცხოვრებელზე უფლების უარყოფის უკიდურესი ფორმაა და იგი დაკავშირებულია სიღარიბესთან. ავარიულ სახლებში და მიუვალ სოფლებში მილიონობით მაცხოვრებელთა საშიში მდგომარეობა, რომლებსაც აქვთ მჭიდროდ დასახლების, საკანალიზაციო სისტემის, ჰაერის დაბინძურების, ცხოვრების პირობების სეზონურად გაუარესების, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობისა და სხვა პრობლემები, აგრეთვე წარმოადგენს სათანადო საცხოვრებელზე უფლების სერიოზულ უარყოფას. ათასწლეულის განვითარების მიზნები ითვალისწინებს სპეციალურ მიზანს აღნიშნულ ტერიტორიაზე "2020 წლისთვის ავარიულ სახლებში სულ მცირე 100 მილიონი მაცხოვრებლისთვის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას".

უფლება საცხოვრებელზე: მისი ელემენტების განხორციელება

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-4 ზოგადი კომენტარის შესაბამისად, უფლება სათანადო საცხოვრებელზე მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა. საკუთრების სამართლებრივი უზრუნველყოფა

ყველა პირს უნდა ჰქონდეს საკუთრების უზრუნველყოფის ის ხარისხი, რომლითაც გარანტირებულია სამართლებრივი დაცვა იძულებითი გასახლების, შეურაცხყოფისა და სხვა საფრთხეების წინააღმდეგ. შესაბამისად, მთავრობებმა უნდა მიიღონ გადაუდებელი ზომები, რომლებიც მიმართულია საკუთრების სამართლებრივი უზრუნველყოფისაკენ საოჯახო მეურნეობებისათვის. ამგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმ ადამიანებსა და ჯგუფებთან კონსულტაციების მეშვეობით, რომლებსაც ეს ეხებათ.

ბ. მომსახურების, მასალებისა და ინფრასტრუქტურების ხელმისაწვდომობა

სათანადო საცხოვრებელზე უფლების ყველა ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს მყარი ხელმისაწვდომობა ბუნებრივ და საერთო სარგებლობის რესურსებზე: სუფთა სას-

მელ წყალზე, საჭმლის გასაკეთებელ, გასათბობ და გასანათებელ ენერგიაზე, წყალგაყვანილობასა და სანიტარულ პირობებზე, საჭმლის შესანახ საწყობებზე, ნარჩენების გადამუშავებაზე, სამშენებლო სადრენაჟო და ტექნიკურ მომსახურებებზე.

გ. შესაძლებლობის ფარგლებში მისაღები საცხოვრებელი

პირადი ან საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა ხელყოფდეს ან უქმნიდეს საფრთხეს სხვა ძირითად მოთხოვნილებებს. საოჯახო მეურნეობის სუბსიდიები უნდა არსებობდეს იმათთვის, ვისაც არ შეუძლია შესაძლებლობის ფარგლებში დასაშვები საცხოვრებლის მოპოვება, ხოლო მდგმურები დაცული უნდა იყვნენ ქირავნობის გაუმართლებლად მაღალი განაკვეთებისა და ქირის გაზრდისაგან. შედგენილ უნდა იქნეს სამოქმედო გეგმა, რომელიც აგრეთვე გაითვალისწინებს საზოგადოებრივი დანახარჯების პროგრამებსა და საოჯახო სუბსიდიებს დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის. პრიორიტეტული უნდა იყოს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები: ინვალიდები, მოხუცები, უმცირესობები, ადგილობრივი მოსახლეობა, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები.

საზოგადოებებში, რომლებშიც მთავარი საცხოვრებელი სამშენებლო მასალები არის ბუნებრივი, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები აღნიშნული მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

დ. ვარგისი საცხოვრებელი

სათანადო საცხოვრებელი უნდა უზრუნველყოფდეს მობინადრეებს საკმარისი ფართით და იცავდეს მათ სიცივისგან, ნესტისგან, სიცხისგან, წვიმისგან, ქარისა და ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა სახის ზემოქმედებისაგან, სამშენებლო საფრთხისა და ეპიდემიის გადატანისაგან.

ე. ხელმისაწვდომი საცხოვრებელი

სათანადო საცხოვრებელი ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმათთვის, ვისაც მასზე კანონიერი უფლება გააჩნია. დაზარალებული ჯგუფებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხელმისაწვდომობა სათანადო საცხოვრებელ ფონდებზე. შესაბამისად, ისეთი ჯგუფები, როგორებიც არიან: მოხუცები, ბავშვები, ინვალიდები, საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფები, იმუნოდეფიციტის ვირუსით/შიდსით დაავადებულები, ქრონიკული ავადმყოფები, სულიერად დაავადებულები, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულები, სტიქიური უბედურების შედეგად განადგურებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი უნდა სარგებლობდნენ უპირატესობით საცხოვრებელთან მიმართებაში. საცხოვრებლის შესახებ კანონმდებლობა და პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საცხოვრებელთან დაკავშირებულ სპეციალურ მოთხოვნილებებს.

ვ. შესაბამისი ადგილმდებარეობა

სათანადო საცხოვრებელს ისეთი ადგილმდებარეობა უნდა ჰქონდეს, რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს სკოლა, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ცენტრები და სხვა სოციალური დანიშნულების მომსახურე-

ბა; ის არ უნდა იყოს აშენებული დაბინძურებულ ადგილას ან დაბინძურების წყაროსთან უშუალო სიახლოვეს, რადგან ეს ხელყოფს მაცხოვრებელთა უფლებას ჯანმრთელობაზე.

ზ. კულტურულად სათანადო საცხოვრებელი

სათანადო საცხოვრებელი, გამოყენებული სამშენებლო მასალები და ძირითადი პოლიტიკა უნდა იცავდეს კულტურულ იდენტურობასა და მრავალფეროვნებას. საცხოვრებლის კულტურული განზომილება არ უნდა შეეწიროს ბინათმშენებლობის განვითარებასა და მოდერნიზაციის პროექტებს.

აღნიშნული უფლებების სია ხაზს უსვამს ზოგიერთ იმ სირთულეს, რაც დაკავშირებული სათანადო საცხოვრებელთან და მიუთითებს ბევრ სფეროზე, რაც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს თავისი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისას მოსახლეობის მოთხოვნილებების საცხოვრებლით დაკმაყოფილების დროს. ნებისმიერ პირს, ოჯახს, საოჯახო მეურნეობას, ჯგუფს ან თემს, რომელიც ცხოვრობს ამ უფლებების ზღვარს ქვემოთ, შეუძლია განაცხადოს, რომ არ სარგებლობს სათანადო საცხოვრებლის უფლებით, როგორც ეს გაწერილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

ამასთანავე, აუცილებელია

- ამ უფლების დაცვისას არ უნდა იქნეს დაშვებული:
    - საცხოვრებლის განადგურება;
    - საცხოვრებლიდან იძულებითი ან თვითნებური გაძევება;
    - ეთნიკური და რელიგიური სეგრეგაციისა და გადაადგილების ხელშეწყობა;
    - დისკრიმინაცია;
    - პირის შეურაცხყოფა მისი საცხოვრებელზე უფლების განხორციელებისას;
- პოზიტიური ზომების მიღება უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების რიცხოვნობის შემსამცირებლად და მათი სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით;
- საჭიროა სასამართლო, კვაზი-სასამართლო, ადმინისტრაციული და პოლიტიკური აღსრულების მექანიზმების დაარსება, რომლებიც უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შედეგად დაზარალებულთათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

უფლება ჯანმრთელობაზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გარანტიებს, აყა-

ლიბებს საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უფლებას. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პაქტის მე-12 მუხლში აღნიშნულ უფლება ვრცლად არის განხილული.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანმრთელობა არის სათანა-

ვილა ლა დულჩეს საქმე: საცხოვრებელი ბინების მშენებლობის სოციალური პროგრამებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით გამოსახლებულთა შესახებ[1]

2000 წლის ოქტომბერში რამდენიმე ოჯახმა, რომლებიც ცუდ საცხოვრებელ პირობებში ცხოვრობდნენ, ბუენოს აირესში, ვილა ლა დულჩეში, დაიკავეს შენობა, რომელიც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიტოვებული იყო. 2001 წლის ივლისში მოსამართლემ მიიღო ბრძანება იმ შენობიდან 180-ზე მეტი ადამიანის დაუყოვნებლივ გამოსახლების შესახებ. ისინი დაემორჩილნენ სასამართლოს ბრძანებას, მაგრამ, რადგან წასასვლელი არსად გააჩნდათ, შენობის გარშემო ააშენეს ქოხები ტროტუარებსა და ქუჩებში. რამდენიმე მოხელის დახმარებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაიწყო მოლაპარაკებები და 2001 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მთავრობას გამოსახლებული ხალხი თავშესაფრით უნდა უზრუნველეყო 60 დღის განმავლობაში. ეს პირობა არ შესრულებულა.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, გამოსახლებულმა ხალხმა სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომ უზრუნველყოფილიყო მათი უფლება სათანადო საცხოვრებელზე, როგორც ეს გარანტირებული იყო არგენტინის კონსტიტუციით. ადგილზე მისვლის შემდეგ მოსამართლემ მიიღო დროებითი ბრძანება, რომლის მიხედვითაც 500,000 ამერიკული დოლარი გამოიყო მუნიციპალური საბიუჯეტო ფონდიდან სათანადო საცხოვრებლის აშენების მიზნით. აღნიშნული პრობლემის დროულად გადაჭრის მიზნით მოსამართლემ, ამავდროულად, მოიპოვა სასამართლოს თანხმობა ოჯახების ქალაქის სასტუმროებში შესახლების შესახებ. ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მთავრობამ განაახლა მოლაპარაკებები გამოსახლებულ ოჯახებთან. საბოლოო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო სტანდარტებს სათანადო საცხოვრებელზე უფლების შესახებ, ხელი მოეწერა 2003 წლის დეკემბერში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 91 სახლის აშენებას. ის იძლეოდა ბინის რეალური შესყიდვის შესაძლებლობას იჯარის გადახდის საშუალებით; ასევე უპირატესობას აძლევდა მშენებლებს, რომლებიც დაასაქმებდნენ უსახლკარო მუშებს.

აღნიშნული საქმიდან ჩანს, რომ კონსტიტუციით გარანტირებული სოციალური უფლებების განხორციელების მიზნით სასამართლო სტრატეგიებისა და სასამართლო პროცესის გამოყენებით შესაძლებელია ბინათმშენებლობის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა.

1 იხ. "ბინადრობისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სამართლის კვარტალური გამოცემა, ტომი1, №1, გვ. 1-4

დო ფიზიკური, სულიერი და სოციალური მდგომარეობა და არა მხოლოდ ავადმყოფობის ან ფიზიკური უუნარობის არქონა".[26] ამგვარად, ჯანმრთელობის უფლება არის განუყოფელი უფლება, რომელიც არა მხოლოდ პირად ფიზიკურ ჯანმრთელობას, არამედ ადამიანის ბევრ სხვა უფლებასა და საკითხსაც მოიცავს. 1997 წელს სახელმწიფოებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის ხელშეწყობის შესახებ მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს ჯაკარტის დეკლარაცია 21-ე საუკუნეში ჯანმრთელობის განვითარების შესახებ. დეკლარაცია ხაზს უსვამს ჯანმრთელობის უფლების განუყოფელ ხასიათს და განსაზღვრავს პოლიტიკის მოთხოვნებს, რომლებიც მიმართული უნდა იყოს ამ უფლების განხორციელებისაკენ: "მშვიდობა, თავშესაფარი, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, სოციალური ურთიერთობები, საკვები, შემოსავალი, ქალებისათვის უფლებამოსილების მიცემა, სტაბილური ეკო-სისტემა, მდგრადი რესურსების გამოყენება, სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და თანასწორობა. გარდა ამისა, ჯანმრთელობისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს სიღარიბე წარმოადგენს".

ჯანმრთელობა და სიღარიბე

განვითარებად ქვეყნებსა და დასავლეთში აღიარებულია ურთიერთკავშირი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სიღარიბეს შორის. ღარიბი ხალხი, რომელსაც არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე, ზოგადად, ნაკლებად ჯანმრთელია, კვდება უფრო ახალგაზრდულ ასაკში; მაღალია აგრეთვე ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა. ამავდროულად, ავადმყოფობა ხელს უწყობს სიღარიბეს – შემოსავლის დაკარგვისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების მეშვეობით – რაც სიღარიბის ციკლს სპირალისებურად წარმართავს. ამგვარად, ღარიბთათვის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება განვითარების უმნიშვნელოვანესი მიზანია.

ათასწლეულის განვითარების რვა მიზნიდან, ექვსი მოითხოვს კონკრეტული მიმართულებით ჯანმრთელობის გაუმჯობესებას 2015 წლისათვის: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, დედათა სიკვდილიანობის შემცირებას, იმუნოდეფიციტის ვირუსის, მალარიისა და ტუბერკულოზის გავრცელების შეზღუდვას. ჯანმრთელობა აგრეთვე არის ძირითადი ფაქტორი ათასწლეულის განვითარების პირველ მიზანთან მიმართებაში (სიღარიბისა და უკიდურესი შიმშილობის აღმოფხვრა).

კარგი ჯანმრთელობა ხელს უწყობს განვითარებასა და სიღარიბის დონის შემცირებას სხვადასხვა კუთხით. იგი განაპირობებს შრომის ნაყოფიერებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს შიდა და უცხოურ ინვესტიციებს, აუმჯობესებს ადამიანურ კაპიტალს და ზრდის ეროვნული დანაზოგების მაჩვენებელს. ამდენად, ინვესტიცია ჯანმრთელობაში არის მდგრადი ღონისძიება, რასაც ბევრი სხვა სარგებელი მოაქვს.

---

26 მსოფლიო შრომის ორგანიზაციის კონსტიტუცია, პრინციპები, 1946 წელი

ჯანმრთელობის უფლების განსაზღვრება

ერთიანი მიდგომის გათვალისწინებით, შესაძლებელია ჯანმრთელობის უფლების დაყოფა მისი გამოყენების მიხედვით ოთხ სფეროში:

1. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა;

2. ჯანსაღი სამუშაო და ბუნებრივი გარემო;

3. დაავადებათა თავიდან აცილება, მკურნალობა და კონტროლი, პირველადი მოხმარების წამლებსა და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით;

4. უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა.

ჯანმრთელობის უფლების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია სხვადასხვა ზომების მიღება. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი აკისრია პარლამენტს შესაბამისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების მეშვეობით.

ზოგადად, ჯანმრთელობის უფლების განხორციელება გულისხმობს პირველად სამედიცინო დახმარებას ყველასთვის, დისკრიმინაციის გარეშე; ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას; ჯანმრთელობის ეროვნული მაჩვენებლის, კრიტერიუმებისა და საზედამხედველო მექანიზმების დადგენას.

აუცილებელია ჯანმრთელობის დაზღვევის მექანიზმები და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი თავიდან აცილების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა. პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ამგვარი ზომების განსახორციელებლად.

ჯგუფები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უკავშირდება ისეთ კონკრეტულ ჯგუფებს, როგორიცაა: ფიზიკურად და სულიერად დაავადებული პირები, ღარიბები, ქალები, ბავშვები, იმუნოდეფიციტის ვურუსით/შიდსით დაავადებული პირები, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. მნიშვნელოვანია ამ კუთხით მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება და საკმარისი სახსრების არსებობა, რათა მოხდეს აღნიშნული ჯგუფების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ღარიბებთან მიმართებაში ჯანმრთელობის დაცვის არსებითი საკითხია შესაბამის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, შესაბამისი იმუნიზაციის პროგრამების დანერგვა და გარემოს დაცვის ძირითადი ღონისძიებების (კერძოდ, ნარჩენების გადამუშავების) გატარება. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ განსაკუთრებული როლის შესრულება შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების, მათი განხორციელების უზრუნველყოფისა და ღარიბების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების გზით.

ქალებისათვის ჯანმრთელობის დაცვაზე, სამედიცინო მომსახურებასა და რეპრო-

დუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ კანონმდებლობის მიღება ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების აკრძალვისა და აღმოფხვრის შესახებ.[27]

უნდა მოხდეს ისეთი კანონმდებლობა მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვისათვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებას. მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების წამოწყება, რომლებიც მიმართულია ჩვილებისა და ბავშვების სიკვდილიანობის შემცირებისაკენ, აგრეთვე ბავშვთა ჯანმრთელობასა და მათი ძუძუთი კვების, ჰიგიენური პირობებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო პროგრამების განსახორციელებლად.

ინვალიდ ბავშვებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ და შეეძლოთ განათლების მიღება და სასწავლო კურსების გავლა. ისინი უნდა სარგებლობდნენ სარეაბილიტაციო მომსახურებით; გააჩნდეთ დასვენების და გადამზადების შესაძლებლობები, რათა მაქსიმალიურად იქნეს უზრუნველყოფილი მათი სოციალური ინტეგრაცია.

დაბოლოს, იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებული ადამიანები – 2004 წლის დეკემბერში მათი რიცხვი მსოფლიოს მასშტაბით 40 მილიონს უახლოვდებოდა[28] – დაცული უნდა იყვნენ ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან. სამედიცინო გამოკვლევასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს და რეგულარულად ხდებოდეს მათთვის წამლების მიწოდება.[29]

უფლება წყალზე

კვების, საცხოვრებლისა და ტანსაცმლის უფლებების გარდა (რომლებსაც ცალსახად ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლი), უფლება ცხოვრების სათანადო დონის პირობებზე შეიძლება სხვა აუცილებელ მოთხოვნილებებსაც მოიცავდეს. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მე-15 ზოგად კომენტარში, რომელიც მიღებულია 2002 წლის ნოემბერში, "ადამიანის უფლებას წყალზე" მიიჩნევს ძირითადი უფლების შემადგენელ აუცილებელ კომპონენტად, აღნიშნავს რა, რომ იგი "ცალსახად ექცევა სათანადო ცხოვრების დონის უზრუნველყოფის აუცილებელი გარანტიების კატეგორიის სფეროში, მით უმეტეს, რომ წარმოადგენს გადარჩენისათვის ყველაზე ფუნდამენტურ პირობას". წყალზე უფლება აგრეთვე მოხსენიებულია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტსა და ბავშვთა უფლებების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტში.

---

27 2001 წლის სექტემბერში, საპარლამენთაშორისო კავშირმა დაიწყო საპარლამეტო კომპანია ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთის მიზნით, რომელიც ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრისკენ მიმართული იყო. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://www.ipu.org/wmn-e/fgm.htm.

28 დოქტორ პეტერ რიოტი, UNAIDS-ის აღმასრულებელი დირექტორი, გზავნილი შიდსის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2004 წლის 1 დეკემბერი

29 ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. სახელმძღვანელო კანონმდებელთათვის იმუნოდეფიციტის ვირუსის/შიდსის შესახებ, სამართალი და ადამიანის უფლებები, UNAIDS/IPU, ჟენევა, 1999 წელი.

რა არის უფლება წყალზე?

წყლის უფლება ყველა ადამიანს აძლევს უფლებას საკმარის, უსაფრთხო, მისაღებ, ფიზიკურად ხელმისაწვდომ და სათანადო წყალზე როგორც პირადი, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით. იგი აუცილებელია ბევრი სხვა უფლების, მაგალითად, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კვების უფლებების განსახორციელებლად. მართალია, ის, თუ რა განაპირობებს წყლის სათანადოობას, იცვლება პირობების შესაბამისად, მაგრამ შემდეგი ფაქტორები აუცილებელია ყველა გარემოებაში:

ხელმისაწვდომობა: წყლის რეგულარული მიწოდება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყოველი ადამიანისათვის სათანადო ოდენობით, რაც არაც უპირატესად მოიცავს დალევას, პირად ჰიგიენას, გარეცხვას, საჭმლის მომზადებას, სანიტარული პირობების დაცვასა და სახლის სისუფთავეს. თითოეული ადამიანისათვის ხელმისაწვდომი წყლის მოცულობა უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მოთხოვნებს. ზოგიერთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შესაძლოა სჭირდებოდეს წყლის დამატებითი მოცულობა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, კლიმატისა თუ სამუშაო პირობებიდან გამომდინარე;

ხარისხი: პირადი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, ე.ი. არ უნდა შეიცავდეს ჯანმრთელობისათვის საშიშ მიკროორგანიზმებს, ქიმიურ და რადიაციულ ნივთიერებებს. მისი ფერი, სუნი და გემო უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა სახის პირადი თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

ხელმისაწვდომობა: წყალი, წყალმომარაგების სისტემა და მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანი-



წყალი და სიცოცხლის უფლება

- ყოველწლიურად 2.2 მილიონი ადამიანი კვდება დიარეასგან.
- მილიონობით დიარეით დაავადებული ადამიანი განიცდის კვებასთან, განათლებასა და ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზიანს, რისი თავიდან აცილებაც შესაძლებელია წყლის მიწოდების გაუმჯობესებით.
- ყოველწლიურად დაახლოებით 3.4 მილიონი ადამიანი კვდება წყლით გამოწვეული ავადმყოფობის გამო.
- მსოფლიოში ნებისმიერ დროს 1.5 მილიარდი ადამიანი — ყოველი მეოთხე — დასნებოვნებულია ჰელმინთოზებით, რაც გამოწვეულია ბუნების ადამიანური ექსკრეციითა და მყარი ნარჩენებით დაბინძურებით.[1]

1 წყლისა გლობალური მიწოდებისა და სანიტარული პირობების შეფასებითი ანგარიში, 2000 წელი, ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

სათვის, დისკრიმინაციის გარეშე. ხელმისაწვდომობას აქვს ოთხი განზომილება:

ფიზიკური ხელმისაწვდომობა: მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის წყალი, წყალმომარაგების სისტემა და მომსახურება ფიზიკურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. საკმარის, უსაფრთხო და მისაღებ წყალზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს თითოეულ ოჯახს, საგანმანათლებლო დაწესებულებას, ჯანრთელობის დაცვის დაწესებულებას, ან საწარმოს. წყალმომარაგების სისტემისა და მომსახურების ხარისხი უნდა იყოს საკმაოდ მაღალი და ეკოლოგიურად უსაფრთხო. იგი უნდა აკმაყოფილებდეს გენდერულ, სასიცოცხლო და პირად მოთხოვნილებებს. წყალმომარაგების სისტემისა და მომსახურების ხელმისაწვდომობისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადამიანთა ფიზიკური უსაფრთხოება.

ეკონომიკური ხელმისაწვდომობა: წყალმომარაგების სისტემა და მომსახურება საყოველთაოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი. პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წყლით უზრუნველყოფასთან, უნდა იყოს გონივრული და არ ეწინააღმდეგებოდეს, ან საფრთხეს არ უქმნიდეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტით გარანტირებულ სხვა უფლებების განხორციელებას;

არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა: კანონმდებლობით, ისევე როგორც პრაქტიკაში, წყალი, წყალმომარაგების სისტემა და მომსახურება ყველასათვის, მათ შორის ყველაზე მოწყვლადი ან მარგინალური მოსახლეობისათვის, უნდა იყოს ხელმისაწვდომი დისკრიმინაციის გარეშე;

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: ხელმისაწვდომობა მოიცავს წყლის შესახებ ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას.

რა ღონისძიებებს შეუძლია ხელი შეუწყოს წყლის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფას?

პირველ რიგში, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ წყლის სათანადო ხარისხი და ხელმისაწვდომობა, როგორც ეს ზემოთ იყო თქმული. ყველა ზემოხსენებული ღონისძიების პროგრესული განხორციელება თანდათანობით მიგვიყვანს წყლის უფლების სრულ რეალიზაციამდე. პარლამენტებს შეუძლიათ მონიტორინგი განახორციელონ და ხელი შეუწყონ შემდეგ კონკრეტულ სამთავრობო ღონისძიებებს:

- თუ აუცილებელია, მთავრობებმა უნდა მიიღონ ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წყლის მიწოდებისა და მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად, რომელიც ყველა მაცხოვრებელს საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფს სუფთა და უსაფრთხო წყლით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს მექანიზმებს, მაგალითად, წყლის მაჩვენებლებსა და მონაცემებს, პროგრესის ზედმიწევნითი მონიტორინგის მიზნით და უნდა მიმართული იყოს ყველა სოციალურად დაუცველი ჯგუფისაკენ;

- მთავრობებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები მესამე მხარის, მათ შორის, საერთაშორისო კორპორაციების მიერ სუფთა წყალზე თანაბარი ხელმისაწ-

წყლის უფლების დარღვევის ტიპები

წყლის უფლების პატივისცემის ვალდებულების დარღვევები:

- თვითნებური ან დაუსაბუთებული იზოლირება, ან გაძევება წყალმომარაგების სისტემისა და მომსახურებიდან;
- წყლის ფასის დისკრიმინაციული ან დაუშვებელი ზრდა;
- წყლის რესურსების დაბინძურება და შემცირება, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას.

წყლის უფლების დაცვის ვალდებულების დარღვევები:

- წყლის დასნებოვნებისა და არასამართლიანი მოპოვების თავიდან ასაცილებლად კანონმდებლობის მიღება და მისი განხორციელების შეუძლებლობა;
- კერძო წყალმომარაგების მომსახურების მიმწოდებლების ეფექტურად რეგულირებისა და კონტროლის შეუძლებლობა;
- წყლის სადისტრიბუციო სისტემების (მაგალითად, წყალსადენებისა და ჭების) დაუცველობა გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან, დაზიანებისა და განადგურებისაგან.

წყლის უფლების შესრულების ვალდებულების დარღვევები:

- ყველასათვის წყლის უფლების განხორციელების მიზნით წყლის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შეუძლებლობა;
- არასაკმარისი დანახარჯები და საზოგადოებრივი რესუსრების არარაციონალური გამოყენება, რის შედეგადაც არ ხდება წყლის უფლების განხორციელება ფიზიკური პირების ან ჯგუფების, კერძოდ, მოწყვლადი ან მარგინალური ჯგუფების მიერ;
- ეროვნულ დონეზე, *ინტერ ალია*, წყლის მაჩვენებლებისა და მონაცემების გამოყენებით წყლის უფლების განხორციელებაზე ზედამხედველობის შეუძლებლობა;
- წყალმომარაგების სისტემისა და მომსახურების არასამართლიანი განანილების შემცირების მიზნით ადეკვატური ზომების მიღების შეუძლებლობა;
- საგანგებო მდგომარეობის დროს დახმარების მექანიზმების მიღების შეუძლებლობა;
- ყველა ადამიანის მიერ მინიმალურ დონეზე ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფის შეუძლებლობა;
- სახელმწიფოს უუნარობა, გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები წყლის უფლების შესახებ სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადების დროს.

ვდომობის დაბრკოლების, წყლის რესურსების დაბინძურებისა და წყლის არასამართლიანი მოპოვების პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით;

- მთავრობებმა უნდა მიიღონ ზომები წყალთან დაკავშირებული ავადმყოფობის თავიდან აცილების, მკურნალობისა და კონტროლის, განსაკუთრებით, სათანადო სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

განათლების უფლება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
ყ ველას აქვს განათლების უფლება. დაწყებითი და ზოგადი განათლება უნდა იყოს უფასო. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის უნარის შესაბამისად."

ეეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-13 მუხლი
1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას მიიღოს განათლება.
2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი:
ა) დაწყებითი განათლება იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;
ბ) საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, გახდეს შესაძლებელი და ხელმისაწვდომი შესაბამისი საშუალებების გატარებით; კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობითი შემოღების გ ზით;
გ) უმაღლესი განათლება გახდეს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გ ზით;
დ) ძირითადი განათლება წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;
ე) აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები.
3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ დაარსებული, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება, და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.

4. ამ მუხლის არცერთი ნაწილი არ უნდა განიმარტოს, როგორც ხელის შემშლელი ცალკეულ პირთა და ორგანოთა თავისუფლებისათვის დააფუძნონ და მართონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მუხლის პირველი პუნქტით გამოცხადებული პრინციპებისა და იმ მოთხოვნების თანახმად, რომ ამგვარ დაწესებულებებში მიღებული ცოდნა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნათა მინიმუმს."

ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-14 მუხლი

ა მ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელმაც მონაწილედ გახდომის დროისათვის ვერ შეძლო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა თავისი მეტროპოლიის ფარგლებში ან საკუთარი იურისდიქციის ქვეშ არსებულ სხვა ტერიტორიაზე, კისრულობს ვალდებულებას, ორ წელიწადში შეიმუშავოს და მიიღოს მოქმედებათა დეტალური გეგმა, რათა თანდათან, წლების გონივრული რაოდენობის განმავლობაში განახორციელოს სავალდებულო უფასო განათლების პრინციპი."

გარდა იმისა, რომ ხორცშესხმული და აღიარებულია საერთაშორისო სამართალსა და ძირითად ხელშეკრულებებში, განათლების უფლება აგრეთვე მოცემულია ბავშვთა უფლებების კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებში, აგრეთვე ათასწლეულის განვითარების მეორე და მესამე მიზანში, რომლებიც აყალიბებს მნიშვნელოვან სტანდარტებსა და მიზნებს. ეს უფლება უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ღირსებასთან, ხოლო მისი განხორციელება ხელს უწყობს პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებას მთლიანობაში. იგი მხარს უჭერს ეკონომიკურად და სოციალურად მარგინალურ ხალხს, იცავს ბავშვებს ექსპლუატაციისაგან და აქვს ზღვრული ეფექტი მოსახლეობის ზრდასთან მიმართებაში. იგი არსებითი მნიშვნელობისაა ადამიანის ბევრი სხვა უფლების განხორციელების პროცესში.

„ამგვარად, დემოკრატია მოითხოვს დემოკრატიულ კლიმატსა და კულტურას, რომელიც მეტნა�eად ეთანადება და ძლიერდება განათლების, აგრეთვე კულტურისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით. ამდენად, დემოკრატიული საზოგადოება თავის თავზე უნდა იღებდეს განათლების, კერძოდ, სამოქალაქო განათლებისა წარმართვის პროცესს".

საპარლამენტთაშორისო გაერთიანება, საყოველთაო დეკლარაცია დემოკრატიის შესახებ, კაირო, 1997 წლის სექტემბერი, პუნქტი 19.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის ზემოხსენებული დებულებები ცალსახად აყალიბებს მიზნებს, რომელთა შესრულებისაკენ უნდა მიისწრაფოდნენ მონაწილე სახელმწიფოები განათლების უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად. მაგრამ *რა პრაქტიკული* მნიშვნელობა აქვს ამ დებულებებს სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, პარლამენტებისათვის? პასუხი რომ გაეცეს ამ კითხვას, განათლების უფლება უნდა დავყოთ ორ შემადგენელ ნაწილად:

1. განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერება;
2. განათლების სახისა და შინაარსის არჩევის თავისუფლება.

სიღარიბე და განათლება[1]

მსოფლიოში 113 მილიონი ბავშვი, რომელთაგან ორი მესამედი გოგოა, სკოლაში არ დადის. აქედან გამომდინარე, განათლების ხარისხის გაუმჯობესება, საბაზისო განათლების დონის მიახლოება საერთაშორისო საყოველთაო დაწყებით განათლების სტანდარტებთან, ხელმისაწვდომობასა და საერთო მასშტაბებში არსებული უთანასწორობის შემცირება წარმოადგენს მთავარ გამოწვევას. ეს არის დიდი ხნის წინ მიღწეული საერთაშორისო შეთანხმება, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში დაწყებითი განათლება იყოს საყოველთაო. აკადემიურ მოსწრებასა და განათლების დონესთან მიმართებაში არსებული ხარვეზები, რომლებიც უკავშირდება სიმდიდრეს, მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ღარიბები გაცილებით შორს არიან ამ მიზნის მიღწევისაგან. ისმის კითხვა: რატომ არის შეფასების ქულები უფრო დაბალი, ხოლო განათლების შედეგები – უფრო ცუდი ღარიბებს შორის?

მიწოდება

პირველ რიგში, ღარიბი ბავშვებისათვის უფრო რთულია სკოლაში სიარული. როგორც წესი, სკოლები თავმოყრილია მდიდარ ქალაქებსა და რაიონებში. მაგალითად, გვინეაში საშუალო დრო, რომელიც საჭიროა უახლოეს დაწყებით სკოლასთან მისასვლელად, სოფელში 47 წუთია, ხოლო ქალაქში ეს დრო მხოლოდ 19 წუთს შეადგენს.

ძირითად ქვეყნებში სკოლების ფიზიკური ხელმისაწვდომობა არ არის მთავარი საკითხი. ბოლო რამდენიმე ათწლეულში განათლების სფეროს დაფინანსება ბევრგან გაიზარდა. მაგრამ ხარჯების აღნიშნულ ზრდას, როდესაც მხედველობაში არ მიიღება ღარიბთა მოთხოვნილებები, შეუძლია მხოლოდ სიმდიდრით გამოწვეული უთანასწორობის გაღრმავება და არა მისი შემცირება.

მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მაგალითები მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების უფრო დიდი წილი მოდის განათლებაზე, რომელსაც სარგებლობა მოაქვს მდიდართათვის. ლათინურ ამერიკაში უთანასწორობა აკადემიური მოსწრების კუთხით განპირობებულია იმ საჯარო სკოლების არაეფექტური მართვით, რომლებშიც ძირითადად ღარიბები სწავლობენ, ხოლო დაწყებით და საშუალო განათლებას, რომლითაც ძირითადად ღარიბები სარგებლობენ, მთლიანად განათლებაზე გაწეული ხარჯების მცირე ნაწილი ხმარდება. მაშინაც კი, როდესაც მთავრობა საკმარის რესურსებს დებს ღარიბებისათვის ხელმისაწვდომი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ადმინისტრაციული რესურსები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ამ მომსახურების შესრულებისათვის.

განათლების, მათ შორის სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, სას-

1 "ხალხი, სიღარიბე, შესაძლებლობები", 2002 წელს მსოფლიო მოსახლეობის მდგომარეობა, გაეროს მოსახლეობის ფონდი.

წავლო მეთოდების, მასწავლებელთა მომზადების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობის, მშობელთა მონაწილეობის, ხარისხი განსაზღვრავს შედეგებს (მაგალითად, აკადემიური მოსწრების დონესა და საგამოცდო ქულებს).

მოთხოვნა

განათლებაზე მოთხოვნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამას ოჯახისათვის. ეს ძირითადად გულისხმობს მოსალოდნელ შემოსავალს, აგრეთვე უკეთეს ჯანმრთელობას და შობადობის დაბალ დონეს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, სკოლაში გატარებულ ყოველ წელს შეუძლია საშუალოდ შემოსავლის 10 პროცენტით გაზრდა იმ პირობით, თუ განათლებული მუშებისთვის შესაბამისი შესაძლებლობები იქნება ხელმისაწვდომი.

ზოგიერთ ქვეყანაში განათლებაზე მოთხოვნა უფრო დაბალია, რადგან განათლებით მიღებულ მოსალოდნელ შედეგებს ამცირებს, *ინტერ ალია*, განათლების ფასი, საჯარო სკოლების დაბალი ხარისხი, შრომის ბაზარზე ეთნიკური თუ ლინგვისტური ჯგუფებისა და ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაცია.

სწავლის საფასური

ბოლოდროინდელი კვლევებიდან, რომლებიც ეფუძნება ბავშვთა უფლებებისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტებისადმი წარდგენილ სახელმწიფო ანგარიშებს, ჩანს, რომ (თუნდაც სავალდებულო) საბაზისო განათლება არ არის ყოველთვის უფასო. სწავლის საფასურს აქვს პირდაპირი ზეგავლენა განათლების სისტემის ხელმისაწვდომობაზე და არათანაბარ პირობებში აყენებს ღარიბებს.

ზემოხსენებული ორი კომპონენტის დაყოფა შესაძლებელია ვალდებულებათა ოთხ ნაწილად: არსებობა, ხელმისაწვდომობა, დაშვებადობა და გამოყენება, როგორც ეს აღნიშნულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მე-13 ზოგად კომენტარში. ეს ცნებები მოიცავს შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებს:

ქმედითი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების არსებობა

- სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლება ყველასათვის (ბავშვების შრომისაგან დაცვის მიზნით);
- მასწავლებელთა სასწავლო პროგრამები;
- სათანადო სამუშაო პირობები მასწავლებლებისათვის, კავშირების შექმნისა და კოლექტიური შეთანხმების უფლების გათვალისწინებით.

განათლების ყველასათვის ხელმისაწვდომობა

- ეკონომიკურად ხელმისაწვდომი საშუალო და უმაღლესი განათლება;

- განათლებაზე არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა;
- სათანადო სასწავლო გრანტების სისტემის არსებობა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის;
- განათლების სფეროს სათანადო დაფინანსება სოფლებში;
- განათლების სფეროში პოლიტიკაზე, ინსტიტუტებზე, პროგრამებზე, დანახარჯებსა და სხვა საქმიანობებზე ზედამხედველობის მექანიზმები.

ფორმისა და შინაარსის დაშვებადობა

- კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო მეთოდების ხარისხს;
- განათლების მინიმალური სტანდარტები (მაგალითად, მიღების, სასწავლო პროგრამების, სერტიფიკატების აღიარების კუთხით) და მასთან დაკავშირებული ზედამხედველობის მექანიზმები;
- კერძო ინსტიტუტების დაარსების უფლების უზრუნველყოფა.

გამოყენება

- სასწავლო პროგრამის შინაარსი და განათლების დაფინანსება უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა რეალურ მოთხოვნილებებს.

სამოქმედო გეგმა

სახელმწიფოთა ძალისხმევა, განახორციელონ განათლების უფლება, უნდა იყოს პროგრესული, ეფექტური და დროული. სახელმწიფოს ვალდებულებები (საბაზისო, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების) ყველა სფეროში არ მოითხოვს ერთნაირად სწრაფ რეაგირებას: მთავრობებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების დანერგვას, როდესაც იღებენ ზომებს განათლების უფლების განხორციელების მიზნით.

სახელმწიფომ, რომელსაც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტთან მიერთებისას არ შეეძლო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა, უნდა მიიღოს და განახორციელოს ეროვნული საგანმანათლებლო გეგმა, როგორც ეს აღნიშნულია პაქტის მე-14 მუხლში. გეგმა შემუშავებული და მიღებული უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში. ამ გეგმის მიხედვით მოხდება ყველასათვის უფასო სავალდებულო განათლების პრინციპის პროგრესული განხორციელება სათანადო პერიოდის განმავლობაში.

105-ე საპარლამენტთაშორისო კონფერენცია ა დასტურებს, რომ განათლება არის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის, ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს უზრუნველყოფის, მშვიდობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფის, აგრეთვე სიღარიბესთან ბრძოლის, მოსახლეობის ზრდის შემცირების, სქესთა შორის თანასწორობის მიზ-

ნების მიღწევის წინაპირობა; კულტურა არის განვითარების პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილი".

რეზოლუცია „განათლებისა და კულტურის, როგორც პოლიტიკური ცხოვრებაში ქალების და მამაკაცების მონაწილეობის ხელშეწყობის არსებითი ფაქტორისა და ხალხთა განვითარების წინაპირობის, შესახებ"

ჰავანა, 2001 წლის აპრილი, პუნქტი 1

დასკვნა

ადამიანის უფლებები მუდმივად ვითარდება. ეს არის პროცესი, რომელშიც პარლამენტის წევრებსა და საპარლამენტო უწყებებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ეს პროცესი ყველა ეტაპზე ძალზედ მნიშვნელოვანია, იქნება ეს ეროვნული თუ საერთაშორისო დიალოგის დაწყება და ხელშეწყობა, სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების მიღებისა და რატიფიკაციის უზრუნველყოფა, მონიტორინგი მათ განხორციელებაზე. ამ კუთხით პარლამენტარები გვევლინებიან მნიშვნელოვან პარტნიორებად სამართლიანობის, თანასწორობისა და ადამიანის უფლებების პრინციპებზე დაფუძნებული სამყაროს შექმნის პროცესში.

აბრევიატურების ნუსხა

ACHR	ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც «Pact of San José, Costa Rica»
AU	აფრიკის გაერთიანება
CAT	კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ
CCPR	სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი
CEDAW	ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია
CERD	საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად
CESCR	ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი
CMW	საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ
CRC	ბავშვის უფლებათა კონვენცია
DAW	ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების განყოფილება
DESA	გაერთიანებული ერების ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტი
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
ECOSOC	ეკონომიკური და სოციალური საბჭო
FAO	გაერთიანებული ერების საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FGM	ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება
GATS	მომსახურების დროს ვაჭრობის ზოგადი შეთანხმება
IACHR	ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია
ICC	საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო
ICTR	რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი
ICTY	ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
INSTRAW	გაეროს კვლევისა და ტრენინგების ინსტიტუტი ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად
IPU	საპარლამენტთაშორისო კავშირი

NGO	არასამთავრობო ორგანიზიცია
NHRI	ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი
OAS	ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია
OHCHR	გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
OP	ფაკულტატური ოქმი
PRSP	სიღარიბის შემცირების სტრატეგიის დოკუმენტი
TRIPS	ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან მიმართებით ვაჭრობასთან დაკავშირებული შეთანხმება
UDHR	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა
UNESCO	გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია
UNFPA	გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი
UN-HABITAT	გაეროს ადამიანთა შორის ჰარმონიის პროგრამა
UNHCR	გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
UNICEF	გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი
UNIFEM	გაერთიანებული ერების განვითარების ფონდი ქალებისათვის
UNITAR	გაერთიანებული ერების ტრენინგისა და კვლევის ინსტიტუტი
UNRISD	გაერთიანებული ერების სოციალური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი
UNRWA	გაეროს დახმარებისა და შრომის სააგენტო პალესტინელი ლტოლვილებისათვის ახლო აღმოსავლეთში
UNU	გაერთიანებული ერების უნივერსიტეტი
WFP	მსოფლიოს საკვების პროგრამა
WHO	მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია
WTO	მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია

დანართი 1

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ *217 A (III)* რეზოლუციით მიიღო და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დეკლარაცია შემდგომში საფუძვლად დაედო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო ფაქტსა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო ფაქტს, ისევე როგორც ამ უკანასკნელი საერთაშორისო პაქტის პირველ ფაკულტატურ ოქმს, რომლებიც გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა 1966 წელს. საყოველთაო დეკლარაცია საერთაშორისო პაქტებთან ერთად წარდმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს, რაც გვევლინება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძვლად.

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს;

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია, როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება;

ვინაიდან აუცილებელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა გარანტირებულ იქნეს კანონის უზენაესობის პრინციპით, იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ;

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის;

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი, გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში;

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას;

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულებების სრულყოფილი შესრულებისათვის,

გენერალური ასამბლეა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას აცხადებს როგორც ყველა ხალხისა და ყველა ერის საერთო მონაპოვარს, რათა ყველა ადამიანი და საზოგადოების ყოველი ნაწილი, მუდამ ექნებათ რა მხედველობაში წინამდებარე დეკლარაცია, მიისწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტურ განხორციელების უზრუნველყოფას ეროვნული თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. Mმათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, იურისდიქციასთან დაკავშირებული, ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია – დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 5

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.

მუხლი 6

ყველას, სადაც უნდა იმყოფებოდეს, აქვს უფლება ცნონ მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და დისკრიმინაციის გარეშე ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი ნაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისაგან.

მუხლი 9

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, დაპატიმრებას ან გაძევებას.

მუხლი 10

უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

მუხლი 11

1. ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად საქვეყნო სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.

მუხლი 12

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საც-

ხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყველა ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება.

2. ყველა ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყველას აქვს უფლება ეძიოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.'

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს არაპოლიტიკური დანაშაულის, ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელი ქმედებაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყველას აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, აქვს უფლება დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ისინი თანასწორი უფლებებით სარგებლობენ დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. 2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.

მუხლი 17

1. ყველას აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთად.

2. არავის შეიძლება ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა სწავლებით, წესების დაცვით, აღმსარებლობითა და რიტუალების აღსრულებით.

მუხლი 19

ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა.

მუხლი 20

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებისა.

2. არავინ შეიძლება აიძულონ შევიდეს რაიმე გაერთიანებაში.

მუხლი 21

1. ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ხალხის ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლებით, ფარული კენჭისყრისა თუ სხვა თანაბარმნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება მოახდინოს თავისი ღირსების შენარჩუნება და პიროვნების თავისუფალი განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა განხორციელებით ეროვნული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად.

მუხლი 23

1. ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და

ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება შესაბამისი ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყველა დასაქმებულს აქვს უფლება იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რაც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას როგორც მისთვის, ასევე მისი ოჯახისათვის და რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა დაემატოს სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყველას აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყველას აქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება სამუშაო საათების გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებადი პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად ხელმისაწვდომი ყველასათვის უნარის შესაბამისად.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობა-

სა და მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება აირჩიონ, თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყველას აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორსაც იგი წარმოაგდენს.

მუხლი 28

ყველას აქვს უფლება ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია წინამდებარე დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა სრული განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებებისას შეზღუდვის ქვეშ მოიაზრება ის საზღვრები, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. დაუშვებელია, რომ ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლების მინიჭება, რაც მათი საქმიანობის ან გარკვეული ქმედებების შედეგად გამოიწვევს წინამდებარე დეკლარაციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა მოსპობას.

დანართი 2

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

პრეამბულა

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს,

აღიარებენ რა, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან,

აღიარებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, მიღწევა თავისუფალი ადამიანის იდეალისა, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებით და თავისუფალია შიშისა და გაჭირვებისაგან, შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა ყველა შეძლებს ისარგებლოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, ისევე როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით,

ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას,

ითვალისწინებენ, რომ პიროვნება, გააჩნია რა მოვალეობები სხვა პიროვნებებისა და იმ საზოგადოებისადმი, რომელსაც ეკუთვნის, პასუხისმგებელია, იღწვოდეს ამ პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ.

2. ყველა ხალხს შეუძლია საკუთარი მიზნებისათვის თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები ურთიერთსარგებლიანობის

პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. დაუშვებელია ხალხს ჩამოერთვას საარსებო საშუალებანი.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის, რომელთაც არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების ადმინისტრირების პასუხისმგებლობა ეკისრება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

ნაწილი II

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ინდივიდისათვის ამ პაქტით აღიარებული უფლებები ყოველგვარი განსხვავების გარეშე, როგორიც არის რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი, დაბადების ან სხვა მდგომარეობა.

2. თუ ეს არ არის გათვალისწინებული მოქმედი საკანონმდებლო თუ სხვა სახის ღონისძიებებით, წინამდებარე პაქტის თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურებისა და ამ პაქტის დებულებების შესაბამისად, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო თუ სხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელი იქნება წინამდებარე პაქტში აღიარებული უფლებების განსახორციელებლად.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას

   ა) უზრუნველყოს, რომ ყველას, ვისაც დაერღვა ამ პაქტით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

   ბ) უზრუნველყოს, რომ ყველას, ვინც ითხოვს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებს, ჰქონდეს უფლება დაცვის ასეთი საშუალებები დაუდგინოს კომპეტენტურმა სასამართლო, აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლებამ, ან სხვა კომპეტენტურმა სახელისუფლებო ორგანომ, რომელსაც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით მინიჭებული აქვს ასეთი უფლებამოსილება, და განავითაროს სასამართლო დაცვის საშუალებების შესაძლებლობები;

   გ) ამგვარი დაცვის საშუალებების გაცემის შემთხვევაში, უზრუნველ-

ყოს, რომ ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა შეასრულონ ისინი.

მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანაბარი უფლება ისარგებლონ წინამდებარე პაქტით გათვალისწინებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.

მუხლი 4

1. საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც ერის სიცოცხლეს ემუქრება და ოფიციალურად არის გამოცხადებული, პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები შეუთავსებელი არ იქნება მათ მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრ სხვა ვალდებულებებთან და არ გამოიწვევს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით.

2. ზემოთ ჩამოყალიბებული დებულება არ შეიძლება გახდეს მე-6, მე-7, მე-8 (1-ლი და მე-2 პუნქტები), მე-11, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებისაგან გადახვევის საფუძველი.

3. ამ პაქტის მონაწილე ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც თავად იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს წინამდებარე პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელი დებულებებიდან გადაუხვია და იმ მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია ასეთი გადახვევა. იმავე შუამავლის საშუალებით ხდება ამგვარი გადახვევის შეწყვეტის თარიღის თაობაზე შეტყობინება.

მუხლი 5

1. ამ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც აღმნიშვნელი რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებისა, ეწეოდეს საქმიანობას ან ჩაიდინოს რაიმე ქმედება ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობით შეზღუდვის მიზნით, ვიდრე ეს წინამდებარე პაქტით არის გათვალისწინებული.

2. დაუშვებელია, რომ ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ან არსებობს რომელიმე სახელმწიფოში კანონმდებლობის, კონვენციების, წესებისა და ზნე-ჩვეულებების ძალით, შეიზღუდოს ან მოხდეს მისგან გადახვევა იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, და თუ არ ეწინააღმდეგება წინამდებარე პაქტისა და გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს. ეს სასჯელი შეიძლება სისრულეში იქნეს მოყვანილი მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის საფუძველზე.

3. როცა სიცოცხლის ხელყოფა წარმოადგენს გენოციდის დანაშაულს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ მუხლში არაფერი აძლევს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, რომ რაიმე საშუალებით გადაუხვიოს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან, რომელიც სახელმწიფოებმა იკისრეს გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენციის დებულებების თანახმად.

4. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შემსუბუქება. ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლა დასაშვებია ყველა შემთხვევაში.

5. სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს 18 წლამდე ასაკის პირებმა, და მისი აღსრულება დაუშვებელია ორსული ქალების მიმართ.

6. ამ მუხლში არაფერი შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ წინამდებარე პაქტის რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან ხელი შეუშალოს სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

მუხლი 7

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას. კერძოდ, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო თუ სამეცნიერო ცდების ჩატარებას მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 8

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში; მონობა და მონათვაჭრობა ყველა მისი ფორმით აკრძალულია.

2. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს ყმობაში.

3. ა) არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.

ბ) იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა კატორღული სამუშაოებით, მე-3 პუნქტის ა"¬ქვეპუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც კომპეტენტური სასამართლოს მიერ სასჯელის სახით კატორღული სამუშაოების შეფარდების აკრძალვა;

გ) ამ პუნქტის მნიშვნელობით ტერმინი იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო" არ მოიცავს:

(i) ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც არ არის მოხსენიებული ბ" ქვეპუნქტში და რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია სასამართლოს კანონიერი განაჩენის საფუძველზე ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში;

(ii) სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად კანონის თანახმად დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო, სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება აღიარებულია;

(iii) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უბედურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;

(iv) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 9

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებასა და დაპატიმრებას. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით განსაზღვრული საფუძვლებისა და პროცედურის შესაბამისად.

2. ყველა დაკავებულ პირს დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ

გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. საქმის განხილვის განმავლობაში პირის პატიმრობაში ყოფნა ზოგად წესად არ უნდა იქცეს, არამედ გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე, სამართალწარმოების სხვა ეტაპსა და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულებისათვის გამოცხადების გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გასცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის უკანონო დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებაშეზღუდულ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის თანდაყოლილ პიროვნულ ღირსებას.

2. ა) ბრალდებული პირები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, განცალკევებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან და უნდა ეპყრობოდნენ განსხვავებულად, რაც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს;

   ბ) არასრულწლოვანი ბრალდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან და დაუყოვნებლივ უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

3. პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები განცალკევებული უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან და იმყოფებოდნენ ისეთ პირობებში, რომელი პირობებიც შეესაბამება მათ ასაკსა და სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 11

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ არ შესწევს უნარი, შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

მუხლი 12

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.

2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა.

3. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის

შესაბამისად და აუცილებელია ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად და შესაბამისობაში მოდის წინამდებარე პაქტით გარანტირებულ უფლებებთან.

4. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების უფლება.

მუხლი 13

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელის გაძევება შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და მას უნდა მიეცეს საშუალება, გაასაჩივროს გაძევების შესახებ გადაწყვეტილება და ამ მიზნით მისი საქმე განხილულ და წარმოდგენილ იქნეს კომპეტენტური ხელისუფლების ან კომპეტენტური ხელისუფლების მიერ სპეციალურად დანიშნული პირის ან პირების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეროვნული უშიშროებიდან გამომდინარე არსებობს დასაბუთებული მოსაზრებები, რომლებიც სხვაგვარად მოითხოვს.

მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ან სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს; თუმცა ყოველი სისხლისსამართლისა თუ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი განაჩენი საქვეყნო უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან, როცა საქმე ეხება საოჯახოსამართლებრივ დავებს ან ბავშვთა მეურვეობას.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარ-

დგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად და მის მიერ არჩეულ დამცველთან დასაკავშირებლად;

გ) გაასამართლონ უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე;

დ) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით; თუ არ ჰყავს დამცველი, ეცნობოს ასეთი უფლების შესახებ; და ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; და თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება სამართლებრივი მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით;

ე) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

ვ) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე;

ზ) არ იყოს იძულებული მისცეს თავისი საწინააღმდეგო ჩვენება, ან აღიაროს ბრალი.

4. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს მათ ასაკსა და რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობის სურვილს.

5. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონის შესაბამისად.

6. თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, და თუკი, არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული შესაბამისი სახელმწიფოს

კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15

1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს. თუ დანაშაულის ჩადენის შემდგომ საკანონმდებლო ნორმა დაადგენს უფრო მსუბუქ სასჯელს, სამართალდამრღვევი ისარგებლებს ასეთით.

2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებასა და დასჯას რაიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის მიიჩნეოდა დანაშაულად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 16

ყველას, სადაც უნდა იმყოფებოდეს, აქვს უფლება ცნონ მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 17

1. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას.

2. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 18

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, რიტუალების აღსრულებით, წესების დაცვითა და სწავლებით.

2. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, რაც ლახავს მის თავისუფლებას ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან რწმენა.

3. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებე-

ლია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

მუხლი 19

1. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს მოსაზრებები ვინმეს ჩარევის გარეშე.

2. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, მიუხედავად საზღვრებისა, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყველა სახის ინფორმაცია და მოსაზრებები ზეპირად, წერილობით ან პრესის მეშვეობით, ხელოვნების სახით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანისამებრ.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული უფლების განხორციელება დაკავშირებულია სპეციალურ მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან. ამიტომაც უფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, მაგრამ ეს შეზღუდვები შესაძლოა იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი:

   ა) სხვათა უფლებათა ან რეპუტაციის დასაცავად;

   ბ) ეროვნული უშიშროების, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

მუხლი 20

1. ომის ნებისმიერი პროპაგანდა იკრძალება კანონით.

2. ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება, იკრძალება კანონით.

მუხლი 21

მშვიდობიანი შეკრების უფლება აღიარებულია. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლების განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 22

1. ყველას აქვს უფლება სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლების განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი არ კრძალავს შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირთათვის ამ უფლებით სარგებლობაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.

3. ამ მუხლში არაფერი აძლევს უფლებას გაერთიანების თავისუფლებისა და პროფესიული კავშირების შექმნის უფლების დაცვის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ საკანონმდებლო ღონისძიებები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან კანონი გამოიყენონ ისე, რომ ზიანი მიადგეს ამ გარანტიებს.

მუხლი 23

1. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. 2. მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.

3. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში მეუღლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ბავშვის აუცილებელი დაცვა.

მუხლი 24

1. თითოეულ ბავშვს, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის ან დაბადების ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უფლება აქვს დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც არასრულწლოვანს, უნდა გაუწიოს ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. თითოეული ბავშვი დაბადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს რეგის-

ტრირებული და მიეცეს სახელი და გვარი.

3. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.

მუხლი 25

ყველა მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და ყოველგვარი დაუსაბუთებელი შეზღუდვის გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლებით, რომელიც ჩატარებული იქნება ფარული კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს ამომრჩევლთა თავისუფალი ნების გამოხატვას.

გ) თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

მუხლი 26

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და დისკრიმინაციის გარეშე ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ამ მიმართებით, კანონმა უნდა აკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, დაბადების თუ სხვა მდგომარეობის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 27

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობებს განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ საკუთარი კულტურით, აღიარონ საკუთარი რელიგია და დაიცვან წესები, ან გამოიყენონ თავიანთი მშობლიური ენა.

ნაწილი IV

მუხლი 28

1. უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი"). იგი შედგება თვრამეტი წევრისაგან და განახორციელებს ამ პაქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც წინამდებარე პაქ-

ტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში აღიარებული კომპეტენცია, ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნეს იურიდიული გამოცდილების მქონე პირთა მონაწილეობაც.

3. კომიტეტის წევრები აირჩევიან და მუშაობენ პირადად.

მუხლი 29

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით^გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომლებიც ამ მიზნით დაასახელეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.

2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს არაუმეტეს ორი პირისა. ეს პირები უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.

3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

მუხლი 30

1. პირველადი არჩევნები ეწყობა წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს ექვსი თვისა.

2. კომიტეტის არჩევნებამდე, გარდა 34-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებულ ვაკანსიათა შესავსები არჩევნებისა, სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ეს პირი დაასახელეს, და უგზავნის მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არჩევნების მოწყობის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

4. კომიტეტის წევრებს ირჩევენ წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების რეზიდენციაში. ასეთ სხდომაზე, რომლის ქვორუმი წარმოადგენს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, არჩეულად ითვლება პირი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

მუხლი 31

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი

მოქალაქე.

2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემების წარმომადგენლობის პრინციპს.

მუხლი 32

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ უფლება აქვთ ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. თუმცა პირველ არჩევნებზე არჩეული ცხრა წევრის ვადა იწურება ორ წლიანი პერიოდის დამლევს. პირველი არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

2. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები ტარდება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

მუხლი 33

1. თუ სხვა წევრთა ერთსულოვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა რაიმე მიზეზით შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება, გარდა დროებით არყოფნის მიზეზისა, კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წევრის ადგილს ვაკანტურად აცხადებს.

2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვლების ან გადადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ადგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, ან იმ დღიდან, როდესაც გადადგომა ნამდვილი ხდება.

მუხლი 34

1. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსია, და შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსიის გამოცხადებიდან ექვსი თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამის შესახებ ატყობინებს წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად წამოაყენოს კანდიდატურა ასეთი ვაკანსიის შესავსებად.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. შემდეგი არჩევნები ვაკანსიის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.

3. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსიის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ წევრის

რწმუნების ვადის დარჩენილი ვადით, რომელმაც გაანთავისუფლა ადგილი კომიტეტის აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 35

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების სახსრებიდან გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით, კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 36

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს წინამდებარე პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანი განხორციელებისათვის.

მუხლი 37

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზიდენციაში.

2. პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იკრიბება პროცედურული წესებით გათვალისწინებულ დროს.

3. ჩვეულებრივ კომიტეტი იკრიბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზიდენციაში ან გაერთიანებული ერების ჟენევის ოფისში.

მუხლი 38

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობას შეუდგებოდეს, ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, თავისი ფუნქციების მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულების თაობაზე.

მუხლი 39

1. კომიტეტი საკუთარი თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. შეიძლება მოხდეს მათი ხელახალი არჩევა.

2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, რომლებიც *ინტერ ალია*, უნდა ითვალისწინებდეს, რომ:

   ა) კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენს კვორუმს;

   ბ) კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 40

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები, წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის მათ მიერ დასახული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამ უფლებათა გამოყენებაში მიაღწიეს

   ა) შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის მანძილზე;

   ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

2. ყველა მოხსენება წარედგინება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ხსენებულ მოხსენებას განსახილველად უგზავნის კომიტეტს. მოხსენებაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტორები და სიძნელეები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენს წინამდებარე პაქტის განხორციელებაზე.

3. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ასლები, რომლებიც შეიძლება მათი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებოდეს.

4. კომიტეტი შეისწავლის წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ მოხსენებებს. კომიტეტი უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს თავის მოხსენებებსა და, საჭიროების შემთხვევაში, ზოგად კომენტარებს. კომიტეტს ასევე შეუძლია ხსენებული კომენტარები და წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან მიღებული მოხსენებების ასლები გაუგზავნოს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს.

5. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ თავიანთი მიმოხილვები ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი კომენტარის თაობაზე.

მუხლი 41

1. ამ მუხლის შესაბამისად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ყოველთვის განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინფორმაცია, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს წინამდებარე პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუ ეს უკანასკნელი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ცნობების

განხილვა ხდება შემდეგი პროცედურის მიხედვით:

ა) თუ წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე სახელმწიფო არ ახორციელებს წინამდებარე პაქტის დებულებებს, მას შეუძლია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმღებმა სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც შესაძლებლობის ან მიზანშეწონილობის ფარგლებში უნდა შეიცავდეს მითითებას შინაგანი პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ მიიღო, მიიღებს ან შეუძლია მიიღოს ამ საკითხზე;

ბ) თუ საკითხი ექვსი თვის მანძილზე არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი შეტყობინება, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს.

გ) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება;

დ) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;

ე) კომიტეტი „გ" ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;

ვ) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა „ბ" პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს შეიძლება სთხოვოს წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია;

ზ) „ბ" პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ საკითხის განხილვისას წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში და გააკეთინ წარდგინება ზეპირად ან წერილობით;

თ) შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი „ბ" პუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას:

i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება ე" ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მიკლე შინაარსით;

ii) თუ გადაწყვეტილება ე" ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას თან ერთვის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ ამ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებები ძალაშია, მას შემდეგ რაც წინამდებარე პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეპონირებას ახდენენ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უნდა უშლიდეს რომელიმე საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული შეტყობინების საგანია. მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

მუხლი 42

1. ა) თუკი რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს 41-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა, დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდება, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური კომისია (შემდგომში კომისია"). კომისია სამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, წინამდებარე პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე საკითხების გადაწყვეტის საქმეში.

ბ) კომისიის შემადგენლობაში შედის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ამ იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.

3. კომისია ირჩევს თავჯდომარეს და ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ენყობა გაერთიანებული ერების რეზიდენციასა და გაერთიანებული ერებისათვის მოსახერხებელ ადგილებში, რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით განსაზღვრული სამდივნო ემსახურება ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.

6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია კომისიის განკარგულებაში გადაეცემა, და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს, წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია.

7. კომისიის მიერ საკითხის სრულად განხილვის შემდეგ, მაგრამ საკითხის გადაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა, იგი კომიტეტის თავმჯდომარეს დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად წარუდგენს მოხსენებას:

   ა) თუ კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;

   ბ) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

   გ) თუ ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტობრივი ხასიათის ყველა საკითხის შესახებ, რომელიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობით წარდგინებასა და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;

   დ) თუ კომისიის მოხსენება წარმოდგენილია გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებები არ აკნინებს 41-ე მუხლით გათვალიხწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.

9. დაინტერსებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომი-

სის წევრთა ყველა ხარჯებს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარმოადგენს გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი.

10. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები მანამ, სანამ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები.

მუხლი 43

კომიტეტისა და 42-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული სპეციალური შემათანხმებელი კომისიის წევრები სარგებლობენ გაერთიანებული ერების მიერ მივლინებაში გაგზავნილ ექსპერტთა შეღავათებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის შესაბამის ნაწილებში.

მუხლი 44

წინამდებარე პაქტის განხორციელების დებულებები გამოყენებული უნდა იყოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ ადამიანის უფლებათა პროცედურებს, რომლებსაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერებისა და სპეციალიზირებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან ეს დებულებები ხელს არ უნდა უშლიდეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურებს, მათ შორის მოქმედ საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 45

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას წარუდგენს თავისი საქმიანობის ყოველწლიურ მოხსენებას.

ნაწილი V

მუხლი 46

წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც გაეროს წესდებისა და გაეროსა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოების შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელი წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 47

წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც ხალხის განუყოფელი უფლების დაკნინება მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

ნაწილი VI

მუხლი 48

1. წინამდებარე პაქტი ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ან ყველა მისი სეციალიზებული დაწესებულების წევრი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, აგრეთვე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე ყველა სახელმწიფოსა და ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა შესთავაზებს წინამდებარე პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი საჭიროებს რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

3. წინამდებარე პაქტი მისაერთებლად ღიაა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

4. მიერთებისათვის საჭიროა მიერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ატყობინებს ამ პაქტის ხელმომწერ და მიერთებულ ყველა სახელმწიფოს თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 49

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება 35-ე სარატიფიკაციო სიგელი ან მიერთების დოკუმენტი.

2. თითეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას 35-ე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ მიერთების დოკუმენტი.

მუხლი 50

წინამდებარე პაქტის დებულებები ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 51

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყო-

ბინონ მომხრე არიან თუ არა ამ წინადადებათა განსახილველად და მათთვის კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის. თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაეროს ეგიდით. ყველა შესწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა — 2/3.

3. შესწორებების ძალაში შესვლის შემდეგ ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორებები.

მუხლი 52

48-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს ატყობინებს შემდეგს:

ა) 48-ემუხლის თანახმად ხელმოწერების რატიფიკაციებისა და მიერთებების შესახებ;

ბ) 49-ე მუხლის თანახმად წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 53

1. ეს პაქტი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები ერთნაირად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების არქივს.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

დანართი 3:

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

პრეამბულა

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების თანახმად, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, მიღწევა თავისუფალი ადამიანის იდეალისა, რომელიც თავისუფალია შიშისა და გაჭირვებისაგან, შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა ყველა შეძლებს ისარგებლოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას,

აცნობიერებენ, რომ პიროვნება, გააჩნია რა მოვალეობები სხვა პიროვნებებისა და იმ საზოგადოებისადმი, რომელსაც ეკუთვნის, პასუხისმგებელია, იღწვოდეს ამ პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ.

2. ყველა ხალხს შეუძლია საკუთარი მიზნებისათვის თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის

ზიანის მიყენების გარეშე. დაუშვებელია ხალხს ჩამოერთვას საარსებო საშუალებანი.

3. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის, რომელთაც არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების ადმინისტრირების პასუხისმგებლობა ეკისრება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

ნაწილი II

მუხლი 2

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, დამოუკიდებლად და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროში, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით გადადგას ნაბიჯები ამ პაქტით აღიარებული უფლებების თანდათანობითი, სრული რეალიზაციისათვის ყველა სათანადო საშუალებით, საკანონმდებლო ღონისძიებების მიღების ჩათვლით.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან ამ პაქტით გამოცხადებული უფლებების განხორციელების გარანტიას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, დაბადების თუ სხვა ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. განვითარებად ქვეყნებს, ადამიანის უფლებათა და ეროვნული ეკონომიკის შესაძლებლობათა სათანადო გათვალისწინებით, შეუძლიათ განსაზღვრონ, რა მოცულობით ძალუძთ ამ პაქტით აღიარებული ეკონომიკური უფლებების გარანტირება შესაბამისი ქვეყნის არამოქალაქე პირთათვის.

მუხლი 3

ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალისათვის თანასწორი უფლება, ისარგებლონ წინამდებარე პაქტით დადგენილი ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით.

მუხლი 4

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებების გამოყენების დროს, რომლებსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის თანახმად, შესაბამის სახელმწიფოს შეუძლია ამ უფლებების შეზღუდვა კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 5

1. ამ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც აღმნიშვნელი რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებისა, ეწეოდეს საქმიანობას ან ჩაიდინოს რაიმე ქმედება ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობით შეზღუდვის მიზნით, ვიდრე ეს წინამდებარე პაქტით არის გათვალისწინებული.

2. დაუშვებელია, რომ ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ან არსებობს რომელიმე სახელმწიფოში კანონმდებლობის, კონვენციების, წესებისა და ზნე-ჩვეულებების ძალით, შეიზღუდოს ან მოხდეს მისგან გადახვევა იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რაც მოიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომლებზეც დათანხმდება, და გადადგამენ შესაბამის ნაბიჯებს ამ უფლების დასაცავად.

2. ზემოაღნიშნული უფლებების სრული განხორციელების მიზნით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებები უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და ტრენინგების პროგრამებს, პოლიტიკასა და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნეს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და სრული და შედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება.

მუხლი 7

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:

ა. ანაზღაურებას, რომელიც ყველა დასაქმებულს უზრუნველყოფს სულ მცირე:

(i) სამართლიანი ხელფასითა და შესაბამისი ანაზღაურებით რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისათვის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელი პირობებიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და შესაბამისი ანაზღაურების შესაძლებლობას;

(ii) მასა და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობით, ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად.

ბ) უსაფრთხო და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამის შრომის პირობებს;

გ) ყველასათვის უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დაწინაურების თანაბარ შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად;

დ) დასვენების, თავისუფალი დროის ქონისა და სამუშაო საათების გონივრული შეზღუდვის, აგრეთვე პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობას, ისევე როგორც ანაზღაურებას საზოგადოებრივი უქმე დღეებისათვის.

მუხლი 8

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ:

ა) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების გასავითარებლად და დასაცავად, შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და შესაბამისი ორგანიზაციის წესების თანახმად. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდვა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროებისა თუ საჯარო წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად;

ბ) პროფესიული კავშირების უფლება შექმნან ეროვნული ფედერაციები და კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;

გ) პროფესიული კავშირების უფლება იმოქმედონ თავისუფლად, რაიმე შეზღუდვის გარეშე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეზღუდვა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროებისა თუ საჯარო წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად;

დ) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი განხორციელდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს მუხლი არ ზღუდავს შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის შემადგენლობაში მყოფი პირების მხრიდან კანონის შესაბამისად ამ უფლებების გამოყენების შეზღუდვას.

3. ამ მუხლში არაფერი აძლევს უფლებას გაერთიანების თავისუფლებისა და პროფესიული კავშირების შექმნის უფლების დაცვის შესახებ შრომის საერ-

თაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ საკანონმდებლო ღონისძიებები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან კანონი გამოიყენონ ისე, რომ ზიანი მიადგეს ამ გარანტიებს.

მუხლი 9

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

მუხლი 10

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ

1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, უნდა გაეწიოს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და იმ პერიოდში, როდესაც ბავშვებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის პასუხისმგებლობა ეკისრება. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში.

2. განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ დედები მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ პერიოდის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა მიეცეთ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფით;

3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმომავლობისა თუ სხვა გარემოებების მიუხედავად ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცულ უნდა იქნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი შრომის გამოყენება ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო ან სიცოცხლისათვის საშიშ ან მათი ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელ რომელიმე სფეროში, კანონით უნდა დაისაჯოს. ამასთანავე, სახელმწიფოები აწესებენ ასაკობრივ ზღვარს, რომლის ქვემოთაც ბავშვთა ანაზღაურებადი შრომის გამოყენება კანონით აკრძალული და დასჯადი იქნება.

მუხლი 11

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და საცხოვრებლის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ღონისძიებებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც აღიარებენ თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას არ განიცდიდეს შიმშილს, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები განსაკუთრებული პროგრამების ჩათვლით, რომლებიც საჭიროა, რათა

ა) გაუმჯობესდეს სურსათის წარმოების, შენახვისა და განაწილების მეთოდები ტექნიკური და სამეცნიერო ცოდნის სრული გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების ისეთი განვითარებისა თუ რეფორმის გზით, რითაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენება და განვითარება, და

ბ) მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების პრობლემები, სურსათის მსოფლიო მარაგის მოთხოვნილების შესაბამისად სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 12

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას მიიღოს ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტები.

2. ღონისძიებები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:

ა) მკვდარშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად;

ბ) გარემოსდაცვითი და საწარმო ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად;

გ) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად;

დ) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას.

მუხლი 13

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას მიიღოს განათლება. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტიანი მონაწილეობის შე-

საძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი:

ა) დაწყებითი განათლება იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;

ბ) საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, გახდეს საყოველთაოდ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობითი შემოღების გზით;

გ) უმაღლესი განათლება გახდეს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით;

დ) ძირითადი განათლება წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;

ე) აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, ბავშვებისათვის აირჩიონ არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ დაარსებული, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან მოწონებული საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნების მინიმუმს შეესაბამება, და უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.

4. ამ მუხლის არცერთი ნაწილი არ უნდა განიმარტოს, როგორც ხელის შემშლელი ცალკეულ პირთა და ორგანოთა თავისუფლებისათვის დააფუძნონ და მართონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მუხლის პირველი პუნქტით გამოცხადებული პრინციპებისა და იმ მოთხოვნების თანახმად, რომ ამგვარ დაწესებულებებში მიღებული ცოდნა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საგანმანათლებლო მოდელის მოთხოვნათა მინიმუმს.

მუხლი 14

ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელმაც მონაწილედ გახ-

დომის დროისათვის ვერ შეძლო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა თავისი მეტროპოლიის ფარგლებში ან საკუთარი იურისდიქციის ქვეშ არსებულ სხვა ტერიტორიაზე, კისრულობს ვალდებულებას, ორ წელინადში შეიმუშავოს და მიიღოს მოქმედებათა დეტალური გეგმა, რათა თანდათან, წლების გონივრული რაოდენობის განმავლობაში, რაც გეგმით უნდა იყოს გაწერილი, განახორციელოს სავალდებულო უფასო განათლების პრინციპი.

მუხლი 15

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველას უფლებას

   ა) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში;

   ბ) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და იყენებდეს მათ;

1. მიიღოს სარგებელი იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც გამომდინარეობს მისი ავტორობით შექმნილი ნებისმიერი მეცნიერული, ლიტერატურული თუ მხატვრული ნაშრომიდან.

2. აღნიშნული უფლების სრული განხორციელებისათვის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები უნდა შეიცავდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია მეცნიერულ და კულტურულ მიღწევათა დასაცავად, განსავითარებლად და გასავრცელებლად.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ თავისუფლებას, რაც აუცილებელია სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ სარგებელს, რომელიც გამომდინარეობს მეცნიერებისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის წახალისებისა და განვითარებიდან.

ნაწილი IV

მუხლი 16

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პაქტის ამ ნაწილის შესაბამისად წარმოადგინონ მოხსენებები მათ მიერ გატარებული ღონისძიებებისა და იმ პროგრესის შესახებ, რომელსაც აქ აღიარებული უფლებების დაცვისას მიაღწიეს.

2. ა) ყველა მოხსენება უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად, ეგზემპლარებს განსახილველად გადაუგზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს;

ბ) გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებების ეგზემპლარები ან შესაბამისი ნაწილი ამ მოხსენებებიდან უნდა გადაუგზავნოს, აგრეთვე, სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომელთა წევრებიც ეს სახელმწიფოები არიან იმდენად, რამდენადაც ასეთი მოხსენებები ამ მოხსენებათა ნაწილები, ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა კონსტიტუციური აქტების თანახმად, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში შემავალ რაიმე საკითხს ეხება.

მუხლი 17

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები მოხსენებებს წარმოადგენენ ეტაპობრივად, იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მონაწილე სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან კონსულტაციით ამ პაქტის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა შეიმუშავოს.

2. მოხსენებებში შეიძლება გაკეთდეს მითითებები იმ ფაქტორებსა და სიძნელეებზე, რომლებიც ამ პაქტით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენს.

3. თუ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფომ შესაბამისი ინფორმაცია გაერთიანებულ ერებს ან რომელიმე სპეციალიზებულ დაწესებულებას წინასწარ გაუგზავნა, ამ ინფორმაციის გამეორება აუცილებლობად აღარ წარმოადგენს. საკმარისია აღნიშნულ ინფორმაციაზე ზუსტი მითითების გაკეთება.

მუხლი 18

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შესაბამისად, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია სპეციალიზირებულ დაწესებულებებს შეუთანხმდეს, წარმოადგინონ მოხსენებები ამ პაქტის იმ დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. ეს მოხსენებები უნდა შეიცავდეს განხორციელების მიზნით სპეციალიზებულ დაწესებულებათა და კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების დეტალურ აღწერას.

მუხლი 19

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია ადამიანის უფლებათა კომისიას შესასწავლად და ზოგადი რეკომენდაციების გასაცემად, ან რიგ შემთხვევებში, ცნობად გადასცეს მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სახელმწიფოები წარმოადგენენ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სპეციალიზებული დაწესებულებები წარმოადგენენ მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 20

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინონ შენიშვნები, რომლებიც ეხება მე-19 მუხლის თანახმად გადაცემულ ნებისმიერ ზოგად რეკომენდაციას ან ადამიანის უფლებათა კომისიის ნებისმიერ მოხსენებაში ასეთ რეკომენდაციებზე ან სხვა დოკუმენტებზე გაკეთებულ მითითებებს.

მუხლი 21

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გენერალურ ასამბლეას დროდადრო წარუდგინოს მოხსენებები ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებთან და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული იმ ცნობების მოკლე შინაარსთან ერთად, რომლებიც ამ პაქტით აღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველსაყოფად განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებს ეხება.

მუხლი 22

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების სხვა ორგანოების, მათი დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალიზებული დაწესებულებების ყურადღება მიაპყროს ყველა იმ საკითხზე, რომელიც პაქტის ამ ნაწილით აღნიშნულ მოხსენებებში წამოიჭრება და რომელსაც შეუძლია ამ ორგანოთა დახმარება — საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოიტანონ გადაწყვეტილებები იმ საერთაშორისო ღონისძიებათა მიზანშეწონილობის შესახებ, რომლებსაც შესაძლოა ხელი შეუწყონ ამ პაქტის თანდათანობით და ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 23

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობი საერთაშორისო ღონისძიებების გატარება გულისხმობს ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორებიცაა კონვენციათა მიღება, რეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფა და კონსულტაციების მიზნით, რეგიონალური და ტექნიკური ხასიათის შეხვედრების ჩატარება, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები.

მუხლი 24

ამ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს ისე, რომ ზიანი მიადგეს გაერთიანებული ერებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების წესდებების დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს გაერთიანებული ერების სხვადასხვა ორგანოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების შესაბამის მოვალეობებს იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 25

ამ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც დამაკნინებელი ყველა ხალხის თანდაყოლილი უფლებისა, მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და იყენებდეს თავის ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებს.

ნაწილი V

მუხლი 26

1. ეს პაქტი ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ყველა წევრი სახელმწიფოსათვის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების მონაწილეთათვის, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია ამ პაქტის მონაწილედ.

2. ეს პაქტი ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო დოკუმენტები დეპონირდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

3. ეს პაქტი მისაერთებლად ღიაა ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

4. მიერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან მიერთების დოკუმენტის დეპონირებით.

5. გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს ამ პაქტის ხელმომწერ ან მასთან მიერთებულ ყველა სახელმწიფოს თითოეული სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 27

1. ეს პაქტი შედის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

2. სახელმწიფოსათვის, რომელიც ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ ამ პაქტის რატიფიცირებას მოახდენს ან მას მიუერთდება, ეს პაქტი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან საკუთარი სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 28

ამ პაქტის დებულებები ფედერაციული სახელმწიფოს ყველა ნაწილზე ვრცელდება რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 29

1. ამ პაქტის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შესწორებათა შეთავაზება გენერალური მდივნისათვის. გენერალური მდივანი შეთავაზებულ შესწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს, შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა ამ წინადადებათა განსახილველად და კენჭის საყრელად, მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევისა. მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ორი მესამედის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, გენერალური მდივანი მოიწვევს ასეთ კონფერენციას გაერთიანებული ერების ეგიდით. ამ კონფერენციისა და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და მიიღებენ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ორი მესამედის უმრავლესობით თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

3. ძალაში შესვლის შემდეგ, შესწორებები სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ისინი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორება.

მუხლი 30

26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გაკეთებული შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამავე მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს:

ა) 26-ე მუხლის თანახმად ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთების ფაქტს;

ბ) 27-ე მუხლის თანახმად ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 29-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 31

1. ეს პაქტი, რომლის ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დეპონირდება გაერთიანებული ერების არქივში.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ ეგზემპლარს უგზავნის 26-ე მუხლში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს.

დანართი 4

ინტერნეტში განთავსებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები

შემდეგი ტექსტები არის ხელმისაწვდომი ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ვებ-გვერდზე: http://www.ohchr.org/english/law/index.htm

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი

ა) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ბ) ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

ც) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

დ) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი

ე) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია და ათასწლეულის ასამბლეა

ფ) ვენის დეკლარაცია და გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამა

გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის დეკლარაცია

თვითგამორკვევის უფლება

გ) გაერთიანებული ერების დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ

ჰ) გენერალური ასამბლეის 1962 წლის 14 დეკემბრის 1803 (XVII) რეზოლუცია: "ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტი"

ი) საერთაშორისო კონვენცია დაქირავებული მკვლელების გადამზადების, გამოყენების, დაფინანსებისა და ტრენინგების წინააღმდეგ

მკვიდრი მოსახლეობისა და უმცირესობათა უფლებები

- მკვიდრი მოსახლეობისა და ტომების კონვენცია, 1989წ. (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N169 კონვენცია)

- ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობათათვის მიკუთვნებულ პირთა უფლებების შესახებ დეკლარაცია

დისკრიმინაციის აკრძალვა

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N100 კონვენცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N111 კონვენცია დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობასთან მიმართებით დისკრიმინაციის შესახებ
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად
- რასისა და რასობრივი ცრურწმენის შესახებ .დეკლარაცია

საპარლამენტთაშორისო კავშირი და გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათაა უმაღლესი კომისრის ოფისი

2005

ყველა უფლება დაცულია. არ არის ნებადართული ამ პუბლიკაციის რომელიმე ნაწილის ხელახლა გამოცემა, საინფორმაციო-საძიებო სისტემაში შენახვა ან სხვა ფორმაში გადაყვანა, თუ რაიმე ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირების, ჩაწერის თუ სხვა საშუალებით გადაცემა საპარლამენტთაშორისო კავშირის ან გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წინასწარი ნებართვის გარეშე.

სახელმძღვანელო არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნით გაყიდვისათვის. იგი გავრცელდება იმ პირობით, რომ არ მოხდება მისი გადაცემა ან სხვა სახით გავრცელება, მათ შორის კომერციული სახით, გამომცემელთა წინასწარი ნებართვის გარეშე, რაიმე ფორმით, გარდა ორიგინალის ფორმისა, და იმ პირობით, რომ მომავალი გამომცემელი დააკმაყოფილებს ამავე მოთხოვნებს.

ISBN 92-9142-266-5

საპარლამენთაშორისო კავშირი უფლებათა

Chemin du Pommier 5

CH-1218 Le Grand-Saconnex

Tel: +4122 919 41 50

Fax: +4122 919 41 60

E-mail: postbox@mail.ipu.org

Web site: www.ipu.org

გაერთიანებული ერების ადამიანის

უმაღლესი კომისრის ოფისი

OHCHR Palais des Nations

Avenue de la Paix 8-14

CH-1211 Geneva 10

Tel: +4122 917 90 00

Fax: +4122 917 01 23

E-mail: publications@www.ohchr.org

Web site: www.ohchr.org